ქალთა მეგობრობა

# პაციენტი ნულიდან

## ზეპირი ისტორიები

თბილისი
2022

# პაციენტი ნულიდან
## ზეპირი ისტორიები


| | |
|---|---|
| ინტერვიუერები: | მერი ქაჯაია |
| | მარიამ სეხნიაშვილი |
| | ცისანა გოდერძიშვილი |
| რედაქტორი: | მაკა ლდოკონენი |
| ილუსტრაციები და ნახატი ყდაზე: | მაკა ლდოკონენი |
| სერიის ლოგოს მხატვარი: | ნანა ჭურღულია |



სერია „ქალთა მეხსიერება“ © „ფონდი ტასო“, 2022


# PATIENT ZERO AND COUNTING
## Oral Histories


| | |
|---|---|
| Interviewers: | Mery Kajaia |
| | Mariam Sekhniashvili |
| | Tsisana Goderdzishvili |
| Editor: | Maka Ldokonen |
| Ilustrations and cover painting: | Maka Ldokonen |
| Logotype of the Series: | Nana Churgulia |



Women’s Memory Series © TASO Foundation, 2022



ISBN – 978-9941-8-4291-7
ISSN – 1987-5185

„ფონდი ტასო“ (ქალთა ფონდი და მეხსიერების კვლევის ცენტრი)
TASO Foundation (Women’s Fund and Memory Research Center)

# სარჩევი


| | | |
|---|---|---|
| | შესავალი | 7 |
| 1. | ნიკა გამყრელიძე | 19 |
| 2. | გიული ურუშაძე | 29 |
| 3. | ნინო ღლონტი | 41 |
| 4. | ლუკა ხობელია | 51 |
| 5. | ლია ხუნწარია | 71 |
| 6. | ანა ბაჯიაშვილი | 83 |
| 7. | ჰიშო ვეჰბე | 93 |
| 8. | აჩიკო გოგიტიძე | 107 |
| 9. | თამუნა კალატოზიშვილი | 119 |
| 10. | ანონიმური | 129 |
| 11. | ანონიმური | 137 |
| 12. | სოფო დავითაძე | 147 |
| 13. | ანონიმური | 157 |
| 14. | თუთა ნარმანია | 163 |
| 15. | დავით ჩხიკვიშვილი | 171 |
| 16. | ელისაბედ ჩხეიძე | 191 |
| 17. | ზურაბ გაიპარაშვილი | 199 |
| 18. | ანონიმური | 213 |
| 19. | ნინო ჯაბაური | 239 |
| 20. | ნინო ქაჯაია | 251 |
| 21. | გიორგი კორკოტაშვილი | 273 |
| 22. | მაია ჟამუტაშვილი | 291 |
| 23. | მარინე ბერიძე | 305 |
| 24. | თამთა თათარაშვილი | 355 |

*„პატარა წერტილივით არის,*
*დაძვრება, დაძვრება, დაძვრება... გსწავლობს*
*და მერე წყვეტს, რა გააკეთოს...“*

ე. ჩხეიძე

ამ წიგნში 24 ადამიანის ისტორიაა თავმოყრილი: დავიწყებული ამბების მოგონებები; გავლილი გზა ინფიცირებიდან კოვიდის დამარცხებამდე; ჩაკეტილი საჰაერო საზღვრებითა და სახმელეთო გზებით, გაყოფილი ოჯახებით, ყოველდღიურობაში გაჩენილი უცნაური ტერმინებითა თუ საზრუნავით. ასევე უამრავი სხვა სიახლით, როგორიცაა: დისტანცირება, პირბადეების ტარება, კარანტინსა თუ იზოლაციაში გადასვლა, სახლის კართან პოლიეთილენის პარკებში გახვეული, გარეთ ნაცვამი ტანსაცმლის მოთავსება თუ საკვები პროდუქტის ქაფიანი წყლით რეცხვა...

„პაციენტი ნული – საქართველო“[1] კოვიდ-19-ით დაბნეული სამყაროს პირველი დღეების ასახვის მიზნით შეიქმნა. გვსურდა ემოციებით სავსე, აღელვებული რესპონდენტების მონათხრობი მეხსიერებაში ხელუხლებლად შემოგვენახა. ამიტომ მაქსიმალურად შევიკავეთ თავი გრამატიკული თუ სტილისტური შესწორებებისგან და თითქმის უცვლელად გადმოგეცით ამბები. შესაძლოა, თხრობის ამგვარი მანერა, თავიდან უცნაურად მოგეჩვენოთ კიდეც, მაგრამ... ამ წიგნს ყური უნდა დაუგდოთ და ისე გაჰყვეთ აბზაცებს. ჩვენთვის

[1] ფონდის „ღია საზოგადოება – საქართველო“ მიერ მხარდაჭერილი (2020) კვლევითი პროექტი, რომლის ფარგლებში ჩაწერილი ინტერვიუები წინამდებარე წიგნში შესული ზეპირი ისტორიების უმრავლესობას წარმოადგენს.

მთავარი სწორედ თითოეული ადამიანის ხმა გახლდათ – ხმა, რომელიც უზარმაზარ, დაბნეულ სამყაროში მსმენელსა თუ გულშემატკივარს დაეძებდა.

* * *

ამ შესავალ წერილს როცა ვწერ, საქართველოში კორონავირუსის ახალი შტამის, ომიკრონის ტალღა მძვინვარებს – ყოველდღიური ინფიცირების მაჩვენებელი 26000-ს აღემატება, იზოლაციის პერიოდი კი მხოლოდ 8 დღით შემოიფარგლება, მაშინ როდესაც, ზოგიერთმა ჩვენმა რესპონდენტმა კოვიდ კლინიკებში ერთ თვეზე მეტი გაატარა. ისინი ვირუსთან მძიმე ომში წინა ხაზზე აღმოჩდნენ, მათზე დაკვირვებით სწავლობდნენ და ხვდებოდნენ, როგორ უნდა ემკურნალათ შემდეგი პაციენტებისთვის. ეს იყო პერიოდი, მცირე შეცდომის დაშვებაც დაუშვებელი რომ იყო. ახლა კოვიდით ინფიცირებას თითქმის არავინ მალავს, სოციალურ ქსელებში მეგობრებისთვის საჯაროდ შეტყობინება, რომ ვირუსის მატარებელი ხარ, პანდემიის მორიგ მახასიათებლად იქცა. ორი წლის წინ კი პირველი ინფიცირებულები საგულდაგულოდ მალავდნენ კოვიდ დადებითობას. ნიკა გამყრელიძე საქართველოში რიგით მეათე პაციენტი იყო, ვისაც კორონა ოფიციალურად დაუდასტურდა, მაგრამ პირველი, საჯაროდ რომ განაცხადა ინფიცირების შესახებ – გაამჟღავნა, რომ იტალიის კლასტერის წევრი იყო და ვუჰანიდან გავრცელებული ვირუსი დაუდასტურდა.

24 რესპონდენტს თითქმის ერთი და იგივე კითხვები დავუსვით. თითოეულს თავისი უნიკალური ამბავი ჰქონდა. გვიამბეს, რა იცოდნენ უხილავ მტერზე მაშინ, როცა

კოვიდ-19 დაუდასტურდათ, როგორ იცავდნენ თავს, როგორ გადაჰქონდათ სტრესი, როგორ უმკლავდებოდნენ არასტაბილურ ფსიქოლოგიურ მდგომარეობას. აქ შეხვდებით დაუსრულებელ თავგადასავლებსა თუ ტრაგედიებს, ადამიანური თანადგომისა თუ გაუსაძლისი ყოფის ამსახველ მაგალითებს. თითოეული ისტორია იმ მძიმე მომენტებს შეგვახსენებს, რომელიც თავად ჩვენ ან ჩვენთვის ახლობელმა ადამიანებმა გამოვიარეთ. ისტორიები ერთად და ცალკ-ცალკე იმ კოლექტიურ ტრავმებს აღწერს, რომელთა შედეგებზე საუბარი ჯერ ძალიან ადრეა.

2020 წლიდან სამყაროში დამკვიდრებულმა ახალმა წესრიგმა ადამიანების ცხოვრება განსხვავებულ ისტორიულ განზომილებაში გადაიტანა. უკვე ბევრი ხვდება და აღიარებს, რომ აღარაფერი იქნება ისევ ისეთი, როგორც უწინ... მომავალში დიდი სტრუქტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებები გველის, თუმცა კოვიდმა ადამიანების ცხოვრება უკვე საგრძნობლად შეცვალა.

იზოლაციისა და კარანტინის გამო პანდემიამ განსხვავებულად იმოქმედა სხვადასხვა ტიპის სოციალურ კავშირებზე: ნაწილისთვის ეს კავშირები უფრო გამყარდა და გაძლიერდა, ნაწილისთვის კი – პირიქით. საქართველოში რამდენიმე თაობის წარმომადგენელს ტრადიციულად, ისედაც ერთ სივრცეში ცხოვრება უწევდა. ამის გამო თითოეულ მათგანს სხვადასხვა ტიპის გამოწვევასთან გამკლავება მოუხდა. უსაფრთხოებიდან გამომდინარე, შედარებით ასაკოვანი ადამიანები განცალკევებით საცხოვრებლად გადავიდნენ, მოზარდები კი იძულებულები იყვნენ, ჩვეულებრივზე მეტი დრო გაეტარებინათ მშობლებთან, მაქსიმალურად

შეეზღუდათ მეგობრებთან კონტაქტი თუ სხვა ტიპის სოციალური აქტივობები. ცხადია, ეს უარყოფითად აისახა ყველას ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. მაგალითად, ერთერთი რესპონდენტი იხსენებს, რომ კარანტინის შემდეგ სტუდენტებთან საგანმანათლებლო ტიპის ყოველკვირეული შეხვედრების სტრუქტურის შეცვლა მოუხდათ, რადგან საერთაშორისო კვლევების თანახმად, ისევე როგორც თავად მასწავლებლების დაკვირვებით, უმჯობესი იქნებოდა ცოდნის ამაღლებაზე მეტად იმ ეტაპზე მოსწავლეები მენტალურ ჯანმრთელობაზე ორიენტირებული აქტივობებით დაეკავებინათ.

სოციალური კვლევის შედეგებმა გენდერული უთანასწორობის საკითხებიც წარმოაჩინა. პანდემია განსაკუთრებული სირთულით ქალებზე აისახა. მნიშვნელოვნად გაიზარდა ე.წ. არაანაზღაურებადი შრომა, რომელიც ქალების მხრიდან ბავშვების მოვლას, მზარეულობასა და სხვა საოჯახო საქმეების კეთებას გულისხმობს. აქედან გამომდინარე, ქალები იძულებულები გახდნენ, ნაკლები დრო დაეთმოთ საკუთარი პროფესიული საქმიანობისთვის. გამოკითხულთა შორის პანდემიით გამოწვეული ფსიქოლოგიური სტრესიც უფრო მეტად მდედრობითი სქესის წარმომადგენლებს შეეხოთ. ბევრ სხვა პრობლემასთან ერთად, ქალები უფრო მეტად განიცდიან თავიანთი შვილების განათლებასთან დაკავშირებულ გამოწვევებს და აღნიშნავენ, რომ პანდემიის პერიოდში მიღებული „ონლაინ განათლება“ უარყოფითად აისახება მომავალი თაობების ცოდნაზე. „მსოფლიო ჩივის უკვე, რომ ჩვენ გაუნათლებელი თაობა გვეყოლება. ის ქვეყნები, სადაც ისეთ დონეზეა განათლება, რომელსაც ჩვენ დიდხანს ვერ მივაღწევთ... და ჩვენ, რომლებსაც

ამის ფუფუნება არ გვაქვს, რა გავუკეთეთ ჩვენს შვილებს დღეს“ (ანონიმი). ჩვენი ერთერთი რესპონდენტი, ოპერის მომღერალი, აჩიკო გოგიტიძე კი იძულებული გახდა, აშშ-ში სამაგისტრო პროგრამაზე სწავლა შეეწყვიტა და საქართველოში დაბრუნებულიყო.

პანდემიამ, როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, საქართველოშიც გამოიწვია უმუშევრობის ზრდა. გამოკითხული რესპონდენტებიდან რამდენიმე პანდემიის გამო უმუშევარი დარჩა, ერთერთმა ქალბატონმა კი, რომელიც პროფესიით სტომატოლოგია, სამსხურს საკუთარი სურვილით დაანება თავი (მის პროფესიაში ვირუსით რეინფიცირების მაღალი რისკიდან გამომდინარე). მეორე რესპონდენტი კი მომღერალი გახლავთ და მისი სამუშაო დაწესებულების დროებითი დახურვის შედეგად შემოსავლის გარეშე დარჩა, რის გამოც თბილისიდან კახეთში გადავიდა საცხოვრებლად და ხელი სოფლის მეურნეობას მიჰყო. მის კოლეგას კი შემოსავლის ერთადერთ წყაროდ პენსია დარჩა.

გლობალურმა კრიზისმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა არა მხოლოდ ადამიანების კეთილდღეობაზე, არამედ მათ ჯანმრთელობაზეც. განსაკუთრებული სიმძაფრით ეს ფსიქიკურ ჯანმრთელობას შეეხო, რაც სტრესის, პანიკისა და შფოთვების სახით გამოვლინდა. მიუხედავად იმისა, რომ ისტორიულად კარანტინი ინფექციის გავრცელების დროს წარმატებულ პრაქტიკად მიიჩნევა, ადამიანებისთვის ის სულაც არ არის პოზიტიური გამოცდილება. გაურკვეველი მომავლისა თუ ინფიცირების შიში, ოჯახის წევრებისგან და მეგობრებისგან განცალკევება, მარტოობა,

ფინანსური არასტაბილურობა, გადაადგილების შეზღუდვა ან აკრძალვა ფსიქიკაზე უარყოფით ზემოქმედებას ახდენს. რესპონდენტთა უმრავლესობის ისტორიებიც ამას ადასტურებს: „ფსიქოლოგიურად ძალიან დიდი სტრესი მივიღე... მზე რომ ამოდიოდა, იმასაც ვნერვიულობდი. არ მინდოდა, მერჩივნა წვიმა ყოფილიყო, ქარიშხალი, აი, ეგეთი კატაკლიზმები უფრო მერჩივნა, ვიდრე კარგი ცხოვრება... დეპრესიული გავხდი“ (ანონიმური რესპონდენტი). კვლევებმა ისიც ცხადყო, რომ მოსახლეობის გარკვეული სეგმენტი განსაკუთრებული სიმძაფრით რეაგირებს შფოთვით, დეპრესიულ და პოსტტრავმულ სიმპტომებზე, სამომავლო რისკებზე. „სუსტი წერტილი ჩვენი ნერვული სისტემაა. ამიტომ იმ პაციენტების მდგომარეობა, რომლებსაც ასეთი ლაბილური ნერვული სისტემა აქვთ, არის ყოველთვის კრიტიკული და საკმაოდ არაპროგნოზირებადი. ახალგაზრდები, განსაკუთრებით კი მამაკაცები ემოციური ლაბილობით მეტად გამოირჩევიან, ვიდრე ქალბატონები“ (ნ. ჯაბაური).

მენტალური ჯანმრთელობის გაუარესება ხშირ შემთხვევებში დაკავშირებულია ოჯახურ მდგომარეობასთან, პასუხისმგებლობებთან, სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსთან და ზოგ შემთხვევაში საცხოვრებელ ადგილთანაც კი. საუბრებში გამოიკვეთა, რომ ფსიქიკურ გამოწვევებთან გასამკლავებლად თითოეულმა რესპონდენტმა სხვადასხვა მეთოდს მიმართა. ნაწილმა ფიზიკური აქტივობა აირჩია: „ვარჯიში მჭირდებოდა, რომ თავი კარგად მეგრძნო. დილით რომ ვიღვიძებდი, ვამბობდი, ვერ მივცემ ამ ყველაფერს ჩემი რუტინის შეცვლის უფლებას! ვამბობდი, მეგობარო,

უნდა გააგრძელო შენი ცხოვრება!“ (ჰ. ვეჰბე); ზოგიერთმა მედიტაციებში იპოვა შვება ან ვირტუალური კავშირები გააააქტიურა. რამდენიმეს კი შეასაბამისი მედიკამენტების მიღება დასჭირდა: „სტრესთან გასამკლავებლად მომიწია წამლების დალევა, იმიტომ რომ დეპრესიაში ჩავვარდი. მიუხედავად იმისა, რომ ჩემს შვილებთან ერთად ვიწექი ოთახში ორი დღე, ღამით წამლებს ვსვამდი და დღემდეც პერიოდულად ვსვამ“ (ნ. ღლონტი).

არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხია თავად სამედიცინო პერსონალის ფიზიკური თუ ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობაც. კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ პანდემიის პერიოდში, სამუშაო საათების მიღმა, სამედიცინო სფეროში დასაქმებული ადამიანები ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, უამრავ ადამიანს უწევენ კონსულტაციასა და დახმარებას: „ნუ შეკითხვების კორიანტელი სულ არის და ამას ჩვენ, აბსოლიტურად ყველა ექიმი, ვაკეთებთ სრულიად უსასყიდლოდ. როგორ ეხლა, პაციენტი, რომელიც კოვიდით არის დაავადებული, ვერ მოიყვან და კონსულტაციას ვერ გადაახდევინებ“ (გ. კორკოტაშვილი); გარდა ამისა, ნებისმიერი სისტემური ხარვეზი, გაუმართაობა, თუ ვირუსის არაპროგნოზირებადი სახეცვლილებები უარყოფით გავლენას ახდენს ექიმებზე: „კოვიდინფექციამ დეპრესიულ მდგომარეობამდე მიმიყვანა. გარდა იმისა, რომ მე ვემსახურები პაციენტს, ასევე ვემსახურები ყველა ახლობლის გაჭირვებულ ადამიანს ტელეფონით და ეს არ მთავრდება 24 საათის განმავლობაში. უფლებაც არ მაქვს, რომ არ ვუპასუხო ტელეფონს. ბევრი, შეიძლება, ვერაფერი გავუკეთო, მაგრამ რომ ვუთხრა, კარგად იქნებით, დამშვიდდით...“ (ნ. ჯაბაური)

პანდემიის საწყის ეტაპზე ინფიცირებული პაციენტების უმრავლესობა ხაზს უსვამს მკურნალი ექიმებისა და ზოგადად სამედიცინო პერსონალის პროფესიონალიზმს, მათ მიერ გამოჩენილ ყურადღებას, მეგობრულ დამოკიდებულებასა და ფსიქოლოგიურ სტრესთან გამკლავებაში მხარდაჭერას: „მითხრა ერთმა ახალგაზრდა გიჭმა (ექიმმა), რომ თუ ცუდად გახდი, კრიტიკულად თუ იქნები, არც ჩავიცვამ (გულისხმობს აღჭურვილობას) და ისე შემოვალო...“ თუმცა შეფასებები თანდათან იცვლება, განსაკუთრებით იმ პაციენტებში, რომლებიც მოგვიანებით, 2020 წლის სექტემბრიდან დაინფიცირდნენ, რაც თავისთავად გამოწვეული იყო იმ პერიოდში ინფიცირების რაოდენობის მკვეთრი ზრდით. ბუნებრივია, რომ სამედიცინო პერსონალის ნაკლებობამ თუ გადაღლამ პაციენტების უკმაყოფილება გამოიწვია. ზოგიერთი პაციენტის თქმით, სამედიცინო დაწესებულებები არ იყო სათანადოდ ორგანიზებული, ექიმებს საშუალოზე მეტი რაოდენობის პაციენტებზე ჰქონდათ აღებული პასუხისმგებლობა და ვეღარ ახერხებდნენ ყველასთვის საჭირო ყურადღების მიქცევას. ზოგიერთ ისტორიაში იმასაც აღნიშნავენ, რომ სამედიცინო პერსონალი არც თუ ზრდილობიანად იქცეოდა, რაც მსგავს სიტუაციაში (როდესაც პაციენტების ემოციური მდგომარეობა მაღალი სენსიტიურობით გამოირჩევა) უარყოფით გავლენას ახდენდა მათ ფსიქოლოგიურ განწყობაზე. „მომსახურე პერსონალი იღლება, მესმის მაგათი, მაგრამ რომ იღლები, დაისვენე. თუ არ მოგწონს, ნუ მუშაობ. თუ ზერელედ მუშაობ, გკიდია და მეუზრდელები... მე კიდევ უზრდელობა მინდოდა იქ?.. ისედაც ვწევარ, ცუდად ვარ“ (დ. ჩხიკვიშვილი). რამდენიმე

რესპონდენტმა სამედიცინო დაწესებულებების ადმინისტრაციულ გაუმართაობაზეც ისაუბრა. მათი თქმით, ინფიცირებულ პაციენტებს ხშირად საავადმყოფოს მისაღებში რამდენიმე საათით უწევდათ ლოდინი და მათთვის არც პირველადი მოხმარების ნივთები მიუწოდებიათ. ერთერთი პაციენტის თვალწინ კი ინფიცირებულმა მოქალაქემ საავადმყოფო თავისი ნებით, დაუკითხავად დატოვა და ის არავის შეუჩერებია. საავადმყოფომ მხოლოდ მოგვიანებით აღმოაჩინა ეს ფაქტი და პოლიციას მიმართა...

* * *

პაციენტები, ექიმები თუ სხვა პასუხისმგებელი პირები უხილავ მტერთან სირთულეებით სავსე ბრძოლას დღემდე აგრძელებენ. ძველ გამოწვევებს ახალი ემეტება. ასე რომ, ამბები, რომელსაც წიგნში წაიკითხავთ, არა მხოლოდ ზეპირ ისტორიებს შემოგვინახავს, არამედ პანდემიის განმავლობაში მიმდინარე პროცესების მრავალმხრივ შეფასებასაშიც დაგვეხმარება. კოვიდ-19-მა მთელი მსოფლიო ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. თავი იჩინა სოციალურმა, კულტურულმა, ემოციურმა, ფსიქოლოგიურმა სირთულეებმა. შესაბამისად, არაერთი ახალი საჭიროებაც გამოიკვეთა. ამ წიგნში თავმოყრილი რესპონდენტების მაგალითებიდან ნათლად ჩანს, თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს კრიზისის დროს თანადგომას, რატომ გვმართებს სიფრთხილე ადამიანის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის გასაჯაროებისას, როგორები არიან პროფესიონალი ექიმები სამსახურში თუ სამსახურს მიღმა, რამდენად განსხვავებულია პანდემიის დროს ხანშიშესული ადამიანების, ქალების,

ახალგაზრდეგბისა თუ სხვადასხვა ჯგუფის უმცირესობეგბის ყოფა და რა თქმა უნდა, როგორ აერთიანებს ყველას ერთი, საერთო მიზანი – სიცოცხლის სურვილი.



1.

სახელი, გვარი: ნიკა გამყრელიძე

ასაკი: 41

სამუშაო ადგილი: სამედიცინო კორპორაცია „ევექსი“
გუნეკოლოგიური დირექტორი

საცხოვრებელი ადგილი: აბილისი

ინფიცირების ადგილი და დრო: აბილისი, 03/2020

ჩაწერის ადგილი და დრო: აბილისი, 09/2021

ინტერვიუერი: მერი ქაჯაია

როგორ დავინფიცირდი?.. აი, ამ მაგიდასთან (მიუთითებს საკუთარი სამუშაო კაბინეტის მაგიდაზე – მ. ქ.) ვიჯექი ზუსტად. დაახლოებით ისე, როგორც ახლა ვსხედვართ. უფრო სწორად, აი, იქ იჯდა ის ადამიანი, ჩემი თანამშრომელი, ვისგანაც გადამედო... თავისთავად, არანაირად არ ვგეგმავდი, რომ დამემართებოდა (იცინის – მ. ქ.)... მეგონა, ძალიან ფრთხილად ვიყავი, იმიტომ რომ ჩემს ჭკუაში, მეტი ცოდნა მქონდა.

ამ დაავადების გადადების გზებზე, მაგრამ მაინც დამემართა...

ძალიან ბევრი ზომები მივიღეთ თებერვლიდან, ჩვენ ჯანდაცვის კომპანია ვართ მსხვილი და ჰიგიენის ნორმები საკმაოდ კარგად გვქონდა დაცული, მარა... მოხდა ასე. არც ხელი არ ჩამომირთმევია იმ ადამიანისთვის, არც გადამიკოცნია, დისტანცია გვქონდა და ასე შემდეგ... მაგრამ გადამედო!.. ის ადამიანი ჩვენი თანამშრომელია, მე თვითონაც ვერ ვიფიქრებდი, რომ მჭირდა, რომ არა 2 დღით ადრე მისი და მისი ოჯახის „გაპოზიტიურება" ასე ვთქვათ... და მერე რადგან კონტაქტი ვიყავი, იზოლაციაში წავედი. თავიდან ფაქტობრივად სიმპტომი არ მქონდა და ყურადღებასაც არ მივაქცევდი, ვივლიდი ასე, მოსიარულე ნაღმივით. მაგრამ... მეც და ჩემი თანამშრომლის სხვა კონტაქტებმაც თვითიზოლაცია გადავწყვიტეთ.

მაშინ, პანდემიის საწყის ეტაპზე უფრო მეტი სიფრთხილე იყო და უფრო მეტი დისციპლინაც, რაც სამწუხაროდ აღარ არის... ხო?..

მერე თანდათან დავაკვირდი ჩემს სიმპტომებს (ორ დღეში მეც წამომივიდა ძალიან მსუბუქი სიმპტომები), რის შემდეგაც გავიტესტე და აღმოვჩნდი პოზიტიური. ჩემი გაპოზიტიურება რომ არ გამხდარიყო ბევრი ინტერპრეტაციის, კონსპირაციის თეორიების წყარო (ჩემი[2], ასე ვთქვათ, პოზიციიდან გამომდინარე და ჩემი ოჯახის წევრის პოზიციიდან გამომდინარე), მე, თვითონ გადავწყვიტე გამესაჯაროებინა ეს ყველაფერი. არ მინდოდა ამას მოჰყოლოდა კონსპი-

[2] ნიკა გამყრელიძე არის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის, ამირან გამყრელიძის შვილი.

რაციის თეორიები... ანუ იმ დონის ამბავიც გამიგია, რომ ვითომ მე არ ვიყავი დაავადებული და სპეციალურად დავწექი საავადმყოფოში... ამიტომ, ამისთვის თავიდანვე რომ წერტილი დამესვა, ყველაფერი გავასაჯაროე.

მეორე, ისიც მინდა ვთქვა, რომ ეს არის ინფექციური დაავადება, გადამდები დაავადებაა. შეიძლება წესები დაიცვა და მაინც შეგხვდეს. ეხლა, მე და თქვენ ნიღბებით რომ ვსხედვართ, ძალიან ვამცირებთ გადადების შანსს, მაგრამ მე ეხლა რომ ინფიცირებული ვიყო, მაინც არის გადადების დაბალი ალბათობა. ამიტომ, **ჩვენ, ადამიანებმა წესები უნდა დავიცვათ, დისციპლინირებულები უნდა ვიყოთ, მაგრამ თუ დაგვემართა ეს, სირცხვილი არ არის... ხო?.. და პირიქით, მეტი სირცხვილია თუ დავმალავთ ამას. ხანდახან მესმის, რომ ზოგიერთი ადამიანი ინფიცირებულია, არ ამბობს და ისე დადის. ეს ხომ გაცილებით სამარცხვინოა, ვიდრე ის, რომ ესეთი პანდემიის დროს კორონა დაგვემართოს**.

* * *

მეორე დღეს ჰოსპიტალში გადავედი. მაშინდელი პროტოკოლი (ჯერ კიდევ სიახალე იყო კორონა) ითვალისწინებდა ფაქტიურად ყველა კოვიდინფიცირებულის ჰოსპიტალიზაციას. დღეს ესე აღარ არის, ჩემნაირი პაციენტები დღეს თავისუფლად სახლში მკურნალობენ. გადავედი ჰოსპიტალში, სადაც ვიწექი, ასე ვთქვათ, ძალიან პატარა ბოქსში, რომელიც არცთუ ისე სასიამოვნო გამოცდილება იყო, მაგრამ ვგრძნობდი ძალიან ბევრ მხარდაჭერას – აბსოლუტურად უცხო ადამიანებისგან თუ ნაცნობებისგან და ეს გაცილებით დიდ სტიმულს მაძლევდა. გარდა ამისა, ძალი-

ან დაკავებული ვიყავი ყოველდღური საქმიანობით: ვსწავლობდით როგორ გვემუშავა დისტანციურად ისე, რომ ჩვენი არც ერთი ბიზნესი არ შეფერხებულიყო, მომხმარებლებს არ შექმნოდა რაიმე ტიპის შეფერხება (ჰოსპიტალური სერვისის თუ ამბულატორიული სერვისის მიღებისას), რაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო იმ დროს. საერთაშორისო ლოჯისტიკური ჯაჭვების რღვევა დაიწყო და შესაბამისად ფარმაცევტული პროდუქციის მოწოდებაში საკმაოდ აქტიური სამუშაო რეჟიმი გვქონდა, ალბათ დღეში 14 საათი ვმუშაობდი. ეს, ასე ვთქვათ, მოწყენის საშუალებას არ მაძლევდა.

მაშინდელი პროტოკოლით, სანამ ორჯერ ნეგატიური პასუხი არ ამოვიდოდა, არ გიშვებდნენ და ამიტომ მომიწია თითქმის ერთი თვე ჰოსპიტალში ყოფნა... მერე მშვიდობით გამოვედი იქიდან. ძალიან პატარა ოთახში ვიჯექი, ვერც ვვარჯიშობდი, ბუშტებს ვბერავდი ხოლმე დღეში რამდენიმეჯერ. ვთხოვე ყველას, რომ საჭმელი არ მომიტანოთ, იმიტომ რომ პატარა ოთახში შეიძლება წონა ვერ დაიცვა, იმიტომ რომ ენერგიას ვერ ხარჯავ და ეგ არ არის კარგი. რუტინა იყო **დღეში რამდენიმეჯერ შემოდიოდნენ ჩაფუთნული, ე.წ. სკაფანდრებიანი ექიმები. იმ დროისთვის ეს რაღაც ემოციურად უფრო უცხო იყო, იმიტომ რომ ადამიანი ვერ გეკარება, ეშინია. ვერავის ვერ ენახვები, ფანჯრიდან თუ ცოტა ვინმეს დაელაპარაკები და ეს ცოტა თავისთავად არასასიამოვნო შეგრძნებაა... მაგრამ!.. გაცილებით არასასიამოვნოა, მერწმუნეთ, ის რომ გაცვია მთელი დღე ეს სკაფანდრები. ჩვენი ექიმები და ექთნები მაგ მხრივ მართლა ძალიან დასაფასებლები არიან**. ამას ყოველთვის ვგრძნობდი.

ემოციურად... ხო გეუბნებით, ჩართული ვიყავი მუშაობაში. მაგ დროს ალბათ რაღაცა კატასტროფული პასუხისმგებლობა თუ გაქვს, უფრო აქტიურად შრომობ და ეგ დამემართა მეც. ღამის 2 საათზე ვიძინებდი, ადრე ვდგებოდი და ეგრევე მუშაობას ვიწყებდი და ამით გადავაგორე ეგ ამბავი. ემოციური ფონი არ მქონია... ერთ მომენტს კი გეტყვით, ალბათ 20 დღე იყო გასული, ყურსასმენი გავიკეთე და მუსიკა ჩავრთე პირველად (ტელევიზორი არ მქონია იქ) და... ხო ხვდები?.. დავაფიქსირე, რომ 20 დღე ჩემი თავისთვის უფლებაც არ მიმიცია, რომ შუადღისას დავმშვიდებულიყავი და მუსიკისთვის მომესმინა (იცინის – მ. ქ.)... ეტყობა, მობილიზაციის უნარი აქვს ტვინსაც და ეგეც არის...

**ძალიან მალე მინდოდა გამოსვლა, იმიტომ რომ ბავშვებიც მელოდებოდნენ, ეგონათ, რომ საზღვარგარეთ ვიყავი. მეკითხებოდნენ, შენთან ღამეა თუ დღეო?...** ძაან ბევრი სიარული მიწევდა იმ დროს მივლინებებში... დავფრინავ ბევრს, შტატებში მიწევდა ფრენა (იცინის – მ. ქ.)... მე რომ გამოვედი, ეგ წესი იყო, რომ კიდევ იზოლირებული უნდა ყოფილიყავი. თან იმ მომენტში საკმაოდ ისეთი, თითებზე ჩამოსათვლელი ხალხი იყო ინფიცირებული, ალბათ ზედმეტი ყურადღება იყო ჩემ მიმართ და ეგ, სიმართლე გითხრათ, ცოტა დისკომფორტს მიქმნიდა.

მამაჩემი ერთხელ მოვიდა, ფანჯრიდან ველაპარაკე. პირველ სართულზე ვიყავი ინფექციური საავადმყოფოს ბოქსირებულ განყოფილებაში, პირველი სართულის ფანჯრიდან შეგეძლო გესაუბრა. ისე ტელეფონით თავისთავად, ყოველდღე ვსაუბრობდით. სასაცილო კი იყო ისე, რომ თავიდანვე მე დამემართა, მაგრამ ნუ ეგრე მოხდა და რა ვქნათ.

* * *

ჩემი ცხოვრება... ალბათ ყველას ცხოვრება შეიცვალა და ვაკვირდები რა ტიპის ნაკვალევი შეიძლება ამან დატოვოს თითოეულ ჩვენგანზე... აუცილებლად დატოვებს. **გამორიცხულია ესეთმა მნიშვნელოვანმა „ივენთმა", რომელიც ამდენი ხანი გრძელდება, არ იმოქმედოს ადამიანის ფსიქიკაზე.** ცხოვრების სტილი შეიცვალა მთლიანად. ჩემს შემთხვევაში ყოველდღიური ჩემი საქმიანობა მნიშნელოვნად განსხვავებული გახდა: ვისწავლე როგორ ვიმუშაო დისტანციურად, როგორ ვიარო ესე (ნიღაბს გულისხმობს – მ. ქ.), მაგრამ ძირითადი, რაც კიდევ ერთხელ დამიმტკიცა, ის, რომ ყველაზე ძლიერი იარაღი არის ტრანსფარენტულობა. კომპანიებში გამოვაცხადეთ, რომ ყველაფრისთვის უნდა ვიყოთ ღია, ყველაფრისთვის ვიყოთ მზად და რაც მთავარია, ვიყოთ სრულად ღია ჩვენს მომხმარებლებთან, ჩვენს მოქალაქეებთან!..

ჩვენი ჯგუფის კომპანიების თავზე გადაიარა პანდემიამ და დღესაც განვიცდით პანდემიის ძლიერ წნეხს. ყველაზე დიდი კონტრიბუტორები ვართ (საწოლებით იქნება ეს, თუ ბინაზე მართული პაციენტებით)... მეტი ღიაობა და მეტი ემპათია ერთმანეთის მიმართ, – ეს მიდგომა კიდევ უფრო გამისიგრძეგანა პანდემიამ. ტექნიკურადაც ბევრი რამე გვასწავლა, ახალი ოფისის დაგეგმარებას ვაპირებთ და ჩვენი 16,000 თანამშრომლის აზრს ვითვალისწინებთ, ვეკითხებით – როგორ გინდათ, რომ იმუშაოთ მომავალში?.. უმეტეს შემთხვევაში გვპასუხობენ, რომ მოქნილი სამუშაო გრაფიკი კარგია. ანუ მთავარია შენი საქმე აკეთო და არა 10-დან 6 საათამდე იჯდე... უნდა შეგეძლოს, როცა ამის

საშუალება არის და მოთხოვნილება, სახლიდან იმუშაო ან სადმე მთაში ახვიდე და იქიდან იმუშაო, ამაში არანაირი პრობლემა არ არის. ამან შეიძლება პირიქით, უფრო მეტი მოტივაციაც მოგცეს, უფრო ეფექტურიც გახდე და უფრო პროდუქტიულიც. ამ ყველაფრის ძალიან მჯერა და ჩვენს პოსტ პანდემიურ ერაში ასეც დავგეგმავთ.

* * *

**ცუდი ტიპია კორონა. ცუდი ტიპია ძალიან. როგორ აღვწერდი და ეშმაკი, ბოროტი. ბოროტია რა... ბოროტია, რომ ამდენი ადამიანის ტრაგედია მოიტანა!..**

ჩემთვის ძალიან დიდი ტკივილი მოიტანა!.. რეალურად, კორონას სივერაგე რაში იყო, რომ უცებ, სიურპრიზად დაგვატყდა თავს... ჩვენ ვიყავით ჰარი ჰარალეზე, არავინ ამისთვის არ ვიყავით რელურად მზად. ნუ... შეიძლება, ვიღაცა ელოდებოდა და სტატისტიკურად თუ ევოლუციურად ეგეთი რაღაც უნდა მომხდარიყო, მაგრამ ასე თუ ისე, გამოგვეცხადა ეს ტიპი!.. ამიტომ ეს ერთი მხრივ შესაძლებლობაა, რომ სხვანაირად ვადაპტირდეთ მოსახლეობა, უფრო მძიმე გამოწვევებისთვის მოვემზადოთ, ინდივიდუალურ დონეზეც და საზოგადოებრივ დონეზეც.

2.

სახელი, გვარი: გიული ურუშაძე

ასაკი: 80 წლის

სამუშაო ადგილი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი გაბმობა-კონდიციონერების სპეციალობით

საცხოვრებელი ადგილი: თბილისი

ინფიცირების ადგილი და დრო: თბილისი, 03/2020

ჩაწერის ადგილი და დრო: თბილისი, 08/2021

ინტერვიუერი: მერი ქაჯაია

მე მქონდა კონტაქტი 2020 წლის 11 მარტს, შევიყარეთ რუსი მეგობრის ორმოცზე. გადაიხადეს თბილისში, იმიტომ რომ იმ კაცს ძალიან უყვარდა საქართველო, მისი სურვილი იყო ასეთი. დასაფლავებაც კი საქართველოში უნდოდა, რომ ყოფილიყო. ნუ, დაასაფლავეს მოსკოვში, მაგრამ ორმოცი გადაუხადეს აქ. რადგანაც ის ჩვენი ახალგაზრდობის პერიოდის ძალიან ახლო მეგობარი იყო, ჩვენი ოჯახის და ჩემი მეუღლის, საჭიროდ ჩავთვალე (ძალიან კი მეშინოდა),

წავსულიყავი. იმ სუფრაზე, სულ ერთი 25 კაცი იქნებოდა, აქედან, საბოლოო ჯამში 11 დაავადდა. პირველწყარო არ ვიცი ვინ იყო, ერთმანეთს აბრალებენ და მგონი, სულაც ის რუსები იყვნენ, რომლებიც ჩამოვიდნენ (ეს ჩემი აზრია). ხოდა, რადგანაც მე იმათ გვერდით ვიჯექი, აი, ჩამოსულების გვერდით, ამიტომ ვთვლი, რომ ძალიან დიდი დოზით მივიღე. თორემ ის სხვები, ვისაც აბრალებდნენ, რომ აი, იმათმა მოიტანეს, იმათთან მე ახლო შეხებაში საერთოდ არ ვყოფილვარ, შორიდან მივესალმე და ხელიც არ ჩამომირთმევია. რატომ მივიღე ასეთი დიდი დოზით? იმიტომ რომ აი, ამ ორ ჩამოსულ რუს ამხანაგს შორის ვიჯექი. თუმცა, იმათ არ ჰქონდათ სიცხე და რომ დაბრუნდნენ უკან, მერე ჰქონიათ სიცხე, ცოტათი ფილტვების ანთება და, მემგონი, მსუბუქ ფორმაში გადაიტანეს. მაგრამ მე კინაღამ შემიწირეს. ეს იყო 11 მარტს.

14 მარტიდან დამეწყო სიცხეები, მაგრამ სხვა არანაირი ნიშნები არ მქონდა. კი შეგვეშინდა სუყველას, მაგრამ არაფერი არ მტკიოდა – არც ყელი, არც ხველა ან რაღაც ეგეთი. არანაირი სხვა ნიშანი არ მქონდა, გარდა სიცხისა. სიცხე მქონდა 37.5-დან 38-მდე. ამ ფარგლებში. მუდმივად და მყარად მქონდა ეს სიცხე. მეტი არაფერი. არც სახსრების ტკივილი არ მქონია. ვუცდიდით, იქნებ, გაიაროს... ეს იყო 14-დან 18-ის ჩათვლით და 18-ში რომ არ გაიარა ამ სიცხეებმა, თავად წავედით, იმიტომ რომ ვერავის ვერ დავუძახეთ მაშინ, რომ არავინ არ ჩაგვეგდო საფრთხეში. მე თვითონ წავედი ლუგარის ლაბორატორიაში და 19-ში დადებითი პასუხი მომივიდა.

* * *

ყველაზე მთავარი ის იყო, რომ ჩემს ოჯახში ჩემთან ერთად ცხოვრობს ჩემი ბიჭის ოჯახი, ქალიშვილი, რძალი და შვილი. მეორე ქალიშვილი გათხოვილია. წინა დღეს, სანამ მე სიცხეს მომცემდა, ეს გათხოვილი ქალიშვილი (ფეხმძიმე) და პლიუს კიდევ პატარა ბავშვი აქ იყვნენ, ურთიერთობა მქონდა და **არავის არ გადაედო ჩემგან. ეს იყო დიდი ბედნიერება.** მერე მე აქ ვიწექი და უკვე როცა სიცხე მქონდა, ჩემები ძალიან ფრთხილობდნენ, აქ არ შემოდიოდნენ, რძალი შემოდიოდა, საჭმელს დამიდებდა და ტუალეტი აქ მე მაქვს საკუთარი და იმათ ცალკე, ძალიან ვერიდებოდით. თუმცა ხანდახან მაინც არღვევდნენ, შემოვიდოდნენ ხოლმე და ვეუბნებოდი – გადით, გადით!..

19-ში წავედი ჩემი ფეხით, არაფერი არ მაწუხებდა და მივედი საავადმყოფოში, პირველ რესპუბლიკურში. ერთერთი პირველთაგანი ვიყავი მარტში. რასაკვირველია, უსიამოვნო იყო, მივდივარ საავადმყოფოში, მეზარებოდა, მაგრამ აი, ჩემი რძალი მეუბნებოდა, რომ მე დარწმუნებული ვარ, რომ შენ ძალიან მარტივად გადაიტან, რადგან არაფერი არ გაწუხებს ქრონიკული ან გულზე, ან შაქარი, მოციმციმე არითმია ხომ არ გაქვს. საავადმყოფოშიც მეკითხებოდნენ, ქრონიკული რაიმე?.. არა-მეთქი, რომ ვეუბნებოდი, რატომღაც ყველა დარწმუნებული იყო, რომ მარტივად გავივლიდი... მერე რა, რომ ასაკი გაქვსო... მაგრამ **ძალიან რთულად გავიარე, ძალიან!**

* * *

გამოვიძახეთ სასწრაფო, ჩემი ჩანთით ჩავედი. იმათ მითხრეს, ჩვენ 80 წლის ქალის წასაყვანად მოვედით, თქვენ არ ჰგავხართ 80 წლისასო. მე ვარ-მეთქი, მე, – ვუთხარი... გაუკვირდათ. ყველანი შეფუთულები იყვნენ. ის მანქანა იყო რაღაც საშინელება, ძლივს მივაღწიე, ძალიან ჯანჯღარებდა და ძალიან ცხელოდა, ისეთი კოშმარი იყო. ეს მახსოვს.

მე რომ წავედი საავადმყოფოში, რძალმა გამოიძახა და დეზინფექცია გააკეთა სადარბაზოსი, სახლის მთლიანად. მეზობლები ძალიან შეშინებულები იყვნენ, ახალი ამბავი იყო, მაგრამ არავის არ გადაედო ჩემგან და სხვისი დარდი მაინც არ მქონდა. მაგალითად, აი, იმ 11 ადამიანს რომ ჰქონდა, იქ და-ძმა იყვნენ სტუმრები და სახლში რომ მივიდნენ დედას გადაედო და დედა გარდაიცვალა...

თავიდან მშვიდად ვიყავი ძალიან, წიგნიც კი წავიღე წასაკითხად, ლევან ბერძენიშვილის[3] „ჰო და არა“ და იმას ვკითხულობდი და იმათ უკვირდათ, ექიმებს, – რას კითხულობო?.. იქ კიდევ რეანიმაციაში ტელეფონიც კი არ შეიძლებოდა, პალატაში კი შეიძლებოდა, რეანიმაციაში – არაფერი. მე კომპიუტერიც კი წავიღე, მეგონა, რომ გავერთობოდი, მაგრამ ცხადია, არც გამიხსნია.

რატიანი[4] ხელმძღვანელობდა ჩემს მკურნალობას. იმის გამო, რომ სულ ყველა შეფუთული იყო და არაფერი არ ჩანდა, ვერ ვხედავდი, ვერ ვიმახსოვრებდი ვინ ვინ იყო. მეტყოდნენ ხოლმე – არ გახსოვარ?.. საიდან მემახსოვრები,

---

[3] ქართველი ფილოლოგი, მწერალი, პოლიტიკოსი.

[4] გულისხმობს თსსუ პირველი საუნივერსისტეტო კლინიკის გენერალურ დირექტორს, ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგს ლევან რატიანს.

არ ჩანხარ, ყველას ლამაზი თვალები გაქვთ, მეტს ვერაფერს ვერ ვხედავ...

ვინც მირეკავდა ხალხი, ყველას ვეუბნებოდი: მე კოვიდი მაქვს, კოვიდი მაქვს საავადმყოფოში. მთელმა ნაცნობობამ გაიგო, ტელევიზორშიც სპეციალურად მაცხადებდნენ: 80 წლის ქალის მდგომარეობა, – ხაზგასმით ამბობდა, გვარს არ ასახელებდა რატიანი. ჯერ კიდევ პალატაში ვიყავი, რეანიმაციამდემე მოვისმინე ჩემთან ტელეფონში, ცერცვაძე[5] ლაპარაკობდა... ეკითხებოდნენ და ამბობდა, – „80 წლის ქალის მდგომარეობა მძიმეაო...“ და ნუ, საშინელ პანიკაში ჩავვარდი... რატომ ვარ მძიმედ?.. დავიწყე რეკვები... მაშინ ვერაფერს ვერ ვგრძნობდი, მაგრამ ეტყობა ფილტვები იფარებოდა (აქედან გამომდინარე თქვა იმან). კარგი იქნებოდა, რომ არ მომესმინა, ძალიან შემაშფოთა. სახლიდან მამშვიდებდნენ, მაგრამ **მალე ისე დავმძიმდი, რომ გადამიყვანეს რეანიმაციაში, მერე გავითიშე და ვხვდებოდი, რომ ვერ ვაზროვნებდი, რაღაცები მეჩვენებოდა, სახელები დამავიწყდა ჩემი ოჯახის წევრების, სადღაც სულ სხვაგან მეგონა ჩემი თავი.**

მაშინ პლაქველინი[6] იყო მიღებული მედიკამენტი სამკურნალოდ. როგორც ჩანს, ისიც ძალიან ასუსტებს, ძალიან, არანორმალურად, არ ვიცი, ახლა პლაქველინის ბრალი იყო თუ თავისთავად ფეხს იკიდებდა ეს ავადმყოფობა, იმიტომ რომ თანდათანობით გემოც დავკარგე, ღონეც,

---

5 გულისხმობს ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრის გენერალურ დირექტორს თენგიზ ცერცვაძეს.

6 მალარიის საწინააღმდეგო პრეპარატი, იმუნოდეპრესანტი, რომელსაც პანდემიის საწყის ეტაპზე გარკვეული სამედიცინო დაწესებულებები კოვიდ-19-ის სამკურნალოდ იყენებნენ.

აბსოლიტურად ვეღარ ვმოძრაობდი, ძალიან დავსუსტდი. პირველად ყოჩაღად, ჩემი ფეხით წავედი კატეზე და მეორედ, ერთი-ორი დღის მერე, ძლივს წამიყვანეს და მესამედ საერთოდ ვეღარ ვმოძრაობდი. ეს იყო 25-მდე...

მახსოვს, რომ ვიწექი პალატაში, დიდი ყურადღება იყო: გადასხმები, ჟანგბადი – ეს ყველაფერი მქონდა, მაგრამ მე თვითონ მივხვდი, რომ ვეღარ ვაზროვნებდი, ვერაფრით ვერ გავიხსენე, სად ვიყავი, აღარ ვიცოდი, სულ სხვაგან მეგონა, რომ ვიყავი. მერე აღნიშნეს იქ, რომ როგორც კლასიკა, დღევანდელი მონაცემების მიხედვით, მე-14 დღიდან იწყება გართულება. აი, ზუსტად მე-14 დღეს დამეწყო გართულება. როგორც ჩანს, ფილტვებიც მეტად დაიფარა ამ დროს. მე უკვე არ ვიცოდი, მაშინ ეს ქულებით შეფასება არც იყო. მგონი 75%-იო, – ამბობდნენ, – დაფარულიო... მე მაგას არ მეუბნებოდნენ, ცხადია. მახსოვს, რომ მერე აბსოლიტურად ვეღარ ვმოძრაობდი. ოთახში იყო საპირფარეშო და **ძალიან დიდი, წარმოუდგენელი სირთულე იყო ოთახში გადაადგილება.**

განსაკუთრებით მძიმე იყო, რომ ყოველდღე იღებდნენ ანალიზს ვენიდან და არტერიიდან. იმის გამო, რომ არ მიჩანდა ვენები, ძალიან დაჩხვლეტილი ვიყავი. 20 ჩხვლეტა მჭირდებოდა იმისთვის, რომ ერთი სისხლი მიეღოთ. ეს იყო წამება. ზოგი უცებ ხვდებოდა ვენაში, ზოგი – ვერა. იმათი ბრალიც კი არ არის, ძალიან ცუდად მიჩანს ვენები, მერე კიდევ სულ დაიმალა ამ ბევრი ჩხვლეტისგან. ხანდახან მოხვდებოდნენ ვენაში და მაინც არ გამოდიოდა სისხლი, გაოცებულები იყვნენ.

მახსოვს, რეანიმაციაში როგორ დავწექი საწოლზე და მერე აღარაფერი... მერე იყო, რომ ვიყურებოდი და

ვფიქრობდი: სადა ვარ ნეტავ, ეს რა ოთახია?.. ვერაფრით ვერ ვხვდებოდი, სად ვიყავი... ეს ჩემი სახლი არ არის, – ვამბობდი... და აბსოლიტურად ვერაფრით გავიხსენე, რა ჰქვია ჩემს რძალს, იმიტომ რომ იმას ველაპარაკე ცოტა ხნის წინ და ისეთი კარგი დამშვიდება იცის-მეთქი და სახელი ვერაფრით გავიხსენე... მოკლედ, ფაქტიურად გონებაზე არ ვიყავი, რაღაცეები მეჩვენებოდა, რომ თითქოს გადამაგდეს, გადმომაგადეს... რეანიმაციაში ხო გხდიან ტანსაცმელს, როგორც ჩანს, მხდიდნენ და ეს მოძრაობა მე მეჩვენებოდა რომ მისროლეს აქეთ-იქით... და რატომ მისვრიან, რატო მირტყამენ, – ვფიქრობდი...

**როგორც ჩანს, ხელოვნურ სუნთქვაზე ვიყავი 10 დღის განმავლობაში.**

და როდესაც გავიღვიძე, უკვე იყო 6 აპრილი და **ძალიან გამიკვირდა, როცა მითხრეს: თქვენ ძალიან მძიმედ იყავითო... არაფერი არ მახსოვდა.** ამასობაში, როგორც შემდეგ გავიგე, ძალიან გართულდა ფილტვების ანთება, მთლიანად იყო დაფარული ყველაფერი და მერე უკვე გადავიდა ბაქტერიალურიო, ინფექციურიო და უკვე ეს არის ფაქტიურად ტერმინალური სტადიაო, – ასე ვიყავი შეფასებული.

**წესით არ უნდა მოვბრუნებულიყავი (იცინის – მ. ქ.) და თვითონაც გაუკვირდათ ექიმებს, რომ გაუმჯობესდა ანალიზები... გამოტირებული ვიყავი აქ უკვე ოჯახის წევრებისგან.** მოკლედ, რაღაცნაირად გამოვძვერი, მაგრამ რეანიმაციაში კიდევ ერთი კვირა ვიწექი. ძალიან კარგად მივლიდნენ, ნამდვილად დიდ ყურადღებას მაქცევდნენ. ოღონდ მე აბსოლიტურად არ მქონდა ღონე, არ შემეძლო არც კოვზის მიტანა პირთან, არც ფეხის განძრევა, არაფერი არ შემეძლო, უბრალოდ ვიწექი ასე და ნაწოლებიც გამიჩნდა...

ერთი კვირის შემდეგ, სამი დღით პალატაში გადმომიყვანეს და ეს კიდევ უფრო საშინელი იყო, იმიტომ რომ ღონე არ მქონდა დამეძახა. იქ, რეანიმაციაში ძალიან კარგი მოვლა იყო და აქ უნდა გამომეძახა ექთანი. **ექთანი რომ გამომეძახა, ზარი უნდა დამერეკა და ზარის დარეკვა წარმოუდგენლად ძნელი იყო, იმიტომ რომ ხელს ვერ ვწევდი, ღილაკისთვის თითი რომ დამეჭირა.** ღონე არ მქონდა, რომ დამეჭირა... ძალიან საშინლად მახსენდება ბოლო სამი დღე პალატაში, უმძიმესი იყო და მერე კი გაუმჯობესდა ფილტვების მხრივ ყველაფერი და გამომწერეს. რაღაც სპეციალური მანქანები იყო. ბიჭები მოვიდნენ, ესე სკამზე დამსვეს და ასევე საწოლამდე სკამით მომიყვანეს, თორემ მოძრაობა აბსოლიტურად არ შემეძლო.

გონება კი მუშაობდა უკვე, თანდათანობით, თორემ მერე რომ მახსენდება იქ ძალიან ბევრი რაღაცა... აი, მაგალითად, აბსოლიტურად დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემი ქალიშვილი მოვიდა, რაღაცა მომიარა და ისევ წავიდა, აი, რატომ წავიდა – არ ვიცი... **მეჩვენებოდა ხმები შინაურების, რომ აი, გარეთ დგანან და უნდა წამიყვანონ სახლში და რატომ არ მივყავარ...** აი, ამხანაგი მოვიდა ვითომ ჩემი, სანახავად, ამაში ვიყავი ღრმად დარწმუნებული, რომ იყო და ვის უშვებდნენ იქ? – არავის!.. მესიზმრებოდა, რომ ექთანი ცუდად მომექცა, რაღაცა დამცინა და მერე მივხვდი, რომ ეს ყველაფერი, მართალი არ იყო. საშინელი განცდა იყო.

* * *

სახლში მოვედი ერთი თვის შემდეგ, 19-ში ხო დავწექი და 16 აპრილს დავბრუნდი სახლში. აპრილი, მაისი, ივნისი, ივლისი ნაწოლების მორჩენას მოუნდა. ღონე არ მქონდა, ვერც დავდიოდი, ვერც ვინძრეოდი, მერე თავიდან ჭოჭინით, ყავარჯნებით ნელ-ნელა დავიწყე ოთახებში მოძრაობა და 6 თვე დამჭირდა, რომ მოვსულიყავი აზრზე. ძალიან სისუსტე მქონდა, წარმოუდგენელი!.. სამზარეულოში გასვლა იყო უდიდესი, უზარმაზარი დატვირთვა და ძალიან ვიღლებოდი. მოკლედ, სისუსტე დიდხანს გამყვა, კიბეებზე ასვლა მიჭირდა, ფეხს ვერ ვწევდი ზევით და ა.შ. კიდევ ორი კვირა იზოლაცია იყო საჭირო. **მომვლელი ვერ ვიშოვეთ, არავის არ უნდოდა კოვიდმოხდილი ავადმყოფი და სრულიად გასაგებიცაა. ამიტომ ჩემი ქალიშვილი მივლიდა, ტრანსპორტი ხომ აკრძალული იყო, ფეხით მოდიოდა დღეში ორჯერ** და არც იმას არ გადაეედო (პირბადეებით ვიყავით, რასაკვირველია).

საავადმყოფოდან რომ გამოვედი, დავწერე ფბ-ზე: აი, **მე ვარ 80 წლის და დავამარცხე კორონა ვირუსი-მეთქი და ვაიმე, ნეტა არ დამეწერა. ისეთი ამბები იყო, ჟურნალისტები, ყველა არხი, გვერდითა კორპუსები – სულ ყველანი იყვნენ საქმის კურსში. კიდეც მიკვირდა, რომ მხვდებოდნენ, ყველანი გამოხატავდნენ სიხარულს, მაღაზიებში, ამ უბანში – ყველგან!..**

ეხლაც ძალიან ვფრთხილობ, ორჯერ აცრილიც ვარ, მაგრამ ეს ახალი შტამი რომ ძალიან სწრაფად გადადის, მაინც ძალიან ვფრთხილობ. ახლა უფრო შეშინებული ვარ. ასეთ საშინელებას მეორეჯერ ვერ გავუძლებ ნამდვილად, თუმცა აცრილებს ასეთ მძიმე ფორმებში არ ემართებათო და ამისი იმედი მაქვს. მაგრამ წლოვანებაც არის ერთერთ რისკ-ფაქტორი.

3.

სახელი, გვარი: ნინო ღლონტი

ასაკი: 52

პროფესია: სტომატოლოგი

საცხოვრებელი ადგილი: აბილისი

ინფიცირების ადგილი და დრო: აბილისი, 03/2020

ჩაწერის ადგილი და დრო: აბილისი, 08/2021

ინტერვიუერი: მერი ქაჯაია

სიმართლე რომ გითხრა, კოვიდის შესახებ ვიცოდი ძალიან ზედაპირულ დონეზე... საქართველოში პირველი შემთხვევა მგონი, 27 თებერვალს იყო, ესე მახსოვს, ყოველ შემთხვევაში. ჩვენ 11 მარტს ვიყავით უკვე ინფიცირებულები. ძაან ცოტა პერიოდი იყო გასული, ამიტომ თავის დაცვა არანაირად არ გვიცდია... მე პირადად, ჩვეულებრივად დავდიოდი კაფეშიც, რესტორანშიც, სამსახურშიც... მე სტომატოლოგი ვარ და ყოველდღიური შეხება მაქვს პირის ღრუსთან. ერთჯერადი, ჩვეულებრივი პირბადე მეკეთა, ფარიც მეკეთა პერიოდულად და ესე ვიცავდი თავს. დანარჩე-

ნი – სპირტის დასხმა, ეგეთი რაღაცები – არა... ჩემი მეგობრები პროდუქტს რეცხავდენ, შეფუთვას რეცხავდენ, მაგრამ მე იმდენად სწრაფად შემხვდა, ეგ ვერ მოვასწარი... ვიწექი საავადმყოფოში მთელი ეს პერიოდი.

როგორ დაგვემართა და ვიყავით სუფრაზე... მამაჩემის მეგობარი გარდაიცვალა და დაიბარა, რომ ორმოცი უნდა ყოფილიყო საქართველოში. არაჩვეულებრივი, საქართველოს მოყვარული ადამიანი, საშა რომანოვი, რომელიც იყო თავის დროზე ერთერთი ჟურნალის მთავარი რედაქტორი. მაგაზეც მოგვდეს მერე შარი, რომ აი, რომანოვებს ქართველებმა უმასპინძლესო, რაც აბსოლიტურად არ შეესაბამება სიმართლეს, იმიტომ რომ არაჩვეულებრივი ადამიანი იყო. ჩამოვიდა მისი მეუღლე და შევიკრიბეთ ქართველები, ვისთანაც ეს კაცი მეგობრობდა მთელი წლები. 60 წლიან მეგობრობაზეა ლაპარაკი... ანუ იქ ქართული ხვევნა-კოცნა იყო, რასაკვირველია, მაგრამ ნუ, ნორმის ფარგლებში. ორ დღეში ჩემს ძმას დაუფიქსირდა სიცხე. სხვათაშორის, არც მიფიქრია, რომ ეს შეიძლებოდა ყოფილიყო კოვიდი. ცოტა ხანში გამოიძახეს ლაბორატორია, გაკეთდა ანალიზი, რომელიც ღირდა მემგონი 600 თუ 500 ლარი (იცინის – მ. ქ.) და უკვე შაბათს დილას მოვიდა პასუხი, რომ არ არისო... ეტყობა, ვერ წაიკითხეს, იმიტომ რომ „გადაამოწმეთო“, – ეწერა.

მიცვალებულების დღე იყო და მე წავედი ეკლესიაში წყნარად, იმიტომ რომ არ დაფიქსირდა და... იქ მირეკავენ, რომ დადასტურდაო... აი, როგორ გამოვედი, არ მახსოვს, როგორ ვტირიდი იცი?.. იმიტომ რომ არანაირი ინფორმაცია ამის შესახებ არ გვქონდა. ჩავჯექი მანქანაში, ამოვედი სახლში

და გვერდზე სახლში გადაბარგება დავიწყე. დედა მყავდა ალ-ცჰაიმერის ნიშნებით (ოდნავ ხმა უკანკალებს – მ. ქ.), ძალიან მოწებებული იყო ჩემზე და მივხვდი, რომ ძაან ცუდ დღეში ვარ. გადავედი მარტო, დედასთან ერთად არ გადავსულ-ვარ... დედაჩემს აივნიდან ვეკონტაქტებოდი, რომ დავენახე, რომ ვარსებობ, ხო საშინელებაა ეს...

კვირას მეც ამიწია სიცხე... წამიყვანეს ინფექციურში... ცოტა ხანში დაუდასტურდა ჩემს ორივე შვილს და სამშაბათს ჩემმა მეუღლემ დამირეკა, რომ დედას სიცხე აქვსო... იცი რა, **ერთი წუთით არ დამიშვია, რომ დედაჩემს დავკარგავდი. არც მიფიქრია...**

მე, ჩემი შვილები და ჩემი ძმაც ინფექციურში დაგ-ვაწვინეს. მინდა გითხრათ, რომ ეს ადამიანი, ცერცვაძე[7] და მაგასთან ერთად ეზუგბაია, ქალბატონი მარინა[8], არის მოვლენა, უბრალოდ ჩვენ ვართ დაუფასებელ ქვეყანაში და **ეგეთი ხალხის სახელები და გვარები, როგორც გმირე-ბის სახელები და გვარები ესე უნდა ვიცოდეთ.** ეს კაცი, ექიმი კიდე სხვა რამეა, ეს არის შემოქმედი. წარმოუდგენლად ძა-ლიან მაგარი ვიღაცა გვყავს რა!.. გარდა იმისა, რომ ექიმია, ძალიან კარგი ადამიანია. აი, ერთ ამბავს მოგიყვებით: დედა რომ შემოიყვანეს, ძალიან დიდი თხოვნის შემდეგ ცერცვა-ძემ მომცა უფლება, დედაჩემთან ერთად დავწოლილიყავი რეანიმაციაში. იქ არავინ არ იწვა, მარტო ორნი ვიყავით, შენ წარმოიდგინე (ისე გამოვედი, რომ მე ადამიანი იქ არ მი-

---

7 გულისხმობს ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრის გენერალურ დირექტორს თენგიზ ცერცვაძეს.

8 გულისხმობს ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრის ინფექციონისტს მარინა ეზუგბაიას.

ნახავს სხვა) და რომ დამინახა, უკვე კარგ ხასიათზე დადგა დედა. მაგრამ რა არის იცი, ეს ალცჰაიმერი მე არ ვიცი, ზუსტად რა დაავადებაა, მაგრამ როგორც კი ამ ქალს ჟანგბადი მიაწოდეს, გახდა ჩვეულებრივი, ანუ ეს ოდნავ სკლეროზის ნიშნები გაუქრა. მიყვებოდა ვისგან გადაედო, ჩინელების მთელი ეს ისტორია იცოდა აბსოლიტურად ჩვეულებრივად... ერთ დღეს დედაჩემს ანტიბიოტიკის ფონზე დაემართა სოკო პირის ღრუში. მე თვითონ ხომ სტომატოლოგი ვარ და მივხვდი. წარმოიდგინე, უკვე ლოკდაუნია, არავინ არა მყავს, ყველა ჩაკეტილია, იზოლაციაა რა და კაციშვილი არ მყავს, რომ ვუთხრა, – მოდი, წამალი მომიტანე... უკვე საღამო ხანია, საავადმყოფოს აფთიაქიდანაც ვერ გამოგვაქვს და ცერცვაძე თავისი ფეხით გადავიდა აფთიაქში, მიყიდა ეს წამალი და შემომიგზავნა. ნუ, აი, ეს იყო, ვერ გეტყვით რა!.. კაცი არის, ნუ, არ ვიცი, რაა!..

* * *

**26 დღე ვიწექი რეანიმაციაში, ვუყურე საშინელებას, ადამიანი როგორ იხრჩობა თანდათან ამისგან... როგორ ავიბურძგლე ნერვიულობისგან... ხო.. ეს არის კოშმარი საყურებელი რა** (ხმა უკანკალებს – მ. ქ.). ამიტომ ვიძახი, **ყველა უნდა აიცრას!..** ისეთ სისულელეებს წერენ, 2 წელიწადში რა იცით, რა დაგემართებათო!.. ეხლა არ ვიცი, რა დამემართება და 2 წელიწადში იცის ვიღაცამ?.. **26 დღე ვუყურებდი დედაჩემი როგორ იხრჩობოდა, ნუ ბოლო ღამე არ მომაყოლოთ...დედაჩემი იყო მესამე გარდაცვლილი პაციენტი.** არ ვიცი (ტირის – მ. ქ.)...

მე ძალიან წუწუნა ვარ, ვერ ვიტან ოდნავ თავის ტკივილს, ოდნავ რაღაცას... მქონდა, საშინელი თავის ტკივილი, სახსრების, ზურგის, წელის ტკივილი... კოშმარი რა. მაქვს თან ქრონიკული ობსტრუქციული ბრონქიტი. ანუ შეიძლებოდა, რომ გამრთულებოდა, მაგრამ არაფერი, ჩაიარა ისე, რომ არაფრის გართულება არ მქონია. ანალიზებს იღებდნენ ალბათ 5 წუთში ერთხელ, რომ რამე არ გაპარვოდათ რა... ჩემს დროს პალატაში ფიზიკური აქტივობა, როგორც ასეთი, არ არსებობდა. ვიწექი ჩვეულებრივად. უბრალოდ მე დედის გვერდით ვიწექი, დედაჩემს არ აყენებდნენ და მე ვუვლიდი.

სტრესთან გასამკლავებლად მომიწია წამლების დალევა, იმიტომ რომ დეპრესიაში ჩავვარდი. მიუხედავად იმისა, რომ ჩემს შვილებთან ერთად ვიწექი ოთახში ორი დღე (სანამ დედა შემოიყვანეს და მომიწია გადასვლა)... ღამით წამლებს ვსვამდი და დღემდე პერიოდულად ვსვამ. იცი რა არის... ნუ არაფრით არ მეგონა, რომ დედას დავკარგავდი რაა... ძალიან რთულია.

ხალხო, უნდა შეიცოდოთ ის ექიმები და ექთნები, რომლებიც აი იმ კატასტროფაში არიან მთელი დღე, აი ამ კომბინიზონში, შიგნიდან ოფლი, სათვალესაც ვერ იკეთებ, ისე გეორთქლება. მე არ ვიცი, არაჩვეულებრივი ბოქსირებული განყოფილება გვაქვს, მე ეგეთი თუ არსებობდა, არ მეგონა. ცალკე სადარბაზო გაქვს და შედიხარ შენს აპარტამენტში.

ეხლახანს ჩემი მეგობარი იწვა იმავე ადგილას, სადაც მე ვიწექი დედაჩემთან ერთად და წარმოიდგინე, წელიწადნახევარია გასული და კახამ[9] უთხრა, პირველი ხარ, ვინც

[9] გულისხმობს ექიმ რეანიმატოლოგს კახაბერ ჩომახიძეს.

მოვხსენი ამ აპარატიდანო... **წელიწადნახევარი პაციენტი არ გადარჩენილა! ამაზე საშინელება რა უნდა იყოს!.. არ ვიცი რა!.. ომში ვართ, ჩვეულებრივ ომში ვართ, რა!..**

თავიდან ეს ამბავი რომ დამემართა, მე თვითონ სტომატოლოგი ვარ და ამიტომ პირდაპირ ვუთხარი ჩემს პაციენტს: „იცით რა, შეხება გვქონდა კოვიდიანთან-მეთქი...“ ეს პაციენტი მივიდა მერე სხვა კლინიკაში და... ძალიან სწრაფად გავრცელდა ეს ინფორმაცია. სულ ვფიქრობ, რომ, ნეტა, სპიდი რომ აქვს ადამიანს, როგორ იღებს საზოგადოება?.. სულ ვფიქრობდი – აი, ჩემი დანაშაული რომ ყოფილიყო, როგორ მიმიღებდნენ?.. ძაან, ძაან გვახასიათებს ქართველებს გაუცხოება, **ჭირიანივით გიყურებდნენ იმ მომენტში რა...** შეიძლება, ჩემი კომპლექსის ბრალიც იყო?.. არ ვიცი... ახლახანს იცით რა მითხრეს, რომ 52 სტომატოლოგია გარდაცვლილი... ძალიან ახალი ხილი იყო მაშინ, სულ რაღაც 10 დღის შემოსული იყო, ნუ წარმოიდგინე რა... ადამიანები მაშაყირებდნენ, ირანელს ჰქონდა და მერე თქვენო.

* * *

**კოვიდი ჩემთვის არის მტერი, რომელიც საიდან დაგარტყამს, რომელი მხრიდან მოგიდგება, არ იცი... თან ვერ ხედავ... მთელი საშინელება ამაშია, რომ ვერ ხედავ. აი, ეს არის კოშმარი. იმიტომ არ მესმის უპირბადოდ რომ დადიან... ვერ იგებ, უხილავია და არ აქვს მნიშვნელობა ჯანმრთელი ხარ, არაჯანმრთელი, არავინ არ იცის, ვის როგორ წაუვა ეს პროცესი. ამიტომ, უნდა ავიცრათ.**

ცხოვრება შეიცვალა. ვცდილობ, რომ ერთი დღით ვიცხოვრო. არ ვიფიქრო გაუთავებლად მომავალზე, იმიტომ რომ არავინ არ იცის, ვის რა გველის. იცი, რაშია საქმე, მე არა ვარ ძალიან ეკლესიური, მაგრამ ქრისტიანული პასუხი იცი? – შენ რომ ეს ყოველდღიური შფოთვა მოიხსნა, დღევანდელ დღეზე უნდა იფიქრო – არც მომავალზე და არც წარსულზე.

როგორი შეცვლილი ვარ, იცით?.. აი, წარმოიდგინე ეხლა, ამასწინათ ჩემი შვილი იყო კონტაქტი და მე ვიყავი ზღვაზე წასული. ბავშვი გაოცებული მიყურებდა, სახლში რომ არ მოვდიოდი.... ამას ხომ არასდროს ვიზამდი ადრე... უბრალოდ, ისეთი გავიარე, რომ არ მინდა ისევ შემხვდეს. ეხლაც ვფიქრობ, დავიწყო ჩემი სამსახური, თუ არ დავიწყო. ანტისხეული მაქვს, გავიკეთე აცრა, მაგრამ პირადაპირ ლომის ხახაში ვარ და ნუ არ მიღირს არაფრით, არ ვიცი...

ისწავლეთო ამასთან ერთად ცხოვრებაო, ეს ცხოვრებაა ეხლა?

ps. 3. 5-1 esgrs!!!

4.

სახელი, გვარი: ლუკა ხომლია

ასაკი: 20

პროფესია: სასტუმროს მომსახურე პერსონალი

საცხოვრებელი ადგილი: ბზილისი

ინფიცირების ადგილი და დრო: ესპანეთი, 03/2020

ჩაწერის ადგილი და დრო: ბზილისი, 08/2020

ინტერვიუერი: მერი ქაჯაია

29 თებერვალს გავფრინდი ესპანეთში. პირველად წავედი სამუშაოდ მალიორკაზე[10], სასტუმრომ გამიკეთა იქიდან მოწვევა და მაგარი ბედნიერი ვიყავი ამით... 28-ში დაფიქსირდა საქართველოში მგონი პირველი შემთხვევა, თუ 29-ში... მაშინ იმდენად შოკი თემა იყო ეს, სახლშიც მაგარი ცუდი რეაქცია მოყვა, რომ აი, ეხლა რა ვქნათ და... პროდუქტების საყიდლად რომ გავიდა ხალხი ერთ შემთხვევაზე, მაშინ მივხვდი, რომ აი, რაღაცა ხდება ჩვენს თავს, მაგრამ ყურადღება არ მივაქციე... გავფრინდი ქუთა-

[10] კუნძული ხმელთაშუა ზღვაში.

ისიდან მეორე დღეს ეგრევე. იქაც აეროპორტში არ იყო ესეთი დაძაბული სიტუაცია, ეხლა როგორც არის ყველგან (პირბადე და ეგეთი თემები). ჩავედი ამ ესპანეთში. ორი კვირა იქაც ჩვეულებრივად ვიყავი... აი, სასტუმრო წარმოიდგინე: 150 ნომრიან რეზორტში ვმუშაობდი, სავსე ხალხით, გადატენილი... მასკა იქაც კი არ იყო. გეუბნები ამას პირველი მარტიდან ალბათ... 15-ში დამიდასტურდა. 15 მარტამდე ჩამოვედი უკან.

კორონას შესახებ გავიგე ესპანეთში, მოვდიოდი ოღონდ. მაშინ მარბელაზე[11] რაღაც ფეხბურთის გუნდი ჩამოვიდაო უჰანიდანო[12] და ამაზე ატყდა ძალიან დიდი ამბავი: იქო რაღაც ხდება და ის ხალხი აქ არის ჩამოსულიო (იქ, მალაგასთან ვარჯიშობდნენ სადღაც)... მაშინ გავიგე ზოგადად, რომ ეს კორონა თუ რაღაც რომ არსებობს, ვიღაცა ტიპმა ჩამოიტანა. მეთქი, ექნება... გაუვლის... მერე რა-ა... აი, ეგ დამოკიდებულება მქონდა. **აი, ამხელა ამბავს თუ გამოიწვევდა, რას ვიფიქრებდი.**

12-ში უკვე 5000-5000 შემთხვევას ესპანეთი აღრიცხავდა ყოველდღე და ჩვენთანაც, უკვე სასტუმროში ხმები დაიძრა, რომ სავარაუდოდ დაგვკეტავენო... სავარაუდოდ, აღარავინ აღარ ჩამოვა... იმიტომ რომ ყოველდღე დატვირთულობის რეითი 10-10%-ით მცირდებოდა. ბოლო დღეს (12 მარტი იყო ბოლოს, რაც ვიმუშავეთ), 8%-ზე დაეცა!.. წავიდა ხალხი და გვითხრეს, რომ თქვენც ჯობია, დროზე თავს უშველოთო. თან მალიორკაზე ისეთი ადგილია, სადღაც

---

11 ქალაქი სამხრეთ ესპანეთში.

12 ქალაქი ჩინეთის ერთერთ პროვინციაში, რომელიც კოვიდ-19 ეპიდემიის პირველი კერა იყო.

მთაში ვიყავი, წარმოიდგინე, და პალმამდე[13], ანუ მთავარ ქალაქამდე თუ არ ჩახვალ, საავადმყოფო არ არის რეალურად. ვიყავი off-season[14], არც მაღაზია, არაფერი გარშემო არ გვქონდა, დავდიოდი მატარებლით.

ატყდა თბილისიდანაც პანიკა, რომ აი, ეხლა დროზე ბილეთი და ჩამოდი, და ჩამოდი, და აი, ეს საუბარი, რომ დაიწყო, ფრენები ფრენებზე უქმდება... ნუ არ ვიცი, ღამის 3 საათზე ელჩი გავაღვიძე, რომ რამენაირად ბარსელონაში ჩავსულიყავი, რომ მერე სადღაც გამეღწია ამ კუნძულიდან. არავინ შენთვის იქ არ ჩამოვა, სპეციც რომ დანიშნოს საქართველომ, იქ შენ არავინ არ ჩამოგაკითხავს!.. ნუ, ამ კაცმა, – რამენაირადო, პირველ რეისს რასაც ნახავ ევროპის უახლოეს დიდ ქალაქში, იქ გაფრინდიო. აქ ესეთი ისტორიაც იყო: ბარსელონამდე მქონდა ფრენა ნაყიდი, აეროპორტის გზაზე აღმოჩნდა, რომ საერთოდ არ მიფრინავს არაფერი იმ დროს ბარსელონაში. თურმე, ჩემს ტურისტულ აგენტს პალმა-ბარსელონას მაგივრად, ბარსელონა-პალმას ბილეთი აქვს ნაყიდი და იქიდან მოვდივარ აქეთ. აი, ასეთი რაღაცეები დამემართა. თან საოცარი სტრესი იყო ეს ყველაფერი, თან რომ იცი, სადღაც გეჩქარება, ერთადერთი თემა გაქვს, რომ სადღაც გაიქცე და იქაც უცებ ვერ ხვდები.

მივედით აეროპორტში მე და ჩემი მეგობარი გოგო, 2 ბილეთი იყო დარჩენილი ბარსელონამდე და გამოვძვერით მალიორკადან. იქიდან მერე რაც თბილისამდე ყველაზე ახლოს და მალე მოფრინავდა, ეს იყო ბელავია[15] და

---

13 ქალაქი ესპანეთში, კუნძულ მალიორკაზე.

14 ბიზნესისათვის არახელსაყრელი პერიოდი.

15 ბელარუსის ავიაკომპანია.

გავფრინდით ბელარუსში. იმხელა გადაჯდომა მომიწია შუაში, რომ გავედი აეროპორტიდან და მინსკში[16] ღამე დავრჩი. საერთოდ არ მქონდა ეგ მომენტი, რომ დამემართება თუ რაღაც. თან 15 მარტს, ბელარუსში საერთოდ არ იცოდნენ, რა იყო ეს კორონა. საერთოდ არავინ არაფერი არ იცოდა, მასკით რომ შევედი სასტუმროში („გასტინიცა-მინსკ" თუ რაღაც ერქვა, ერთადერთი სასტუმრო აქვთ მგონი, უბედური ქალაქია), ის ქალი გაგიჟებული მიყურებდა, ვინც დამხვდა იქ: „რატომ ხარ პირბადითო?.."

მეორე დღეს გამოვფრინდი და მაშინ დამეწყო... ამ 24 საათის განმავლობაში ესპანეთი გააწითლეს და რომ ვიცი ზუსტად, ჩამოვდივარ და სახლში უნდა წავიდე, უცებ ვიგებ, რომ სიცხე თუ დაგიდასტურდა, საავადმყოფოში გადაყავხართ!.. და მაინც რომ არ ეგუები გულში, შენთვის რომ ფიქრობ, აი, ეხლა რომ სიცხე მომცეს რა ვქნა?.. მერე კი ვფიქრობდი, დამელია-მეთქი სიცხის დამწევი...

მანამდე, ჩემს წინ ვიღაც კაცი კვდებოდა ხველებით თვითმფრინავში. მე მეგონა, თუ მე არაფერი მჭირს, ის გადამდებს-მეთქი, ისე ცუდად იყო. წარმოიდგინე, სამნი: ის კაცი, მე, ეს ჩემი მეგობარი გოგო (ძალიან ახლობელია, იქ სულ ერთად ვმუშაობდით, ვცხოვრობდით, მერე სასტუმროშიც ერთად დავრჩით, ერთი დანა-ჩანგლით რომ ვჭამდით და ყველაფერი) და თბილისის საზღვარზე სამ კაცს დაგვიდასტურდა სიცხე. წარმოიდგინე, როგორი სიტუაციაა, ეხლა რომ არის პირბადე და რაღაც ასკაფანდრებული ხალხი, ეგრე კი არა, არავინ არ გეკარება. იქ გადი! – 200 მეტრიდან მეძახდნენ, – იქ ჩადიო ქვემოთ და დაე-

[16] ბელარუსის დედაქალაქი 1919 წლიდან.

ლოდეო. ნუ, თან **ეს ის მომენტია, როცა თბილისიდან იგებ ისტორიებს, რომ საზიზღარ პირობებში ცხოვრობენ ეს კოვიდინფიცირებულები და ინფექციური თავზე ენგრევათ, რომ არ გვაჭმევენ, არ გვასმევენ, წყალი არ მოაქვთ...** მეთქი, ეხლა რა ვქნა. ქვემოთ რომ ჩავედი იმ მოსაცდელში, სამ საათნახევარი გვალოდინეს. მეთქი, ეხლა ცუდად თუ არ ვარ, აქ გავხდები ცუდად, ამ კაცთან ჯდომით, იმდენად ინტენსიურად ახველებდა... თან ვიძახი, რაღაც სხვა მიზეზებს ვაბრალებ, რომ 37.1 სიცხე მაქვს სულ და ასეთ რაღაცებს და არა, რა თქმა უნდა, არავინ არ მომისმინა საერთოდ.

მოვიდა სასწრაფოს მანქანა, სასწრაფოს ქალიც. დედა, შვილო, მოგიკვდეს ჩემი თავი, – ასეთ რაღაცებს მეუბნება. ის კი არა, რომ წამოდი, გაგსინჯავ ან რამე, მსტრესავს კიდევ უფრო!.. ნუ, წაგვიყვანეს ინფექციურ საავადმყოფოში. ჯერ არ ვიყავი ნამყოფი. იქაც რა სიტუაციაა: ჯერ ეს PCR საერთოდ არ მქონდა გაგონილი, ოქროს ტესტი თუ რაღაც... ნუ, პირში და ცხვირში რაღაც ძალიან უსიამოვნო მომენტი მქონდა,.. ვიფიქრე, მე თუ ეს დამიდასტურდა (ცოტა მშიშარა ვარ, ჯანმრთელობას როცა ეხება თემა) და დამტოვეს იმ ღამეს... შემოვიდა ვიღაც ქალი და ძაალიან შორიდან ჩამხედა ყელში. წითელი გაქვსო, – მითხრა, – შენ არ გექნება არაფერი, მაგის ბრალია უეჭველი, ყელი გტკივა და მაგ პონტში გაქვს სიცხეო. მეც რაღაცებს ვაბრალებდი, ნაყინი ვჭამე გუშინ, – ეგეთ რაღაცეებს ვიძახი.

მეორე დღეს ყველას გვარები გამოაცხადეს, ჩემი და ამ გოგოსი კი – არა. მაშინ ისეთი სიტუაცია იყო, რომ დღეში 8-9 კაცი ინფიცირდებოდა. ამ ხალხს დაუძახეს და ჩვენ ვიფიქრეთ, რომ აი, დაგვიდასტურდა და მაგიტომ არ

დაგვიძახეს... და თურმე, რეალურად არ დაგვიდასტურდა და იმათ ეძახიან. 8 კაცს დაუდასტურდა და ჩვენ – არა. უბედნიერესები წავედით სახლში. დაუე, დედამისმა წაგვიყვანა. ნუ, ეს თვითიზოლაცია მითხრეს, რომ 2 კვირა უნდა იყოს სახლში და არავინ არ უნდა ნახო და მოგიტანონ საჭმელი. ტელეფონით გაკონტროლებდნენ, სად ხარ, სახლში ხარ. ნუ, ისედაც არ ვაპირებდი არსად გასვლას, მაგრამ ეს რომ მითხრეს, ხომ საერთოდ. ამის მერე 3 დღე სიცხე მქონდა 37, 37.1 და ექიმს ვეკონტაქტებოდი, თან ყელის ტკივილის წამალს ვსვამდი. მე-4 დღეს უკვე სიმპტომებში გადამივიდა, კისერს ვერ ვატრიალებ, თვალების ტრიალი მიჭირს, გვერდზე ვერ ვიყურები, ნუ მეთქი წავედი, კიდევ ერთ ტესტს გავიკეთებ. გემო, სუნი არ დამიკარგავს, მაშინ სად იყო ეგ სიმპტომები, ვინ იცოდა. დაღლილი ვიყავი უაზროდ, არაფრის კეთებისგან. დავრეკე სასწრაფოში, ჩემით დავრეკე. სიცხე 37.5 მაღლა არ ამსვლია საერთოდ მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, რაც ცუდად ვიყავი. ჰაიმორიტს რომ ტკივილი აქვს ცხვირის არეში, აი, ეგეთი რაღაც მჭირდა, ნუ ზოგადი სისუსტე (ეს ეხლა ყველას აქვს, ვისაც ეს ჰქონია, ამის გარეშე არავის არ გადაუტანია)...

მაშინ ის პერიოდი იყო, როცა საავადმყოფოში უნდა წოლილიყავი ყველა პონტში. **ამ სასწრაფომ რომ გადამიყვანა, იქაც ვიღაც ეგეთივე ქალი შემხვდა, რომელმაც გამომიტირა ჩვეულებრივად: დედა, შვილო, რა ახალგაზრდა ხარ ამისთვის და ა.შ. ნომერიც გამომართვა, თუ დაგიდასტურდა, მითხარი, საღამოს სახლში არ მივალ, სხვაგან დავრჩებიო. ანუ ეგეთი შიშის დონე იყო. სასწრაფოს თანამშრომლებს კანი საერთოდ არ უჩანდათ, ისე ეცვათ.** მივედი, მეორე დღეს, ეგ

იყო კიდევ ძალიან გასაკვირი რაღაც, რომ დამიდასტურდა. ეგრევე გადავედი საავადმყოფოში და დავურეკე იმ ჩემს მეგობარს, რომ უეჭველი გაიტესტე, გექნება რა, შანსი არაა, იმდენად ერთად ვიყავით, რომ გამორიცხული იყო, რომ იმას არ ჰქონოდა. გატესტეს ის და იმას არ აქვს!

* * *

...და აქედან იწყება ჩემი 17 დღიანი საოცარი ისტორია. ვინმეს რომ ვუთხრა, 17 დღე საავადმყოფოში იქნები ადამიანი, რომელსაც არაფერი არ გაწუხებს, გარდა იმისა, რომ ეს ვირუსი გაქვს, გაგიუდები ხო?.. მაგრამ იმდენად მეხმარებოდა ის ხალხი და სულ მაგას ვამბობდი, მქონდა ინტერვიუ რუსთავი-2-თანაც კი მაგ თემაზე. მაშინ ისინი რაღაც პოლიტიკურად ცდილობდნენ იმ თემის წამოღებას, რომ აი, ცუდი გარემო და ინფრასტრუქტურაა იქ. ეგ ხომ ყველამ იცის, ეხლა იქ რაც ხდება, რომ მართლა წყალი ამომდიოდა ქვემოდან. დილით რომ ვიღვიძებდი, ფეხს რომ ვდებდი, სველი მხვდებოდა ეს იატაკი. ერთი სამი დღის მერე ამ ექიმს ვკითხე: გავგიუდი, წყალი ქვემოდან რანაირად ამოდის, ზემოდან არაფერია-მეთქი?.. ეგ არაფერი, კაცო, გათბობის მილია მანდ გახეთქილიო და ის ჟონავსო, არ მიაქციო ყურადღებაო, – ასე მითხრა... ხო, აი, ეგეთ პირობებში...

**სამაგიეროდ გყავს ადამიანები, ექიმები, რომლებიც შენზე ზრუნავენ...** აი, მართლა საცოდაობა იყო იმ ადამიანების ყურება, როგორ ეცვათ... მითხრა ერთმა ახალგაზრდა ბიჭმა (დღემდე მაქვს იმის ნომერი, რო რაღაც, ეგრევე იმას ვურეკავ ხოლმე), რომ თუ ცუდად გახდი, კრიტიკულად თუ იქნები, არც ჩავიცვამ და ისე შემოვალო... იმდენად დიდ ყუ-

რადღეგას გაქცევენ ეს ადამიანები. გავიცანი ვიღაცა ნაირა, რომელიც შემოდიოდა ყოველ დილას, მეუბნებოდა: ა, ჩემი ბიჭი! ნაირასთან მქონდა განსაკუთრებული დამოკიდებულება. სულ მოქონდათ ჩვენთვის საჭმელი და ამ ქალს ვთხოვე, 7 საათზე ნუ გამაღვიძებთ დილას, იმიტომ რომ 10-ზე, 11-ზე რომ გავიღვიძებ, მომიტანენ საჭმელს და მერე გავიკეთებ წამალს. ის ნემსიც 8-ის მაგივრად ხომ შეიძლება გავიკეთო 10-ზე?.. ძალიან მეწუწუნა, რომ ეხლა რეგულაციაა და გაიდლაინი[17] და რაღაცები... მაგრა დავუმეგობრდი მაგ ქალს, მაგრამ სულ მეუბნებოდა, ჩვენს საჭმელს რატომ არ ჭამო?..

იმდენად **მეგობრულები აღმოჩნდნენ ექიმები**, ურთიერთობაში, იმდენად კარგად შემოვიდნენ... მიუხედავად იმისა, რომ იმათთვისაც ძალიან დიდი რისკი იყო, ის ქალი წეღან ვინც ვახსენე, იყო ალბათ 60 წლამდე, უეჭველი. მაგრამ ეს არის, რომ ხედავ ეს **ადამიანი ყველაფერს აკეთებს, თავისას გვერდზე დებს იმისთვის, რომ შენ დაგეხმაროს**, მაშინ იყო ეგ პერიოდი და მაშინ კიარა, ეხლა უფრო მეტად არის. ეგ ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლები, პოლიციელები, ვისაც ამ თემასთან აქვს პირდაპირი, გინდა ირიბი შეხება, ეგ ადამიანები არიან გმირები. იმასაც ოჯახი ჰყავს და სულ არ უნდოდა შეიძლება ჩემთვის ნემსის კეთება, მაგრამ ეგეთ რაღაცას რომ აკეთებს ადამიანი და ხვდები, იმ მომენტში რამდენად ყველა გიფრთხის და ეს შენთან შემოდის, გელაპარაკება და რაღაცაზე გეხუმრება, ურთიერთობაში შემოდის მარტო იმიტომ რომ შენ თა-

---

[17] იგულისხმება საავადმყოფოს მართვის ინსტრუქცია, სახელმძღვანელო პრინციპები.

ვი კარგად გაგრძნობინოს. საერთოდ არ იყო იმის მოვალეობა, ჩამომდგომოდა და დიალოგი ჰქონოდა ჩემთან. გამორიცხულია, რომ ეგეთი ადამიანი არ დააფასო. ეგ რომ არ დაინახო და იმაზე დაიწყო ლაპარაკი, რომ წყალი ჩამოდის თუ ცხელი წყალი არ არის, მოდი რა, არ არის სწორი.

თავიდან რომ მითხრეს მე-3, მე-4, მე-5 დღეს შეიძლება დამძიმდე, იმდენად ველოდებოდი... აი, რაღაცის მოლოდინი რომ გაქვს, და მე მგონია, რომ უფრო მენტალური თემაა, იმიტომ რომ სატურაციას რომ ვიზომავდი, მქონდა 98, 97, მაგრამ ფიქრი, რომ ფანჯრის გაღება და ახლოს მისვლა არ შეიძლებოდა, მამძიმებდა... რომ მითხრეს, შეიძლება სუნთქვა გაგიჭირდეს, იმ ღამეს დავიწყე ფიქრი, – სუნთქვა ხომ არ მიჭირს. მანამდე არ მქონია ეგ მომენტი საერთოდ. ანუ იმდენად ჩამიჯდა ტვინში, რომ ფანჯარას ვაღებდი და ვამოწმებდი – ხომ ვსუნთქავ?..

მაშინ არავინ არ იცოდა ამ პლანქველინზე... მიდიოდა საუბარი, ზოგი იძახდა, რომ კარგია – ზოგი იძახდა, რომ არ არის კარგი. პირველად, მაშინ ეს ბიჭი რომ შემოვიდა ჩემთან და რომ ვკითხე, აი, რას ველოდო, რა შეიძლება დამემართოს?.. **მე 45-ე პაციენტი ვიყავი მაშინ და მიპასუხა, ჩვენ არ გვაქვს და არც მსოფლიოსო იმხელა რესურსი, რომ ეს თემა თავიდან ბოლომდე შევისწავლოთო... ეხლა რომ გითხრა რაღაცა მოგივა ან არ მოგივა, ვერ დავდებო თავსო. მკითხე, თუ გინდა, მენინგიტზე, ტუბერკულოზზე, ყველაფერზე გეტყვი, მაგრამ ამაზე ვერაფერს ვერ გეტყვიო. ეხლა ექიმი რომ ეგეთ რაღაცას გეუბნება, მიდი და არ გაიკეთო ეგ წამალი, რასაც გიკეთებენ.** ანტიბიოტიკი მიკეთდებოდა. რა, ზუსტად არ ვიცი და მასმევდნენ ამ პლაქველინს და კიდევ სისხლის

გამათხელებელს უკეთებდნენ ყველას. რაღაცები მერე შეიცვალა და მარტივ შემთხვევებს სახლში მკურნალობდა ყველა. მაშინ კი ყველას საავამდყოფოში უწევდა გადასვლა. ამ წამლების ფონზე 5 დღეში სიცხე საერთოდ აღარ მქონდა, ამ ანტიბიოტიკმა იმოქმედა ალბათ.

მაშინ გაიდლაინი იყო ასეთი, რომ 1 კვირის თავზე ტესტის გაკეთებას აზრი არ ჰქონდა და 14 დღის თავზე გიკეთებდნენ 1 ტესტს და თუ დაგიდასტურდებოდა, გიშვებდნენ თუ არ დაგიდასტურდებოდა, კიდევ 3 დღის მერე გიკეთებდნენ. აი, ეგ იყო კიდევ მეორე უკიდურესობა. 14 დღის თავზე რომ გამიკეთეს, კიდევ მქონდა კოვიდი, არაფერი აღარ მჭირდა მართლა, გიჟივით დავდიოდი ოთახში.

**ძალიან აქტიურ ცხოვრებას ვარ მიჩვეული, ბოლო 8 წელია, დილის 6 საათზე ვდგები და... გამომკეტეს სადღაც ოთახში.** ნიკუშასთან[18] ვიყავი სულ კონტაქტზე, ახლობელია და რაღაც თავიდანაც რომ დამაწვინეს, ვკითხე: რა ვქნა, რას ველოდო-მეთქი. იმან მითხრა: დივაისი რაც გაქვსო, აიპედი, კომპიუტერი, რაღაცები მოატანინე და კინოებს მე ჩაგიყრიო, ბრიფინგები მაქვსო აქედანო, ბორდ-შეხვედრებიო ყოველ დღეო, ეგეთი რაღაცები მითხრა... ისიც არ იყო მძიმედ, უბრალოდ იწვა ისიც. ექიმებიც მაგას მეუბნებოდნენ, რომ აი, შენ მარტივი ხარ, მარტივად მიდის... პირველივე დღეს გამიკეთეს ტომოგრაფია ფილტვების და მითხრეს, რომ შენ გაქვს 24-დან 1. გამორიცხულია, ესო იმ დონეზე გაგეზარდოს, რომ რაღაც ზიანი მოგაყენოსო და აღარც გადაუმოწმებიათ, სიმართლე გითხრა, ეგ რენტგენოგრაფია მეორედ.

---

[18] გულისხმობს სამედიცინო კორპორაცია „ევექსის“ გენერალურ დირექტორს ნიკა გამყრელიძეს, რომელიც ინფექციურ საავადმყოფოში იმავე დროს მკურნალობდა.

ტელეფონზე ვისაც ვურეკავდი და გარედან ვინც მირეკავდა, ყველა ჩემი დასამშვიდებელი იყო იქედან. აქ ბეგიაჩემმა რომ დამირეკა, ტიროდა, ნეტავ მე დამმართნოდაო... რომ დაურეკავ ცუდად მყოფ ადამიანს, კიდევ ეგ უნდა?.. **ერთ ოთახში 17 დღე ცხოვრობ და ადამიანის სახეს ვერ ხედავ საერთოდ...** მარტო ფანჯრიდან. ფანჯარას რომ ვაღებდი და თავს ვყოფდი, წინა შენობიდან ვიღაც ქალი მეძახდა: შეყავი, შვილო თავიო!.. „გლოვო“[19] რომ მოდიოდა და ვუყურებდი ხოლმე, ფანჯარას გავაღებდი და ის ქალი სულ იქ იდგა თუ რა სჭირდა, არ ვიცი და სულ მეძახდა: შეყავი თავი, შეყავი თავი! არ მაცადა გარეთ გამოხედვა.

დადებითი რომ მომივიდა 14 დღის თავზე, მაშინ დამეწყო ნევროზი. ვერ ვიტანდი, როცა ტელეფონზე მირეკავდნენ. ეხლა ამათიც **მესმოდა, სახლში რა სიტუაცია იყო, ხომ წარმოგიდგენია, არავინ რომ არაფერი არ იცის და ყოველდღე რომ გეკითხებიან: „გაიღვიძე?..“ და „როგორ ხარ?..“ რომ ვისმენ ეხლა ამათ მოყოლილსაც, მესმის, ინფორმაციის გაგების ეშინოდათ ყოველდღე.**

* * *

14 დღე აქ ვიწექი, ამდენი წამალი, ამდენი რაღაც. გადასხმა არ მიკეთდებოდა სხვათაშორის (მაშინ ვინც მძიმედ იყო, იმათ უკეთდებოდა და მე არ გამიკეთეს გადასხმა). და აი, ამდენი წვალების მერე ექიმი შემოდის და მეუბნება: იცი, შეიძლება 40 დღე გაგიგრძელდესო... გაგიჟებს ეს ფაქტი, მართლა. ვითხოვდი, რომ თუ ფასიანია, ყოველდღე რომ მომიწიოს ამის გაკეთება, გადავამოწმოთ ყოველ-

[19] მიტანის სერვისი.

დღე, ფულს გადავიხდი, ოღონდ სადმე უნდა ამოაგდოს, რომ უარყოფითი ვარ და აქედან გამიშვან. ეს თემა რომ წამოვჭერი, ესეთი რაღაც მითხრეს, უარყოფითი ერთი რომ მოგივა, 24 საათში უნდა გაიტესტო მეორედ და მეორეც უარყოფითი უნდა მოგივიდეს და მერე გიშვებენო. აი, ამან საერთოდ დამაგდო. **ნუ, რას იზამდი, ხომ არ გამოვიქცეოდი იქიდან. ნუ, პირველ სართულზე კი ვცხოვრობდი, მაგრამ მაინც (ეგრევე ქუჩაში გადიოდა ჩემი კარი)...** 3 დღეში შემოვიდა ეს ექიმი და ვიცი, ძაან რთულ სიტუაციაში ხარო, მაგრამ მეც შემომხედეო... ისე მელაპარაკა, რომ ცოტა არასწორად გამოდიოდა ჩემგან წუწუნი... გვერდზე პალატაში საოცარი რაღაცები ხდებოდა, გვერდზე ერთი ქალი ძალიან მძიმედ იყო, წინა დღეს მითხრეს, რომ ჟანგბადის აპარატი ჩემთან ეყენა და არ გვაქვსო ჟანგბადი სხვაგანო და შენთან უნდა შემოვიყვანოთო და ხომ არ გექნება პრობლემაო. ესეთი სიტუაცია იყო...

მამაჩემი ცოტა ისეთი ტიპია რა, დამოკიდებულებით სულ ცდილობს, რაც არ უნდა რთულ სიტუაციაში იყო, მარტივად დაგანახოს მდგომარეობა. თავიდან მეუბნებოდა: კაია, რომ ეხლა დაგემართა, მოხდილი გექნება, აღარ შეგეშინდებაო. ეგრე მაწყნარებდა. ინფორმაცია რომ ჩავუგდე, პირველი ქალი გარდაიცვალა კოვიდინფიცირებული-მეთქი, ერთი 5 წუთი ვერაფერი მომწერა...

* * *

ხოდა, აი, **პოსტკოვიდური რამე დამიტოვა-თქო, სიმართლე გითხრა, ნევროზი უფრო დამიტოვა**, ვიდრე რამე, მაშინ ეს მქონდა, ხო ვიცოდი ჩემებიც რა დღეში იყვნენ,

ბეგია, ბაბუა, ვიღაცა ნათესავი, თან მაშინ ასე არ იყო, რომ ყველას აქვს და გაიგებ მაგის ამბავს... ერთი ტიპი ვიყავი და ჩემი ძმაკაცის ძმაკაცები და იმათი ოჯახები, აი, ეგეთი ხალხი მირეკავდა რა, იმ მომენტში, იმდენად არ მსიამოვნებდა, ვერ ვიტყვი, რაღაც დამღლელია ეს თემა, რომ ყველას აინტერესებს შენი ამბავი. მაგრამ მერე ხვდები, რომ ამ ადამიანებს შენთვის კარგის მეტი არაფერი არ უნდათ... გირეკავენ და გკითხულობენ... მანდ მივხვდი, რამდენ ხალხს ვყვარებივარ-მეთქი... **საერთოდ არ მახსოვდა, ისეთმა ხალხმა დამირეკა და მომიკითხა.** მაგრამ იმ მომენტში ის რომ გაქვს თავში, ტესტი გაიკეთე, კიდევ უარყოფითი ხარ, საავადმყოფოდან არ გიშვებენ, იქიდან რომ ბებიაშენი გირეკავს და მოგიკვდეს ჩემი თავიო, – გეუბნება, აი, რავი, ეგ მომენტი არ შემეძლო. ურთიერთობაშიც იმდენად სოციალური ადამიანი ვარ, მართლა არ შემიძლია ასე გამოყუმებული ჯდომა ერთ ადგილას, უკონტაქტო ტიპი არ ვარ.

**საავადმყოფოდან რომ გამოვედი, ყველაფერი დაკეტილი იყო, მაგრამ გიჟივით დავდიოდი, დილას ვაკის პარკში ავდიოდი, ჩავდიოდი... არ მეზარებოდა, იმდენად მონატრებული ვიყავი ამას.**

ესპანეთის მერე, ერთი თვის თავზე მოვედი სახლში. 15 მარტს ჩამოვედი და 19 აპრილს მოვედი, ჩემს დაბადების დღეს. ეგ იყო სიგიჟე. მაგდენი ხანი მარტო არასდროს არ ვყოფილვარ!

მქონდა, ცოტა დეპრესიული ფონი, ქართული მუსიკების მოსმენა დავიწყე. სიგიჟეები დამემართა. ოღონდ, **რეანიმაციაში ვისაც მოუწია ყოფნა, მართლა არავის არ ვუსურვებ იმის გამოვლას, რაც იქ ხდება**. ბებიაჩემს მოუწია იქ ყოფნა, შავი

პარკეგით დაარბენინებდნენ ჩემს წინ ხალხსო, ეგეთი რაღაც რომ მენახა, გავგიჟდებოდი!.. ამაზე გავგიჟდი და... ეგეთი რაღაც რომ დამმართნოდა, ალბათ ჭკუიდან გადავიდოდი მართლა. მაგრამ გამოსავალი ვიპოვე ის, რომ დამიკავშირდა ჟურნალისტი, საიდან მომაგნეს არ ვიცი, „პოსტ ტივი“ გამოვიდა პირველად კონტაქტზე. მაშინ ყველა ტელევიზია სხვადასხვა რაღაცას ცდილობდა. ის პერიოდი იყო, პოლიტიკურ ჭრილში ცდილობდნენ წარმოჩენას, მაგრამ იმდენად კარგად ვიყავი ამ ხალხის (მედპერსონალის) მიმართ განწყობილი და იმათზე ვიყავი დამოკიდებული, რომ საერთოდ არ მქონდა სურვილი, მელაპარაკა რამდენად ცუდად გამოიყურება ინფექციური საავადმყოფო. ჩემი ჯანმრთელობა იმათზე იყო მინდობილი და რა?.. პირით მეთქვა არ მომწონს რა საწოლზე ვწევარ-მეთქი. გასართობი ვიპოვე ეგ, რომ **მიღებდა ხან ერთი ტელევიზია, ხან მეორე, პაციენტი 45... კორონა რომ გაგავარსკვლავებს** (იცინის – მ. ქ.). ეხლა რომ ეგ ვიღაცას უთხრა, დაგცინებს, ყველას კორონა აქვს, არავისთვის აღარ არის ეგ მოვლენა უცხო. ქუჩაში რომ დავდიოდი, მესმოდა: ვაიმე ამას ჰქონდა იცი?.. კარგად მახსოვს, „კანაპეში“ ვიჯექი ვაკეში, ერთი 5 წელი არ მყავდა ის გოგო ნანახი და შემოვიდა თავის 4 მეგობართან ერთად. გამარჯობაზე პირდაპირ, ვაიმეო, შენ ის არ ხარო, კორონა რომ ჰქონდაო? – აი, ეგ მკითხა.

* * *

მაშინ პირველი ადამიანი, ვინც საჯაროდ თქვა კორონათი დაინფიცირების შესახებ, იყო ნიკუშა გამყრელიძე. დაწერა ფბ-ზე, რომ კოვიდ ინფიცირებული ვარო. სხვები

არ ამბობდნენ, ერიდებოდნენ. ალბათ იმიტომ რომ მაშინ არავინ არ იცოდა რა შედეგით დამთავრდებოდა. მე მაგას ვიძახი, თავიდანაც მე რომ ჩავერთე ტელევიზიას, მეც მქონდა ეგ, მეთქი ანონიმურად, სახელი და გვარი არ დაწეროთ და დამეთანხმნენ ამაზე. იმდენად ექსკლუზივი იყო საავადმყოფოდან კაცის დაჭერა, რომ დამთანხმდნენ ამაზე. ხო, მეც ეგ დამოკიდებულება მქონდა, არ ვიცი ჯერ რა მოხდება, მაგრამ როგორც კი გავიარე ეს მომენტი, მერე აღარ მქონია, დავწერე კიდეც, ტელევიზიაშიც ვიყავი, არ მქონია ეგ მომენტი, რომ დასამალი ამაში რაღაცა არის, მე არ ვთვლი ეგრე.

**მაშინ ინფიცირებული ეგონათ უკანასკნელი, ჩამოწერილი ადამიანი. შეიცვალა ეგ დამოკიდებულება, იმიტომ რომ სტატისტიკა რასაც გვაჩვენებს, გადარჩა ხომ ხალხი, ლეტალობა უფრო ნაკლებია, ვიდრე გამოჯანმრთელება. ქართული მენტალობა კიდევ ეგ არის, არასდროს არ გინდა, რომ შენი ცუდი ესე ფართოდ ვინმემ გაიგოს.** თან სიმართლე რომ გითხრა, არც მქონია დიდი პრობლემა, ეს უფრო ოჯახის თემა იყო. მამაჩემი მაწვებოდა მაგაზე, რომ არ გინდა სახელი და გვარი და ფოტოო. ნუ აქედან ჭიდაობას ხომ არ დავუწყებდი...

19 მარტს მამაჩემის დაბადების დღეზე დამაწვინეს და 4 აპრილს გამოვეწერე საავადმყოფოდან.

**ჩემი ფანჯრის წინიდან გადიოდა ყოველდღე ლაივში მარინა ეზუგბაია. სანამ ტელევიზიაში იქ თქვენ გაიგებდით, მე ვიცოდი რა ხდებოდა.** ხოდა, სიმართლე რომ გითხრა, არ ვუყურებდი, სანამ არ გამოვედი საავადმყოფოდან... განსაკუთრებით, რომ გავიგე, ვიღაც გარდაიცვალა, ამის

მერე საერთოდ აღარ მიყურებია ტელევიზორისთვის... აი, საერთოდ, სანამ არ გამოვედი. ეგ მქონდა, **შიშის მომენტი იყო ალბათ, არ მინდოდა ეგ რომ მომესმინა, რომ ვიღაცას კიდევ რაღაც დაემართა.**

* * *

ფრენა მიჭირს ძალიან, ძალიან ბევრს დავფრინავ და ეგ გახდა ძალიან რთული. ის, რომ ბილეთი იყიდე და თვითმფრინავში ჩაჯექი, ეგრე აღარ არის. ეხლა, კინოში რომ ვუყურებ ტიპი აეროპორტში ხელს კიდებს რაღაცას, ხელს დებს და აწვდის და მერე არაფერს არ ისხამს (სადეზინფექციო ხსნარს გულისხმობს – მ. ქ.), ცოტა მიკვირს. უპირბადოდ რომ არის სადღაც შესული – ეგეც. ხო, იმდენად დისკომფორტი გახდა ეხლა მგზავრობა მსოფლიოს მასშტაბით, PCR გინდა, იქ რაღაც ფორმა უნდა შეავსო. იქ ჩახვალ – ან გაგიშვებენ ან არ გაგიშვებენ და აი, ეგ მსტრესავს ძაან.

ნუ, ზოგადად, ეხლა რა პირობებში ვცხოვრობთ, ჩემი მოყოლა რად უნდა მაგას, ისედაც ყველამ იცის. პირადად მე იმდენს დავდიოდი და ისე ხშირად და უპრობლემოდ დავდიოდი ამერიკაში, წელიწადში სამჯერ-ოთხჯერ, ევროპაშიც... ეხლა ძალიან გართულდა, ვიღაცა არ გიშვებს, ვიღაცა საქართველოს არ უშვებს, ვიღაც უკან აღარ გიშვებს, აი, არეულობაა სრული.

* * *

ვირუსის დახასიათება რომ შემეძლოს, არის რაღაცა ალბათ, რაც მაგრად გღლის, **ყველა ხომ მაგრად დავიღალეთ. მითხარი ეხლა ერთი ადამიანი, ვინც ამით დაღლილი**

**არ არის.** ჯერ იმ მომენტშიც, მაშინაც დაღლილი ხარ. იმ მომენტში, როცა მე დამემართა ეს ვირუსი იყო მაგარი შიში. იმდენად შემეშინდა, რომ წნევა ამეწია და გული ამიჩქარდა. იმ მომენტში ჩემთვის საშიში იყო, ეხლაც საშიშია. სანამ რაღაც არ მოხდება, ან წამალს არ მოიგონებენ ან არ აიცრეგიან, მანამდე საშიში იქნება და თან დამღლელი.

- ahal sIrDu,
- ಹುಲ್ಲಿನ ಹೂವು!!!

5.

სახელი, გვარი: ლია ხუნწარია

ასაკი: 60

პროფესია: მომლოდინე

საცხოვრებელი ადგილი: აბილისი

ინფიცირების ადგილი და დრო: აბილისი, 03/2020

ჩაწერის ადგილი და დრო: აბილისი, 08/2020

ინტერვიუერი: მერი ქაჯაია

კოვიდი იყო ახალი შემოსული... ისე, კანტი-კუნტად ისმოდა, რომ ეს რაღაცა ვირუსი შემოვიდა, ისე რომ არც მჯეროდა, სიმართლე გითხრა. სამსახურში (ვმუშაობ სასტუმრო „ვინოტელში") როგორ გითხრათ, ფაქტობრივად ჩვეულებრივი სიმპტომები მქონდა, როგორიც ჩვეულებრივ გაციებას ახლავს: ხველება მშრალი, არახშირი. მეგონა, ეს არაფერი არ არის და არანაირი კოვიდი არ არსებობს (როგორც ყველა ფიქრობდა მაშინ), მერე გამოაცხადეს უკვე პანდემიად. სამსახურშიც გვითხრეს, რომ უკვე პანდემიაა და რამდენიმე დღეში დაიხურა კიდევაც, მაგრამ სანამ დაგვკე-

ტავდნენ, ზუსტად 11 მარტს ვიყავით ბოლოს სამსახურში და იმ დროს დამემართა. 19-ში უკვე მოვხვდი საავადმყოფოში.

აღმოაჩნდა ჩვენს დირექტორს და მის მეუღლეს სამსახურში და დამირეკა მენეჯერმა: ქალბატონო ლია, რამე სიმპტომი ხომ არ გაქვთო?.. ყველას ურეკავდნენ, ყველა თანამშრომელს. აი, ეხლა, როგორ გითხრათ, მე საერთოდ, სიცხეები არ ვიცი, 37 ან 37.5, მაგრამ მაინც წავედი ოჯახის ექიმთან. რომ მივედი და გამსინჯა, სატურაციაც გამისინჯა, ძალიან მაღალი მქონდა და მითხრა – შენო გადაგიტანია უკვე ეს ჩვეულებრივი გაციებაო და ეხლა მოხვედი ჩემთანო. დავბრუნდი სახლში. იმ საღამოს მომცა 38. და დამირეკა ისევ ჩემმა თანამშრომელმა, მენეჯერმა – ძალიან გთხოვთ, გამოიძახეთ სასწრაფოო, იმიტომ რომ ჩვენს დირექტორს და მის მეუღლეს აღმოაჩნდათო, სხვას არავის აბსოლიტურადო... და, იცით რა, ტელევიზორში საშინელებებს აცხადებდნენ და შემეშინდა რაღაცა ძალიან... საერთოდ ისეთი ძლიერი ვარ სულით, ძალიან ძლიერი და მებრძოლი ადამიანი ვარ და რომ გამოვიძახე სასწრაფო (არ ვიცოდი, რა თქმა უნდა, კოვიდი იყო თუ არა), ოჯახში ვიხუმრე კიდევაც, ჩემს მეუღლეს ვუთხარი: აბა, შენ იცი, სახლი არ გადაწვა ჩემ მოსვლამდე-მეთქი... ამიღეს ნაცხი და იმ საღამოსვე, 2 საათში მოვიდნენ მამაკაცი და ქალბატონი, – სამწუხაროდ, თქვენ დაგიდასტურდათ კოვიდიო. **იცით რა, თითქოს შემეშინდა... მაგრამ, განა რა უნდა იყოს რომ ვერ გადავიტანო-მეთქი, – ვფიქრობდი.**

ჩემდა საბედნიეროდ, არავის არ გადავდე, მიუხედავად იმისა, რომ 5 დღე მეუღლის გვერდით ვიწექი. არ გადაეედო არც ჩემს შვილს, შვილიშვილს, რა ვიცი... აი, იმ

პერიოდში ზუსტად, როცა მე ცუდად ვიყავი (ის 5 დღე, რაც სახლში ვიყავი), რემონტი მქონდა და მუშასაც არ გადედო... ორ მოხუცს ვუვლიდი და ეს იყო ჩემთვის ყველაზე დიდი სადარდებელი და რა ბედნიერი ვიყავი, რომ ისინი კარგად იყვნენ და გადარჩნენ... მე მოხუცები ძალიან მიყვარს, ისეთ საოცარ მოხუცებს ვუვლიდი, იმ ქალს ჩემი ხელით ვაჭამე, საჭმელს ვუგრილებდი, სულს ვუბერავდი... ნუ არ ვიცი, ბედისწერაც არის ალბათ ეს ყველაფერი. **ბედნიერი ვიყავი იმით, რომ სხვას არ გადაედო!**

მოვხვდი პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში. პირდაპირ, სადაც მიმიყვანეს, იქვე დამტოვეს, ლევან რატიანთან. ნუ, პირველი დღე არაფერი, დამიწყეს გადასხმები, მეც ვარ ცოტა შემართებულად, არაფერი ისეთი, მაგრამ გავიდა 1 კვირა... ვხედავ, რომ უკეთესობა არ მაქვს. დაიწყო მე-2 კვირა... აი, ეხლა ეკალი მაყრის და მიუხედავად იმისა, რომ ძლიერი ვარ, გულჩვილობაც მახასიათებს და ხშირად მეტირება, როცა ესეთ რაღაცებს ვიხსენებ... (ტირის – მ. ქ.) ვნერვიულობდი ჩემს დაქალზე[20], 35 წლის დუეტი ვართ, ერთად ვმღერით, ჩვენ მომღერლები ვართ და...მას აქვს ურთულესი ოპერაციები გადატანილი, ავთვისებიანი სიმსივნე და რავიცი რაღაცები. აღმოაჩნდა მასაც, მაგრამ მე რომ შევედი, 4 დღეში იგივე კლინიკაში აღმოჩნდა ჩემი დაქალი და მისი მეუღლე.

ვნერვიულობდი ამ ჩემს მეგობარზე, რომელთანაც საავადმყოფოში ერთი კედელი გვყოფდა. მოგეხსენებათ, ეს იყო პირველი შემთხვევები და ექიმები დაბნეულები იყვნენ,

---

[20] გულისხმობს პაციენტ ანა ბაჯიაშვილს, რომლის ზეპირ ისტორასაც შეგიძლიათ ამავე კრებულში გაეცნოთ.

არ იცოდნენ ბევრი რამ, ნუ ეხლა ვინ იცოდა... დღესაც არ იციან მაგის მკურნალობის მეთოდები... მზარავდა, რომ ვუყურებდი ამ შებურულებს, აღჭურვილებს... საშინელებათა ფილმში მეგონა თავი და რომ შემოდიოდნენ, თავიდან ვერც ველაპარაკებოდი, ხმას ვერ ვიღებდი, კოშმარი იყო ეს. გარედან მერე, პატარა ფორთოჩკა ჰქონდა, ფანჯრები ჩაბურული იყო... ვაიმე!.. ეს იყო... ციხეც არა, კარცერი!.. ზუსტად!.. გარეთ ვერ გადიხარ, გარედან მასხავდნენ ამ დეზინფექციას... ერთი კედლის იქით ჩემი დაქალის ხველება და ხმა მესმოდა და ტელეფონით ვუკავშირდებოდით ერთმანეთს, იმას ჩემი ხმა ესმოდა... მეუღლე და ის ერთად აღმოჩდნენ, იმიტომ რომ მეუღლეს გადასდო მან. ერთადერთი, რაც სტიმულს მაძლევდა იყო ექიმების ყურადღება: ქალბატონო ლია, როგორ ხართ? დღეს ხომ ხართ უკეთესად და აი, თვალებში მიყურებდნენ, აი, თვალებით მაგრძნობინებდნენ თანადგომას. ეს არ მეჩვენებოდა მე, იმიტომ რომ დამლაგებლებიდან დაწყებული, ექთნები თუ ექიმები, საჭმელი ვისაც შემოჰქონდა, აი, აბსოლუტურად ყველა რაღაც განსხვავებულად მეპყრობოდა. მარტო მე კი არა, ჩემს დაქალსაც, მერე ხომ ერთმანეთს ვუზიარებდით ამ ყველაფერს და მართლაც საოცარი ყურადღება გვქონდა და მოვლა, ყველანაირად. ნუ წამლებზე და მედიკამენტებზე აღარ დავიწყებ.

ორი კვირა რომ გავიდა და უკეთესობის ნაცვლად უფრო დავმძიმდი, შემიპყრო შიშმა (ტირის – მ. ქ.)... ვუსმენდი (მობილური მქონდა, რა თქმა უნდა) ინფორმაციებს, აცხადებდნენ, რომ პირველ კლინიკურში ცნობილ მომღერლებს დაუდგინდათ ესა და ეს და ნუ ერთის მდგომარეობა

მძიმეა!.. ვხვდებოდი, რომ ეს ვიყავი მე. ეს ეიგი, ისედაც არ შემეძლო ადგომა, იმიტომ რომ მტკიოდა ყველაფერი, სიცხე არ მქონდა იმდენად მაღალი (ნუ 37, 38-მდე), მაგრამ წამლებს ხომ ვღებულებდი, კუჭის შეკრულობა დამეწყო, ლაპარაკის თავი არ მქონდა, ხმა დავკარგე, მახველებდა, ყველა ნაწილი მტკიოდა, ტუალეტში გასვლა არ მინდოდა, იმიტომ რომ ყველა კუნთი, ყველაფერი მტკიოდა, ჭამის თავი არ მქონდა, ერთ ლუკმას დილას რომ შემომიტანდნენ, ამაზედაც მაკვირდებოდნენ თურმე როგორ ვჭამდი... ხოდა აი, ჩემს ბიჭს უთხრეს თურმე, რომ 2 დღე დავაკვირდებითო და მერე უკვე უნდა გადავიყვანოთ ხელოვნურ სუნთქვაზე რეანიმაციაშიო. იქიდან უკვე ვეღარ გამოდიან ფაქტობრივად. მაგრამ მიშველა იმან, რომ მე რომ მომღერალი ვარ, ვსუნთქავდი სწორად და თან ივარჯიშეო, – ლევანმა, ერთ მშვენიერ დღეს რომ შემოვიდა, – შენ ისევ წევხარო? ეხლავე ადექი და ხვალ რომ შემოვალ, არ დავინახო ეს საწოლი გაშლილი! მე ორ დღეში უნდა გაგიშვა სახლშიო!.. აი, ამ სიტყვებმა რაღაცა სტიმული მომცა, იმოქმედა... ივარჯიშეო, სუნთქვითი ვარჯიშები აკეთე ერთი საათი ყოველდღე და იარე ოთახშიო!.. გარემაც არ შემეძლო, მაგრამ, სული ტკბილია!

დაავადება და ტკივილი ხომ იყო, მაგრამ არტერიიდან სისხლის აღება ყოველ დილას სიკვდილის ფასად მიჯდებოდა. ეს არის ყველაზე მტკივნეული თურმე. თვითონ ექიმებმაც თქვეს. ვაიმე, – ვფიქრობდი, – ნეტავ, დღეს გამიშვან, ეს აღარ გამიკეთონ-მეთქი.

**ერთი სიტყვით, ჯოჯოხეთი გამოვიარე.** ამ დაავადების დამახასიათებელი იყო ისიც, რომ ხასიათი შემეცვალა იმ პერიოდში. აგრესიული გავხდი სხვების მიმართ-თქო ვერ

ვიტყვი, მაგრამ **ტირილი მინდოდა, ხმით ტირილი მინდოდა. გჯერათ? აი, – ვეუბნებოდი ჩემს დაქალს, – აი, სახლში რომ გამოვალ, იქ უნდა ვიტირო... და რატომ უნდა მეტირა, არ ვიცი.**

აბსოლიტურად შემინელდა აზროვნება, გაშეშდა ყველაფერი, სიცოცხლის ყველა ნიშან-წყალი დამეკარგა აბსოლიტურად, ფიქრის საშუალება არ მქონდა... აი, ხომ არის, რომ წევხარ, ან რაღაცაზე ფიქრობ, ღიღინებ ან ითვლი, მე სულ მემღერება ვთქვათ. აი, **ვერაფერზე ვეღარ ვფიქრობდი**, აი, აბსოლიტურად... ეს ჩემდაუნებურად მოხდა, შეგრძნება მქონდა ისეთი, რომ ვიღაცა მმართავდა, ეს მე აღარ ვიყავი, ეს **მხიარული ქალი დამუნჯებულ რობოტად გადავიქეცი.** მაგრამ... ერთ მშვენიერ დღეს თითქოს ხალისი მოვიდა, ჩემს ქმარს დავურეკე: აი, რომ გამოვალ აქედან, პეტრას მთაზე უნდა წავიდეთ-მეთქი. ქობულეთში გადასახედია, მარტო გავლით მაქვს ნანახი, თვითონ პეტრას მთაზე არ ვარ ნამყოფი, მომინდა იქ ასვლა და ზღვისკენ გახედვა. აი, იქედან უკვე დაიწყო ნელ-ნელა წინ-წინ წასვლა. უკვე მივხვდი, რომ სააქაოს ვიყავი და საიქიოს აღარ.

როგორ ვიბრძოლე, რომ გადავრჩენილიყავი!.. ორივე ფილტვის პნევმონია მქონდა!.. კოშმარული 28 დღე გავატარე!.. ამასობაში ჩემი დაქალი, რომელზეც მეშინოდა, რომ ის უფრო ძნელად გადაიტანდა, ორ კვირაში განთავისუფლდა (ჩემზე გვიან ხომ შემოვიდა, ჩემზე ადრე გავიდა ისიც, თავისი ქმარიც).

ჩვენი დირექტორი და მისი მეუღლე, საჭმელი იყო თუ ხილი იყო, ყველაფერს გვიგზავნიდა, ძალიან დიდ ყურადღებას გვაქცევდა. ხოდა, ტესტი ბოლოს რომ აგვიღეს, ჩემმა დირექტორმა: გილოცავ, შენც უარყოფითი მოგივიდა

პასუხიო! გამეხარდა, რა თქმა უნდა, მაგრამ ორჯერ იღებ-დნენ ტესტს მაშინ და მეორეჯერ ისევ დადებითი აჩვენა... ორჯერ გამიკეთეს და ორჯერვე დადებითი აჩვენა. ესეც ხომ ბედია!.. ბოლოს, ექიმი რომ შემოვიდა და გამიშვა სახლში, ეს იყო... არ ვიცი, არა.

* * *

მთელი ორი კვირა, რომ გამოვედი სახლში, მაინც კიდევ სუსტად ვიყავი. ასე რომ, არავინ არ უნდა თქვას, რომ მე არ დამემართება, უი, ეს ტყუილია!.. არა რა, უნდა ყველაფრისთვის ვიყოთ მზად, შეგუებულები, შემზადებულები იმისთვის, რომ უნდა მოვერიოთ, ვიბრძოლოთ ამ ყველაფრისთვის. ათასი გაჭირვება, ათასი უბედურება, პანდემია გამოვიარეთ წლების მანძილზე მთელმა მსოფლიომ, მარტო ჩვენ – არა.

მე რომ არ მეგონა და არ მჯეროდა, ისე მშვენივრად დამაჯერა, აი, ეხლაც შეშინებული წამოვედი და **ავიცერი, იმიტომ რომ აღარ მინდა ის სიმწარე და ის ცუდი, მარტო ჩემი კი არა, ჩემი შვილისაც რომ არ ვნახო.** რომ გამოვედი გამხდარი დამხვდა ჩემი შვილი და ვკითხე, – რატომ ხარ, დედი, ასეთი გამხდარი-მეთქი?.. ვნერვიულობდიო... აბა, როგორია ექიმი რომ გეტყვის, ყველაფრისთის მზად უნდა ვიყოთო!..

**მარტო ჩვენ თავებს არა, ჩვენს შვილებს, ჩვენს მშობლებს, ჩვენს მეგობრებს, ყველას უნდა გავუფრთხილდეთ, ყველას, ამიტომ არ გვაქვს უფლება ზერელედ ჩავიქნიოთ ხელი.**

მე ყველას მოვუწოდებ, რომ რაც საჭიროა და აუცილებელია უნდა გაკეთდეს. ზოგიერთმა კიდევ დამირეკა: ვაიმე, ლია, კარგად დაფიქრდი, არ აიცრა!.. იცი რა, იმაზე

უარესი რა უნდა დამემართოს რაც დამემართა? ამიტომ დაზღვევა ჯობია მაინც. იმას მაინც ვიტყვი, რომ მე გავაკეთე და ესე იგი განწირული ვყოფილვარ, ბოლო-ბოლო მაგას ვიტყვი. **ეხლაც რომ ამბობენ, აცრის მერე ეს მოკვდა, ის მოხდა... ვაიმე, ყველაფერი მოხდება, ჩვეულებრივი ცხოვრებაა და ესეც იქნება და ისიც და ზედმეტი პანიკა არ მიყვარს. ხანდახან იმასაც ვფიქრობ, დამემართება და დამემართოს.** ესეთი შიში არ მაქვს, რომ კიდევ დამემართება. თან ანტისხეულები ეხლახანს გავიზომე, 150 მაქვს და მაინც დავიზღვიე თავი და ავიცერი. საერთოდ რეალისტი ვარ. სასურველია, რომ დროულად მოისპოს ეს ვირუსი. მარტო აცრები კი არა, შეიქმნას მედიკამენტი და ერთი დალევა შველოდეს... ხო იყო ღორის გრიპი, რაღაც ტამიფლუ თუ რაღაც იყო პრე-პარატი, შველოდა. ანალოგიურად იყოს ეხლაც.

პანდემიის მერე წავედი სოფელში. შეიცვალა ჩემი ცხოვრება. მეტი თავისუფლება ვიგრძენი. მე ყოველთვის ჩემს საყვარელ საქმეს ვაკეთებდი, გასტროლებზე, კონცერტებზე დავდიოდი, მაგრამ 60 წლის გავხდი, თან ეს დაავადება დამერთო, მეტი ყურადღება თურმე ჯანმრთელობას უნდა დავუთმო. სოფელში კიდევ მე ვარ სრულ ნეტარებაში. მიუ-ხედავად იმისა, რომ წიწილებიც მყავს, ბოცვრებიც მყავს, ვთესავ კიდეც და მეურნეობებშიც კი ვიმუშავე. სამსახურები აღარ იყო და რაღაცით ხომ უნდა ვირჩინოთ თავი. იქაც ვმუშაობ ფიზიკურად, აქაც ჩამოვდივარ სიმღერისთვის. მაგ-რამ იცი რა? ჯანმრთელობის ფასი მაინც არაფერი არ არის. პირველ რიგში ჯანმრთელობა.

***

მადლობა პირველ კლინიკურ საავადმყოფოს და ლევან რატიანს. მე და ჩემმა დაქალმა სიმღერაც მივუძ-ღვენით. დევს კიდევაც ჩვენი ვიდეო, ლევანს ვუძღვნით, ოჯახებიდან ჩავერთეთ და სოციალური ქსელით მადლობა გადავუხადეთ. ძლივს ვმღერი თანაც... ეხლა კი ხმაც ჩვეუ-ლებრივად მაქვს და ყველაფერი.

6.

სახელი, გვარი: ანა ბაჯიაშვილი

ასაკი: 69

პროფესია: მომლოდინე

საცხოვრებელი ადგილი: ბზილისი

ინფიცირების ადგილი და დრო: ბზილისი, 03/2020

ჩაწერის ადგილი და დრო: ბზილისი, 08/2021

ინტერვიუერი: მერი ქაჯაია

კოვიდი ახალი შემოსული იყო საქართველოში, სახელიც კი. არაფერი ისეთი... ვფიქრობდით, რა არის ისეთი, გრიპია, რა არის? მაგრამ მაინც ვერიდებოდით, ფრთხილად ვიყავით. არანაირი პირბადეები არ გვეკეთა. ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს მოვხვდით ისეთ საზოგადოებაში, რომ ხელი ჩამოგვართვეს. არ მესიამოვნა... თუ არ მეშლება, ერთი ადამიანი უკვე გარდაცვლილი იყო საქართველოში და უკვე ვერიდებოდით. შევშინდით...

ჰოდა, ამ ადამიანმა, ხელი რომ ჩამოგვართვა, გეშინიათო? – გვკითხა (ექიმია ეს კაცი). ლიასაც და მის შვილსაც

(ჩვენთან უკრავს ორივე) ხელი ჩამოართვა. არ ვიცი, მერე რა მოხდა, თვალში ამოვისვი ხელი, თუ რა ვქენი... ეს კაცი კი დაინფიცირებული რომ იყო, არ იცოდა. მისი დედა იყო მეორე გარდაცვლილი საქართველოში – ასაკიანი, 80 წლის ქალბატონი... და ჩვენ მერე გავიგეთ, რომ გარდაეცვალა დედა.

დავინფიცირდით ჩვენც: სიცხე გვქონდა დაბალი, არ მივაქციე ყურადღება, ღია ფანჯარაში მიყვარს ძილი საერთოდ და ვიფიქრე, ალბათ ცოტა გავცივდი-მეთქი. 37 მქონდა სიცხე, დიარეა, რაც არ მახასიათებს და ჭვალი მქონდა გვერდში ორი დღე. ეს სიცხეც ორი დღე მქონდა და მერე, უკვე მესამე დღეს სასწრაფო გამოიძახა ჩემმა რძალმა. კურაციოს ექიმია ჩემი რძალი და ერთად ვცხოვრობთ. არ მომწონს ხველაო... ოდნავ მახველებს, – მე ვუთხარი, – არაფერი არ არის-მეთქი. რა არაო, მამასაც ახველებს ცოტაო!.. არც მომისმინა, გამოიძახა სასწრაფო. ფილტვებზე მომისმინა და არაფერი არ მქონდა მოსმენით ფილტვებში და თუ არაფერია, გამოგიშვებენო, წაგიყვანენ და გამოგიშვებენ ისევო.

წაგვიყვანეს და დაგვტოვეს.

მანამ წამიყვანდნენ სასწრაფოთი, აი აქ, მარჯვენა მხარეს რაღაც იჯდა თითქოს ერთ წერტილში, საშინელი ტკივილი მქონდა... ნეკნის ქვეშ, ერთ ადგილას, ბურთივით... გამუდმებით კი არა, აი, მომენტებში, როცა ვმოძრაობდი, დახრის დროს, მაყვირებდა და გადაივლიდა.

მე თვითონ პოზიტიური ვარ, მაგრამ სახლიდან წასვლის მეშინოდა. მაინც ვმასხარაობდი. ჩემს ქმარს ნერვები ეშლებოდა, კაი ხასიათზე ვიყავი, მე მგონი გავაფრინე-მეთქი, – ვიძახდი. არ ვიცოდი მაშინ კოვიდის საშიშროებაზე... მერე თანდათან, ტელევიზიით აშუქებდნენ, რომ საზღვარგარეთ,

უცხოეთში, ევროპაში, ამერიკაში ხალხი ქუჩაში ვარდებოდა და მერე უკვე შემეშინდა...

ვგრძნობდი, რომ რაღაცა მჭირდა, ფრთხილად ვიყავი. რაც მეცვა, იმ ტანსაცმლისაც კი მეშინოდა... ვიფიქრე, ეს ყველაფერი გადავყარო-მეთქი... კარგი რაღაცებით, ნორმალურებით წავედი, აჯღა-ბუჯღა ხომ არ წავიდოდი, ხოდა, მინდოდა გადაყრა, ექიმებმაც არ იცოდნენ რა უნდა გვექნა... ვერ გადავყარე, კარგად გამოვხარშე.

მეტი საშიშროება იყო ჩემთან, ვინაიდან მე ონკოპაციენტი ვარ. ჩემი მეუღლე 80-ს მიღწეულია, სიცხე ხან 38, ხან 39-ზე მაღლა ასდიოდა. ორი კვირა ვიყავი მე საავადმყოფოში. ჟანგბადის მიწოდება თითქმის არ გჭირდებაო, – მითხრეს. მე კი ვუთხარი – არაფერი არ მჭირდება-მეთქი. როგორ არა, ფილტვების ანთება გაქვსო!.. რაა? – წამოვჯექი. თურმე, ლევან რატიანი ყოფილა მოსული, მთავარი ექიმი... ეს ვინ არის, გავგიჟდი, მსგავსი მე არ მსმენია, თითქმის ყოველდღე შემოდიოდა. მარტო ის კი არა, მთელი პერსონალი, ჯგუფ-ჯგუფად შემოდიოდნენ. ღმერთო, მადლობა პერსონალს, გადავირიე რა ყურადღებით მექცეოდნენ, დამლაგებლებიც კი... მე ვუთხარი, შერჩეულები ჰყავხართ ალბათ – მეთქი... ჩვენო, ისეთი მთავარი ექიმი გვყავს, აქ ცუდი ვერ გაიჭაჭანებსო!

მერე მე ვიკითხე: იქნებ, ცნობილი მომღერალი რომ ვარ, მაგიტომ-მეთქი... რა ხდება, მარტო ჩემთან შემოდიან თუ?.. არაო, ყველასთან ესე შედიანო, ყველასთან ესე განსაკუთრებულადო... მე სიურპრიზიც გამიკეთა, საჩუქარიც გამიკეთა. მე ვუთხარი, რა იცით, რომ მე ბრჭყვიალ-ბრჭყვიალები მიყვარს-მეთქი? ვიციო, მეო, ყველაფერი ვიციო... მე

ვუთხარი, მეც თქვენზე ყველაფერი ვიცი, ვინც ხართ, რაც ხართ, ჰოდა, რომ გამოვალ და კარგად ვიქნები, მე თქვენ გიმღერებთ, ერთადაც ვიმღერებთ-მეთქი. ვინ დაგვაცადა ერთად სიმღერა, „ვინოტელში“ ვიყავით, „ბარბარესთან“ და ვიფიქრე, ერთად ვიმღერებთ, დავპატიჟებთ-მეთქი, მაგრამ უკან და უკან წავედით... ტელევიზიით მაინც ვუმღერეთ, ისეთი საყვარელია ლევანი და ყველა, მთელი მედპერსონალი.

შემეცოდნენ ექიმები, როგორ იყვნენ შეფუთულები, დაფაცურობდნენ იცით როგორ?.. აი, ისე ენერგიულად, სწრაფად... ვხედავდით აქედან ოფლი რომ ჩამოდიოდათ შიგნიდან, თვალებში ჩამოსდიოდათ ოფლი. მერე ჩემი ვენები, ფუშფუშა ხელები რომ მაქვს, ვეუბნებოდი: აქედან ვერ ამიღებთ, შვილო, ქვევიდან აიღეთ-მეთქი... აქო გეტკინებათო... არა უშავს, ოღონდ თქვენ არ იწვალოთ, იყოს ის მტკივნეული-მეთქი... აი, ესე ვიყავით, ვთანამშრომლობდით ერთად.

* * *

ჩემი მეგობარი ლია კი იყო ძალიან მძიმედ, ჩემს გვერდით პალატაში იყო და იმის დარდი მქონდა. ახველებდა და ახველებდა ძალიან, იმას ცოტა შაქარიც ჰქონდა, შეიძლება ეს იყო მიზეზი, არ ვიცი... მე და ლია 35 წლის მეგობრები ვართ. ერთად დავინფიცირდით, მაგრამ შუაში იყო მისი შვილი უჩა, რომელიც გიტარას გვიკრავს, თუმცა უჩას არაფერი სჭირდა... ეხლაც მეტირება, რომ მახსენდება... ჩემი მეუღლე მეუბნებოდა, გესმის როგორ ახველებს ლიაო?.. აპარატზე უნდა გადაეყვანათ, სასუნთქ აპარატზე, მაგრამ ლევანს უთქვამს, მოდი, თავი შევიკავოთ ერთი დღეცო, იმოძრავე, იმოძრავეო. მკვდარივით იყო, ღონე არ ჰქონდა. მერე მე

ვუთხარი: ნუ მოდუნდი ეხლა, წამოდექი, თორემ არ ვიცი რას გიზამ-მეთქი. ხოდა წამოჯდა და წამოვიდა უკეთესობისკენ. თორემ ლია კანდიდატი იყო გარდაცვალების.

გუშინ დავკრძალეთ 25 წლის, გასათხოვარი გოგო, ჩემი ქმრის დისშვილი, თელავში გააგზავნეს კოვიდ სასტუმროში და გავავლე პარალელი კოვიდ სასტუმროსთან. მე, როგორც სანატორიუმში ისე ვიყავი... თან ეტყობა, ეხლა უფრო მოიმატა შემთხვევებმა და ორმხრივ ფილტვების ანთებას, როგორც ჩანს, ვერ მოერივნენ ისენი, თორემ ჯანმრთელი გოგო იყო, როგორ ვერ მოერეოდა ამას... ალბათ სათანადო მკურნალობა ვერ ჩაუტარდა. არ ვიცი... არ ვიცი, რა ვთქვა.

თავიდან ვერიდებოდი იმის თქმას, რომ კოვიდი მაქვს. მე ისედაც ისეთი ვარ, დისტანციური, ხოდა, ყველას ვეუბნებოდი, მომერიდეთ მაინც... მაგრამ ქვეყანამ გაიგო, ვინ არ მირეკავდა, მთელი საქართველო!..

**რომ მირეკავდნენ, მე ვუმღეროდი: კოვიდი მაქვს, კოვიდიიი!**

განწყობასაც ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონია. ყველაფერს მიკეთებდნენ, აბსოლიტურად ყველაფერს. ჩემს მეუღლეს ჟანგბადი სჭირდებოდა და მე არ ვიხმარე, იმიტომ რომ ვგრძნობდი არ მინდოდა, არადა, თურმე მჭირდებოდა.

საავადმყოფოშიც მითხრეს და მერეც, ისეთი ბუნების ხარ შენ, დადებითი და პოზიტიური და ამას დიდი მნიშვნელობა აქვსო. მე რომ ონკოლოგიურში ოპერაცია გავიკეთე, ეს იყო 17 წლის წინ, იქაც ვთქვი, რომ მე თავს მოვიკლავ თუ მკერდს მომკვეთავენ, მე გადავხტები, იმიტომ რომ მაშინ სცენაზე ვიყავი სულ და როგორია? საშინელებაა! მაგ-

რამ გაიარა ყველაფერმა, ძალიან განვიცადე, ვიტირე, მოვიკალი თავი, ვიბღავლე, მაგრამ ასე არ დავრჩი. ვთქვი, რომ ეს მოხდა, ამას არაფერი აღარ ეშველება, უნდა გავუფრთხილდე ჩემს შვილებს, რომ მე ცუდად არ ვიყო, ეს თავში მქონდა, მარტო სიტყვებით კი არ ვამბობ. შეიძლება თქვა, რომ ასე გავაკეთებ, მაგრამ ვერ აკეთებ, მაგრამ ეტყობა, მე ბუნებამაც მომცა ეს უნარი, რომ ეს შევძელი. თან ისეთი სამეგობრო, ახლობლები მყავდა, რომ ამაზე არც მაფიქრებინებდნენ. დრენაჟები მქონდა ჩადგმული, რესტორნის გახსნაზე წამიყვანეს, არა, ვერ წამოვალ, ახალი ნაოპერაციები ვარ-მეთქი. მანქანით მოვიდნენ, ჩამსვეს დრენაჟებით და წამიყვენს, რომ მე იქ მემღერა. ვინ გხედავსო, დაგსვამთ იქო.

**ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს განწყობას.**

მერე, ქალთა შეკრება იყო, ონკოპაციენტების ფოლკლორის ცენტრში, მე მიმიწვიეს როგორც მომღერალი, ეს ქალები კი მხიარულობდნენ, მაგრამ სახეები მაინც სევდიანი ჰქონდათ. რომ ვიმღერეთ, მე ვთქვი: ერთი წუთი მომისმინეთ, მე ვარ ონკოლოგიური პაციენტი ამდენი წელი და განწყობა გქონდეთ დადებითი, კარგად იქნებით, არ იფიქროთ ცუდზე! ვაიმე, ფეხზე ადგნენ, ტაში დამიკრეს, მერე მოვიდნენ, ჩამეხუტნენ, – როგორ მოხდა, რანაირად მოხდა?.. მოვუყევი...

**ასეა, ზოგს შეუძლია და ზოგს არ შეუძლია თავისი თავის ხელში აყვანა.**

ორი კვირის გამოსული ვიყავი საავადმყოფოდან, რომ დამემართა მოციმციმე არითმია. ჰაერი არ მყოფნიდა, ვიხრჩობოდი, უცებ სასწრაფოო, – ისევ თქვა ჩემმა რძალმა. გამაქანეს და დამირეგულირეს. მაგრამ მაინც... ერთადერ-

თი გული მქონდა ჯანმრთელი, მაგრამ კოვიდმა საჩუქარი დამიტოვა და გული მაწუხებს, დეპრესია და ნერვული სისტემა მომისპო. ჩემს მეუღლეს იცით რა დაემართა? სახე შეეშალა ისე, რომ ყველას შეგვეშინდა. **ეხლა წამლებს ვასმევთ ძილის წინ, ესეც კოვიდის საჩუქარია. დეპრესია მაქვს, გარეთ არ მინდა გასვლა... მეხსიერებაც საშინლად დამიქვეითდა. ვერ ვიტყოდი, რომ ისე ჩაიარა.**

ჩემი ჩინ-მედლებით მარტო პენსიის ამარა დავრჩი. ვინც ჩვენი თაყვანისმცემელი, მსმენელი იყო, ვისაც ჩვენი სიმღერები, ძველი რეტრო-სიმღერები უნდა და უყვარს, ისინი თუ დაგვიკავშირდებიან. ამას წინათ, უკრაინიდან ჩამოვიდნენ ცოლი და ქმარი, რომელთაც ჩემი „თბილისო“ მოუსმენიათ. ჰოდა, ჩამოვედით, რომ აქ აღვნიშნოთ ჩვენი 25 წლის შეუღლების თარიღიო, თქვენი „თბილისოს“ მოსასმენადო. აი, ასეთი ხალხი გვეძახის ხოლმე ხანდახან. მაგრამ ახლა ჩაკეტილია ყველაფერი. ამასწინათ ვიყავით ამერიკიდან ჩამოსული თბილისელებისთვის, დაბადების დღე გადაიხადეს აქ და დაგვიძახეს. აი, ასე, ათასში ერთი, თორემ ყოველდღე დავდიოდი და ხელფასი მქონდა ჩვეულებრივად იქაც და აქაც, ორ ადგილას ვმუშაობდი, კოვიდამდე. კოვიდი დაგვემართა და ორ თუ სამ დღეში დაიკეტა რესტორანი.



7.

სახელი, გვარი: ჰიშო ვეკუზე

ასაკი: 22

სტატუსი: სტუდენტი

საცხოვრებელი ადგილი: ლიბანი

ინფიცირების ადგილი და დრო: ბრილი, 03/2020

ჩაწერის ადგილი და დრო: ბრილი, 08/2021

ინტერვიუერი: მერი ქაჯაია

ჩემი სახელია ჰიშო. 21 წლის ვარ. 22 წლის ვხდები სექტემებრში. ლიბანის მოქალაქე ვარ, აქ ვსწავლობ ახლა სტომატოლოგიას. საქართველოში ჩამოვედი 17 მარტს, 2020 წლის. ჩამოსვლამდე გავიკეთე ტესტი და ვიყავი ნეგატიური. როცა ჩამოვედი, მეგობართან ერთად ვიყავი. თვითონ ის ავსტრალიელია. ჩემთან დარჩა რამდენიმე დღით, ვმოგზაურობდით საქართველოში. როცა უკან დაბრუნდა ავსტრალიაში, 26 მარტს, კოვიდ-19-ზე ტესტი გაიკეთა და პოზიტიური აღმოჩნდა. ძალიან კეთილშობილურად მოიქცა და გამომიგზავნა მესიჯი, სადაც მწერდა, რომ პოზიტი-

ური აღმოჩნდა კოვიდ-19-ზე და შემემოწმებინა ჩემი თავი უსაფრთხოებისთვის, რადგან შესაძლოა გადამდები ვყოფილიყავით სხვა ადამიანებისთვის. გადავწყვიტე, ტესტი გამეკეთებინა, დავურეკე საელჩოს, საელჩომ გამომიგზავნა სასწრაფო, რომელმაც წამიყვანა საავადმყოფოში, სადაც ტესტი გამიკეთეს, ცოტა ხანში მითხრეს, – მეგობარო, პოზიტიური ხარო.

**საკმაოდ რთული იყო ჩემთვის იმიტომ რომ მაშინ საკმაოდ საშიში სიტუაცია იყო, ყველა ფიქრობდა, რომ ვირუსი ძალიან საშიში რამ იყო.**

ჩემი პროფესია მოიცავს მიკრო ვირუსების სწავლას. ბევრს ვიკვლევ ვირუსებისა და ბაქტერიების შესახებ, ამიტომ ბევრი რამე ვიცი ვირუსის შესახებ, როგორ გავლენას ახდენს ადამიანზე, როგორ გადადის, სტრუქტურა ვიცოდი, რომ ვირუსს ძლიერი ზეგავლენა შეიძლება მოეხდინა კონკრეტული ტიპის ადამიანებზე... მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემზე ასეთ ეფექტს ვერ მოახდენდა. ვიცოდი, რომ გადამდები ვიყავი, რაც იმას ნიშნავს, რომ შემეძლო სხვა ადამიანებისთვის გადამედო და შეიძლება, მათთვის ცუდი შედეგები მომეტანა, თუმცა ჩემთვის – არა. ვიცოდი, როგორ გავმკლავებოდი სიტუაციას... როცა საავადმყოფოში წავედი, პირველ რიგში ძალიან ბევრი ტესტი გამიკეთეს, სისხლის ანალიზი, წნევაც გამიზომეს. საავადმყოფოში დამტოვეს, ცალკე ოთახში. ანალიზებმა ყველაფერი კარგი აჩვენა, თავს კარგად ვგრძნობდი, არც ვახველებდი, თუმცა ვირუსი ჩემს ორგანიზმში იყო. შემდეგ, **სანამ ტესტს ჩამიტარებდნენ, დედაჩემს ველაპარაკებოდი. მითხრა: გთხოვ, ფრთხილად იყავი, ხალხი, რომელიც კოვიდით ინფიცირ-**

**დება, იხოცებაო...** ფრთხილად იყავი, გარეთ არ გახვიდეო. მეორე დღეს გამტესტეს და მოვიდნენ 24 საათის შემდეგ და მითხრეს პოზიტიური ხარო.

ძალიან ბევრს ვლაპარაკობდი ექიმებთან, სხვა თანამშრომლებთან. მეუბნებოდნენ: რა საყვარელი ბიჭი ხარ, **ასეთად დარჩიო. ტესტიც შენნაირია, პოზიტიურიო.** საკმაოდ რთული სიტუაცია იყო. პირველი, რაც თავში მომივიდა ჩემი ოჯახი იყო, ლიბანში. ჩემთვის ვიცოდი, რომ კარგად ვიქნებოდი, არანაირი სიმპტომი არ მქონდა, მხოლოდ ძალიან ცოტა ხველება, სუსტი. მოკლედ, ოჯახის წევრებისთვის უნდა მეთქვა ამ „მშვენიერი" სიტუაციის შესახებ, მივხვდი, რომ დამალვა აღარ შემეძლო და რა გავაკეთე, დავპოსტე ვიდეო ფბ-ზე, როგორ ვვარჯიშობდი და ვამბობდი, რომ მიუხედავად იმისა, რომ ამდენი რაღაც მიკეთია (სამედიცინო პროცედურებისთვის საჭირო აღჭურვილობა), მაინც კარგად ვარ. მიუხედავად იმისა, რომ კარგად ვიყავი, საავადმყოფოში მაინც სწორად მიაჩნდათ, რომ ჩემს ორგანიზმს პატარა რაღაცებით დახმარებოდნენ, ვიტამინებით... ჩემი ჰემოგლობინიც გაზომეს... როცა ეს ვიდეო დავპოსტე, არათვერს არ ვგრძნობდი, მაგრამ მჭირდებოდა ვარჯიშის გაგრძელება, ამიტომ **ვიდეოს დავაწერე „ვერაფერი შეგაჩერებს, გააგრძელე!.. ასე თქმა გადავწყვიტე ჩემი ოჯახისთვის, როცა ჩემი ოჯახის წევრების ვიდეოს ნახავდნენ, მიხვდებოდნენ, რომ კარგად ვარ**.

ჩემთვის ძალიან რთული იყო დაკეტილ ოთახში გაჩერება დიდი ხნით. მე ესქტრავერტი ვარ, სახლში გაჩერებაც კი არ შემიძლია. ექიმებმა კიდევ მითხრეს, იქ დიდი ხანი უნდა დავრჩენილიყავი. ამას მეუბნებოდნენ, მაგრამ ვერ ვხე-

დავდი მათ სახეებს, არ ვიცოდი, როგორ გამოიყურებოდნენ, უცნაური იყო ჩემთვის. მიყვარს ადამიანები, კომუნიკაცია, თან ისეთი საყვარლები იყვნენ, მინდოდა მცოდნოდა ვინ იყო ანა, თვალებს კი ვხედავდი, მაგრამ ადამიანების ცნობა თვალებით არ გამომდის. მოკლედ, დავრჩი საავადმყოფოში. ჩემს თავს ვუთხარი, უნდა გაუმკლავდე ამ სიტუაციას. ვნახოთ, აბა რა მოხდება-მეთქი. რა თქმა უნდა, ჩემს ლექციებს ონლაინ ვესწრებოდი, ძალიან კარგი იყო. ადრე ვიღვიძებდი, ჩუმად ვვარჯიშობდი, იმიტომ რომ ექიმმა მითხრა, თუ დაგინახავ რომ ვარჯიშობ, მოგკლავო. არ შეიძლება ამდენი მოძრაობა, უნდა დაისვენოო. მაგრამ **ვარჯიში მჭირდებოდა, რომ თავი კარგად მეგრძნო. დილით რომ ვიღვიძებდი, ვამბობდი, – ვერ მივცემ ამ ყველაფერს ჩემი რუტინის შეცვლის უფლებას! მეგობარო, უნდა გააგრძელო შენი ცხოვრება!** სიმშვიდისთვის მედიტაციას ვაკეთებდი, ვიწყებდი ჩემს მშვენიერ, პროდუქტიულ დღეს, ელექტრონული შეტყობინებების გაგზავნას, ჩემი საყვარელი წიგნების კითხვას. ვსწავლობდი ისეთ რაღაცებს, რაც არ იყო სტომატოლოგიასთან, ჩემს პროფესიასთან დაკავშირებული. ძალიან მაინტერესებს ფინანსები, ამიტომ ვკითხულობდი როგორი გავლენა მოახდინა კოვიდმა სამყაროზე.

**9 ტესტი**

დღის ბოლოს გაოცებული ვიყავი, როგორი გზებით გაუმკლავდნენ ქართველები ვირუსს. ღმერთს ვფიცავარ, როცა საავადმყოფოში მოვედი, არც უკითხავთ, საიდან ვიყავი, უბრალოდ იდენტიფიკაციის ბარათი მთხოვეს იმისთვის, რომ რაიმე დოკუმენტი დაეტოვებინათ. ქართულად

ცოტას კი ვლაპარაკობ, მაგრამ კარგად არა, თუმცა ენის ცოდნა არც მჭირდებოდა, ისე კარგად მექცეოდნენ. ძალიან გავერთე. ექიმები საუბრობდნენ ინგლისურად. ყოველდღე შემოდიოდნენ ჩემთან, მიხსნიდნენ რა ეტაპზე ვიყავი, რა მოხდა იმ დღეს, ძალიან კეთილგანწყობილები იყვნენ. გამაოცა იმან, თუ როგორ მეპყრობოდნენ, კეთილშობილურად, სიფრთხილით, მე უცხოელი ვიყავი, 30 დღე გავატარე საავადმყოფოში, ძალიან უცნაური შემთხვევა იყო ჩემი. 9 ტესტი გამიკეთეს (რეგულაცია ასეთი იყო, შენს სისხლს ამოწმებენ დღეში ორჯერ, რამდენჯერმე გტესტავენ).

14 დღის შემდეგ გიკეთებენ ტესტს მეორედ. გამტესტეს და მითხრეს, რომ ისევ პოზიტიური ვიყავი. ეს ცოტათი უცნაური იყო, რადგან მე მყავდა „რუმმეითი“, ვისთან ერთადაც ვცხოვრობდი სახლში, ამერიკელი. მასაც ჰქონდა კოვიდი ცხადია, რადგან ჩემთან ერთად ცხოვრობდა. ისიც წამოვიდა საავადმყოფოში, ერთ დღეს წამოვედით. მან საავადმყოფო მე-14 დღეს დატოვა, უარყოფითი პასუხი მოუვიდა., მაგრამ ფიზიკურად მე უფრო ძლიერი ვარ ვიდრე ის, ასე ვფიქრობ... მაგრამ ის სახლში წავიდა და მე კიდევ 14 დღე დავრჩი საავადმყოფოში.

მითხრეს, რომ სხვადასხვა ტიპის პსრ ტესტი არსებობს, არის პსრ-ის ტესტი, რომელიც ამბობს რამდენი რნმ[21] გაქვს, იმ დროს ამ ტესტებს იყენებდნენ იმ საავადმყოფოში, სადაც მე ვიყავი, თბილისის საუნივერსიტეტო კლინიკაში. ჩემს შემთხვევაში რნმ-ის რაოდენობა ძალიან დაბალი იყო, მერე მივხვდი, როცა კიდევ 2 დღის მერე ამიღეს ტესტი, რომ

[21] რნმ ანუ რიბონუკლეინის მჟავა არის პოლინუკლეოტიდი, რომლის ერთჯაჭვიანი მოლეკულა ცილის ბიოსინთეზში მონაწილეობს.

შეემოწმებინათ. რთული იყო, შევშინდი, რადგან ჩემი ოჯახის წევრებიც ძალიან შეშინებულები იყვნენ და ნერვიულობდნენ. მეუბნებოდნენ: ხომ არ გვატყუებ, რატომ ხარ ისევ საავადმყოფოშიო, რა ხდებაო. მე კიდევ კარგად ვიყავი. მეთქი აქ ვრჩები, კარგად ვარ, კარგ ქართულ საჭმელს ვჭამ, ვგიჟდები ქართულ საჭმელზე, უგემრიელესი კერძებია. ჩემს ძმას ვწერდი ტელეფონზე ამას და უკვირდა, – საავადმყოფოს საჭმელები ყველაზე ცუდი რამაა სამყაროშიო. მეთქი, ეგ ავსტრალიაში, საქართველოში ეგრე არაა-მეთქი. რომ მითხრეს გიშვებთო, ვკითხე: დარწმუნებული ხართ?.. კიდევ რამდენიმე დღე დავრჩებოდი-მეთქი.

კოვიდის შემდეგ, როცა სახლში წავედი, საავადმყოფოს პერსონალთან ხანგრძლივი ზარები მქონდა, ჰიშო, მოგვენატრეო, – მეუბნებოდნენ, ძალიან საყვარლები იყვნენ, არაჩვეულებრივი ადამიანები. დიჯეი წვეულებაც კი გვქონდა. ძალიან კარგად გავერთეთ.

ჩემს ემოციურ მდგომარეობაზე რომ ვისაუბრო, **ვფიქრობ, რომ ბევრ რამეზე ვნერვიულობთ – ბიზნესზე, ფინანსებზე, მაგრამ როცა საქმე ჩვენს ჯანმრთელობას ეხება, ეგრევე წითელი შუქი ინთება. გვეშინია, არ ვიცით რა ხდება. ახალ ამბებს ვუყურებდი და ყველა მათგანი უარყოფითი იყო. ამიტომ, შევწყვიტე ტელევიზორის ყურება.** NCDC[22]-თან მქონდა კონტაქტი და მიგზავნიდნენ ყველა ინფორმაციას.

**გადავწყვიტე, სიტუაციით მესარგებლა და ბევრი რამ აღმოვაჩინე ჩემი თავის შესახებ. ოთახში ჯდომა, არაფრის**

---

[22] დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი.

**კეთება, არავისთან კონტაქტი, მხოლოდ საკუთარი თავი გყავს რომ ჩაუღრმავდე... მივხვდი, რომ, გავიზარდე, ვისწავლე ბევრი რამ.**

გავიაზრე ჩემი სისტემის, რწმენების შესახებ, ხშირად ვაკეთებდი მედიტაციას. მივხვდი, რომ ძალიან დიდ გავლენას ახდენს ენერგიები, სიხშირეები, ვიბრაციები ჩემზე. მივხვდი, რომ ყველაფერი, რაც გადამხდენია ცხოვრებაში, ჩემი ფიქრების, შეხედულებების შედეგი იყო. მერე ვიფიქრე, – თუ ეს დამემართა, იმიტომ რომ ამ საკითხს ასე მივუდექი. მივხვდი, რომ იმ ადგილას ვიყავი, სადაც ყოველთვის მინდოდა რომ ვყოფილიყავი. მაგრამ ეს არ იყო ადგილი, სადაც მართლა მინდოდა ყოფნა. ეს იყო ადგილი, სადაც ყოფნა ჩემთვის უკეთესი იყო. მერე დავიწყე ფიქრი იმაზე, თუ ვინ მინდოდა ვყოფილიყავი მომავალში და დავიწყე ამის წარმოდგენა და ჩემი თავის ამ მომავალი „მე“-სთვის მომზადება. კვლევა დავიწყე და ვკითხულობდი მიზიდულობის კანონის შესახებ. გავიაზრე, რომ რაღაცებს ჩემს სოციალურ ცხოვრებაში არ ვაკეთებდი სწორად. მივხვდი, რომ ჩემი ყოფილი შეყვარებულის მიმართ არ ვიყავი სამართლიანი. მერე რომ ვუთხარი ამის შესახებ, რა იყო კვდებიო? – მეხუმრა.

ასევე ვიგრძენი, რომ ძლიერი ადამიანი ვარ და შემიძლია უფრო მეტი ადამიანი შთავაგონო.

რაღაც უცნაური დამემართა ერთ დღეს. საქართველოში აღდგომის დღესასწაული იყო, ცოტათი დაღლილი ვიყავი მთელი დღის მეცადინეობისგან. მივხვდი, რომ ადრე უნდა დამეძინა. საქართველოს დროით ღამის 12-ზე რაღაც ხმაური იყო აივნიდან... და შემდეგ ვიღაც თეთრი

მაისურითა და თეთრი კაბით შიგნით ოთახში შემოვიდა, იმისთვის, რომ ჩემთვის სანთელი, თეთრი სანთელი მოეცა. მოჩვენება არ იყო. ნახევრად მეძინა, გარეთ ხმაური იყო, ფეიერვერკებს ისროდნენ. ვფიქრობდი, – ნუთუ ვკვდები?.. არანორმალური გამოცდილება იყო, მერე ნახევარი საათი გიჟივით ვიცინოდი.

ერთ დღეს, ამ 14 დღის განმავლობაში ტელევიზიამ დამირეკა და მკითხეს, ინტერვიუს ჩაწერა თუ შეიძლებოდა. მითხრეს, ვცადეთ ქართველებთან დაკავშირება, მათთან ვისაც კოვიდი აქვს, მაგრამ ეშინიათ საჯაროდ საუბარი, რადგან ფიქრობენ, რომ მას შემდეგ რაც გამოჯანმრთელ-დებიან, ხალხი თუ გაიგებს, რომ კოვიდი გადაიტანეს, აღარ დაელაპარაკებიანო. ჩავეწერე და ეს ინტერვიუ ძალიან პო-პულარული გახდა საქართველოში. 500-ზე მეტი გაზიარება და კომენტარი ჰქონდა. ხალხი წერდა, – რა საყვარლობაა. ვცდილობდი, ხალხისთვის პოზიტიური მოტივაცია მიმეცა, ნუ შეეგეშინდებათ-მეთქი, – ვამბობდი. ძალიან ბევრმა ადა-მიანმა მოისმინა, პოლიტიკოსებმა ტვიტერზეც კი გააზიარეს.

მე მესიჯი დავწერე ფრანგულად პრეზიდენტისთვის[23]: მადლობა, რომ მომექეცით როგორც ქართველს-მეთქი. ისეთი მადლიერი ვიყავი, არაფერი მაქვს საერთო ქართულ პოლიტიკასთან, უბრალოდ როგორც უცხოელს, ძალიან კარგი გამოცდილება მქონდა და პრეზიდენტმა ჩემს მესიჯს ტვიტერზე უპასუხა და შემდეგ გააზიარა. ისე გამიხარდა, იმიტომ რომ ძალიან მომწონს ეს ადამიანი, მისი პიროვნება, ის, თუ როგორ მომექცა, დაიცვეს ჩემი პირადი ინფორმაცია, სულ წუხდნენ ჩემზე, ჩემი მკურნალობის ხარჯებიდან არა-

[23] გულისხმობს საქართველოს პრეზიდენტს სალომე ზურაბიშვილს.

ფერი გადამახდევინეს. ქართველი არ ვარ, დარწმუნებული ხართ, რომ არაფერი არ უნდა გადავიხადო-მეთქი?.. არაფერი გაქვს გადასახდელი, უფასოაო. ჩემს ქვეყანაში, ლიბანში, ასეთი მკურნალობა რომ მიმეღო, ძალიან ძვირი უნდა გადამეხადა. თან კარგი საჭმელი უფასოდ მქონდა... ექიმებს ვკითხე: შეიძლება, ცოტა დიდხანს დავრჩე-მეთქი?

კოვიდის შემდეგ ნელი სირბილი დავიწყე. მხოლოდ იმისთვის, რომ სხეული და გონება გამეაქტიურებინა. რომ ვვარჯიშობდი, ხალხი ამბობდა, ვაიმე ამ ბიჭს კორონა ჰქონდაო, და მიღიმოდნენ. ამას არ ველოდი. მეუბნებოდნენ: ფეისბუქზე გნახეთ, ტელევიზორში გნახეთ, ფანტასტიური ხარო. ჩემი მეგობრებიც კი ამას მეუბნებოდნენ. არაჩვეულებრივი გამოცდილება იყო.

**მიკროსკოპული ფიქრები**

ვფიქრობ, რომ კოვიდი კეთილშობილურად მოვიდა ჩემთან. შეიძლება, პოპულარული აზრი არ არის, მაგრამ ეს ჩემი მოსაზრებაა. მე მიყვარს ვირუსები. ვიცი, რომ ცუდია და ძალიან დიდი ზიანი მიაყენა ხალხს, ჩაგვკეტა და სტრესულ სიტუაციებში ჩაგვაგდო, მაგრამ, ვირუსი მუტაციას განიცდის ორგანიზმში, ამას პოზიტიური მუტაცია ქვია. მუტაცია ნიშნავს გენეტიკის შეცვლას. ახლა ვირუსებს გენეტიკის შეცვლისთვის იყენებენ. ასე რომ, მე მომწონს ვირუსები, კოვიდიც. როცა ჩემს ორგანიზმში შემოვიდა, არ მოუხდენია რაიმე ძლიერი ზეგავლენა. ვფიქრობდი ხანდახან, როგორ ცხოვრობდა ჩემს ორგანიზმში, მიკროსკოპულ დონეზე. ნეტავ, როგორ ებრძვის ჩემი სხეული ვირუსს-მეთქი?.. უცნაური იყო. მერე გადავწყვიტე, რომ უნდა მოვკლა-მეთქი ბევრი წყლის

სმით. აღვიქვი, როგორც არმია ომში, ომში ბევრი ენერგია დასჭირდებათ ჩემს ხალხს-მეთქი, ჩემს ანტისხეულებს-მეთქი. ამიტომ ბევრ წყალს, ვიტამინებს ვსვამდი. ღვინოც მქონდა, რაც საავადმყოფოში დაშვებული არ იყო, რა თქმა უნდა. ჩემს მეგობარს ჩაკეტილი ჩანთით მოვატანინე, ვსვამდი დღეში 2 ჭიქას, ღვინო კარგია ბაქტერიების მოსაკლავად.

**ჩვენ ჩვენს სხეულებში ვცხოვრობთ.** ჩვენი სხეულები უნაკლო გამოგონებაა, თუ პატარა დაზიანება გაქვს და დატოვებ ისე, ყურადღების გარეშე, ის თვითონ დაიწყებს მორჩენას. თუ ვირუსია შენს ორგანიზმში, წარმოუდგენლად შესანიშნავია ის, თუ როგორ იქცევა შენი ორგანიზმი. ტემპერატურა შენი ორგანიზმის რეაქციაა. ვგიჟდები იმაზე, თუ როგორ შეუძლია სხეულს საკუთარი თავის მორჩენა. მე ვენდობი ჩემს სხეულს, რადგან ის უნაკლოა. წარმოიდგინეთ, ჩვენ ხელისგულისოდენები ვიბადებით, მაგრამ მხოლოდ საკვების მიღებით მივდივართ სრულყოფილებამდე. ამიტომაც მგონია, რომ უნდა გვიყვარდეს ჩვენი თავები, ის, რომ ცოცხლები ვართ, ეს ერთი და მეორე ის, რომ შეგვიძლია ეს სხეული გვქონდეს, რომელსაც ამხელა გონიერება აქვს, ამიტომ ვენდობოდი ჩემს სხეულს, ველაპარაკებოდი ჩემს სხეულს. ვეუბნებოდი: მადლობა, მადლობა-მეთქი... მე უბრალოდ ცოტას დაგეხმარები, საჭმელს მოგაწვდი, ვიტამინებს... ასე მივუდექი ჩემს სხეულს და გონებას. ცოტა ნარცისისტულია, მაგრამ ვეუბნებოდი: უნაკლო ხარ, ამიტომ მხოლოდ იმას მოგცემ, რასაც იმსახურებ, კარგ რაღაცებს... ასე ვფიქრობდი მიკროსკოპულ დონეზე...

**ჭიქა არც სავსეა და არც ცარიელი**

**ძალიან დიდი სტრესია სამყაროში.** ამ სტრესმა შეიძლება ბევრი კრიმინალი გამოიწვიოს. საქართველოშიც ასე მოხდა ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში. ავსტრალიის მოქალაქე[24] გარდაიცვალა. ის, რომ ადამიანებს სახლში გამოკეტავ ძალიან დიდი ხნით, უფლებას რომ არ აძლევ გარეთ გავიდნენ, აქედან მოდის სტრესი, ასე იჭყლიტება სამყარო... ვფიქრობ, რომ ყველაზე ღრმა და ბნელ კუთხეებთან მივდივართ.

ჩემზეც ძალიან იმოქმედა კოვიდმა, შეზღუდა ჩემი ცხოვრება. **იმ ადგილებში, სადაც დავდიოდი, ვეღარ მივდიოდი, იძულებული ვიყავი სახლში დავრჩენილიყავი. მივხვდი, რომ ძალიან ბევრი რამე მენატრებოდა, თუმცა გულწრფელად რომ ვთქვა, გამაძლიერა კიდეც. ახლა უკეთესად ვიცნობ ჩემს თავს. ფიზიკურადაც უკეთ გამოვიყურები, ვიდრე კოვიდამდე...** ვცდილობდი სულ დაკავებული ვყოფილიყავი, პატარა კვლევებს ვაკეთებდი ლიდერობაზე, მენეჯმენტზე, ეკონომიკაზე. მივხვდი, რომ შემიძლია დიდი პრობლემების გადაჭრის გზების მოძიება. ვიტყოდი, რომ ჩემს ფინანსებზეც უკეთესი გავლენა მოახდინა. მაგრამ ძალიან მწყინს, რომ ჩემი ოჯახის ნახვა ჯერ კიდევ არ შემიძლია, ვერ მივდივარ სახლში, ვერ ვმოგზაურობ. ჩემი მშობლები განქორწინების პროცესში არიან კოვიდის გამო, ადრე ბევრს მოგზაურობდნენ და ბევრად უფრო გახსნილები იყვნენ, ახლა ეს აღარ შეუძლიათ. ჩემს პატარა დასაც ვერ ვნახულობ. ემოციურად ეს ძალიან მიჭირს. მაგრამ იძულებული ვარ გავუმკლავდე.

---

[24] გულისხმობს ავსტრალიელ შანე ბრუკს, 31 წლის ქალბატონს, რომელიც საქართველოში ინგლისურს ასწავლიდა და 2021 წლის ივლისში თბილისში მოკლული იპოვეს.

8.

სახელი, გვარი: აჩიკო ლოგიცაძე

ასაკი: 34 წლის

პროფესია: ოპერის მომღერალი

საცხოვრებელი ადგილი: ბათუმი

ინფიცირების ადგილი და დრო: ნიუ იორკი, 04/2020

ჩაწერის ადგილი და დრო: ბაზილეა, 08/2021

ინტერვიუერი: მერი ქაჯაია

საერთოდ არაფერი არ ვიცოდი ამ ვირუსთან დაკავშირებით, იმიტომ რომ პირველივე ტალღაზე დამემართა და საქართველოს მოქალაქეების პირველ ასეულში ვიყავი, ვისაც კოვიდი დაუდასტურდა. საყოველთაო პანდემია მემგონი, გამოცხადდა 24 მარტს, ზუსტად აღარ მახსოვს, მაგრამ მე დამიდასტურდა 7 აპრილს რა... ესე იყო, გამოცხადებიდან 20 დღეში.

მე ვიყავი ნიუ იორკში, ლონგ აილენდში ვსწავლობდი კონსერვატორიაში მაგისტრატურაზე. სიმართლე რომ გითხრათ, სხვა ქალაქებში არ ვიცი, მაგრამ ნიუ იორკში იყო

ასე: მარტის თვეში რომ დავდიოდი აფთიაქებში და მარკეტებში, სანიტაიზერი, პირბადე, აი, ეს რაღაცები უკვე დეფიციტური იყო. იქ მე ვიგრძენი პანიკის საშიშროება, თუნდაც ტესტებთან დაკავშირებით. თითქოს ყველაზე მაგარ ქვეყანაში, სუპერ სახელმწიფოში ვიყავი ხო?.. ყველანაირი გაგებით, ვეთაყვანები ამერიკას, მაგრამ რაღაც დონეზე, მარტის თვეში მე ნიუ იორკში საერთოდ ვერ ვატყობდი, რომ დიდი დაცულობა იყო. საქართველოში უფრო მეტი ჩაკეტილობა იყო, უფრო მკაცრი კარანტინი გამოცხადებული (თუ გახსოვთ, ხალხი აღარ გადიოდა გარეთ). ჩვენ კი სწავლა თითქმის მარტის შუა რიცხვებამდე გვქონდა... ანუ არ მიგვრძვნია დაძაბულობა, უბრალოდ ვატყობდი ნიუსებიდან, რომ ნიუ იორკში უმძიმესი მდგომარეობა იყო (პირველ ადგილზე იყო ნიუ იორკი დაინფიცირებულებით და გარდაცვლილებით). მაგრამ თვითონ ეს პანიკა ვერ ვიგრძენი, უბრალოდ მივხვდი, რომ სახლში წავიდე ჯობია, რაღაც პრობლემა არ შემექმნას-მეთქი...

და წამოვედი სახლში, უახლოესი არა, მაგრამ უკანასკნელი რეისით...მერე აღარც იყო ფრენა...

* * *

ესე იგი, 24 მარტს წამოვედი ამერიკიდან. რა თქმა უნდა, მომიწია კარანტინის გავლა ერთერთ სასტუმროში, კახეთში, სადაც უკვე მე-4, მე-5 დღეს ვიგრძენი, რომ ყნოსვა და გემო დავკარგე. საერთოდ არ მიფიქრია, რომ კოვიდი მქონდა, ადრეც მქონია ძლიერი ვირუსის შედეგად ეგეთი სიმპტომი და დავაბრალე კონდიცირებას თუ რაღაცას... მოკლედ, მოვიგონე რაღაცები, კოვიდის გარდა ყველაფერს დავაბრალე.... მაშინ არც ვიცოდი, რომ კოვიდის ერთერთი

სიმპტომი იყო ეს. მერე დავრეკე რამდენიმე ექიმთან, 50/50-ზე მითხრეს, რომ მაინც უნდა გაიტესტო, ისე არ უნდა წახვიდე სახლშიო. რომ გავიკეთე ტესტი, მშვიდად ვაპირებდი მეორე დღეს ბათუმში წამოსვლას კახეთიდან. ღამის 3 საათზე კაკუნი იყო კარზე და ორი კოსმონავტი ქალბატონი დავინახე. ეს იყო პირველი შეხება მედიკოსებთან. მე ვუთხარი: შეგეშალათ, სხვაგან მოხვდით-მეთქი... არა, შენ ხარ გოგიტიძე, უნდა წამობრძანდეთო!.. სად-მეთქი?..

მოკლედ, არ ვიცი, **მაშინ ეგონათ, კოვიდი თუ დაგემართებოდა, გადადებული იყავი სხვა სამყაროსთვის და ვატყობდი ექიმებსაც, რომ პირდაპირ ვერ მეუბნებოდნენ რაში იყო საქმე.** უბრალოდ გადასხმას გაგიკეთებთ თელავშიო... თუ კოვიდი მაქვს, მითხარით პირდაპირ, რომ ჩავალაგო... აბა, ამდენი ჩანთა რათ გინდათ თელავში გადასხმას თუ მიკეთებთ-მეთქი... ხო კარგიო, ეგრეაო, ზოგი მართლა ემოციურად განიცდისო (მაშინ მართლა სიახლე იყო ეგ ამბავი).

ჩვეულებრივად ჩავალაგე, წამოვედი...

22 დღე გავატარე ინფექციურ საავადმყოფოში.

* * *

რომ გავიგე დაინფიცირებული ვიყავი, ვცდილობდი მაქსიმალური სიმშვიდე შემენარჩუნებინა. **მთელი გზა კოსმონავტებთან ერთად გავიარე,** დავუმეგობრდი, სახელები გავიგე, ეხლა მწერს ის ქალბატონი[25] (ნავალოვსკაიაა გვარად, სახეზე ვერ ვცნობდი), ფეისბუქზე მოვუძებნივარ: მე ის ვარ, პირველი შენი ექიმიო.

---

[25] გულისხმობს ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრის ექთანს ანა ნავალოვსკაიას.

**მარტოობის ასი წელი**

2 კვირა ვიყავი კახეთში, 22 დღე ვიყავი ინფექციურ საავადმყოფოში და ინფექციურიდან რომ გამწერეს, კიდევ 10 დღიან კარანტინში ვიყავი... და რომ გავიტესტე, ისევ დადებითი მიჩვენა. ესე იგი, სულ გამოვიდა, რომ **57 დღე ვიყავი მარტოობაში. მარკესი მახსენდებოდა, დავიწყე „მარტოობის ასი წელიწადის“ კითხვა, იმიტომ რომ შეიძლება ეს უსასრულოდ გაგრძელდეს-მეთქი, იმიტომ რომ 57 დღე მე მგონი, ძაან ცოტა ადამიანი იყო ასე დაკეტილი. იმიტომ რომ ახლა 2 კვირაში უკვე ყველა გარეთაა...** ჩემზე ისწავლეს მგონი ნელ-ნელა მედიკოსებმა. რაღაცას ამუღამებთ-მეთქი, – ვეუბნებოდი... მარა კაი იყო რა, რაღაც თავისი პლიუსები ჰქონდა. მაგალითად ის, რომ ხშირად არ მაქვს დრო, რომ დავუთმო თუნდაც წიგნს, კი ვარ დღე და ღამე თეატრში, მაგრამ არის პარტიები, რომლებიც სასწავლი იყო და დრო არ მრჩებოდა (აქაურობა, გარეთ ყოფნა არ იძლეოდა საშუალებას).

**ბევრი კარგი რამე ვისწავლე, საკუთარ თავთან მეგობრობა ვისწავლე, მეგონა, რომ სულ გავურბოდი საკუთარ თავს. თურმე ეგრეც არ ყოფილა,** იმიტომ რომ სიმართლე გითხრა, ძალიან ემოციური ადამიანი ვარ, მაგრამ მაგ ორი თვის განმავლობაში ნერვული შემოტევაც კი არ მქონია, იმდენად სტაბილურად ვგრძნობდი თავს... ალბათ მეგობრების, ყურადღების და ინტერნეტის დახმარებით.

**უნდა ვაღიაროთ, რომ ტექნოლოგიების საუკუნეში რომ არ ვყოფილიყავით, ძაან გაგვიჭირდებოდა.** ესე თამამად, ლაღად ვერ მოვყვებოდი ამ ორი თვის შესახებ. ინტერნეტი და სოციალური ქსელები და ეს კავშირი, რა თქმა უნდა,

მეხმარებოდა. არა მარტო ფილმების საყურებლად, არამედ გარე სამყაროსთან კონტაქტში. ინტუიციას ძაან ვენდობი და ვგრძნობდი, რომ არაფერი არ მომივიდოდა. მიუხედავად იმისა, რომ ძაან ბევრ ადამიანს შიში შევატყვე (რომ მირეკავდნენ ან თუნდაც, როცა მწერდნენ) ერთადერთხელ მოვიქეცი არაადაკვატურად ინფექციურ საავადმყოფოში და ძაან მრცხვენია: ბოქსირებულ პალატაში ვიყავი და ვმღეროდი თითქმის ყოველდღე. ბუშტების გაბერვის მაგივრად ვმღეროდი ოპერას. მე-12 დღე იყო თუ მე-13, ნუ, ძაან ისე, არაადეკვატურად მოვიქეცი, სამარცხვინოდ, გავუბრაზდი მედიკოსებს რაღაც ელემენტარულის გამო... და ნუ, რა თქმა უნდა, მეორე დღეს განყოფილების ხელმძღვანელი შემოვიდა, ქალბატონი მარინა ენდელაძე, რომელსაც ძალიან ვუმადლი და მითხრა, რომ გუშინდელზეო საერთოდ არ ინერვიულოო, იმიტომ რომ ეს არის ინფექციური საავადმყოფო და კოვიდსაც ახასიათებს ასეთი შემოტევაო. ნუ, არავისთვის არაფერი არ დამიშავებია, მაგრამ მე მივხვდი, რომ ძალიან ისე, ემოციურად, სხვანაირად ვიქცეოდი... 57 დღეზე რომ ავედი, მერე საერთოდ ნერვი აღარ მომშლია. ეს კრიზისები მქონდა 30-ე, 31-ე, 34-ე დღეებზე. 40-ს რომ გადაშორდა, მერე უკვე აღარ...

**გარეთ რომ გამოვედი, საერთოდ ადამიანების მეშინოდა, ლაპარაკს, ემოციებს, გამარჯობის თქმას გადაჩვეული ვიყავი...**

მე რომ თელავში მომაკითხენ და რომ წამიყვანეს თბილისში, როგორც კი დავწექი ინფექციურში, დავწერე დილის 7 საათზე სტატუსი, რაღაც რეკომენდაციები... მაშინ გამოცდილება არ იყო, რაღაც რჩევებს ვაძლევდი, აუცი-

ლებლად რომ უნდა გაიტესტო ელემენტარული სიმპტომის შემთხვევაშიც კი... არ უნდა დამალო... ტრაგიკულობა და ეს დრამატიზმი საერთოდ არ ახლდა ჩემს ისტორიას და ვცდილობდი, თუ სადმე ტელევიზიას ვერთვებოდი, თუ სადმე ვინმე მიყურებდა, მაქსიმალურად კარგი განწყობით ვყოფილიყავი.

**განწყობა ყოფილა ყველაფერი...** არ დამიჯერებს, შეიძლება, ბევრი, მაგრამ ეს განწყობა, ტვინი არის ყველაფერი!.. **შეიძლება დაგემართოს, მაგრამ შენ როგორ ებრძვი, ეს უკვე შენზეა დამოკიდებული.** მამაჩემსაც სჭირს ეხლა კოვიდი. ეს 2 წელია, არ დამართნია და ეხლა არის კოვიდ სასტუმროში მოთავსებული. ეხლა ბუშტის ბერვას და იმ სამედიცინო რჩევებს არ ვაძლევ. ვეუბნები, რომ **უნდა იცინო... მე ვმღეროდი და ვაცინებდი იქაც ექთნებს და ექიმებს და ყველას...**

* * *

ერთი შემთხვევა იყო, გამეცინა მერე ძაან, ვერ აღვიქვი სერიოზულად, ინფექციურში არასწორ კარებში შემიყვანეს, სადაც არ შეიძლებოდა ჩემი მოთავსება... რაღაცა მაგარ კარებში შევდივარ, ეს კათეტერი ხელში მიჭირავს და ვიღაც ექიმი კითხულობს: ეს ვინ არისო?.. ესო პაციენტია, კოვიდი დაუდასტურდაო!.. და იმან ისეთი იკივლა და ისე გამომაგდო იქიდან, **მეგონა კეთროვანი ვიყავი, ჩვეულებრივი კეთროვანი. მაგრამ მივხვდი რა, რომ არაფერი არ უნდა მეთქვა, გული დასაწყლებული მქონდა** და ვუთხარი: სადაც მეტყვით, იქ ამოვალ-მეთქი... ჩემით მომქონდა ის კათეტერი, ჩემს ჩანთას მე ვათრევდი, არავინ მეკარებოდა... ეს ჩანთა დავირტყი ნატკენ ფეხზე, დავკოჭლდი. მოკლედ, კოვიდს და ფეხს ერთად ვმკურნალობდი იქ.

ინფექციურში ძაან მაგარი ხალხი იყო, ძაან მაგარ ყურადღებას მაქცევდნენ!

მედიკოსებთან დავმეგობრდი, ძაან ახლოს ვიყავი, იმიტომ რომ იქ იყო შუშის კედელი, სადაც ეს კომოსნავტები არ შემოდიოდნენ. კოსმონავტები შემოდიოდნენ თვითონ პალატაში და იმ შუშის ფანჯარაზე ხუმრობით ხელს ვადებდი ისე, შეყვარებულებს რომ ელაპარაკებიან პატიმრები ციხეებში და მოკლედ საინტერესო იყო...

მეგონა, რომ ყველა მიყვარდა იქ, ვის სახესაც ვხედავდი ინფექციურში, ყველა მანდილოსნის მიმართ სენტიმენტები მქონდა... უკვე მეგონა, მთელ ცხოვრებას ვატარებდი ინფექციურში და ბარემ მეთქი, ერთი კარგი ეპიდომიოლოგი და ერთი კაი ინფექციონისტი ოჯახს (იცინის – მ. ქ.)... ამბობდნენ, დაიწერა პრესაში, რომ უყვარსო იქ ექთანიო... ისე მკითხა ჟურნალისტმა მაცდურად, რაღაც ისე ლაპარაკობ, მანდ ვინმე ხომ არ გიყვარსო და მე ვუთხარი, რომ გამორიცხული არაფერი არაა ცხოვრებაში-მეთქი. მეტი მართლა არაფერი არ მითქვამს და ყველა ბეჭდური მედია, ტელევიზიები გაიძახოდა, რო აი, კოვიდინფიცირებულს შეუყვარდა ექთანი და მე იქ უხერხულში ვიყავი. და მერე მითხრეს, რომ ეს შენ თვითონ თქვიო და მოკლედ, მთელი ამბები იყო და მშვიდობიანად დამთავრდა. მოკლედ, ბათუმში ვარ და ჯერ-ჯერობით არ მიქორწინია ეპიდემიოლოგთან.

* * *

ზარები იყო დაუსრულებელი, მარა ვპასუხობდი ძირითადად იმ ადამიანებს, ვინც პოზიტიურები იყვნენ, კაი ენერგეტიკის... ცრემლიანი თვალებით ვინც მირეკავდა, ვეუბ-

ნებოდი არ დამირეკო, სანამ არ მოვიხდი კოვიდს-მეთქი. მოქმედებდა, იმიტომ რომ შენ კარგად ხარ და იქ გონიათ, რომ უკვე... მოკლედ!

სერიოზული გამოცდლება მივიღე ისე. აქ ხან თეატრში, ხან სამეგობრო წრეში, საზოგადოებაში იმდენი კრიზისია, იმდენი კრიტიკული მომენტია, ადრე ყველაფერზე მქონდა საოცარი აღტკინება და აქ სიმშვიდე მოვიპოვე. სულ ვადარებ და დროს ვეღარ ვხარჯავ იმაზე, რაც სისულელეა. ერთი საათის მერეც ხვდები, რომ სისულელეა. აი, ის გამოცდილება მეხმარება რაღაცებში, რომ გადავაფასო... რა არის მნიშვნელოვანი, რაზე უნდა გქონდეს რეაქცია და რაზე არა, – აი, ესეთი რაღაცები მასწავლა.

მე მქონდა მხოლოდ გემოს და ყნოსვის დაკარგვის სიმპტომები, რაც ყველას უბრუნდება რატომღაც 1 კვირაში და 10 დღეში და მე 40 დღე არ დამიბრუნდა... ეგ არ ვიცი რატომ. პურ-მარილები მოდიოდა... აი, რა ვიცი როგორი, თბილისში საძმაკაცო მიგზავნიდა ნაირნაირებს და მე ვღეჭავდი რეზინას 40 დღე. ასოციაციებით ვგრძნობდი, რომ აი, ამ ხინკალს ალბათ ძაან მაგარი სუნი აქვს... ასოციაციებით ვიკვებებოდი 40 დღე... და რომ დამიბრუნდა, ვიყავი პატარა ბავშვივით ბედნიერი, იმიტომ რომ ძაან დისკომფორტია. მახსოვს, როგორ დამიბრუნდა, ძაან მძაფრი სუნამო მქონდა და რაღაც მკრთალად მოვიდა... მოდიოდა და ვატყობდი რომ ბრუნდებოდა და მერე სრულად დამიბრუნდა... ოღონდ 40 დღე რატომ არ იყო, არ ვიცი, რატომ გაგრძელდა არ ვიცი.

* * *

ჩემი დამსახურება არაა, რომ მყავს ძაან კარგი სამეგობრო როგორც თბილისში, ასევე ბათუმში. მეგობრებს

ვუხდი ძაან დიდ მადლობას!.. მე ბათუმში წამოვედი მერე, კოვიდი რომ მოვიხადე ეგრევე... საოცარი ბულვარი, საოცარი ადამიანები, რომლებმაც ძაან შემიმსუბუქეს მდგომარეობა და არაფერი მაგრძნობინეს... არადა, **რამდენიმეჯერ იყო, რომ შემხვდნენ თანაქალაქელები და გამარჯობის თქმა არ უნდოდათ. გაიწიეო, დისტანციაზე დადექიო... ეს ერთი-ორი ადამიანისგან ვიგრძენი და ვიფიქრე, ნუ ეხლა უნდა მეწყინოს ეგეთი რაღაც თუ მის შეგნებას დავაბრალო** და რაღაც... ისიც მახსენდება ერთი-ორი ადამიანი პირიქით, შემეცოდა. კარგია, რომ არ მომესალმა, მერე მე არ დამაბრალოს რამე-მეთქი.

გახსნილი ცხოვრებით ვცხოვრობ, ჩემნაირი გიჟები არიან ჩემი მეგობრებიც, ვიყავით ერთი ათკაციანი კლასტერი, რომლებიც ყველგან დავდიოდით ჩვენთვის, ვაწყობდით ივენთებს, ვერთობოდით და ესე გადავაგორე... იმდენ წვეულებაზე და იმდენ საგიჟეთში მოვხვდი, რომ... მაგი უფრო გამიჭირდა, ვიდრე ორი თვე მარტო ყოფნა.

ხო იცი, ქართველობა რთულია...

* * *

კოვიდი, რომ დავახასიათო... ეს იყო ცბიერი... აი, ცბიერი რამე, რომ ვერ ხედავ, რომ გეუბნება: აი, დაისვენე, დაწექი, არ იმოძრაო, შეწექი!.. თუ მოვდუნდებოდი, თან პირველ დღეებში ძილისკენ მივყავდი და თითქოს გეგონა, რომ კარგად იყავი, მაგრამ რეალურად შეიძლება უფრო დასნეულებულიყო ორგანიზმი. ვვარჯიშობდი კიდეც, ბუშტები არ გამიბერია. **ვმღეროდი, ვიცინოდი, ამ ექთნებთანაც რაღაცებზე ვღადაობდი ყველა სიტყვაზე. ცოტა შეიძლება**

**დარტყმული ვეგონე, მაგრამ მე მჭირდებოდა ასე, რა... რომ ეგ ცბიერი არსება აგრესიით კი არ დამემარცხებინა, არამედ ღიმილით რაა...**

არ გავუძალიანდი, წავყევი, წამოვყევი, მარა 2 თვე კი დამტოვა მარტო, უადამიანოდ და რა ვიცი.

ვირუსმა პლანეტაზე ყველა ქვეყნის ცხოვრება შეცვალა. რეალურად ამერიკაში ძაან მინდოდა ცხოვრება და რომ წამოვედი და გავჩერდი აქ ცოტა ხანი, უკან წასვლა აღარ მომინდა... ამას კორონას ვაბრალებ, იმიტომ რომ ეგ რომ არ მომხდარიყო, ისევ იქ ვიქნებოდი რა... რაღაცები მაინც, რომ გითხრა, წამართვა, უკანაც დამხია... რეალურად უფრო დიდი ნეგატივი მოუტანა როგორც ქვეყნებს, ასევე ინდივიდუალურად ადამიანებს.

* * *

**თეატრი როცა იკეტება ან ოპერა არ მუშაობს, მე მაშინ ვარ ცუდად...** მე მაქვს პატარა პრობლემები ცხოვრებაში (ანუ დიდ მასშტაბებს არ ვეხები)... **როდესაც მუსიკა ჟღერს, როდესაც ხელოვნება არსებობს და როდესაც საშუალებაა, რომ მაყურებელთან ვიკონტაქტო, გავიგონო მათი ტაშის ხმა და ვემსახურო იმას, რასაც საოპერო მუსიკა ქვია, ვარ კარგად.** სხვა პრობლემებს ვერ შევეხები...

ჯერჯერობით ჩემი სურვილი ისაა, რომ იარსებოს თეატრმა და მაყურებელი შეხვდეს მუსიკოსს.

9.

სახელი, გვარი: ალმუნა კალაკლოსიშვილი

ასაკი: 37

პროფესია: ექიმი

საცხოვრებელი ადგილი: აკაბიწყარო

ინფიცირების ადგილი და დრო: აკაბიწყარო, 04/2020

ჩაწერის ადგილი და დრო: ონლაინ, 08/2021

ინტერვიუერი: მერი ქაჯაია

როგორ დავინფიცირდი, ვერ ვიტყვი, იმიტომ რომ მართლა არ ვიცი. საავადმყოფოში ვმუშაობ და ამ ჩაცმულობით ყველანაირად აღჭურვილები ვიყავით, არანაირი ერთმანეთში მისვლა-მოსვლა, არანაირი შეხება არ მქონია, მაგრამ **ეს ისეთი უხილავი ვირუსია, რომ ვერავინ ვერავის ვერ შევატყვეთ – არც სიცხე მქონია, არც სიმპტომი მქონია, არაფერი...** წავიდა მასობრივი ტესტები მედპერსონალზე და დამირეკეს მეორე დღეს და მითხრეს, რომ გაქვს დადებითიო... არაფერი არ მჭირდა, მართლა არ მჭირდა, როგორც ეხლა უკვე დადგინდა, უსიმპტომო ვიყავი.

ყველაზე რთული დღე იყო ეგ, რომ დაგვიდასტურდა ყველას. ჩვენს შენობაში სასწრაფოც იყო იმ პერიოდში და რეალურად 22 კაცს დაგვიდასტურდა (მედპერსონალზე ვლაპარაკობ). ჩვენ ვიყავით 8 კაცი და დანარჩენი იყო სასწრაფოს თანამშრომლები. მძიმე იყო, მაგრამ განა ის ვიფიქრეთ, რომ ვაი, რამე დაგვემართება, არა!.. ნეტა, ვინმეს ხომ არ გადავდეთ?.. ვინმე პაციენტი ხომ არ არის ასეთი და ეგრეევე ყველა ისტორია ამოიკრიფა, ჟურნალები, რომ თუ ვინმე იყო იმ პერიოდში შემოსული, ყველას გაუკეთდა ტესტები და იყო მეთვალყურეობის ქვეშ ის ორი კვირა... ყველა გადარჩა და ძაან ბედნიერები ვიყავით მერე, მაგრამ ის პერიოდი იყო ძაან რთული, იმიტომ რომ ექიმისგან ვიღაცას რაღაცა რომ გადაედოს, გბრალდება შენ.

კარგი ის იყო, მე თუ მკითხავ, რომ საავადმყოფოში წამიყვანეს ის ორი კვირა, ყველანაირი გამოკვლევები გამიკეთეს, ყველაფერი იყო ისეთი, როგორც უნდა ყოფილიყო. დღეს ეგ არ არის. დღეს უკვე ვეღარა ძლევს სახელმწიფო და მე მესმის...

ვიწექი ორი კვირა. ორი კვირის მერე თვითიზოლაციაში გადამიყვანეს. მაგრამ ჩემს გარშემო ვინც იყო, ყველას ჰქონდა სხვადასხვა სიმპტომი, ბევრი იყო მძიმედ, ჟანგბადის უკმარისობაც ჰქონდათ. ბევრი ჩემზე ცოტა სუსტად იყო, ზოგი უკეთესად იყო, ანუ ყველაზე მსუბუქი ფორმა იყო ჩემი. ორი თანამშრომელი ვიყავით ეგეთი, ძაან მსუბუქად რომ ვიყავით, არაფერს რომ არ გვიკეთებდნენ. ერთადერთი ფრაქსიპარინი[26] იყო ჩვენი წამალი, იმიტომ რომ როცა არ მოძრაობ, სისხლძარღვებმა, სისხლმა მაინც უნდა იმოძრაოს

[26] სისხლის შედედების პროფილაქტიკისთვის საჭირო მედიკამენტი.

ძარღვებში. ეს იყო და ეს. დღესდღეობით, რასაც მე ვხედავ და რასაც მე ვმუშაობ, უფრო გაუარესებულია სიტუაცია.

მაშინ იცი, როგორი იყო ხალხი? **ეგონათ რომ დაინფიცირებულები ვამპირებივით ვიყავით და გვერდზე არავინ არ გვეკარებოდა...** ამან კოვიდი გადაიტანა და ვაიმე!.. გაიწია, არ შემხვდე... ეხლა უკვე ჩვეულებრივ მოვლენად იქცა კოვიდი და ალბათ ხვალ-ზეგ ისეთი თემა წავა, რომ ერთი ჩვეულებრივი ვირუსია, რომელიც გადაიტანა საქართველომ.

მე თვითონ ვცდილობდი, რომ ის ერთი თვე გარეთაც არ გავსულიყავი. ზოგადადაც ისეთი რეჟიმი მქონდა (სამსახური, სახლი), რომ დიდი ურთიერთობა არ მქონდა არავისთან... მაგრამ **გულდასაწყვეტი იყო თითის გამოშვერა, რომ ამან კოვიდი გადაიტანა და ძალიან სტრესი გადავიტანეთ მაგ პერიოდში...**

მერე ისიც სტრესი იყო, ვინც ოჯახში ვიყავით ყველა კარანტინში რომ გადაგვიყვანეს. **აგვკრიფეს სახლიდან და გაგვიყვანეს. მძიმედ გადიტანეს პატარა ბავშვებმა, ჩემს შვილებზე ვამბობ, ძალიან ცუდად გადაიტანეს, იმიტომ რომ დედა იქით, მამა აქეთ, ბავშვები ბებიასთან და რაღაცა სასწაული მოხდა. ერთი თვე ვიყავით კოშმარში, კოშმარში!..** და ხალხიც ისეთი იყო: აი, რატომ დაინფიცირდითო?!. საავადმყოფო დაინფიცირდა და ხალხმა რა ქნას?.. არადა, პირიქით, იმდენი ვქენით და იმდენი გავაკეთეთ მედპერსონალმა, რომ 5-6 ვიყავით დაინფიცირებული, მაგრამ ჩვენგან არც ერთი პაციენტი და არც ერთი ოჯახის წევრი არ დაინფიცირებულა.

**ჩვენს საავადმყოფოს რაც შეეხება, მსოფლიომაც არ იცოდა როგორ ემართა ეს ამბავი, არამც თუ თეთრიწყა-**

**რომ...** თუმცა ხალხისაც მესმის, იმიტომ რომ ვერ მიხვდნენ რა მოხდა, უცბად აეგრე, ბუფ!.. და კვდება ადამიანი, სხვა არაფერი იცოდნენ. მეტი არაფერი იცოდნენ.

არც დღეს სჯერათ, იმიტომ რომ რავი, თავიდან მეც ისე გადავიტანე, რომ მართლა არ მეჯერა, მართლა გეუბნებით... **როგორც მედპერსონალს მართლა არ მეჯერა, ჩემ გარშემო მყოფები რომ არ მენახა, თორემ პირადად მე არაფერი გამრთულებია.** რისთვის დამკეტეთ-მეთქი? – ვკითხულობდი, ექიმებს ვეკითხებოდი, – რისთვის ვარ აქ, ფილტვებში დაზიანება არა გაქვსო, სისხლში არაფერი არა გაქვსო, იქ არაფერი, აქ არაფერი, სიცხე არა, თავის ტკივილი არა, არაფერი არაო და რისთვის ვიჯექი საავადმყოფოში, არ ვიცი ორი კვირა. ორი კვირა იყო მაშინ, ორი კვირის მერე გადამიყვანეს სასტუმროში. **ერთი თვის განმავლობაში ოჯახზე ვიყავი მოწყვეტილი რა.**

ფსიქოლოგიურად, ფსიქიკურად მემგონი, შეშლილი ვიყავი ის პერიოდი. ძალიან ემოციურად შევხვდი ამ სიტუაციას, იმიტომ რომ იმდენად დარწმუნებული ვიყავი, რომ არაფერი არ უნდა მქონოდა. ვიცოდით სიმპტომები და ყველაფერი და რომ დამირეკეს და დადებითი ხარ, მობრძანდით, უნდა წაგაბრძანოთ ქალბატონოო, – ვტიროდი, რაც მართალია მართალია!.. განა იმიტომ რომ შემხვდა?.. იმიტომ რომ არაფერი არ მჭირდა და ვერ ვხდებოდი... მერე უფრო ფსიქოლოგიურად იმიტომ დავიძაბე, რომ ოჯახი წაიყვანეს სასტუმროში, ეგრე ცარიელა დატოვეს სახლი, დაკეტეს და რაღაცა. აი, ბავშვების მომენტიც იყო, რომ გინდა თუ არა, სასტუმროში უნდა წაეყვანათ. ჯერ გატესტვა, მერე სანამ პასუხი მოვიდოდა მაგათი, მერე სანამ წაიყვანეს და ერთი

სიტყვით, იმათი ორი კვირა უფრო რთული პერიოდი იყო ჩემთვის, ვიდრე ჩემი 1 თვე იქ წოლა, კოვიდზე საერთოდ არ მიფიქრია.

* * *

ინფორმაცია ყველას გვაქვს აცრასთან დაკავშირებით, ყველამ ყველაფერი კარგად იცის, მაგრამ ბევრი არის რომ (არავის შეურაცხყოფას არ ვაყენებ საერთოდ) არ უნდა რაა... როგორც ეროვნება გვაქვს, როგორც ქრისტიანობა გვაქვს, სიტყვაზე ვამბობ... ვიღაცას ქრისტიანობა უნდა, ვიღაცას ეს უნდა, ვიღაცას ის უნდა. ამიტომ ვერავის ვერ ეტყვი ვერაფერს. ეგრე ტრენინგზე ყველას ერთს გვეუბნებიან და ვისაც როგორ უნდა ისე იგებს. ხომ მართალი ვარ? **ადამიანი რომ გეტყვის, პირბადე ატარეო და მოიხსნი და მაინც ისე დადიხარ!.. და რომ ეუბნები, არ გახვიდეთ, დაინფიცირებული ხართ და სახლიდან გარეთ არ უნდა გავიდნენ გარშემო მყოფებიც, იმიტომ რომ კონტაქტია, გაიხედავ და მაღაზიაში დადის. არ ესმის და მაშინ უნდა დაიჭირონ, ხო ეგრეა?.. და ეს რომ დაიჭირონ, წავა მერე უკუღმა ყველაფერი და აირევა მთელი ქვეყანა და მარტო საქართველო არ არის ეგრე...**

* * *

თეთრიწყაროს მხარეში 80% ქართველები არიან, 20%-30% – არაქართველი, თუმცა იმათაც იციან ქართული ლაპარაკი. იმას ვერ იტყვი, რომ ვინმემ რამე ვერ გაიგო, ეგ არის ტყუილი!.. მეორეც კიდევ, ისეთი თემა, რომ ძაან მცირეა მედპერსონალი ანუ ექიმები იმდენად არ ყოფნიდათ, რომ იქაც იყო, აქაც იყო მოდებული. მაშინ ერთი

ექიმი უნდა ჩაკეტო იმ რაიონში და რაიონიდან არც უნდა გავიდეს, არც უნდა შემოვიდეს და არც ვირუსი შევიდოდა და გამოვიდოდა... ხომ მართალი ვარ?.. ანუ, მარნეულს უჭირდა და შეზღუდვები არ მიიღეს და წამოვიდა მერე ჩვენ-სკენაც. წამოვიდოდა, იმიტომ რომ ბევრს არ სჯეროდა: რა ვირუსი, რის ვირუსიო!.. მაინც გადადიოდნენ ქალაქში, დადიოდნენ ჩვეულებრივად და წამოვიდა რა...

პირველ რიგში ჯანდაცვამ და დაავადებათა კონ-ტროლმა დაიწყო ჩვენთვის ტრენინგების ჩატარება, რა თქმა უნდა, ლაივით. რავი, ჩვენთან ესე იყო და დარწმუნებული ვარ, ყველასთან ესე იქნებოდა, იმიტომ რომ თეთრიწყა-რო ჩვეულებრივი ერთერთი რეგიონია, ხო?.. ყველაფერი იყო გათვლილი, აი, მძიმე-წერტილით გვასწავლეს რა უნ-და გვეკეთებინა, მარტო ჩვენ თავზე არა, ყველასთვის და თუ სადმე, ვინმესთვის რამე შეგვეძლო გვეთქვა გარშემომ-ყოფებისთვის, პაციენტებსაც, სულ ყველას ვეუბნებოდით ყველაფერს... ხელების დამუშავებაა, ისაა, ესაა... მარტო ჩვენთან რომ შემოდიხარ, მაშინ კი არ გინდა, რომ გადიხარ, ჯიბეშიც უნდა გედოს... რომ მეტალზე ყველაზე დიდი ხნით რჩება და ამიტომ ყოველთვის უნდა დაიმუშაონ ხელები და რავი... ეგ ინფორმაცია წამოვიდა და წამოვიდა, მერე ტელევიზიაშიც იყო და ყველგან ეგ გვესმოდა, სადაც ფეხს გადავდგამდი.

ტესტირება მაშინ არ იყო. ტესტზე ვიხვეწებოდით. მაშინ ჯერ ისეთი დაულაგებელი იყო მაგ მხრივ, იმიტომ რომ ვერ გაერკვიათ, რა უნდა გაეკეთებინათ თვითონაც. ამიტომ ვერავის ვერ დაემდურები ამ შემთხვევაში.

ჩვენთან როგორ იყო: ვიყავით ერთჯერადი ხალათებით, ბახილებით, ხელთათმანებით, ნიღბებით, სადეზინფექციო ხსნარები გვქონდა ყველგან, ანუ მუშავდებოდა კაბინეტები ყველგან დილით და საღამოთი. ხოდა, რავი, ოჯახში როგორ ვიყავით: შემოვდიოდი, ჯერ აბანოში შევდივართ, ამ შემთხვევაში, ყველაფერს იხდი, მუშავდება ყველანაირად ხელი რასაც ეხება... მერე შედიხარ ოჯახში, სხვანაირი გზა არა გაქვს... ყველაფერი უნდა დაამუშაო, სადეზინფექციო ხსნარს სახლში ვერავინ ვერ მოგიტანს, ისეთი სიძვირეა და ამიტომ ქლორი არის ჩვეულებრივი, ერთერთი მშვენიერი საშუალება. რავი, ჯვარი წერია ჩემს ოჯახს, დღემდე ყველა ჯანმრთელი მყავს, ჯერჯერობით. ჩემ გარდა (იცინის – მ. ქ.)... ერთი მე ვერ დავიცავი თავი, თორემ დანარჩენი ყველა კარგად არის.

* * *

**ძალიან აგრესიული ვირუსია, ძალიან აგრესიული, იმიტომ რომ პაციენტები შემოდიან, არაფერი არ სჭირთ, ჩვენ თვითონაც რომ ვბრაზდებით, რომ ნეტა რად უნდოდა დაწოლა ამის გამო და უცბად ისე დამძმებულა, რომ მერე უმართავი ხდება... ანუ რა ძლიერი ანტიბიოტიკიც გინდა გააკეთო, ის თავისას მაინც შვრება. ძალიან უმართავი ვირუსია** და ვერ გაიგებ ვის რა მხრიდან აქვს დაავადება (ანუ მარტო ფილტვებზე არ არის ლაპარაკი). ადამიანი ზოგჯერ ისე გეცლება თვალსა და ხელს შუა, რომ ვერ ხვდები რა ხდება. აი, იყო დღეს კარგად, ხვალე იქნება 40 სიცხით, ზეგ კარგად არის... იტყვის, რომ ვსიო, გამწერეთ!.. რა გამწერეთ?!. შეიძლება მერე ისეთი ქნას, რომ აპარატზეც მოგიწიოს გადართვა. ეხლა პატრონს რომ ელაპარაკებიან და კარგადა

ვარ და ეხლა გამწერენო და მეორე დღეს იგეგს ის პატრონი, რომ ძაან მძიმედაა, აპარატზე შეერთდა... უკვე ჰგონია, რომ ექიმი არაფერს არ აკეთებს და ეგრე არ არის, მართლა!..

**ძალიან უმართავი ვირუსია, უმართავი ვირუსია, თორემ მართლა მსოფლიო ესეთ დღეში ვერ ჩავარდებოდა.**

* * *

ჩემი ცხოვრება როგორ შეიცვალა და ვიყავით ძალიან აქტიურები და მეგობრულები, სულ ერთად ვიყავით მეგობრები... ან იმასთან ვიყავით ან ჩვენთან იყვნენ. ძალიან აქტიური ხალხი ვიყავით და უცბად, „ვდრუგ“ და... მარტოები ვართ სახლში, ეგ არის, სხვა არაფერი... ანუ ურთიერთობა აღარ არის ხალხთან, ახლო ურთიერთობა, თორემ ტელეფონებით და ისე გრძნობებით არავინ არ დამვიწყებია და არც არავინ არ დამავიწყდება არასოდეს.

ყველასთან იგივენაირი ურთიერთობა მაქვს, იმიტომ რომ **ვინც ჩემ გარშემო არის, თითქმის ყველამ დაიჯერა, რომ არის კოვიდი...** არანაირი ურთიერთობა არ შეგვცლია... ერთადერთი, რომ ვერ ვხედავთ ერთმანეთს რა... დანარჩენი არაფერი არ შეცვლილა ისეთი.

10.

სახელი, გვარი: ანონიმური

ასაკი: 62

სამუშაო ადგილი: ეროვნული ბანკის ანალიტიკოსი

საცხოვრებელი ადგილი: ბაკური

ინფიცირების ადგილი და დრო: ბაკური, 04/2020

ჩაწერის ადგილი და დრო: ონლაინ, 09/2021

ინტერვიუერი: მერი ქაჯაია

კოვიდი რომ პანდემიად გამოცხადდა, ვიცოდით, რომ იყო ესეთი ვირუსი, რომელიც, რა თქმა უნდა, არც შესწავლილი არ იყო. მეცნიერებმაც არ იცოდნენ რას გამოიწვევდა, მაგრამ იყო ძალიან გადამდები, მოსაფრთხილებელი. სამსახურში ჩვენ ჯგუფებად დავიყავით, ორ სმენად და ასე დავდიოდით, საზოგადოებრივი ტრანსპორტით არ ვსარგებლობდით, საკუთარი ტრანსპორტი დაიქირავა ჩვენმა სამსახურმა და ყველაფერი ამის მიუხედავად, მოხდა ჩვენი დაინფიცირება.

ფულით რომ გადმოსულიყო ეგ გამორიცხულია. თავიდან კი გვეგონა, რომ მარნეულში იყო ეპიდ-აფეთქება და იქიდან შემოტანილ ფულს შემოჰყვა, მაგრამ მერე დავრწმუნდით, რომ ფული არაფერ შუაში იყო. **ამიტომაა ეს ოხერი ვირუსი ვერაგი, საიდან შემოგეპარება, ვერ გაიგებ.** ყველანაირად ვცდილობდით, რომ დაგვეცვა თავი, მაგრამ ვერ გეტყვით როგორ, რანაირად მოხდა ესე. დღემდე არ ვიცით, როგორ და საიდან შემოგვეპარა.

რა თქმა უნდა, თავიდან უბრალოდ ყნოსვა და გემო დავკარგე, წაკითხული მქონდა, რომ შეიძლება ეს ყოფილიყო კოვიდის ერთერთი სიმპტომი. მე მაშინვე ვთქვი, რომ აი, ყნოსვა და გემო დავკარგე და მოხდა ჩვენი იზოლაცია. **მე ვიყავი პირველი.** ეს სიმპტომი უბრალოდ აღვნიშნე, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მერე ზოგს სიცხე ჰქონდა, ზოგს მცირედი ხველა, მაგრამ **არ ვიყავით გათვიცნობიერებული ამ კოვიდში**, ასე ვთქვათ, რა ვიცი...

კვირას, სხვათაშორის, სადილს ვამზადებდი და მწვანილი რომ დავჭერი, სუნი არ მეცა და ჩემს რძალს კიდეც ვუთხარი, – კაცო, ამ მწვანილებს არანაირი სუნი არ აქვსმეთქი!.. კი, როგორ არაო!.. ნუ, რა ვიცი, არ მივაქციე ყურადღება. მერე ორშაბათს, სამსახურში, როგორც კი გავხსენი ეს საინფორმაციო ამბები და წავიკითე, რომ შეიძლება ყნოსვის და გემოს დაკარგვა ერთერთ სიმპტომად დასახელდეს, ხელმძღვანელთან გავიქეცი იმ მომენტშივე და ვუთხარი: გიორგი, მგონი დავიღუპეთ, მე კოვიდი მაქვს ალბათ-მეთქი...

შემდეგ დარეკეს ეპიდომოლოგიურ სამსახურში, ყველაფერი გამომკითხეს, სასწრაფოც გამოვიძახეთ... საღამოს

დიარეა დამეწყო და დავაბრალე სედაქსინს, პრეპარატს ვღებულობ ხოლმე შიაგაშიგ და ამ დროს, თურმე, ყოფილა კოვიდის ბრალი. მითხრეს, რომ მოწამლვაა ჩვეულებრივი, მეტი არაფერი, ხელის გულებზე ცოტა მაღლა პატარა, წვრილი გამონაყარიც მქონდა... მერე მე მაინც სახლში უნდა წავსულიყავი, ეს დანარჩენები იზოლაციაში წავიდნენ, სასტუმროები იქირავეს და იქიდან დადიოდნენ სამსახურში, რომ ოჯახის წევრებს არ გადადებოდათ. მე ჩემს ოჯახში ვიყავი ჩვეულებრივად აქეთ და მთელი 10 დღე სახლში ხომ ვიყავი (საავადმყოფომდე), არანაირად არ ვერიდებოდი შვილს, რძალს და ორ შვილიშვილს, ერთად ვცხოვრობდით ოროთახიან ბინაში და საერთოდ, არც ერთს არ გადადებია. არც პირბადე მეკეთა სახლში, ერთ მაგიდაზე ვსადილობდით, სველი წერტილიც საერთო გვქონდა... არ გადადებია ჩემი ოჯახის წევრებს.

სახლში ვიყავი 10 დღის განმავლობაში, ექიმთანაც ვიყავი, სასწრაფო გამოვიძახეთ, მოწამლვა ეგონა ყველას, გამონაყარიც მქონდა და არ ჩათვალეს საჭიროდ მაშინ პსრ ტესტის ჩატარება, რადგან უცხოელებთან კონტაქტი არ მქონდა, თუმცა კი ვამბობდი, რომ **ალბათ აუცილებელი იყო ჩვენთვის პსრ ჩაეტარებინათ, ესეთი სავალალო შედეგი არ მოხდებოდა. ერთერთი თანამშრომელი, საუკეთესო თანამშრომელი დაგვეღუპა და ამან ყველაზე ძალიან იმოქმედა.** როცა ეს ჩვენი თანამშრომელი სიცხიანი იწვა საავადმყოფოში, ჩვენმა ხელმძღვანელობამ დაჟინებით მოითხოვა, რომ მისთვის ტესტი გაეკეთებინათ და მას დაუდგინდა ეს კოვიდი. ნუ ეხლა, შეშინებით არ შემშინებია, მე პირადად, იმიტომ რომ ჩემში იმდენად სუსტად

მიმდინარეობდა, სიცხეც კი არ მქონდა, მაგრამ რომ დამ-ძიმდა და აპარატზე შეაერთეს, აი, იმის მერე, ჩემს თავს, ჩემს მდგომარეობას არაფრად არ ვაგდებდი, მხოლოდ მას-ზე ვფიქრობდი, რომ ის ყოფილიყო კარგად. სამწუხაროდ, ვერ შეძლეს მისი გადარჩენა და ამან ჩემზე ძალიან დიდი კვალი დატოვა, რა თქმა უნდა, უარყოფითი. ისევე როგორც ყველა ჩვენს თანამშრომელზე.

* * *

ფიზიოლოგიურად კოვიდი ჩემში ძალიან სუსტად მიმდინარეობდა, მე-4 ხარისხის დაზიანება მქონდა და მოვ-ხვდი რატიანის კლინიკაში, ძალიან დიდი ყურადღება მექ-ცეოდა. რა თქმა უნდა, (ექიმები) სკაფანდრებში იყვნენ გახ-ვეული. რომ ვთქვა, ამან დამძაფრა – სრულებითაც არა, ვიცოდი, რომ ასე იყო საჭირო. უბრალოდ **მეცოდებოდნენ ამ სიცხეში როგორ იტანდნენ ასეთ შეფუთვას, აი, მართლა არ ვიცი, მართლა გმირობის ტოლფასი კი არა, შედარება ვერ მომყავს... რამე შესაფერისი სიტყვა, ჩვენს ექიმებს რომ შეეფერება...**

გამოვჯანმრთელდი, რა თქმა უნდა, გართულებების გარეშე, მაგრამ ფსიქოლოგიურად ძალიან დიდი სტრესი მივიღე. სამსახურში გამოსვლამ მიშველა, გამომიყვანა მდგომარეობიდან... **მზე რომ ამოდიოდა, იმასაც ვნერვიუ-ლობდი. არ მინდოდა, მერჩივნა წვიმა ყოფილიყო, ქარიშხალი, აი, ეგეთი კატაკლიზმები უფრო მერჩივნა, ვიდრე კარგი ცხოვ-რება. დეპრესიული გავხდი.**

კოვიდის დროს იმდენად ფიზიკურად არ ვიყავი მე ცუდად, რამდენადაც ფსიქოლოგიურად. დღემდე ასე ვარ და ალბათ, სიკვდილამდე ვერ დავივიწყებ, რომ სიცოცხლით

სავსე ადამიანი (მართალია 65 წლის, მაგრამ ყველანაირად კარგი, ყველანაირად დადებითი, ერთი უარყოფითი მხარე არ ჰქონდა), დავკარგე... პირადად მას (გარდაცვლილ თანამშრომელს) ვუკავშირებ ამ მდგომარეობას. ჩვენი თანამშრომელი რომ იყო მძიმე მდგომარეობაში, 70 დღე რეანიმაციაში იწვა საცოდავი, შეერთებული აპარატზე. აი, ეს ყველას გვთრგუნავდა, რომ ვიცოდით გვეღუპებოდა კარგი ადამიანი და ვერ ვშველოდით, ეს იყო ძალიან მძიმე ყველა ჩვენთაგანისთვის... ძალიან მძიმედ გადავიტანეთ მისი დაღუპვა, ვერც გადავიტანეთ, დღემდე გვგონია, რომ აი, აქ არის სადღაც და უნდა მოვიდეს.

**ალბათ, ყველას ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა, სამწუხაროდ. ვცდილობ, მაგრამ აი, ინტერესი აღარ მაქვს არაფრის მიმართ.** ძალიან მიკვირს იმ ხალხის, ვინც გამდიდრების მანიით არიან შეპყრობილი. აი, არ ვიცი, **ოცნებაც კი აღარ დამიტოვა ამ ვირუსმა. აი, როგორ გითხრათ, არანაირი ცხოვრების ხალისი აღარ გამაჩნია. ერთადერთი შვილების და შვილიშვილების გამო ვიღიმი და ვცდილობ მოვაჩვენო თავი ხალისიანად**.

თითქოს ვგრძნობ, რომ რაღაცა არასასიამოვნო ხდება ჩემს ორგანიზმში... თუმცა, მიუხედავად იმისა, კიდევ გიმეორებთ, არანაირი გართულება, არც სიცხე მქონდა, ხველაც როგორი იცი? ათასში ერთხელ, შიგადაშიგ წამომახველებდა. ანალიზების პასუხი, ყველაფერი ძალიან ნორმაში მქონდა, მაგრამ თითქოს კუთხეში, ორგანიზმის რომელიღაც კუთხეში მიმალულია და მემუქრება, რომ აი, რაღაცა უნდა დაგმართოსო... იცით, რაზე ვიგრძენი – აი, კანი, ხელებს რომ ვუყურებდი, 90 წლის მოხუცებულისა მეგონა, ჩემს კანზე იმოქმედა ძალიან, დამინაოჭდა ხელები, კანი მძვრებო-

და თითქოს, თითქოს კი არა მართლა მძვრებოდა, ამას კი ვხედავდი რეალურად.

* * *

ავადმყოფობის შემდეგ სამსახურიდან იყო ზარები და მთხოვდნენ, რომ გავსულიყავი, იცოდნენ ჩემი მდგომარეობა, ძალიან ცუდად ვიყავი. საპასუხისმგებლო სამსახური მაქვს, ბანკში ვმუშაობ და ვპასუხობდი: შევხედავ ჩემს თავს, თუ ვერ შევძლებ, უარს ვიტყვი-მეთქი... მე თანხებთან მაქვს ურთიერთობა... მაგრამ, როგორც კი სამსახურში მოვედი, პირველსავე დღეს, აი, როგორც თევზი წყალში, ისე ვიყავი, ანუ ის ჩემი ფიქრები, პრობლემები, ყველაფერი ამომივიდა თავიდან, გადავერთე მთლიანად სამსახურის საქმეებში და ნელ-ნელა, ნელ-ნელა საერთოდ გამოვედი მდგომარეობიდან.

11.

სახელი, გვარი: ანონიმური

ასაკი: 26

საცხოვრებელი ადგილი: ზაგუმი

ინფიცირების ადგილი და დრო: ზაგუმი, 04/2020

ჩაწერის ადგილი და დრო: ზაგუმი, 08/2020

ინტერვიუერი: მერი ქაჯაია

კოვიდის შესახებ ტელევიზიიდან ვიცოდი რაღაც-რაღაცები, მაგრამ ასე უცებ რომ დამატყდებოდა და ჩემს თავზე ამ ყველაფერს გავივლიდი, არ მეგონა... როგორც გინდათ ისე ჩათვალეთ, მაგრამ აქ, აჭარაში გავიგეთ, რომ პირველი ინფიცირება იყო ქობულეთში. იქედან წამოსული უკვე ვხვდებოდი, რომ ეს უნდა გამევლო ანუ ეს კოვიდი, ეს ყველაფერი, ეს ვითარებები... წინაშეგრძნებები მქონდა და სახლში რომ ვამბობდი, – კაი, თავს ნუ იწყევლი, რას ამბობო... მაგრამ მე მაინც ვიცოდი, რომ ეს უნდა გამევლო, დღეს იქნებოდა თუ ხვალ. ჩემს თავს წინასწარ ვამზადებდი, მაგრამ რაღაცნაირად მაინც აღმოჩნდა შოკისმომგვრელი, იმიტომ რომ იქამდე სასწრაფოს მანქანა რა იყო, არ ვიცო-

დი... **მე და დედაჩემი რომ მივდიოდით, გზაში დედაჩემი მეუბნებოდა: რას მოვესწარი, სასწრაფოს მანქანითაც ვიმგზავრეო. ჩემთვის ეს იმდენად რთული აღსაქმელი იყო... თან, რომ ვიცოდი იქ მარტო უნდა ვყოფილიყავი, ოთახში ჩაკეტილი.**

ინფიცირება სად მოხდა და... იმ ოჯახთან მქონდა კომუნიკაცია, ვისთან ერთადაც ვიყავი რა. ბოლო დღეებში ყავა დავლიეთ, იგი აგი და... ჰქონდათ კოვიდი ეტყობა და არ იცოდნენ.

ერთვება დედა:

მეზობლებს, რომელთანაც დაინფიცირდა „ს...“, სიცხეები ჰქონდათ, ოჯახის უფროსებს – ბებიას, ბაბუას... და დაუდასტურდათ კიდეც. მე ვიცოდი, რომ ბავშვს კონტაქტი ჰქონდა მათთან და დავიჯინე, რომ ანალიზი გაკეთებულიყო. გავიკეთეთ ეს ანალიზი. მთელმა ოჯახმა გავიკეთეთ და აღმოაჩნდა მხოლოდ „ს...“ და მაგიტომ წაიყვანეს, თორემ სიმპტომებიც არ ჰქონია საერთოდ.

ტელევიზიიდან ვღებულობდით ინფორმაციას თუ რამდენად საშიში იყო ვირუსი. სხვათაშორის, ყველაფერს ვაკეთებდი, ვინმესთან არც გადავდიოდი იმ ბოლო ხანებში, უკვე მეზობლებსაც მოსვლა ავუკრძალეთ, ის პირველი პერიოდი, ეტაპი, იყო ძაან საშიში ყველასთვის. შოკისმომგვრელი იყო, რომ ეს იყო რაღაც სასწაული ვირუსი, რომელიც მომაკვდინებელია... დღესაც ასეა, მაგრამ დღეს იმდენად არ აქცევენ, მე ასე ვფიქრობ, ყურადღებას, რამდენადაც ის პირველი ეტაპი იყო მძიმე.

ძაან ცუდად ვიყავით, ბავშვი მარტო მიყავდენ, მე არ მივყავდი. მე ვუთხარი, რომ ეს ბავშვი არის შეზღუდული

შესაძლებლობის მქონე და მარტო ყოფნა არ შეუძლია, არასდროს არ დამიტოვებია მარტო. სასწრაფოს არ ვატანდი ბავშვს. თუ წაიყვანთ, მეც თან გავყვები და ჯანდაცვის სამინისტროშიც გადავარეკინეთ, ჩვენი ოჯახის ექიმთან დავრეკეთ და რამენაირად მოვახერხოთ, რომ დედასთან ერთად იყოსო. ერთად ჩაგვიყვანეს, მაგრამ იქ, საავადმყოფოში ექიმმა არ დამრთო ნება, რომ ჯანმრთელს ვერაფრით ვერ შეგიშვებთ პალატაშიო. გამიკეთეს მეც ტესტი, მე არ აღმომაჩნდა, ხელმეორედ გამიკეთეს და რადგან კონტაქტი მქონდა შვილთან მთელი დღის განმავლობაში, იმიტომ გადამიყვანენ სასტუმროში.

ანონიმი:

**მე, ჩემი ცხოვრებიდან გამომდინარე, რაკი შეზღუდული შესაძლებლობის პირი ვარ, მარტოობას მიჩვეული არ ვარ. კიდევ ბევრჯერ მითქვამს და გავიმეორებ, მე დაავადებამ იმდენად არ შემაშინა, რამდენადაც სიმარტოვის გრძნობამ. რომ წარმოვიდგინე, რომ იქ ვიქნები მარტო.** რა იყო იცი, როცა მღვიძავდა და ვლაპარაკობდი და ურთიერთობაში ვიყავი, მაშინ კარგად ვიყავი. მაგრამ... ვთქვათ შევდიოდი ოთახში და თვალებს დავხუჭავდი... სხვანაირად არ გამიგოთ, მაგრამ ზომბებივით ჩაცმული ექიმები რომ თავზე გადგას, ძნელია... 5-6 ექიმი რომ რაღაცას გიკეთებს... ან სასწრაფო რომ მოდის და ვინმეს რომ არ გატანებენ, არც დედას არც მამას... არავის არ გატანებენ... შენ უნდა წახვიდე და ის სახლში უნდა დარჩეს... და **მეთქი, მორჩა, კატასტროფა ხდება ჩემს თავს!.. სახლშიც არ მითქვია და შეგრძნება ისეთი მქონდა, ვსო, მე აქ უკვე დავამთავრე ცხოვრება-მეთქი,** – ვამბობდი.

დედა:

პირველივე წუთიდან, ბავშვს ვირუსი რომ დაუფიქსირდა, მაშინვე დავრეკეთ ჩვენთან სოფელში ირაკლი ტატიძესთან და თედო ტატიძესთან, სოფლის გამგებელთან. გვერდში დაგვიდგენ მართლა რასაც ქვია ბოლომდე, პირველი წუთიდან ბოლომდე გვერდში გვედგა ყველანაირად საავადმყოფოში, რაიმეს გადმოტანა თუ გვჭირდებოდა, სახლში პროდუქტი თუ გვჭირდებოდა.

ანონიმი:

ჯანდაცვას მე როცა ველაპარაკე, ზაალი ექიმმა[27] (ძაან გვერდში დამიდგა) მითხრა, რომ დედას გაგაყოლებ, ოღონდ შენ დამშვიდდი, დაწყნარდიო და იმით დავმშვიდდი და დავიწყნარე ნერვები, რომ თუ რამე, დედიკო იქნებოდა ჩემ გვერდით.

ჩემთან ერთად ჩემი მეზობლებიც წამოვიდნენ. ისე მოხდა, რომ ყველა ერთად დავინფიცირდით. ერთი ოჯახი წამოვიდა მთლიანად, ერთი პატარა ბავშვი გადარჩა მხოლოდ. იმ ოჯახთან ძაან ახლოს ვარ, ბავშვთან ვმეგობრობ კიდეც. რავი, თუ მოვკვდები, მაინც მაგათთან ერთად ვიყომეთქი და რა ვეხვეწე ამ ჯანდაცვის სამინისტროს და ზაალი ექიმს... როცა ერთად ხართ, მანდ უფრო მარტივად გადაგაქვს ავადმყოფობა... ხან ვთამაშობდით, ხან ტიკ-ტოკებს ვიღებდით, ხან რაღაცა... ისე გავიდა დრო, **ექიმებიც იცინოდნენ: აქო აჭარული უნდა გაცეკვოთ და ისე გაგიშვათ ბოლოსო...**

უბრალოდ, სტრესი იყო ეს წაყვანები და მარტოობის შიში, თორემ სხვა არაფერი.

---

[27] გულისხმობს ოჯახის ექიმს.

* * *

ძალიან მსუბუქი ვითარება მქონდა, ექიმმა რომ გამსინჯა: შენ უკვე მოხდილი გაქვს და რაღაც-რაღაც ნარჩენები გაქვსო. არ მქონდა არც ანთებები, არც არაფერი, ჩვეულებრივი ვირუსივით იყო. მე-7 დღეს რომ ტესტი ამიღეს, სისხლი სუფთა მქონდა.

**ექიმებს რომ ვაკვირდებოდი იმ პერიოდში, ერთი ექიმი იხვეწებოდა, სადღაც ისეთ ადგილას დავისვენებდე, სადაც ხე იქნებაო, ბუნებაშიო... ძალიან შემეცოდნენ... ექიმები აკეთებენ ყველაფერს, მათ რაც შეუძლიათ და შესაძლოა, რაც არ შეუძლიათ, ისეთ რაღაცებსაც.** არ ვიცი რამდენად... ბოლოს მეხვეწნენ, რამდენად გავიჭრათ არ ვიცითო, რაღაც-რაღაცებში თქვენც დაგვეხმარეთო. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის ბოლომდე დაიხარჯნენ, მადლობის მეტი არაფერი არ მეთქმის...

და კიდევ, **ვინც ამ ყველაფერს განიცდის, მხნეობა მინდა ვუსურვო და მოვუწოდო ყველას, მაქსიმალურად შევიზღუდოთ თავი სიამოვნებებისგან, სანამ ეს ყველაფერი ასე იქნება.**

ექიმები გვეუბნებოდნენ, – მთლადაც არ იწვეთო, ორგანიზმი არ მოადუნოთ ძაანო ანუ პალატებში იარეთო, ახლა ბევრ რამეს აქ ვერ გააკეთებთო, მაგრამ რაც შეგეძლებათ იარეთო... დამთრგუნველი ის იყო, რომ გვიწევდა ნემსების და რაღაცების კეთებები და შეგრძნება იყო ძალიან ცუდი. თორემ ღმერთს მადლობა, მე არც მიგრძვნია, რომ ვირუსი მქონდა. ისე მარტივად გადავიტანე, ასე ვფიქრობ, იგენთან შედარებით... ეხლა ექიმმაც ხომ ილაპარაკა ჩვენთან: იმ დონის პაციენტები მყავს აქ მიღებული და ქვემოთ კიდე, რეანომობილში ისეთები მიწევსო, თქვენ ხართო შეიძლება 1 და 2 პროცენტით ინფიცირებული მათთან შედარებითო.

არც ტკივილები მქონდა და არაფერი არ მქონია. ისე ლამაზად, როგორც ახლა ვზივარ და გელაპარაკები, ზუსტად ისე, არც არაფერი არ მქონია, უბრალოდ ტემპერატურა მაწუხებდა მხოლოდ 37 და ოდნავ მეტი, 37.3, 37.4-იც ფიქსირდებოდა. კიდე ბოლოს, წამოსვლის პერიოდებში (თან ექიმმა გამაფრთხილა, არ შეგეშინდესო, როცა იმუნიზაცია ებრძვის ამ ვირუსსო, ხდება ეგრეო) დამიფქსირდა 38 და რაღაც ხაზი... ზუსტად არ ვიცი. მე იმდენად შიშში ვიყავი და დათრგუნული, რო არც მეუბნებოდნენ რამდენი მქონდა, რომ მიზომავდნენ სიცხეს.

მე რატომ მეშინოდა ეხლა იმასაც აღვწერ, რომ მკურნალობ ადამიანი და რომ რაღაცას გადიხარ ხო, ანუ იცი, რომ იქ უნდა გამოჯანმრთელდე, იქ უკვე სიცხე აღარ უნდა მოგცეს... და რომ შევედი იქ გავიკეთე ეს ყველანაირი ანალიზი, ფილტვები ყველანაირად სუფთაააო, არანაირი ანთებები და რამე არ გაქვსო, მარტივი ამბავიაო. ცოტა იმან შემაშინა, თუ მარტივი ამბავია, სიცხეები რატო მაქვს?.. ეს სიცხეები რომ მაქვს, რაღაცა იწვევს ამას, ანუ რაღაცა არის და შესაძლოა ვერ ხვდებიან-მეთქი, – ვამბობდი რაა... მარა მერე ექიმმა დამამშვიდა... ძაან ისე მელაპარაკებოდა ის ექიმიც, ვინც მივლიდა, მართლა როგორ იცი... აი, დედა შვილს რომ მოეფერება და აქედან თქვენი საშუალებით მადლობა მინდა კიდე ერთხელ ვუთხრა იმ პერსონალს და თვითოეულ ექიმს, ვინც ჩემთვის ბრძოლობდა და გაძლიერება და მხნეობა მინდა ვუსურვო იმ ექიმებს, ვინაც კიდევ იმაზე უარესებს გადის ვიდრე მე გამოვიარე და ან გამომივლია როდესმე.

**კოვიდ ტრადიციები**

მე რაღაც **პანიკები დამრჩა** და თუ სადმე გავდივარ ან მოვდივარ, ხელებს ვისპირტავ. მამაჩემი და დედაჩემი მუშაობენ და იმათაც ვასპირტინებ. რა ვქნა, ვამბობ ამას და ეს დასამალი არაა, თუ ადამიანს ეშინია... **მეგობრები მცინიან ხოლმე, ნამეტანი დასტრესილი ხარო...** კი **არ მომწონს მე ეს ჩემში, მინდა რომ ეს დავამარცხო, მაგრამ ვერ ვამარცხებ.** ჩემი ბიძაშვილები და ისინი რომ მოდიან, ვეუბნები, რომ სახლში თუ ვერ ძლებთ, გინდა არ გინდა გადიხართ, შემოდიხართ, დისტანცია მაინც დაიცავი, ხელების დაბანაა თუ დასპირტვაა თუ ელემენტარული რაღაცა – გააკეთეთ. მე რომ ამას ვამბობ, ბევრი იცინის: არაა ამხელა ემოცია საჭიროო... მარა, მაინც მაქვს, რა ვქნა.

ემოციები მქონდა (სახლში რომ გამოვედი, მერეც) ძლიერი, სულ ზევით ვინც ცხოვრობს, იმანაც მელაპარაკა: იმ დონეზე ემოციები გქონდა და იმ დონეზე კიოდი, მეგონა ვიღაც მოკვდაო... ჩამოსვლა გვინდოდა, მაგრამ ვიცოდით ვითარება და ვერაფრით ვერ მოვედითო, გარეთ გამოვედით და მთელი სოფელი ავიღე რა... კი ველოდებოდი შინაგანად, ჩემს თავს ვამზადებდი, მაგრამ მაინც რაღაცა დარტყმა მომაყენა.

კოვიდის მერე ჩემი ცხოვრება ძირფესვიანადაა მემგონი შეცვლილი, იმიტომ რომ ჰიგიენის თემას ძალიან დიდ ყურადღებას ვაქცევ, ისე რო არ ვიცი რაა!.. თუ ხელებს ვიბან, უეჭველი უნდა დავიბანო საპნით... თუ არ ვიბან, სველი სალფეთქით უნდა გავიწმინდო ან სპირტოვანი, სპეციალური ხსნარებით. ან ტაძარში როცა დავდივარ, მგალობელი ვარ, ტაძარშიც კი, პატარა ბოთლით დამაქვს

დეზინფექციის ხსნარი და უნდა ის წავისვა. ან თუ ვინმეს აქვს, ხელზე დამასხამს.

დედა:

**მე ასე ვფიქრობ, რომ ჩვენი და ყველას ცხოვრება შეიცვალა ვირუსის შემდეგ. უნდა ვისწავლოთ ამ ვირუსთან ერთად ცხოვრება: პირბადე აუცილებელია, უკვე ყოველდღიურ აუცილებლობად იქცა ჩვენთვის.** სადეზინფექციო ხსნარები თუ ხელის დაბანა (და იგი ყოველთვის საჭირო იყო) ეხლა უკვე აუცილებელია, გასვლის დროსაც და მოსვლის დროსაც (ისე სახლში არ შემოვდივართ არც ერთი წევრი). ეს ჩვევა ტრადიციასავით ჩამოყალიბდა ჩვენ ოჯახში. ეს პირბადეები გვიშლის ხელს, მარა რას იზამ, ეს აუცილებელია.

ანონიმი:

**მამაჩემი რომ მოვა სახლში, ტანსაც იბანს ხოლმე, რამე უცებ სახლში არ შემოვიტანოო... თან რომ იცის, მე რა მშიშარა ვარ და რაღაცა.**

დედა:

**ყველაზე დიდი ტრავმა კორონამ მიაყენა სალომეს ფსიქოლოგიას.**

ანონიმი:

არ დავმალავ და აქაც კი ვყოყმანობდი ჩართვაზე. ახლა ისეთ კითხვებს დამისვამენ, გინდა თუ არ გინდა ის მომენტები უნდა გავიხსენო...

ამ ყველაფერმა იმდენად გაგვირთულა ცხოვრება, რომ უკვე აღარ შეგვიძლია...

12.

სახელი, გვარი: სოფო დავითაძე

ასაკი: 32

სამუშაო ადგილი: სკოლა „ფონის“ მასწავლებელი

საცხოვრებელი ადგილი: ზუგდიდი

ინფიცირების ადგილი და დრო: ზუგდიდი, 08/2020

ჩაწერის ადგილი და დრო: ზუგდიდი, 08/2021

ინტერვიუერი: მერი ქაჯაია

კოვიდზე პირველი სტრესი მივიღეთ, როცა საქართველოში დაფიქსირდა პირველად... თუ სწორად მახსოვს, თებერვალში... ყველამ რაღაცნაირად შიშით მივიღეთ ეს ფაქტი. მეც, რა თქმა უნდა, მქონდა ნერვიულობის მომენტი, იმიტომ რომ ფეხმძიმედ ვიყავი. მერე იყო ფაქტები გაზაფხულზე: ერთი ფაქტი, ორი ფაქტი... რა თქმა უნდა, იყო და არსებობდა ეს ვირუსი, მჯეროდა. მაგრამ მე თუ დამემართებოდა, თან იმ მდგომარეობაში, რომ უკვე 38 კვირის ფეხმძიმე ვიყავი და დაგეგმილი მქონდა საკეისრო... ეს მოლოდინი ნამდვილად არ მქონდა.

ვუფრთხილდებოდი მაქსიმალურად. დავინფიცირდი ერთ ოჯახში შეკრების დროს, როცა უკვე 4 დღეში დაგეგმილი მქონდა საკეისრო. რა თქმა უნდა, ეს იყო ძალიან დიდი შოკი. სიმართლე გითხრათ, იმ დროს არ იყო ამდენი ცუდი ფაქტები, გართულებები, სიკვდილიანობა, როგორი სურათიც ეხლა გვაქვს. ის, რომ ცუდი შედეგი ექნებოდა ამ ყველაფერს, არ მიფიქრია. სანერვიულო იყო ის, რომ ამ მდგომარეობაში ვიყავი და ფაქტიურად **ბათუმში ვერც ერთი კლინიკა ვერ მიღებდა.** გადამიყვანეს თბილისში. რაღაც ცუდი ფაქტები მოხდა, დღემდე ვერ გამოვდივარ იმ სტრესისგან, ეს სასწრაფოს მანქანები... თან ჩემს შვილსაც დაუდასტურდა, ნუ რა თქმა უნდა, ძალიან ცუდი ფაქტი იყო... ვერ ვივიწყებ ყველაფერს, მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდა... აი, რაღაცნაირად სულ მახსენდება ის მომენტები.

**ყველა მომენტი მახსოვს იმ ზარიდან, როცა მითხრეს, რომ დაგიდასტურდაო... ყველა მომენტი.**

ვიყავი ოთახში, ველოდებოდით ტესტის პასუხს და მირეკავს ჩემი დედამთილი, მეკითხება: სოფო, რამე გტკივაო (იცინის – მ. ქ.)?.. ეს კითხვა უკვე რაღაც... და, მეთქი... კოვიდი-მაქვს-მეთქი?.. და კი, მე, შენ და ნოესო (ჩემს უფროს შვილს) და იმ მომენტში ნოეზე გავაჩერე მზერა. ჩემზე მეტად იმ მომენტში რატომღაც უფრო მეტად მეტკინა ის, რომ ნოეს სჭირდა.

გადაგვიყვანეს თბილისში მე, ჩემი შვილი, ჩემი დედამთილი (თავიდან ოჯახის სამ წევრს დაგვიდასტურდა. შემდეგ უკვე ჩემს მეორე შვილს და ყველა ჩემი ოჯახის წევრს). საუნივერსიტეტო კლინიკაში გადამიყვანეს ეგრევე, იმიტომ

რომ ბათუმში უარი თქვეს ჩემს მიღებაზე. აქ არ იღებდნენ ორსულებს და ბავშვებს. სხვათა შორის, **ძალიან სარისკო იყო ფეხმძიმობის ამ ვადაზე სასწრაფოთი ამხელა გზაზე მგზავრობა... თან მესამე საკეისრო იყო... აი, რა ვიცი, არ იყვნენ მზად ალბათ, რაღაცნაირად ნაწყენი ვარ, შეიძლებოდა რომ მართლა ცუდად დამთავრებულიყო, გზაში რომ დამწყებოდა მშობიარობა სიტყვაზე, ვერც ერთი კლინიკა ვერ მიმიღებდა და ძაან ცუდად დასრულდებოდა ყველაფერი,** მაგრამ მადლობა ღმერთს...

ეს სასწრაფოს მანქანები ჩემთვის ყოველთვის ასოცირდება შფოთვასთან, ღელვასთან, რაღაც ცუდ ფაქტებთან, მადლობა უფალს, მანამდე არ მქონია შეხება ამ სისტემასთან, ეს ყველაფერი პირველად იყო, თან ამ მდგომარეობაში... ნუ ზოგადად, ძალიან ემოციური ვარ იმ მხრივ, რომ ყოველთვის ძალიან ვღელავ, ვშფოთავ, ვდარდობ ყველაფერზე, შიში მაქვს, რომელიმე ოჯახის წევრი ცუდად არ გახდეს, ვინმე თუ სადმე წასულია, ყოველთვის ვურეკავ და ვკითხულობ...

გზაში უამრავი ზარი და უამრავი შეტყობინება შემოდიოდა, მთელი გზა ხალხს ვპასუხობდი და ეს 5 საათი როგორ გავიდა, არც მახსოვს. გზაში უკვე ეს პირველი სტრესი და დარტყმა მონელებულივით იყო და საკმაოდ მშვიდად ვიყავით..

ჩავედით. პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში ერთი ექთანი იყო ლალი, ძალიან მხიარული და კარგი ქალი იყო, დღემდე დადებითად მახსენდება. მერე პალატაში დამხვდა ადამიანი, რომელიც ჩემამდე ერთი-ორი დღით ადრე იყო შეყვანილი, იმასაც მსუბუქად ქონდა და არც პანიკა და არც ნერვიულობა არ ეტყობოდა.

აბსოლიტურად უსიმპტომოდ ჩაიარა ჩემს შემთხვევაში, მხოლოდ ერთი დღე მქონდა ტემპერატურა. საკეისრო კვეთამ უბრალოდ 2 დღით გადაიწია. თან იმ მომენტში კიდევ ვდარდობდი... იცით რაზე?.. ეს ჩემი მესამე შვილია და პირველი ორი ექსკლუზიურად, ბუნებრივ კვებაზე მყავდა 6 თვე... იმ მომენტში ვფიქრობდი, რომ გამიკეთებდნენ საკეისროს, შევძლებდი თუ არა ბავშვთან კონტაქტს. ზოგი ამბობდა, შეიძლებაო... ზოგი ამბობდა, რომ – პირბადითო... ნუ მოკლედ, არ ვიცოდი და ამ ფაქტის გამო ძალიან ვდარდობდი... რომ გავაჩინე, მომცეს რეკომენდაცია, რომ შეიძლებოდა ბუნებრივ კვებაზე მყოლოდა, უბრალოდ უნდა გამომეწველა რძე და გამეგზავნა.

ოჯახის წევრები მირჩევდნენ, – არ ინერვიულო, არ ინერვიულო, არ ინერვიულო, იმიტომ რომ ჩემი მდგომარეობიდან გამომდინარე, ძაან მნიშვნელოვანი იყო, შემენარჩუნებინა სიმშვიდე. ძაან მშვიდად ვიყავი, ჩემზე ხომ დარდობდნენ, მე ვამშვიდებდი ყველას პირიქით. ეგ კი არა, მამაჩემი ელოდა საკეისროს დღეს, რომ მოსულიყო კლინიკაში, დილიდან უნდოდა იქ ყოფნა. გარეთ დგომას აზრი არ ჰქონდა, მაგრამ მაინც უნდოდა იქ ყოფილიყო... მამაჩემს დავუმალე რომელ დღეს მიკეთებდნენ საკეისროს, იმიტომ რომ ვიცოდი, უნდა ენერვიულა და რომ გავიკეთე საკეისრო, მერე გაიგეს... წინა ორ საკეისროზე გრუპა პაძეშკას რომ ეძახიან, ეგრე იდგნენ გარეთ და რაღაც... ექიმები და ნაცნობები, ჩემი რძალი გამომყვა ორივე საკეისროზე, თავთან მედგა და იმ მომენტში, მესამეზე როცა ვიკეთებდი საკეისროს, არავინ რომ არ მედგა გვერდით, არც გარეთ რა... რაღაცა ეს მომენტიც ის იყო... მაინც ყოჩაღად ვიყავი და გამბედავად და თამამად.

ეხლა რომ არის, ერთი კვირა აჩერებენ კლინიკებში და მერე უშვებენ, მაშინ ეგრე არ იყო. სანამ დადებითი პასუხი არ მოვიდოდა პსრ-ზე, გტოვებდნენ კლინიკაში და 23 დღე ვიწექი იქ. დაახლოებით 18-20 დღე ვუგზავნიდი ბავშვს რძეს... ანუ საერთოდ არ მიუღია ხელოვნური საკვები და ამ ფაქტით ძაან ვამაყობ. შორიდან მანახეს, შორიდან დავუქნიე ხელი... ეგ იყო და ეგ... **და ის დღეები მენანაება, ძალიან პატარა და ძალიან თოთო და ჩემ გარეშე რომ იყო. ეგ 20 დღე ძალიან მენანება...**

საავადმყოფოდან წესით მე-10 დღეს მიშვებდნენ უკვე სასტუმროში, სადაც კიდევ უნდა ვყოფილიყავი უარყოფით პასუხამდე. ნუ რაღაც პრობლემები შეიქმნა იმ სასტუმროში გადაყვანაზე, ველოდე, ველოდე, აღარ მომაკითხეს და მერე ვთხოვე, რომ სასტუმროში მარტო რაღაცნაირად არც მინდოდა იმიტომ რომ საკეისრო ახალი გაკეთებული მქონდა, მაინც შიში მქონდა და... ვთხოვე, ჩემს შვილებთან გადავეყვანე ბოჭორიშვილის კლინიკაში. იქ პალატა დიდი იყო. იყო საშუალება, რომ გადავსულიყავი... ჩემი ორი შვილი, დედაჩემი და დედამთილი იყვნენ და გადამიყვანეს ბოჭორიშვილის კლინიკაში ბავშვებთან. მერე ისე აღმოჩნდა, რომ ჩემს შვილებს უფრო მალე მოუვიდათ უარყოფითი პასუხი, ისინი წავიდნენ და მე კიდევ დავრჩი იქ (იცინის – მ. ქ.).

მოკლედ, ძაან ვეწვალე... საბოლოო ჯამში, ძაან ვეწვალე.

**23 ღამის განმავლობაში ყველაზე დიდი გამოწვევა ის იყო, რომ ახალგაჩენილი შვილი მყავდა და განვიცდიდი მის გარეშე ყოფნას.** ეხლა თვითონ სიტუაცია პალატაში, მარტო ყოფნა, პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში რომ

მივედი, ძალიან კარგი ქალბატონი შემხვდა, მხარს მიჭერდა ყველაფერში. არ მქონია ეგ მომენტი, რომ განვიცდიდი მარტოობას. მერე კიდევ ბავშვებთან გადავედი 10 დღე... ბავშვების მოვლით ვიყავი დაკავებული და აი, ეგ მარტოობის მომენტი ნამდვილად არ მქონია.

ძალიან რთული იყო ეს ანალიზები და სისხლის აღებები და ჩხვლეტები და უკვე ფსიქიკაზე მოქმედებდა თითოეული ნემსის ჩხვლეტა. ერთადერთი ეგ მახსენდება ცუდად, ეგ მომენტი აუტანელი იყო... ვაიმე, დილის 8 საათიდან იწყებოდა ანალიზები და ეს **ხელები მქონდა სულ ჩალურჯებული. ვენები აღარ მქონდა, ნემსი რომ შედიოდა, ყველა მხრიდან იღვრებოდა... აი, ვხედავდი რა... კედლები აღარ ჰქონდა ვენებს.** სხვა მხრივ, იმხელა სიხარული მელოდა ამ ყველაფრის მერე, იმ სიტუაციაზე ვეღარ დავიწუწუნებ, მართლა,

ვიყავი ძალიან მშვიდად... ზოგადად ძალიან ოპტიმისტი ვარ და ცუდი მოლოდინი არ მაქვს ხოლმე...რამდენი იზოლაცია გავიარეთ, არც იმ დროს არ მქონდა ცუდის მოლოდინი... მადლობა ღმერთს, რომ ამართლებს ჩემი მოლოდინი.

პირველი შეხვედრა, რა თქმა უნდა, ემოციური იყო ჩემთვის. როგორ ვთქვა, იმ მომენტში ორი შვილი სხვა კლინიკაში იწვა და იმათგანაც მოშორებით ვიყავი, ვერ ვნახულობდი. იმ მომენტში ვიცოდი, რომ ჩვილი კარგად არის, თან პატარაა და ვერაფერს ვერ ხვდება ახალშობილი და უფრო მეტად ემოციური იყო ჩემთვის იმ ორ შვილთან შეხვედრა (ერთი 5 წლისაა და მეორე 3 წლის). არჩისთან უფრო მშვიდი შეხვედრა მქონდა. შიში არ მქონდა, ვიცოდი,

რომ გართულება არ ექნებოდა და არც ჰქონია დღემდე. წამიკითხავს ბევრგან, ძუძუთი კვებისას გადადის ანტისხეულები შვილშიო... ღმერთს მადლობა, კოვიდი არ დადასტურებია არასდროს.

* * *

ცხოვრების წესი ყველას შეეცვალა ეხლა, ეს ბუნებრივია. იმ მომენტში, როცა აღმოჩნდები ამ სიტუაციაში, **როცა ყველა ოჯახის წევრი დაინფიცირებულია და ზოგი ერთ კლინიკაშია და ზოგი მეორე კლინიკაში, კიდევ უფრო ძვირფასი ხდება შენი ოჯახის წევრი შენთვის...** ზოგადად ეს ასეა ცხოვრებაში და **მერე თითოეული წამი ერთად ყოფნის, ერთად საუზმობის, ერთად სადილობის, ყველაფერი უფრო ძვირფასი ხდება.** რა თქმა უნდა, ეს ყოველთვის ვიცოდი, მაგრამ ჩემს მეუღლეს ისეთი ემოციები ჰქონდა, რომ მართლა არ ვიცი... ჩემთვის ნამდვილად შოკი იყო, იმდენად გამოხატავდა.

**დღეს უკვე ძალიან ბევრი ფაქტი არის დაფიქსირებული, რომ კოვიდ ინფექციით ფეხმძიმე გარდაიცვალა, უკვე გააჩინა და გარდაიცვალა... ეს ფაქტები ჩემზე ორმაგად მოქმედებს, მეც ხომ იმ სიტუაციაში ვიყავი, თუმცა იმ მომენტში მე არ ვფიქრობდი, რომ აი, შეიძლება რაღაც საფრთხე შექმნოდა ჩემს ან ჩემი შვილის ჯანმრთელობას, რადგან რეალურად არ იყო ამდენი ცუდი ფაქტი.**

* * *

შეიცვალა ჩემი ცხოვრება, ყველას ცხოვრება შეიცვალა. სამსახურის მხრივ ჩვეულებრივად ვაგრძელებთ მუშაობას, რეგულაციების დაცვით. შეიცვალა ის, რომ მაწუ-

ხებს ძალიან ეს პირბადე, მაგრამ არ ვიხსნი არასდროს. ჩემთვის **შეიცვალა ის, რომ ვერიდები ყველას, მეშინია ადამიანების, მეშინია მეგობარი სახლში დავპატიჟო, ნათესავი სახლში დავპატიჟო. მეც მივდიოდი ხოლმე სტუმრად, ჩემთანაც მოდიოდნენ სტუმრად და ეხლა ეს შიში მაქვს და ვარ იზოლირებულად მაქსიმალურად, არ დავდივარ რესტორანში, არ დავდივარ ბარში, არ დავდივარ კაფეში.** ერთადერთი ვმუშაობ, იმიტომ რომ ეს სამსახურია და ვმუშაობ იმისთვის, რომ ოჯახი ვარჩინო. აქ თუ დამემართა, უკვე ეს ჩემზე დამოკიდებულიც არ არის, და ეხლა რაღაცა საკუთარი გართობის მხრივ, წავიდე-წამოვიდე და დამემართოს, ეს ჩემთვის იქნება ძალიან ცუდი ფაქტი და საკუთარ თავს დავადანაშაულებ, რატომ წავედი ნათესავთან, მეგობართან კაფეში, რესტორანში მოვედი და დავაინფიცირე ბავშვი. სხვა მხრივ ეხლა აცრაც გავიკეთე და ბავშვების შიში მაქვს, ნელ-ნელა ისევ არ აღმოვჩნდეთ იმ სიტუაციაში.

* * *

კოვიდი წარმომიდგენია საზიზღარი, დაუნდობელი, არაპროგნოზირებადი. აი, როგორც მოესურვება, ისე წარმართავს სიტუაციას. შეიძლება სრულიად ჯანმრთელი ადამიანი დაამძიმოს, შეიძლება მძიმე ავადმყოფმა ისე გადაიტანოს, რომ ვითომც არაფერი. ეგეთი ფაქტებიც არის, ჯანმრთელი დაამძიმა და დამძიმებულს მარტივად გადაუხდია ეს ვირუსი. რა ვიცი, ძაან ცუდი ტიპია... არ მომწონს.

ეკიბები
ვეძებენ
ეკალი!..

13.

სახელი, გვარი: ანონიმური

ასაკი: 66

საცხოვრებელი ადგილი: მუსგია

ინფიცირების ადგილი და დრო: მუსგია, 08/2020

ჩაწერის ადგილი და დრო: ონლაინ, 09/2021

ინტერვიუერი: მერი ქაჯაია

არ ვიცი, როგორ დაგვემართა... არ ვიცი, სად დავინფიცირდით, იმიტომ რომ ბავშვები დადიან ხან სად, ხან სად, ამდენი ბავშვი იყო... საღამოს პიკნიკებს აწყობდნენ, ვინ საიდან მოიტანა, დღემდე არ ვიცი, არ ვიცი ნამდვილად. ძალიან ვერიდებოდით ვირუსს, სვანეთში არ იყო, მაგრამ პირბადესაც ვატარებდით, ვერიდებოდით ხალხმრავალ ადგილებს. აი, ამ დეზინფექციას ვიკეთებდით, გარეთ რომ გავდიოდით, სახლში რომ მოვდიოდით ხელების დაბანა, იმ სადეზინფექციო ხსნარით, ყველაფრით...

ტესტირება დაიწყო... მე მრავალრიცხოვანი ოჯახი მაქვს, 9 შვილი მყავს, ყველა აქ მყავდა: შვილიშვილები, შვილები და აი, ვიყავით 18 კაცი ოჯახში. დაგვირეკეს, რომ

ტესტი უნდა აგიღოთო. ავედით, გავიკეთეთ და დაგვირეკეს, – თქვენ ამოგივიდათ დადებითიო (მეორე დღეს დაგვირეკეს საღამოს)... მესამე დღეს წაგვიყვანეს ქუთაისში ყველა ერთად. ხოდა, იქ დაგვიწყეს მკურნალობა. არც ერთს გართულება არ გვქონია. ერთადერთი ჩემი მული იყო, ის არის 74 წლის, იმას ჰქონდა ფილტვების ანთება. მოგვიარეს მართლა, როგორ გაგვიმართლა, რომ მაშინ დაგვემართა და ასეთი მოვლა იყო... ცხოვრებაში მე იმ გამოკვლევას ვერ ჩავიტარებდი, რაც მაშინ გაგვიკეთეს. ყველანაირად დადებითად ვაფასებ იმ მომსახურეობას, იმ საავადმყოფოს, იმ საავადმყოფოს მედპერსონალს. არ ვიცი რა... ყველანაირად: კვებით იყო, ისე წამლით იყო, ისე მოვლით იყო... ზოგიერთი შეიძლება ამბობდეს, რომ ექიმი არ მიდის და... ყოველდღე, დილა-საღამოს შემოდიოდა ჩვენი ექიმები და გვისმენდნენ და გვსინჯავდნენ, გვეკითხებოდნენ... რენტგენი გინდა, ექოსკოპია გინდა, კარდიოგრამა გინდა, კატე გინდა, აი, არ ვიცი...

საავადმყოფოში ვიყავით ოთახებში, რაც შეგიძლიათ იმოძრავეთო. მე ისედაც არ შემიძლია მოძრაობის გარეშე. როდესაც ეს გავიგე კოვიდზე ტელევიზორში, **ისე ვიყავი ინფორმირებული, რომ აჰა, ვსო, დაიქცა ჩემი ოჯახი, კოვიდი დაგვემართა და!.. წასაყვანი ვართ!... მე რომ თავიდან ესე მცოდნოდა, რომ იქ ასეთი სიტუაცია იყო, იქ ასეთი კაი ხალხი, ასეთი ტკბილი და თბილი ხალხი იყო, მე ერთი წუთით არ ვინერვიულებდი არაფერზე.**

ეს იმიტომ რომ კოვიდია და კოვიდი!.. ჩაკეტვები, იზოლაციები და რა ვიცი!.. ხო არ ვიცოდი რა თანმხლები ჰქონდა... სვანეთში არ იყო საერთოდ, არავის არ ჰქონდა სვანეთში კოვიდი.

იმის ფიქრი მქონდა, რომ აი, შვილიშვილები 2 წლის, 3 წლის შვილიშვილი მყავდა, დანარჩენები უფროსები იყვნენ, ასე მოყოლებული 20 წლის შვილიშვილიდან დაბლა მოდიოდა და მე მაგათი ფიქრი მქონდა, რომ რამე არ გართულებოდათ, თორემ დანარჩენი მე არაფრის არ მქონია შიში. აი, ამათი, შვილიშვილების. ახალი გარდაცვლილი მყავდა მეუღლე და იმის ნერვიულობაში ვიყავი... ღმერთო, როგორც იქიდან ჩვენ კარგად გამოვედით, ისე გამოვსულიყავით ყველა გაჭირვებიდან, ჩემი ოჯახიც და ჩემი ოჯახის ერთგული ყველა. **მაშინაც მე დავურეკე 112-ს, რომ მადლობა გამომეხატა და მე ეხლაც ვაღიარებ, რომ მე მადლობელი ვარ მთელი ჩვენი ოჯახით, რომ ჩვენ ისე კარგად მოგვიარეს, ისე გამოგვიშვეს, რომ საერთოდ თუ გვჭირდა ჩვენ კორონა, ვერც გავიგეთ, ისე ტკბილად, ისე გემრიელად მოგვიარეს იქ.**

ისე გვერდით დაგვიდგა ჩვენი რაიონის გამგეობა, კაპიტონ ჟორჟოლიანი[28] ისე გვერდით დაგვიდგა ყველანაირად, რომ რა ვიცი... მე სანამ სული მედგმება, მადლობელი ვიქნები აქაური ჩვენი რაიონის გამგეობის და ქუთაისის ხომ საერთოდ.

გვირეკავდა ყოველთვის, თუ რამე დაგჭირდეთ და... დეზინფექცია ჩაუტარა ჩემს სახლს, იმიტომ რომ ასე მრავალრიცხოვანი ოჯახი რომ იყო. აი, არ ვიცი, ყველანაირად... სიტყვიერი გინდა, ყველანაირად, თორე ფული კი არავის მოუცია ჩემთვის. მერე რაღაცა დახმარება გამოაგზავნეს, ჩვენ არცერთი არ ვიყავით სახლში, მაგრამ არაფერი არ დაუკარგავს, ისე ყველაფერი მოგვიტანეს სახლში.

---

28 მესტიის მუნიციპალიტეტის მერი.

მე, პირადად, როგორც დამიწერეს 14 დღე თვითიზოლაციაო, არ გავსულვარ კარში 14 დღის განმავლობაში. ოჯახში ვიყავით, არ გავსულვართ, შორიდან თუ დავინახავდით და გამარჯობით მოგვიკითხავდნენ, დანარჩენი არავისთან არ შევსულვართ, არავინ არ შემოსულა ჩვენთან. 14 დღის შემდეგ ჩვეულებრივად. ოთახში ერთი თვე იცი რატომ გავატარე?.. იმიტომ რომ მე სახლში მყავდა ავადმყოფი შვილი, რომელიც უჩემოდ იქ ვერ გაჩერდებოდა და მე იქ ავუხსენი და მერე მე და ის ვიყავით ერთ ოთახში, იმიტომ რომ ის უჩემოდ არ შეიძლებოდა...

***

აი, ის შეიცვალა, რომ ხალხი ერთმანეთს არიდებს თავს, ესეთი დაძაბულობა რომ არის, ყველას ეშინია. დანარჩენი არაფერი ჩემთვის არ შეცვლილა. უბრალოდ ეს არის, რომ ჩემთვისაც ძაან ცუდია და ყველასთვისაც ონლაინ სწავლა, ეს რაღაცები, დანარჩენი არაფერი.

ვმუშაობ მე ჩემს ოჯახში, სადაც მანამდე ვმუშაობდი... როგორც მანამდე ვმუშაობდი.

14.

სახელი, გვარი: აუა ნარმანია

ასაკი: 38

პროფესია: მასწავლებელი

საცხოვრებელი ადგილი: აბილისი

ინფიცირების ადგილი და დრო: აბილისი, 09/2020

ჩაწერის ადგილი და დრო: აბილისი, 08/2021

ინტერვიუერი: მერი ქაჯაია

მე დავინფიცირდი კორონა ვირუსით 25 სექტემბერს... 25 სექტემბრს, კი... ანუ 1 წლის წინ დაახლოებით. ვიცავდი ყველანაირ რეგულაციას, რომელიც იყო გათვალისწინებული, ნუ მეტნაკლებად, მაგრამ ჩემი ცხოვრების რეჟიმი განსაკუთრებულად არ შეცვლილა, სახლში არ ჩავკეტილვარ... მოკლედ, ძირითადად პირბადეს ვხმარობდი, მაგრამ ჩვეულებრივად ვაგრძელებდი ჩემი ცხოვრების წესსაც და სამსახურსაც.

ჩემი დაინფიცირება როგორ მოხდა: 10 კოლეგა შევხვდით ერთმანეთს რაღაც სემინარის შემდეგ, გვქონდა და-

ვალეგა და ამაზე ვმუშაობდით. ეს იყო დახურული სივრცე, შეხვედრა იყო დაახლოებით 4 საათიანი, ჩაი და ნამცხვარიც მივირთვით. მაქსიმალურად ვიცავდით დისტანციას, თუმცა დახურულ სივრცეში პირბადე არ გვეკეთა. უფრო სწორედ გვეკეთა, მაგრამ რაღაც პერიოდებში ვიხსნიდით და ნუ ამ 10 ადამიანიდან 3-ს დაგვემართა. მეორე დღეს, ერთერთს ძლიერი თავის ტკივილი ჰქონდა, დაუდასტურდა კოვიდი და დაგვირეკეს, რომ სასწრაფოდ ყველანი უნდა გადავსულიყავით იზოლაციაში. იზოლაციის შემდეგ სამს დაგვიდასტურდა.

რომ გავიგე კოვიდი მქონდა, სტრესი მივიღე იმ თვალსაზრისით, რომ პირველ ნაკადში მოვხვდი და განაჩენივით იყო, თუმცა აი, მეორე, მესამე დღეს უფრო შევეგუე. ჩემს პირად ექიმთან გავდიოდი კონსულტაციას... უფრო **სტრესული იყო კოვიდ-სასტუმრო... აი, კარი რომ დამიკეტეს... ეს ძაან სტრესული იყო. ყველაზე ცუდად ეგ დამრჩა მეხსიერებაში, ვიდრე ის, როცა ფიზიკურად ცუდად ვიყავი.**

სამივეს მოგვიწია საავადმყოფოში დაწოლა. მე ვიწექი ინფექციურში და ჩემი ორი მეგობარი იწვა ბოკერიას კლინიკაში. 10 დღე ვიწექით საავადმყოფოებში მეც და ისინიც, შემდეგ 1 კვირა კოვიდ სასტუმროში და მერე დავბრუნდით სახლებში.

გამირთულდა ვირუსი, მქონდა ძალიან ძლიერი დიარეა, მაღალი სიცხე 38-39, თავის და სახსრების ტკივილი. ფილტვებზე არ მქონია გართულება და ნუ ამის გამო... როგორც კი ანალიზები მოწესრიგდა, გადამიყვანეს კოვიდ-სასტუმროში.

საავადმყოფოში საკმაოდ მოუწესრიგებელი გარემო იყო. ანალიზის აღებას მე ვითხოვდი და პასუხი რომ გამო-

ეგზავნათ – იმასაც. მე პალატაში ვიწექი მარტო. მაგრამ ჩემს გვერდით პალატებში იწვნენ მოხუცები, რომლებიც ითხოვდნენ დახმარებას და ერთ ექთანს ებარა ძალიან დიდი ფლიგელი და უჭირდა დროულად ყველასთან მისვლა. მე არ მჭირდებოდა ესე ყოველ წუთას ვიღაცის ზედამხედველობა, ამიტომ დილას და საღამოს შემოდიოდნენ, წამალს მასმევდნენ, გადასხმას მიკეთებდნენ... მაგრამ თითქოს რაღაცა სისტემური და მოწესრიგებული გარემო არ იყო...

**ყველაზე ცუდად და სტრესულად მახსენდება ის, რომ აი, უკვე რომ გამოვედი საავადმყოფოდან, აღარ ვიყავი გადამდები, ყველაფერი დასრულებული იყო და მაინც შორს იჭერდნენ ადამიანები თავს. რომ გაიგებდნენ, ქუჩაშიც კი უეცარი რეაქცია ჰქონდათ: ვაიმე, შენ ხომ კოვიდი გქონდა!.. და ეს ძაან, ძაან ცუდი შეგრძნება იყო. სტიგმის მსხვერპლი ნამდვილად ვიყავი. მიუხედავად იმისა, რომ 3 კვირა იყო გასული და ექიმმა მითხრა, უკვე არავისთვის სახიფათო არა ხარო.**

სამსახურს რაც შეეხება, ცოტა თითქოს დამადანაშაულეს, რომ რაღაცა არ დავიცავი სწორად, ცოტა უპასუხისმგებლოდ აღმიქვეს თუ რაღაც ასეთი. თუმცა ვფიქრობ, რომ ეგ არ არის სწორი დამოკიდებულება, ვისაც როგორ შეუძლია, ისე იცავს. მერე კი ჩეულებრივ გაგრძელდა ყველაფერი... რაღაც პერიოდი რომ გადის, მერე ადამიანები ეჩვევიან ამას.

ყველას შევატყობინე კოვიდი რომ დამემართა. ყველას აინტერესებდა, როგორ მიდიოდა დაავადება...ზოგს გული შესტკიოდა და ღელავდა ჩემს ჯანმრთელობაზე, ზოგს უბრალოდ ცნობისმოყვარეობა აწუხებდა... ვცდილობდი, რომ ყველასთავის მიმეწვდინა ხმა, თუნდაც იმიტომ რომ ეს

რაღაცა ისტერიული შიში არ ყოფილიყო და მერეც, რომ გამოვედი და მეკითხებოდნენ, ვცდილობდი ყველასთვის მეთქვა, რომ ჩვეულებრივი ვირუსისგან განსხვავდება იმით, რომ ემოციური ფონი აქვს განსაკუთრებული და არცოდნის შიში ახლავს.

თუმცა **დღეს ღრმად ვარ დარწმუნებული და ეჭვი არ მეპარება, რომ ეს ემოციური განწყობა არის ძალიან მნიშვნელოვანი ამ ვირუსის დროს.** აი, ჩემს თავსაც რომ ვაკვირდები, ემოციურ პლანში მზად იყო ჩემი ორგანიზმი ამ ვირუსის მისაღებად. ვფიქრობ, რომ ეს ძაან მნიშვნელოვანია. ეხლა მახსენდება, ადრე ბატონების დროს მნიშნელოვანი იყო განწყობის შექმნა, ეხლა პირიქით არის, რაღაცა ძალიან დაძაბული და ნერვიული გარემოა და ეს ხელს უშლის ამ ყველაფერს.

რაღაცანირად უცნაურია, მაგრამ ძაან ნეგატიური განწყობა არ მაქვს ამ ვირუსის მიმართ. ნუ გასაგებია, რომ ძაან ბევრი ადამიანი დაიღუპა და ძაან ცუდია ეს ყველაფერი, მაგრამ ჩემთვის იყო იმ მომენტში ძაან საჭირო, იმიტომ რომ იქიდან გამოსულმა ბევრი რამ გავაცნობიერე. ჩემს თავში ვიპოვე უფრო მეტი ძალა... გავაცნობიერე, როდის არის ჩემი ფსიქიკა უფრო მოწყვლადი და რისთვის არის მზად. ზუსტად იმ პერიოდში ვიპოვე ჩემს თავში ძალა, რომ რაღაცნაირად დამემარცხებინა ეს ავადმყოფობა. **როცა მოდის ძლიერი განსაცდელი, ამ დროს უფრო მეტად იცნობ შენს თავს...** რაღაცნაირად გამაძლიერა რა!..

* * *

როგორ შეიცვალა ჩემი ცხოვრება? მე სკოლაში ვმუშაობ, ბავშვებთან მაქვს შეხება, შვილებიც მყავს და აი, ყველაზე მეტად რასაც განვიცდი, არის დისტანციურ რეჟიმში მუშაობა. მგონია, რომ ეს რადიკალურად შეცვლის ჩვენი მომავალი თაობების ცხოვრებას. ამას მართლა ძაან განვიცდი.

ერთი მხრივ, საზოგადოების ნაწილი გახადა უფრო შემწყნარებელი და ადამიანური და მეორე ნაწილი რაღაცანაირად გაბოროტდა... ალბათ ამ შიშის ბრალია... ნუ, ძაან მტკივნეულია ჩემთვის ის, რომ დაიყო ხალხი ანტივაქსერებად და ვაქსერებად და ამათ შორის ბრძოლაა. არიან ადამიანები, რომლებიც ჩაიკეტნენ და გარეთ აღარ გამოდიან, შიშში ცხოვრობენ...

**ეს რადიკალური დამოკიდებულებები რაღაცნაირად, ნელ-ნელა უნდა დაბალანსდეს. რომ ამბობენ, ამასთან ერთად ცხოვრება უნდა ვისწავლოთ, ზუსტად ამას გულისხმობენ.**

მე, პირადად, და ჩემი ოჯახის წევრებიც ავიცერით ორჯერ, მაგრამ ის, ვინც არ აიცრა, მათზე თავდასხმას ძაან განვიცდი რა, იმიტომ რომ ჩემი შიშიც შიშია, რომ კიდევ არ დამემართოს და იმათი შიშიც შიშია იგივე იმ აცრის მიმართ.



15.

სახელი, გვარი: დავით ჩხიკვიშვილი

ასაკი: 54

სამუშაო ადგილი: საინფორმაციო აგენტო როიტერის ოპერატორი

საცხოვრებელი ადგილი: აბილისი

ინფიცირების დრო: 10/2020

ჩაწერის ადგილი და დრო: აბილისი, 09/2021

ინტერვიუერი: პერი ქაჯაია

ეს მოხდა შარშან, ოქტომბერში. ეხლა 1 წელი იქნება უკვე მალე. ვიყავი მივლინებაში, ქვეყნიდან გასული ვიყავი და იქ, სადაც ვიყავი, არავის არ ეკეთა ნიღაბი. ასეთი სიტუაცია იყო... ყარაბაღში ვიყავი ომის დროს. ხოდა იქ, ომის დროს, ყარაბაღში ნიღაბი ცოტა ისეთი თემა იყო რა, სასაცილო... ჯავშან-ჟილეტებით ვიყავით და ჯავშანი და ნიღაბი ცოტა ისეთია რა. სუნთქვა ისედაც გიჭირს და... სავარაუდოდ... სავარაუდოდ არა, იქ დავინფიცირდი! თუმცა ეს ვიგრძენი, გავიგე, როდესაც ჩამოვედი აქ.

ჩამოვედი, საზღვარზე გადმოვედი, დამხვდა სპეციალური მანქანა (მაშინ საზღვარი დახურული იყო და მიყავდათ კარანტინ-სასტუმროებში). სასტუმროში მოვეშვი თუ არა, მანამდე იქ ამის საშუალება არ მქონდა, ჟურნალისტი ვარ, ოპერატორი, როიტერის სააგენტოში ვმუშაობ და ვიღებდი ჩვეულებრივ. პირველი ომი არ იყო ჩემთვის. იმედია, უკანასკნელი იყო... ხოდა, თავისთავად ეხლა, იქ ყოველ ღამე იბომბებოდა, რა შუაშია ეხლა კოვიდთან მაგრამ, სტრესში ვიყავი სულ, ღამეები თითქმის არ გვეძინა, დღისითაც ჯავშან-ჟილეტი, მანქანა გვყავდა და მე ვიჯექი საჭესთან. მანქანაში მყავდა ერთი ინგლისელი Security Adviser[29], ვინც დაგვყავდა ეგეთ კრიტიკულ ზონებში და ფოტოგრაფი იყო ჩვენი. ოღონდ მანქანა არ ნიავდებოდა 24 საათი, იმიტომ რომ იყო დაჯავშნული და შუშები არ ჩადიოდა. სასტუმროში არ იყო ინტერნეტი და იქ ყოფნისას, ერთერთ დღეს კონტაქტი მქონდა იქ დარჩენილ ხალხთან. ერთ ადგილას დავდიოდით იქ საჭმელად – ბაზარში, სადაც მწვადებს წვავდა ნახევრად მთვრალი კაცი და არანაირ სანიტარულ ნორმებს არ იცავდა... ნუ ნიღაბი კი არა, ისეთი იყო რა, რადგან ხორცი იწვებოდა, იმიტომ ვჭამდით. ხოდა, ეს Security Adviser (ჩემზე დიდი იყო ასაკით და სამხედრო იყო ყოფილი, ნაომარი ბრიტანეთის ჯარში), წამოსვლამდე რამოდენიმე დღით ადრე, საუზმეზე რომ ჩამოვიდა, ხმა ჰქონდა შეცვლილი, რაღაც ისე ლაპარაკობდა... ხოდა, ვკითხეთ: რა გჭირს, კოვიდი ხომ არა გაქვს-მეთქი?.. თუმცა იქ ეხლა კოვიდი საიდან?.. კი ვიცოდით აქ, თბილისში რომ იყო, წასვლამდე სულ ნიღბით დავდიოდით, მაგრამ იმან

[29] მრჩეველი უსაფრთხოების საკითხებში.

– არა, არა, მემგონი გავცივდიო რა. მეორე დილით ჩამოვიდა უკვე ნორმალური ხმით. როგორ ხარ?.. უკეთა ვარ, – თქვა და მორჩა. რაღაცა იმ მომენტში არ ვიცი რა ჯადოები გაიკეთა. ხოდა, რადგან მანქანა არ ნიავდებოდა, ასე ვიჯექით, როგორც მე და თქვენ ვზივართ (დაახლოებით 1 მეტრის დაშორებით), უფრო ახლოსაც... აი, ესე და უკან კიდევ ფოტოგრაფი იჯდა... რომ დავბრუნდით ერევანში, მანქანა უნდა დამეტოვებინა შემდეგი ჯგუფისთვის, ეს კაცი უნდა გაფრენილიყო ლონდონში, ყატარით მიფრინავდა და აეროპორტში სთხოვეს პსრ. არ იცოდა ამან არაფერი პსრზე, ამიტომ ბილეთი შეუცვალეს შემდეგ დღეზე, დატოვეს, პსრ გაუკეთეს იქვე, აეროპორტში.

მე დარწმუნებული ვარ, რომ გაფრინდა უკვე ღამე, იმიტომ რომ მე ვიძინებ და მეორე დღეს მივდივარ და აღმოჩნდა, რომ ვერ გაფრინდა... სასტუმროში რომ მოვიდა, რამოდენიმე საათის შემდეგ აეროპორტიდან დაურეკეს, რომ პოზიტიური ხარო. მივხვდი, რომ სავარაუდოდ, დიდი შანსი მაქვს, რომ მეც მაქვს. ატყდა ერთი ამბავი, დარეკვები იქა-აქა... იქ ვერ გავიკეთე პსრ, იმიტომ რომ დიდი რიგი იყო. უნდა წამოვსულიყავი, ტაქსი მელოდებოდა და აქ, საზღვარზე გაფრთხილებული მყავდნენ, – დამხვდეს, წამიყვანოს სასტუმროში-მეთქი... ჩავედი, ნიღბიანი დავჯექი, ვფიქრობ, ნუ არ ვიცი მაქვს თუ არა, შეიძლება გადავრჩი, შეიძლება არა... გადმოვედი საზღვარზე, გამსინჯეს... სიმპტომი გაქვს?.. არ მაქვს, არაფერი არ მაქვს!.. ჩამსვეს მანქანაში, მიმიყვანეს სასტუმროში, გამსინჯეს...

შევედი: შხაპი, ინტერნეტი გავსინჯე, ფილმი ჩავრთე, 8 დღე დავისვენებ სიწყნარეში-მეთქი... თან ბავშვები მენატ-

რეგა, ხოდა... აი, მოვეშვი, ლოგინი სუფთა, სიწყნარე, არ-სად არ გავდივარ, ვიქნები 8 დღე ამ ოთახში, ჯანდაგას, – ვფიქრობ და... ამიწია სიცხემ. დავრეკე სასტუმროს ექიმ-თან. ის მეუბნება, – მადლობა, რომ დარეკეთ, იმიტომ რომ არავინ არ რეკავსო რა... ანუ, თუ ვიღაცები ჩამოდიან საზ-ღვარგარეთიდან, სიცხეს უწევს და ხმას არ იღებენ, მიდიან სახლშიო... პირველი ხარ, ვინც დარეკაო... მეთქი, როგორ არ უნდა დამერეკა?.. სიცხემ ამიწია და არ უნდა დამერეკა?.. ტიპები ითმენენ, რომ სახლში წავიდნენ, არ მოხვდნენ სად-ღაც, დეგენერატები!..

ხოდა, ამომიტანა სწრაფი ტესტი, ნუ არაფერი, მაგ-რამ ვგრძნობ უკვე, რომ მაქ რა... ანუ ვიცი, სიცხე მაქვს ერთადერთი სიმპტომი, სხვა არაფერი, მაგრამ ცოტა დის-კომფორტიც. მეორე დღეს მე თვითონ გამოვიძახე პსრ სას-ტუმროში, გამიკეთეს პსრ და შემდეგ დღეს მეილი მივიღე უკვე, რომ დამიდასტურდა. ხო, მივხვდი, რომ სხვა გზა არ მქონდა ეხლა, იმდენი ტვირთი მქონდა თან, მივლინებიდან შემოსვლისას: შტატივი, კამერა, კომპიუტერი, ჩემი ნივთები, ჯავშან-ჟილეტი, ჩაფხუტი, რამოდენიმე ჩანთა... აი, ესე, წარ-მოიდგინე, ყველაფერი სასტუმროში მაქვს და უნდა გადა-გიყვანოთო. თავისთავად უნდა გადამიყვანონ, ვიცი, რომ უნდა გადამიყვანონ მარა... სურათებიც მაქვს ყველაფერი, ყველაფერი მაქვს, სუ ვიღებ ხოლმე, გასახსენებლად მერე. კარგიც და ცუდიც. ხოდა, მახსოვს, სასწრაფო რომ მოვიდა და რომ გავედი სასტუმროდან, იქვე, შუაში ქუჩა გადის, კარგი სასტუმრო **იყო და იქიდან ისე მიყურებდნენ, როგორც იმას... რა ვიცი, როგორც დაწყევლილს...**

* * *

წამიყვანეს რესპუბლიკურ საავადმყოფოში. ერთა-დერთი, რაც მოვახერხე, სასტუმროში დავრეკე, ვესტიბულში დავრეკე. ხელი არ მოკიდო არაფერს, ისე გამოიარეო, – ესე მითხრეს, – ხელთათმანები გიკეთია?.. ეს გიკეთია?.. ის გიკეთია?.. სასტუმროს მოველაპარაკე, რომ დავტოვო ჩემი რაღაცები-მეთქი და კიო, დატოვე რაც გინდაო და სველ დეზინფექციას გავუკეთებთო. კომპიუტერი მაქვს, კამერა მაქვს, სველი დეზინფექცია მოსპობდა თავისთავად. შტატივი დავტოვე და ჯავშან-ჟილეტი დავუტოვე სასტუმროს და მერე ჩემმა თანამშრომელმა წაიღო რა რამდენიმე დღის მერე, არ ვიცი გაუკეთეს დეზინფექცია, არ გაუკეთეს...

ხოდა, წამიყვანეს რესპუბლიკურში. კატასტროფა!.. ეგეთი კატასტროფა არ ვიცი რა... ბევრ ცუდ ადგილას ვარ ნამყოფი ჩემი პროფესიით, მაგრამ სიცხე მაქვს თან... და დამოკიდებულება არის, საერთოდ... მესმის მაგათი, რომ კონვეირია, მაგრამ ავად რომ მოვდივარ, თუ არ გინდა, ნუ მუშაობ, ხო?.. ესეთი წესია რა, მე ესე მგონია!.. მიმიყ-ვანეს, გამიკეთეს კატე და ველოდები კატეს პასუხს. და-მაწვინეს მიმღებში, რომელსაც არც ფანჯარა ჰქონდა, არც არაფერი ჰქონდა. მე და ვიღაც ქალბატონი პლიონკაზე დაგვაწვინეს... ვწევარ, ჩაცმული ვარ ფაქტობრივად, ეს კა-მერები, კომპიუტერი... ხოდა მაჩვენეს, ეს არის პაციენტების ტუალეტი, სურათი გადავუღე, შეგიძლიათ გამოიყენოთ, სე-რიოზულად გეუბნებით, შერცხვეს იმათ, ჩვენ კი არ უნდა შეგვრცხვეს, იმათ უნდა შერცხვეთ.

პასუხი არ არის, რაღაც შემიერთეს, სიცხე გამიზომეს, ნუ 37.3 მქონდა თუ რაღაცა. აი, დისკომფორტი მაქვს რა...

არანაირი პასუხი, ნუ რას ველოდები არ ვიცი, ვწევარ იქ. მერე მოვიდა ვიღაცა, – რას შვებით? ვეუბნები: პალატაში დამაწვენენ?.. რა ხდება?.. ხო, ჯერ აქ, შეიძლება სახლში გაგწერონ, იმიტომ რომ კატეზე არაფერი არ არის... მემგონი, არაფერი არ არის... მემგონი, ექიმი გადაწყვიტავს, ნუ ახლა სახლში წასვლა ან სასტუმროში წასვლაო... და როგორ ხდება ეს წასვლა, თქვენ აგვარებთ, მე ვაგვარებ?.. გაუგებრობაში ვარ. ვწევარ. ამასობაში დაღამდა. ვიღაცები მიყავთ, მოყავთ. ვიღაცა გოგო მოიყვანეს დადასტურებული. ქმარს ურეკავს, ისტერიკა მორთო და გაიპარა. მოვიდა ვიღაცა: სად არისო პაციენტიო?.. აუ, როგორ წავიდაო!.. პატრულში დარეკეთო!.. მაშინ ხო იყო, ხო გახსოვთ, ქუჩაში რომ ტაქსისტები დადასტურებული კოვიდით დადიოდნენ, აი, ესეთი თემაა რა. ესეთი ქაოსური რაღაცა ხდება. ცალკე ჩემი მეუღლე მეუბნება: მოდი, იქნებ დარჩეო, ბოლომდეო. სწორე იყო, ლოგიკური... **მე ნერვებზე ვარ, იმიტომ რომ ომიდან ჩამოვედი, იქ ვიყავი 20 დღე, აქ გაუგებრობაში ვარ.** მერე ვთხოვე, ზევით ამიყვანეთ თუ გათავისუფლდა-მეთქი. ნუ, ღამე გავათენე რაღაცნაირად. გათენდა დილა. ჯინსებში და ჟაკეტში ვწევარ, დაბანა გინდა, ხელი გაგიჭუჭყიანდება რაღაცა... პასუხიც არ ვიცი რა. ჩემმა ცოლმა: მოდი, გადაგიყვან სხვაგანო. სხვაგან სად-მეთქი?.. აუ, არ მინდა სხვაგან-მეთქი... რატიანთანო. ნუ, ეხლა რატიანს, პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ ხო კაი, თბილისია და ყველა რაღაცის, ვიღაცის ნაცნობია. აღმოჩნდა, რომ კაიო იქ ადგილი არ არისო, მაგრამ ნაცნობობითო, ლევანს უთქვამს, კაიო, მოიყვანეთო რა. ხო მარა, ეგრეც არ გამოდისო, ერთი საავადმყოფოდან მეორე საავადმყოფოში გადაყვანა, ნუ რა-

ღაც თავისი პროცედურაა და არაკოლეგიალური რაღაც არის ალბათ, არ ვიცი რა. ხოდა, თითქოს ჩემი ცოლი ცდილობდა. აბა, ჩემით ხომ ვერ გავიდოდი, ხო?.. რომ ჩავბარგდე, წავიდე, საავადმყოფოში მივიდე, სასწრაფომ უნდა მიგიყვანოს...

მოვიდა სასწრაფო, ვიღაცა გამოდის, ეს ჩემთან მოვიდა თუ არა?.. მოკლედ, დღის ბოლოს გაურკვევლობაში ვარ, მოვა სასწრაფო?.. გამწერენ?.. პასუხი რა მაქ?.. არავინ არაფერს არ მეუბნება, ქაოსია რა. ქაოსიც არ არის რა „ფეხებზე კიდია სიტუაციას“ ვგრძნობ. მიუხედავად იმისა, რომ სიცხე მაქვს, მიუხედავად იმისა, რომ ნერვებზე ვარ, ვგრძნობ, რომ სიტუაციის შეფასების უნარი მაქვს რა, აი, „ფეხებზე მკიდია“ – ესეთი დამოკიდებულებაა ზოგადად რა, დაღლილები არიან ალბათ, სტატი არ ჰყოფნით, ხმამაღლა საუბარი, ისა, ესა...

მერე ჩემს მეუღლეს ვიღაცამ ურჩია კატასტროფის ცენტრი 150 ლარად. მოკლედ, ვაჟა ფშაველადან მე-8 საავადმყოფოში, პირველ რესპუბლიკურში მიმიყვანა, უცბად მოხდა ეს ყველაფერი. თურმე კატასტროფის ცენტრის მანქანა იყო საჭირო მხოლოდ და 150 ლარი. მოვიდა 5 წუთში, ჩავჯექი, წამიყვანეს. იქ რომ მიმიყვანეს ჩემი ჩანთებით, ვიცი, რომ უკვე ვიღაცის ხელში ვარ, უკვე გაფრთხილებული რომ არის, ხომ ხვდები, **კი არ მინდა რომ რამე პრივილეგიები მქონდეს, მარა მეორეს მხრივ, რატომაც არა, ნორმალური დამოკიდებულება მინდა, ხვდებით ხო რა სიტუაციასთან გვაქვს საქმე. იქაც რომ ყოფილიყო ნორმალური დამოკიდებულება, გიჟი კი არ ვიყავი რომ წამოვსულიყავი, თუმცა, იქ რომ დავრჩენილიყავი, ალბათ ეხლა ვერ დაგელაპარაკებოდით, აი,**

**ზუსტად ვიცი!..** და რატომ, მაგას მერე გეტყვით, ბოლოში... იმიტომ რომ ბოლო ფრაზა, რაც მითხრა რატიანმა (22 დღე ვიწექი საავადმყოფოში რატიანთან), როდესაც გამომწერეს საახალწლოდ (გადავახტი ძალიან ბევრს რა, 31 დეკემბერს მივედი სახლში), შემოწმება მინდა-მეთქი და კი, მოდიო, – კარები გააღო, შემოვიდა – ნუ, როგორ ხარ?.. რა ვიცი, ვარ-მეთქი... და მეორე წინადადებას რასაც მეუბნება რატიანი (რომელმაც გადამარჩინა, ზუსტად, აი, ხაზგასმით, რატიანმა გადამარჩინა!) მეუბნება: დედას გეფიცები, შენ როგორ გადარჩი, არ ვიციო... წარმოიდგინეთ!... ის საერთო მეგობრები, ვინც გვყავდა, ვინც კითხულობდნენ ჩემს ამბებს, იმათ ეუბნებოდა, რომ 50/50-ზეაო... ვერ დავდებ თავს, რომ გამოძვრებაო, რა...

თავიდან კი მქონდა სტაბილურად ეს რაღაც ქულები, კარგად მქონდა... ნუ, კარგად როგორ, სიცხიანი ვიყავი. მეგონა, რომ არაუშავს, ბევრს ჰქონია კოვიდი, რაღაც 7 დღეში ეს კრიზისი გავა, მე-9 დღე, რაღაცა... მე-9 დღე კი არა, მემგონი მე-14 თუ მე-15 დღეს დავმძიმდი. ისე დავმძიმდი, კატეზე რო ჩამიყვანეს... ესე იგი, ერთი კატე გამიკეთეს რესპუბლიკურში და არაფერი არა გაქო, მეორე დღეს რომ მიმიყვანეს იქ, ლევანთან, გამიკეთეს კატე თავისთავად, მქონდა 6 ქულა (ანუ 24 ქულიდან 6 ქულა მქონდა დაზიანება). მერე რაღაც პერიოდში მითხრეს, ცოტაო მოგემატა, 12 ქულა გაქვსო, საერთო ჯამში გამიკეთეს 4 კატე, რაც არის დაახლოებით 6 წლის დოზა (დასხივებას გულისხმობს – მ. ქ.), ხოდა, არ ვიცი, რძე უნდა ვსვა ალბათ ყავის მაგივრად ან წითელი ღვინო. ხვდებით ხო, დიდი დასხივებაა. მარა მაგ მომენტში ჯობია დაისხივო და ნახონ რა ხდება. მერე მითხრეს,

15 გაქვსო...15 მქონდა და უარესად როგორ ვარ-მეთქი?.. ნუ მაშინ დაგიმალეს, 15 კი არა, 18 გქონდაო.

* * *

დამაწვინეს ორკაციან პალატაში. ტიპი ზის მარტო, პაციენტი, ეს ტუმბოჩკები ხო არის, უჯრები ხო არის, ესე უდევს კომპიუტერი, გაშლილი და თამაშობს პასეანს.. ხო, არა, ნორმალური ამბავია, რატომაც არა, საავადმყოფოში ხარ რა. ექთანი შედის (ექთანმა შემიყვანა მე ჩანთებით), კაცს დაემართა ისტერიკა, ყვირილი დაიწყო, აი, ყვირილი თითქმის გინებამდე: რატომ მე?.. ამდენი დღე, 12 დღე ვწევარ, უნდა გამწერონ მალე, არ მინდა აქ კოვიდიანი მყავდესო!.. მე ვგრძნობ თავს რაღაცა უხერხულად, ლოგინი თავისუფალია, მე უნდა დამაწვინონ. ამან, ეტყობა იქ კარგად იყო რა, მარტო და არ უნდოდა ვიღაცა უცხო და კოვიდიანი, უკვე გამოჯანმრთელებული იყო. ძალიან უხეშად მოექცა ექთანს და მე გავედი... თან, მე კი არ მომმართავს, იმას მიმართავს... რომ ჩავერიო ეხლა რა, თან სიცხე მაქვს... ბოლო ბოლო ეს კაცი გაიყვანეს სხვა პალატაში, ვიღაც ეგეთივე მსგავს ტიპთან. მოკლედ, წავიდა და მაშინო, მე ჩემი ტუმბოჩკიანად წავალო და წავიდა ტუმბოჩკიანად, გააგორა. ვერ მივხვდი, ორი ლოგინია, ორი ტუმბოჩკა დგას, იმან თავისი ტუმბოჩკა წაიღო, გააგორა მთლიანად. ნუ კაი, გამიშალეს, დავწექი. 20 წუთში მოიყვანეს ერთი ახალი ბიჭი. იმას ეგონა, რომ მე დიდი ხანი ვწევარ. 10 დღე ვიყავით ერთად, მერე ის გამოჯანმრთელდა, მსუბუქად ჰქონდა, გაუშვეს, მერე კიდევ სამი კაცი შემეცვალა მე იმ პალატაში, ხოდა რომელიღაცა დღეს, ეს რო წავიდა, მაშინ დავმძიმდი,

მე-12 თუ მე-10 დღე იყო. უარესად გავხდი... 39 სიცხე, თავი არ მაქვს არაფერის, წამოჯდომის თავიც კი, ნუ თავისთავად არ ვჭამ არაფერს... ამ 22 დღეში დავიკელი სადღაც 12 კილო, შეიძლება მანამდეც უკვე დაკლებული მქონდა, იმიტომ რომ ნუ, ეხლა ომშიც ხომ სტრესია, საჭმელი რაღაც ისეთი, ყარაბაღში რა უნდა შეგეჭამა ხო...

გემო და ყნოსვა არ დამიკარგავს, ერთადერთი მქონდა სიცხე და ფილტვების პრობლემა. ორკაციანში ხომ ვიწექი და ჩვენი კედლის შემდეგ იყო ინტენსიური თერაპიის პალატა, კედელი თხელი იყო და ღამე ჩვენ მაინც შუქს ვაქრობდით, რომ ასე თუ ისე თვალებს დაესვენა. იქ კიდევ შუქი არ ქვრებოდა, 8 კაცი იყო, 1 ტუალეტი ჰქონდათ და სულ ხმამაღლა საუბრობდნენ. ღამე, ექთნები რომ შედიოდნენ, საუბრობდნენ. შუქი არ ქვრებოდა, ესე იგი ვერ ვისვენებდი... მეღვიძებოდა რა სულ და სულ რიგი ჰქონდათ ტუალეტში შესვლაზე... მოკლედ, მოსვენება არ მქონდა.

თუმცა იქ (ხმაურიან პალატას გულისხმობს – მ. ქ.) იყო ჟანგბადი, წნევით რომ მოდის, რაც ძალიან კარგი იყო. ჩემთან კიდევ იყო ისეთი ორი მილი, დაბალი წნევა რომ აქვს. ხოდა, ერთ დღეს, დამძიმების შემდეგ, შემოვიდა ლევანი შემოვლაზე და გადაიყვანეთ ინტენსიურშიო. ხოდა, ისე ვარ უკვე ნერვებზე, აი, მეტყობა ეს ნერვული ფონი (ზოგადად კი ვარ გურული, მაგრამ დალაგებული გურული ვარ)... და შანსი არ არის, არ გადავალ-მეთქი!.. არა, არა უნდა გადახვიდე, უნდა გადახვიდეო. თუ გინდა ძალით გადამიყვანეთ-მეთქი. არ მინდოდა, იმიტომ რომ აქ ორკაციანში უფრო კარგად ვიყავი, ტუალეტი მქონდა... წარმოიდგინეთ, ლიტრობით გვისხამდენენ, სულ გადასხმაში ვიყავი, ამას რომ გისხამენ

თავისთავად გინდა გასვლა, ხო? სითხეს ღებულობ, ხოდა, ორკაციანში მეტ-ნაკლებად უფრო კარგია, ვიდრე 8 კაციანში, თან აქ ბიჭი იწვა, იქ კიდე ქალებიც იყვნენ და რაღაცა, ყველაფერი ეს... ტუალეტში რომ გავდიოდი, იქიდან სანამ გამოვიდოდი, წყალში რომ ჩაყვინთავ ღრმად და რო არ გყოფნის შეკავებული სუნთქვა, აი, ესეთი გრძნობა მქონდა... მეთქი, აი, ჩქარა, ჩქარა, ჟანგბადი რა!.. უნდა მიმესწრო, მერე ვარეგულირებდი მე თვითონ, ნელ-ნელა, რომ გამესწორებინა სუნთქვა... ღამე სულ მეკეთა, დღისითაც, მაგრამ ეს აშრობდა ცხვირს, ცალკე ამის ტკივილი, ეს ხელები სულ ჩალურჯებული მქონდა, ორივე... აი, სურათებსაც განახებთ, სულ ლურჯი ეს ყველაფერი... ნუ, ადგილი აღარ არი, ვენები დამალულია... წარმოიდგინე...

ისე, იყო ექთანი, ვინც 8 დღე არ გავსულვარო რა, – მითხრა ერთხელ... დავმეგობრდით. ზოგჯერ პირველად შემოდის ვიღაცა, ვინ არის არ იცი... ნუ ეხლა, იცვლება ხალხი, ხო?.. იღლებიან ისინიც ხო?.. მე მაგალითად, დამიმთავრდა გადასხმა, მორჩა... ვერ ვიხსნი მე თვითონ რა, იმიტომ რომ ნემსი კი არ უნდა ამოვიღო, კათეტერი უნდა ჩავიხსნა, კათეტერი კი არა, რა ქვია მაგას, პეპელა თუ რაღაც... ჩემით ვერ ვაკეთებ მაგას რა, როგორ გავაკეთო და ზარს ვრეკავ, იმ ბიჭს ვეუბნები: დარეკე-მეთქი... გადის ერთი 20-25 წუთი... შემოდის: რომელმა დააჭირეთ?.. ყველა გელაპარაკება შენობით (მერე მივხვდი, რომ ვერ შეუსწორებ რა, ბიჭი შემოდის ერთი 20-21 წლის). დამიმთავრდა ეს-მეთქი და... შენ თვითონ ვერ ჩაიხსნიო?.. ვეუბნები, ვერა-მეთქი... უნდა ისწავლოო!.. მეთქი, რა ვისწავლო, მეთქი სასწავლებლად კი არ მოვედი?.. ისეთი, უხეში იყო რა ტიპი,

მეკაჩავა. ჩვეულებრივ ამბავში კარგ პასუხსაც მიიღებდა, მაგრამ მერე მივხვდი, რომ ჟანგბადი მაკლია ტვინში, ნელა ვაზროვნებ. რო გავიდა, მერე გავბრაზდი: მეთქიიი... შენი დედაც!.. უკაცრავად მაგრამ... 40 წუთის თუ 20 წუთის მერე შემოდიხარ და იმის მაგივრად ჩამიხსნა, გასვლა მინდა უბრალოდ, ვერ გავდივარ... ნუ აი, ლევანი იყო და რამდენიმე ყურადღებიანი, მომსახურე პერსონალი იყვნენ ჯიგრები და ზოგი – დეგენერატი, არ ვიცი რა!.. აი, ვეუბნები: აქ არ გამიკეთო, ვენა ლურჯია სულ, აი, მოდი აქ გამიკეთე... ის კიდევ – ნუ მასწავლი!.., ვეუბნები: მოდი რა, აი, ესე აქ გამიკეთე-მეთქი... არა, აქ არა, აქ არის მტკივნეული ძალიანო, – ხოდა, ჩამირჭო, ჩამირჭო, ჩამირჭო, არა ნუ ვერ გამოვიდა... ვეუბნები რა, თან მტკივა, ჯანდაბას, – ვფიქრობ, მიჩხვლიტა, სხვა ხო არაფერი, ხო გითხარი-მეთქი... რას მეჩხუბებიო, – და გავარდა... მივხვდი, რომ იმასაც გარეკილი აქვს...

**მომსახურე პერსონალი იღლება, მესმის მაგათი, მაგრამ რომ იღლები, დაისვენე. თუ არ მოგწონს, ნუ მუშაობ. თუ ზერელედ მუშაობ, გკიდია და მეუზრდელები... მე კიდევ უზრდელობა მინდოდა იქ?.. ისედაც ვწევარ, ცუდად ვარ, ხო ესეა?.. ჯანდაბას, შენობით რომ მელაპარაკები, რა უნდა ვქნა?.. სიტყვას ხომ სიმძიმე არ აქვს, ხომ არ გაწვება?..** აი, ის ქალი, რომელიც იყო ძალიან პოზიტიური (იმასთან ვმეგობრობთ ეხლაც), დაუზარელი, მოდიოდა, დარჩებოდა და რაღაც...

სასაცილო იყო საავადმყოფოში ის, რომ ყოველდღე ვიღაცა მოდიოდა, ყოველდღე მეკითხებოდა: რა გვარის ხარ?.. ესე ვწევარ: ჩხიკვიშვილი. წავა. მეორე დღეს მოდის, იგივე ადამიანია თუ არა არ ვიცი, იმიტომ რომ სკაფანდრშია: რა გვარის ხარ?.. ჩხიკვიშვილი!.. მერე მე ვუთხარი, – ბიჭო,

კარებზე ხომ წერია ჩემი გვარი, მე მსინჯავ და რა მუღამია, ხო?.. მერე სხვა გვარი ვუთხარი, წავეკაიფე რა, ეძება, ეძება, ანუ არ ვიცი, რა კაიფი იყო „რა გვარი ხარ?“.. რამე ხომ არ გინდა?.. საავადმყოფოში ვარ, რა უნდა მინდოდეს ხო?.. რა ვიცი... სახლში მინდა.

* * *

ერთ დღეს, სავარაუდოდ მე-17 დღეს, დილით გავიღვიძე, კარგად კი არ ვიყავი, ვერ ვდგებოდი საერთოდ და ჩემი ცოლი მეუბნება: ადექი, ცოტა გაიარეო... მეთქი, რა ავდგე, გადაბრუნება მიჭირს-მეთქი... ერთ დღესაც გათენდა, ავდექი, ტუალეტში გავედი და აღარ დავწექი, წავედი, წამოვედი, წავედი წამოვედი, ერთი 40 წუთი ვიარე ესე... **წინა დღეს რომ დამაწვინეს, ვიყავი ცუდად, ცუდად, ცუდად... მერე ძალიან ცუდად, ცუდად. აი, უკვე ისე, რომ მესამე კატეზე უკვე ეტლით ჩამიყვანეს და ჟანგბადის ბალონი მედო მუხლებზე. ჩემთვის ვიფიქრე, რადგან უკეთესობისკენ არ მიდის საქმე, პატარა ბავშები მყავს რა და თუ ვეღარ ვნახე ბავშვები-მეთქი... წარმოიდგინეთ რა. მანამდე თავშიც არ მომსვლია, რომ შეიძლება რამე მომსვლოდა...**

ინტენსიურ განყოფილებაში არ გადავედი, თუმცა ლევანმა ატეხა ერთი ამბავი. ჩემი ცოლი, ყველა მირეკავდა, მე გავფშიკე ფეხები. სავარაუდოდ, რომ გადავსულიყავი, უფრო უკეთესად გავხდებოდი მალე, იმიტომ რომ იქ ჟანგბადი მოდის წნევით... მაგრამ ისეთ ნერვებზე ვიყავი!..

ნერვებზე ვიყავი, იმიტომ რომ ჯერ სანამ ჩამოვიდოდი ყარაბახიდან, აი, ის მონაკვეთები, როცა შემეძლო დამეძინა ხო, იყო ძალიან მცირე. დაბომბვა იწყებოდა ღამით, 2 სა-

ათზე ან 12 საათზე. გააჩნია. ზოგჯერ საერთოდაც არ ყოფილა დაბომბვა რამოდენიმე დღე, რამოდენიმე ღამე, უფრო სწორედ. ეს ძალიან იშვიათად. სამნი ვიყავით, მე მქონდა ლუქსი, თავისთავად არ მეძინა საწოლზე, მატრასი მქონდა ჩამოგდებული იატაკზე შესასვლელთან, კარებთან ახლოს შუშები რომ გატეხილიყო ან რაღაცა... პაუზებით მეძინა ხოლმე...

მეუბნებოდნენ სულ, ყველა ვინც მირეკავდა: იცი რა, პოზიტიურად მიიღე, ძალიან შველისო... სიცხე რო გაქვს 38 ან 39, ან 37.3 ეს მღლიდა ძალიან რა... ხოდა პოზიტივი იქ ძალიან რთული იყო. ტელეფონში ტელევიზია მქონდა, კიდევ კარგი. ინტერნეტიც ჰქონდათ ოხრად და ნუ როცა შემეძლო, ტელევიზორს ვუყურებდი. ფილმს ვერ ვუყურებდი, იმიტომ რომ კონცენტრაციის თავი არ მქონდა. ერთადერთი, რასაც ვუყურებდი ტელევიზორში, „კუხნია ტვს," სამზარეულოს რაღაცებზე, რაღაც დამაინტერესა, მშენებლობები მაინტერესებდა ადრე, რაღაც, მაგრამ არა, ვერაფერს ვერ ვუყურებდი „კუხნია ტვს" გარდა. მერე მივხვდი, ეტყობა ორგანიზმს შიოდა რა, მარა ისე ჭამა კი არ მინდოდა, საჭმელებს ვუყურებდი რა. ხოდა არ ვიცი იმის მერე არც მიყურებია. ყველა დამცინოდა, ყველას მოვუყევი ეს ამბავი და მერე, როდესაც გამომწერეს, ნოემბრის 18 თუ 19-ში და პირველ დეკემბერს უნდა ჩამეგარებინა ოფისი, იმიტომ რომ მუშაობის სხვა რეჟიმზე გადავდიოდით. რაღაც პროცედურები გავიარე, ოფისიდან რაღაც ნივთები უნდა ჩაგვეტანა საწყობში, მე არ მქონდა თავი და ჩემი ძმაკაცები მეხმარებოდნენ. ხოდა, მე პრინციპში ეხლა უზრდელი არ ვარ და წესიერ ოჯახში ვარ გაზრდილი, მაგრამ რაღაც პონ-

ტში ვერ მოვითმინე და იქ ერთ პრარაგს დავახურე თავზე, რაღაც ნათურის გულისთვის (ცხოვრებაში არ მიგინებია ქუ-ჩაში ეგრე), ნათურა რატომ არ კიდია-მეთქი. იმან რაღაც მიპასუხა და მივხვდი, რომ ვიყავი ძალიან გაღიზიანებული. შეიძლება იმიტომაც, რომ ღამე უძილობა მაწუხებდა, მქონ-და წამლების ფონიც. ყოველ 1 საათში მეღვიძებოდა სულ სველს, თითქოს ვედროთი გადამასხეს წყალი.

* * *

მახსოვრობის პრობლემები მქონდა მერე, ეს ლოგი-კურია, იმიტომ რომ ჟანგბადი არ მიდის ტვინში საკმარისი. ერთადერთი, რამაც მიშველა და ყველას ვურჩევ, სიარულია, მარა... სიარულის თავიც არ მქონდა. მთაწმინდაზე ვცხოვ-რობ და ქუჩის იქით არის ტყე, იქ არის წყარო, ის გოგო რომ მოკლეს, ავსტრალიელი იქ და იმ წყარომდე ვერ მივდიოდი. ვიცი, რომ სიარული კარგია, მარა ფილტვების მოცულობა იყო პატარა, მძიმედ ვსუნთქავდი და თავისთავად ვიღლებოდი. ამდენი ხანი რომ ვიწექი, კუნთებიც მქონდა ატ-როფირებული. პირველ დღეს რაღაც მონაკვეთი გავიარე, მეორე დღესაც რაღაც ვერ ავდექი, მესამე თუ მეოთხე დღეს ცოტა მეტი გავიარე, ძალით ვცდილობდი და მერე საღამოს ვგრძნობდი, რომ ცოტათი უკეთა ვარ რა. მერე ამაზონიდან გამომიწერეს პატარა სასუნთქი სავარჯიშო ნივთი, შკალა აქვს 5000-მდე, უნდა შეისუნთქო და რაღაცა ადის იქ, გიჩვენებს... ვცდილობდი, 1000-მდეც ვერ ავდიოდი. თან ვფიქრობდი, ეს 5000-იანი შკალა საერთოდ რად უნდათ-მეთქი?.. ეხლა 5000-მდე არა, მაგრამ დიდზე ავდივარ უკვე... ეს სიარულმა გამიხსნა ფილტვები.

* * *

ავად ყველა ვყოფილვართ, ის ანეგდოტი იცით, ცი-ხეში რომ არის ტიპი: გაიქცევა, დაიჭერენ, ყურს მოაჭრიან. გაიქცევა, დაიჭერენ, კიდევ რაღაცას მოაჭრიან და – შენ რა ნაწილ-ნაწილ იპარებიო?... ხოდა აი, ეგრე ვიყავი მეც: კუჭის ოპერაცია მაქვს გაკეთებული, ნაღვლის ბუშტი არ მაქვს, ბრმა ნაწლავი არ მაქვს, ნუ გლანდები არ მაქვს. მოკლედ, ნაწილ-ნაწილ ვქრებოდი უკვე რა...

**ვცდილობ, რომ ეს ყველაფერი დავივიწყო ხო, მაგრამ არ გამოდის** ან როგორ ემოციურად მოვყევი ხო ყველა-ფერი...ეს შიში მქონდა ზოგადად და ვიცი, რომ კატასტოფაა იქ მოხვედრა. მე რომ იქ ერთი დღე დავრჩენილიყავი, რომ არ გამოვსულიყავი სოფლიდან, სიცხიანი იქ დავრჩე-ბოდი ალბათ, იქ დამაწვედნენ (ეს ომის შემდეგი პერიოდია სომხეთში, როდესაც არეულობა იყო), ვიღაც გრუზინი, რო-მელიც ავად არის, მოვკვდებოდი იქვე ხო?.. ვინ მომხედავ-და, ერევანში, ვის რაში სჭირდები. ნუ, შეიძლება აქ, რესპუბ-ლიკურშიც იგივე იყო დაახლოებით, რომ არ ყოფილიყო ლევანი, რომელიც ექსპერიმენტებს ატარებდა?.. თვითონ თქვა, გაიდი გვაქვსო, მაგრამ ამ გაიდებს არ მივყვებითო, ჩვენ ჩვენი მუღამი გვაქვსო... ვუყურებთ, როგორ მიდისო პროცესი, ყველაფერი ხომ ინდივიდუალურია, იმ გაიდმა კიდევ შეიძ-ლება ვიღაცაზე იმუშაოს და მეორეზე არ იმუშაოსო... ხოდა, ამ ექსპერიმენტების აშკარად არ ეშინოდათ და მიმატებდა რაღაცას: ეს დაამატე, ის გამოიღე და აი, გამომქაჩა იმან.

* * *

მერე გამეხსნა მადა, რომ ავდექი. სახლიდან მოტა-ნილი საჭმელები შევჭამე, საავადმყოფოს საჭმელი შევჭამე,

კიშკა მქონდა გახსნილი რა, რაც მოჰქონდათ, ყველაფერს ვჭამდი რა, იმიტომ რომ წონა დაკლებული მქონდა.

რომ გამომიშვეს?.. ვაიმე, ჩემმა ძმაკაცმა წამომიყვანა და ჩემმა მეუღლემ და სურათი გადამიღო რა, სულ გადახოტრილი ვარ ზოგადად, ეს თმები გაზრდილი, გამხდარი, ეს წვერი... დაბანა მინდოდა რა. იქ, სანამ სიცხიანი ვიყავი, იმ ბანძ (მაპატიეთ) საპირფარეშოში დუში არ იყო, შლანგი იყო და იმ შლანგით დავიბანე რა, ვიბანდი კი არა, აზელვა ერქვა მაგას რა. რაღაცა ცოტა რეფრეში რომ გამეკეთებინა. მერე უკვე, სალფეთქებით თუ გაიწმინდავ სახეს რა... გეზიზღება თავი, სიცხე გაქვს, გტკივა... ხოდა, მერე რომ გამომწერეს, დაბანა მინდოდა და აბაზანაში არ მქონდა თავი, რომ დამებანა. ჩემმა მეუღლემ დამბანა, დავწექი რბილ ლოგინზე და მესამე დღეს ცუდად გავხდი და ისევ დამაბრუნეს საავადმყოფოში, იმიტომ რომ რაღაცა დანიშნულებაში (ლევანი არაფერ შუაში არ არის) სართულის ექიმს თუ განყოფილების გამგეს რაღაც წამალი გამორჩა, რომელიც უნდა დამელია კლებით რა და უბრალოდ მომიხსნეს და... სახლში პირველ დღეს კარგად ვიყავი, მეორე დღესაც კარგად ვიყავი, მესამე დღეს გამენასკვა ხელი, ხანდახან აუზში რომ გეკვანძება ხოლმე, ხო იცი?.. იქვე გამენასკვა მეორე. მეთქი ე, რა ხდება?.. ჩემი ცოლი იყო, გამისწორე ხელი-მეთქი... სანამ ამას მისწორებდა – ტკაპ და ტკაპ, ხელები და ფეხები, ოთხივე ერთდროულად გამენასკვა... რაღაცა დამაკლდა, კალიუმი თუ მაგნიუმი თუ რაღაცა ჯანდაბა... მერე ერთი ღამე ვიწექი მიმღებში, გადამისხეს კიდევ ერთი ოთხი ლიტრა და გამომწერეს.

ეგ იყო რა.

16.

სახელი, გვარი: ლილიანა ჩხეიძე

ასაკი: 53

სამუშაო ადგილი: სამხატვრო სკოლა ART FABRIC-ის ხელმძღვანელი

საცხოვრებელი ადგილი: ბაზილისი

ინფიცირების ადგილი და დრო: ბაზილისი, 10/2020

ჩაწერის ადგილი და დრო: ბაზილისი, 09/2021

ინტერვიუერი: მერი ქაჯაია

სულ ვიცავდი, სულ დავდიოდი პირბადით, არ მომიხსნია არასდროს და ეჭვი მაქვს, რომ ჩემი დისგან გადამედო. დილა რომ გათენდა, დამეწყო საშინელი თავის ტკივილები, სისუსტე, გულისრევა გრძელდებოდა უსაშველოდ, სულ გული მერეოდა ყველაფერზე (ანუ სუნებზე მქონდა უფრო გამძაფრებული რეაქცია), ყნოსვა არ დავკარგე, ამიტომ ბოლომდე არ ვიყავი დარწმუნებული, იყო თუ არა კოვიდი. ხოდა, უკვე საღამოს (ძაან ცუდად ვიყავი) მე თვითონ მოვითხოვე, რომ გადავეყვანე საავადმყოფოში.

დავრეკე... ვერ ვლაპარაკობდი, ეს მაღალი სიცხე მქონდა და გულისრევა. მოკლედ, წამიყვანეს საავადმყოფოში, იქ ამიღეს ტესტი და გამიყვანეს ოთახში, სანამ დამიდასტურ-დებოდა კოვიდი, იქ უნდა ვყოფილყავი... ანუ ორ დღეში უნდა ყოფილიყო პასუხი, ორ დღეში არა, მემგონი 24 საათში უნდა ყოფილიყო პასუხი.

თვითონ საავადმყოფოში იყო არაჩვეულებრივი სი-ტუაცია, ძაან კარგი პალატა იყო, ძაან მომეწონა, მარტო ვიწექი. ნუ, გადასხმები დამიყენეს და ველოდებოდით პა-სუხს. გათენდა დილა, ისევ ცუდად ვიყავი ძალიან, ავყავდი ლიფტით, უნდა გადაეღოთ რენტგენი, არ ვიცოდი პასუხი, მქონდა არ მქონდა... ნუ, არ უთქვამთ... რამდენიმე ქა-ლი ავდიოდით ერთად და მერე ვკითხე ლიფტში, მაქვს-მეთქი?.. და – კი, როგორ, თქვენ არ გითხრესო?.. თქვენ დაგიდასტურდათ კოვიდიო!.. და პირველი რეაქცია იყო, რომ გამიხარდა. გვერდით იყო ქალი, რომელსაც ძაან ეწყინა. მე გამიხარდა, იმიტომ რომ იმდენად ცუდად ვიყავი, მერჩევნა კოვიდი ყოფილიყო, ვიდრე რამე სხვა...

სტრესი რომ გითხრათ, არ მქონდა ისეთი. **ეს ავად-მყოფობა მივიღე ისე, როგორც საჭიროება. ანუ არ იყო ის მომენტი, რომ მე რატომ დამემართა. ერთადერთი შიში იყო იმისი, რომ ვინმესთვის არ გადამედო.** თავისთავად გადაედო ჩემს მეუღლეს და ჩემს შვილს, ისინი სახლში იყვნენ, მაგრამ პირველი შიში იყო, რომ ჩემგან ვინმე უცხოს ხომ არ გადაედო. მე მოსწავლეები მყავს, იმათთან კონტაქტში არ ვყოფილვარ იმ პერიოდში და კიდევ კარგი, რომ არ ვიყავი. შესაბამისად, როცა გავიგე, რომ არავის არ გადაედო, უფ-რო დავწყნარდი. მქონდა ის მომენტიც, რომ ვიცოდი, ყვე-ლაფერი კარგად იქნებოდა.

გაგვიკეთეს ფილტვების რენტგენი და აღმოჩნდა, რომ დაზიანება არ მქონდა, ისევ განმათავსეს პალატაში... მესამე დღეს დაიწყო უცნაური შეგრძნებები, ისეთი, რომ თითქოს პატარა ორგანიზმი იწყებს სიარულს და შენს გამოცდას, გცდის ნელ-ნელა, დადის, დადის, დადის ნელ-ნელა. აი, ვთქვათ, დაიწყო ფეხებიდან, წამოვიდა, ყველა მალა, ყველა ძვალი მოიარა, დაათვალიერა... მერე შევიდა ხერხემლის მალებში, ყველა ორგანო, რაც კი არსებობს, ყველგან დადიოდა, ფეხის თითიდან დაწყებული, თმის წვერამდე დამთავრებული... მოიარა... გეგონება, ეძებდა ორგანიზმში რაღაცას, რაც გაწუხებს, იმ სუსტს ნაწილს, სადაც უნდა განთავსებულიყო... ჯერ ფიზიკურად იარა და მერე სულიერად და ფსიქოლოგიურად შემებრძოლა... მემგონი, უფრო მცდიდა – როგორი ვარ... მე მგონია, რომ ძაან ბევრია დამოკიდებული ფსიქოლოგიურ მომენტზე... მე მივენდე, მივუშვი... ათვალიერა, ათვალიერა, იარა, იარა, იარა (ნუ, ეს ტკივილები თავისთავად მოყვებოდა ამას)... მერე გაჩერდებოდა. მერე ისევ დაიწყებდა მოძრაობას ჩემში... და პლიუს, პარალელურად იყო სიცხე, ყოველ 15 წუთში იცვლებოდა სიცხე. იცი როგორ?.. აიწევდა 39-მდე, 10 წუთში ჩამოვიდოდა 36-მდე. ისევ აიწევდა 39-მდე. მერე 15 წუთში ჩამოვიდოდა 36-მდე... **ძვლები რომ მოიარა, მთელი ორგანიზმი რომ დაათვალიერა ამ პატარა არსებამ, ესეთი ეჭვი მქონდა, რომ ცოცხალი იყო.**

მე ვებრძოდი... არც ვებრძოდი პრინციპში, აი, მივუშვი... ანუ, დადებითად მივიღე ეს ავადმყოფობა, არ მქონდა ეს პანიკა, არ მქონდა შიში... ეტყობა, მიხვდა... იარა, იარა, იარა და მერე უცბად გავიღვიძე დილით და არაფერი არ

მჭირდა... ანუ აღარ დადიოდა... გეგონებოდა, რომ იპოვა ესეთი ადგილი, რაც მოეწონა...

დილას გავიღვიძე და ვიყავი კარგად.

* * *

მე მოვხვდი არაჩვეულებრივ საავადმყოფოში. არ მინდოდა სხვაგან გადასვლა. როცა დამიდასტურდა კოვიდი, უნდა ავეყვანე პაციენტების პალატაში, სადაც იწვა 4 თუ 5 კაცი და ძალიან არ მინდოდა. რომ ამიყვანეს, იქ დამხვდა არაჩვეულებრივი სიტუაცია, უფრო კარგი, ვიდრე მარტო რომ ვიწექი. ძაან დიდი მნიშვნელობა აქვს გარემოს. არაჩვეულებრივი გარემო იყო: გაწკრიალებული, ბზინავდა, ალაგებდნენ, ძალიან კარგად გვივლიდნენ; არ იყო პანიკა, არ მოვხვდი ძაან მძიმე ავადმყოფებთან. იყვნენ ცოტა ფსიქოლოგიურად მოდუნებულები, რომლებსაც ეშინოდათ, მაგრამ არ იყო მძიმე სიტუაცია; ყველას გადასხმას გვიკეთებდნენ, პროტრომბინი მაღალი მქონდა, მიკეთებდნენ ნემსებს, მაგრამ თვითონ სიტუაციიდან გამომდინარე, მე არ მინდოდა იქიდან წამოსვლა. ყველას უკვირდა, როგორ არ გინდა, წადი სახლშიო!.. მე ვიძახდი: არა, ბოლომდე ვიქნები, იმიტომ რომ მინდა ბოლომდე მოვრჩე-მეთქი. ვიწექი პრინციპში 12 დღე, ბოლო დღეებიც გამოვიყენე. გამოვედი და სიცხეები მაინც მქონდა ცოტ-ცოტა. მაგრამ დასტაბილურდა...

* * *

რომ გამოვედი საავადმყოფოდან, მეზობლები მხვდებოდნენ და ცოტა იწეოდნენ გვერდით, იმიტომ რომ

ეშინოდათ, იმიტომ რომ ბოლომდე არ იცოდნენ რამდენი დღე იყო გადამდები... და ეს აბსოლიტურად გასაგები იყო. ამიტომ მე ვცდილობდი, რომ ახლოს არ მივსულიყავი. ეს გრძელდებოდა სადღაც ერთი ათი დღე...

რომ ამბობნ, რა არის ეს კოვიდი?.. ხელოვნურია, დაშვებულია, საიდან არის?.. მე ვთვლი, რომ ალბათ რაღაც გამოცდაა ადამიანის და საჭიროც იყო... სამწუხაროა, ამას რომ ვამბობ. ალბათ იყო საჭირო ჩვენთვის ყველასთვის. **ურთიერთობის, ხალხთან დამოკიდებულების რაღაც პატარა გამოცდა. ძაან ბევრში გამოიწვია ეს აგრესია, განსაკუთრებით რიგებში... მერე უფრო მივხვდებით, დრო რომ გავა, რომ გადავხედავთ ჩვენს მოქმედებებს, ჩვენს ლაპარაკს, ჩვენს ურთიერთობას... მითუმეტეს, ფეისბუქზე რაც ხდება, კატასტროფაა, ყველამ თავისი დაწერილს უნდა გადახედოს, მერე უფრო მივხვდებით... ამიტომ ვამბობ, რომ აუცილებელიც იყო ეს ვირუსი... სამწუხაროდ ცუდ რამეს ვამბობ შეიძლება, მაგრამ ზოგიერთი გამოსწორდა და ზოგმა პირიქით ამოუშვა თავისი აგრესია, რაც დამალული იყო.**

აი, არ ვიცი... ძაან დიდი გამოცდაა!

* * *

ის შეიცვალა, რომ დავწყნარდი კოვიდის შემდეგ, რამოდენიმე თვე მითუმეტეს... პირბადით ისევ დავდიოდი და ვიცავდი თავს, მაგრამ შიში დამშვიდდა, იმიტომ რომ ვიცოდი, გადატანილი მაქვს, მეორეჯერ არ გამეორდებოდა. ეხლა მეორეჯერ რომ დამემართოს, არ ვიცი როგორ ვიქნები, რას ვიგრძობ, ალბათ საინტერესო იქნება ორჯერ ვისაც დაემართა რა იგრძნო... მე არ ვიცი ვიქნები ისევ ესე?..

იმ პერიოდში კი მქონდა ძაან დიდი ძალა, ძაან დიდი ენერგია, ფსიქოლოგიური შემართება, რომ ეს მეგრძვის და მე როგორ უნდა მოვექცე კოვიდს, იმ პატარა არსებას.

***

**პატარა რაღაცაა, წერტილივით არის, დაძვრება, დაძვრება, დაძვრება...** ჩემ შემთხვევაში მე მქონდა ეგ შეგრძნება, რომ შიგნით რაღაცა იყო ანუ არ იყო ეს რაღაც ვირუსი. დადიოდა, დადიოდა, აი, ხო გეუბნებით... მემგონი, მაინც გამოცდაა, გსწავლობს და მერე წყვიტავს რა გააკეთოს, რაღაც სიტუაციაში ალბათ ერევა ვიღაცას, რაღაც სიტუაციაში ალბათ ფიქრობს, რომ ჯობია მიიძინოს და სადმე მიიმალოს და გავიდეს სადღაც... მე ის გრძნობა მაქვს, რომ ის რჩება შენთან, არის სულ შენთან, იმიტომ რომ პოსტ-კოვიდ სიტუაციაც არსებობს, სულ ცოტ-ცოტა მაინც რაღაცას რომ გრძნობ, სისუსტე მოგყვება...

ჩემთან დიდი დრო გავიდა, მაგრამ მაინც სულ მახსენებს თავს, მტკივნეულად არა, მაგრამ რაღაცა მომენტში მახსოვს, არ მავიწყდება...სადღაც ალბათ არის.



17.

სახელი, გვარი: ზურაბ კაიფარაშვილი

ასაკი: 61 წლის

სამუშაო ადგილი: აბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

საცხოვრებელი ადგილი: აბილისი

ინფიცირების ადგილი და დრო: კახეთი, 11-12/2020

ჩაწერის ადგილი და დრო: აბილისი, 09/2021

ინტერვიუერი: მარიამ სეხნიაშვილი

ზოგადად, ალბათ, ყველას ასეთი განცდა აქვს და მეც ასე მეგონა, რომ ეს საშინელება, რომლიც კაცობრიობას თავს დაატყდა, გვერდით ჩამივლიდა, არ შეხვდებოდა ჩემს ახლობლებს, არ შემხვდებოდა მე. ძალიან მოწესრიგებულად ვიცავდი თავს, პირბადით, ყველა წესის დაცვით ვერიდებოდი კონტაქტებს, სამსახურშიც რეჟიმი შემოვიღეთ, არ მიხდებოდა კონტაქტი ბევრ ადამიანთან. მიუხედავად ამისა, აღმოჩნდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს (მშვენიერი დღე ბრჭყალებში, რა თქა უნდა) მომცა სიცხემ და დამაწყებინა

ხველება... მაინც ვფიქრობდი, რომ ეს არ იყო კოვიდი... მაშინ არ იყო ასე მარტივად ტესტების აღება, გამოვიძახეთ სახლში ლაბორატორია. სწრაფმა ტესტმა თქვა, რომ არ გაქვს (რასაკვირველია, გულზე მომეშვა), მაგრამ ოჯახში მაინც ძალიან შეშფოთებულები იყვნენ და გამოვიძახეთ მერე PCR ტესტის გასაკეთებლად ჯგუფი. აღმოჩნდა, რომ თურმე მეც იმ სამყაროს ნაწილს მივეკუთვნები, ვისაც შეეხო ეს უცნაური წყევლა თუ რისხვა განგებისა. კიდევ უარესი, აღმოვჩნდი იმ კატეგორიაში, რომელმაც ძალიან მძიმედ გადაიტანა – საავადმყოფოში მოვხვდი.

**როდესაც სასწრაფო მოვიდა, ისეთი განცდა მქონდა, რომ მომიტაცეს. ეს ხომ არ არის ჩვეულებრივი აღკაზმულობა, თეთრი მოვერცხლისფერო, როგორც წარმოგვიდგენია კოსმონავტები და როგორც წარმოგვიდგენია სხვა პლანეტის მკვიდრნი. როგორც კი მათთან სასწრაფოში მოვხვდი და დავტოვე ჩემი ჩვეულებრივი სამყარო, ისეთი განცდა მქონდა, რომ სადღაც, ცაში წამიყვანეს.** ამას ემატებოდა მაღალი სიცხე, რის გამოც ჯანსაღად ვეღარ ფიქრობ. სულ მქონდა ისეთი განცდა, რომ უცხოპლანეტელებთან ვარ... ღრუბლებში დაცურავ თუ მაღალი სიცხე გაქვს. დაიკლებს და მერე უბრუნდები რასაკვირველია, რეალობას. იცი, რა ძალიან ცუდ რეალობას შეეჯახე. მაგრამ როცა სიცხე მაღალი გაქვს და ტვინსაც ჯანსაღად აზროვნება უჭირს, უცნაურ რეალობაში ინაცვლებ.

იცი, კოვიდით დაავადება რითი განსხვავდება სხვა მძიმე ავადმყოფობისგან? ძალიან მნიშვნელოვანი ნიუანსია, ოღონდ ძალიან ცუდი: შენ იზოლირებული ხარ მთელი სამყაროსაგან, იზოლირებული ხარ ანუ შორდები იმ ადამიანებს, ვინც შენთვის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანია ან

ძალიან ახლობელია, რომელთა გარეშე არსებობას აზრი ეკარგება. შეიძლება ითქვას, რომ ადამიანისთვის, როგორც კი დაინფიცირდება და იზოლაციაში გადადის ან საავადმყოფოში გარკვეული თვალსაზრისით იწყება მანამდე განუცდელი, მანამდე არნახული ცხოვრება. ცხოვრება, რომელიც მე არ მინდოდა, განა იმიტომ რომ ავად ვიყავ, ეს თავისთავად ცხადია, როცა ფიზიკურად გტკივა, როცა ვერ სუნთაქავ, სიცხე გაქვს, აგონიაში ხარ და ასე შემდეგ... **მაგრამ, როცა შენ ხელს ვერ შეახებ შენს ახლობელს, როდესაც ვერ მოვა და ვერ დაგამშვიდებს შენი ოჯახის წევრი...** შენ წარმოიდგინე, ეს უცნაური ფიქრები, რომლებიც ერთმანეთს ენაცვლებოდა, ზოგი ლოგიკური, ზოგი არალოგიკური, საშინელი განცდა მოდიოდა, იმიტომ რომ სიკვდილის წინაშე ვიდექი, უკვე ხვალინდელ დღეზე ვერ ვფიქრობდი. შეიძლება დამთავრდეს ეს ყველაფერი, როდესაც მე აღარ ვიქნებოდი, როგორი იქნება ხვალინდელი დღე?.. **უცნაურია ადამიანი, თურმე ამაზეც კი ფიქრობს, როგორ დაგემშვიდობებიან.** ვერავინ დაგემშვიდობება, შენი ახლობელი ცრემლსაც ვერ დაგაგდებს გულზე. ამითი განსხვავდება ეს უცნაური დაავადება ყველა დანარჩენი დაავდებისგან, დანარჩენი სიკვდილისგან.

რაც ყველაზე მეტად მახსოვს და აუცილებლად უნდა ვთქვათ, ეს იყო ჩემი განსაკუთრებული დამოკიდებულება და მადლიერების განცდა ექიმების მიმართ თავისთავად, მაგრამ არანაკლები ექთნების და სანიტრების მიმართაც, რომლებიც იყვენენ სამყაროსთან ჩემი დამაკავშირებლები. იმ სამყაროსთან მეკავშირეები, რომლისგანაც მომწყვიტა ამ სენმა, მეკავშირეები ჯანსაღ სამყაროსთან, თორემ

შენს გვერდით იყო შენნაირად განწირული და შენნაირად დაავადებული ადამიანი. ის სამყარო გენატრებოდა... მე ყოველთვის ვამბობ, რომ ისინი, ის მეკავშირეები არიან გმირები. წარმოიდგინეთ, კოსმოსიდან მოსულ ადამიანებს ჰგავდნენ, რომლებიც ისეთი აღჭურვილები არიან, მხოლოდ თვალები მოუჩანთ... და ამ თვალებს თითქოს ებღაუჭები, თვალებიდან წამოსულ სიცოცხლის ნაპერწკალს.

სულ მახსენდებოდა, დავიწყებული, ბავშვობაში წაკითხული სათავგადასავლო ლიტერატურა, სადაც ასეთი არარეალური ადამიანები იყვნენ გმირები. მაგალითად, მოდიოდა აელიტა[30] (სიცხიანი რომ ვიყავი იმ დროს), მოდიოდა ადამიანი-ამფიბია[31], სულ ასეთი განცდა მქონდა.

ერთი უცნაური ნიუანსიც იყო, ზოგადად არანაირი ფობია არ მაწუხებს, ჩემს გვერდითაც შედარებით ჯანსაღი ფსიქიკის ადამიანები იყვნენ, მაგრამ საავადმყოფოს წესების მიხედვით პალატის კარი უნდა ყოფილიყო დაკეტილი, გარეთ არ შეიძლებოდა გასულიყავი, იმიტომ რომ უფრთხილდებოდნენ თავის პერსონალს... მაგრამ ეს საოცრად დამთრგუნველი იყო. ჩვენ ვთხოვდით, რომ პირობას გაძლევთ, გარეთ არ გამოვალთ, ოღონდაც კარი არ ჩაკეტოთ...

* * *

მე განსაკუთრებით გამიგრძელდა ეს დაავადება, პირველ პერიოდში იყო სიცხე, სიცხე, რომელიც ბევრჯერ გქონია, მაგრამ როდესაც თითქმის ერთმა კვირამ გაიარა,

---

30 გმირი ალექსეი ტოლსტოის რომანიდან „აელიტა“ (რომანი დედამიწელების მარსზე მოგზაურობის შესახებ მოგვითხრობს).

31 გმირი ალექსანდრე ბელიაევის რომანიდან „ადამიანი-ამფიბია“ (რომანი „ზღვის ეშმაკად” წოდებულ ჰუმანოიდზე მოგვითხრობს).

მერე დაიწყო – საშინელებაა! ყველაზე უფრო მძიმეა, როდესაც ვეღარ სუნთქავ და ის პლასტმასის მოწყობილობა, რომელიც ცვირ-პირზე გადევს, არის ერთადერთი გადარჩენის საშუალება (საიდანაც ეს ჟანგბადი მოგეწოდება). მოკლედ, მტერს არ ვუსურვებ, როგორც ამბობენ ხოლმე.

თავიდან ვიცოდით, რომ ახალი საშინელება დაატყდა თავს კაცობრიობას. ვიცოდით ორი ვერსია, ერთი რომ ეს იყო ბუნებრივი გზით განვითარებული, ღამურებიდან გადმომხტარი ვირუსი (მე, პრინციპში, ამაში ლოგიკას ვხედავდი). საფრანგეთში მოღვაწე ცნობილი მეცნიერის, ჩვენი დათო ფრანგიშვილის[32] ლექცია მქონდა მოსმენილი: მსგავსი ვირუსების შემოტევა კაცობრიობას ჰქონია პერიოდულადო. არსებობდა მეორე ვერსიაც, რომ ეს იყო ხელოვნურად შექნილი ვირუსი, რომელიც არ ვიცით განგებ გაავრცელეს, არ ვიცით გაეპარათ, მაგრამ საბოლოო ჯამში, ჩვენთვის, უბრალო ადამიანებისთვის და იმ ადამიანებისთვს, ვინც დაავადდა, არაფერი არ იცვლება შედეგის თვალსაზრისით. თუმცა თუ ვირწმუნებთ იმას, რომ ეს ხელოვნურად არის შექმნილი, მით უარესია, იმიტომ რომ უფრო მეტი გართულებები შეიძლება დატოვოს.

* * *

ჩვენი სამედიცინო სისტემა, მაინცდამაინც მომზადებული ვერ შეხვდა ამ ვირუსს. ვიცოდით, როგორ უნდა დაგვეცვა თავი. როგორც თავიდან გითხარით, ვიცავდი კიდეც, მაგრამ არაფერი გამოვიდა. მაქვს ჩემი მოსაზრება: იმ პე-

---

32 ქართველი ვირუსოლოგი, პარიზის პასტერის ინსტიტუტის პროფესორი, წამყვანი ექსპერტი ვირუსების კვლევაში.

რიოდში ვიყავი სოფელში. სოფელში უფრო ნაკლებად იცავენ თავს, მე ჩემს თავზე არ ვამბობ, იქაც ვცდილობდი, მაგრამ ეზოში, ქუჩაში, ორღობეში... შესაძლებელია, იქედან გადამედო... არ ვიცი... რომ გითხრა, დადასტურებისთანავე დავპანიკდი, – არა... რა თქმა უნდა, არ მესიამოვნა, ძალიან შევწუხდი, უფრო მეტად შევწუხდი იმაზე, რომ ჩემი ოჯახის წევრები დაავადებოდნენ. ეს იყო ყველაზე მეტად დამრთგუნველი. სხვათა შორის მინდა გითხრათ, რომ გადარჩა მეუღლე და უფროსი ქალიშვილი. პატარა ქალიშვილს კი გადავდე ეს დაავადება.

უცნაური რამ არის, როდესაც მე საავადმყოფოში ვიწექი, ინტერნეტით მქონდა ურთიერთობა და როდესაც ჩავრთავდით ვიდეოთვალს, ჩემი მეუღლე და უფროსი ქალიშვილი ეგრევე მეკონტაქტებოდნენ. სად არის თათა? თათა რატომ არ მენახვება? – რაღაცას იგონებდნენ, მუშაობს, მერე ვითხოვდი, რომ მოიყვანეთ, დამანახეთ. ამ დროს თურმე ბავშვი ავად არის და ცდილობს, ამათთანაც არ ჰქონდეს კონტაქტი. დამიმალეს... კარგიც ქნეს, რომ დამიმალეს, იმიტომ რომ, რასაკვირველია, უფრო მეტად დავითრგუნებოდი და შეიძლება ფრთებიც კი ჩამომეყარა იმის განცდით, რომ მე დავაზარალე (ჩემი თავი ჯანდაბას) ყველაზე საყვარელი ადამიანი!

ამ შემთხვევაში გამიღიმა ბედმა და თავდაპირველად პალატაში ჩემთან მოხვდნენ ადამიანები, რომლებიც მსუბუქად იყვნენ (ჩემს ოთახში ოთხნი ვიყავით). მათ ძალიან მალე დატოვეს საავადმყოფო, მერე ახალი რომ მოიყვანეს, იმას ძალიან მაღალი სიცხე ქონდა, ახალგაზრდა იყო და მამობრივი განცდა გამიჩნდა. ვცდილობდი გამემხმევებინა,

იმედი მიმეცა. **არის ხოლმე მნიშვნელოვანი მომენტი, პალატაში სოლიდარობის განცდის შექმნა.** ერთი იყო ჩამოსული ქართლიდან, გორიდან და მუდმივად ცდილობდა სახუმარო ამბები მოეყოლა. არ ვიცი რამდენად გვამხნევებდა ეს ამბები... ეს არის მიკრო სამყარო, მოწყვეტლი ხარ, დერეფანშიც არ შეიძლება გახვიდე. იქმნება რაღაც (სუბკულტურას ვერ შექმნი) სამყარო და ოთახის იქით რა ხდება, არ იცი. ვინმეს როცა რამე გაუჭირდებოდა, ზარიც არ გვქონდა რომ გამოგვეძახა ვინმე. კი არაჩვეულებრივი მოპყობა იყო, ექიმების მხრიდან, მაგრამ ტექნიკურად... ვცდილობდით ექთანი გამოგვეძახა, ჩვენით დავხმარებოდით.

სამწუხაროდ, პატარაა პალატის სივრცე და აქაც სოლიდარობის მომენტი იყო: როდესაც მე დავამთავრებდი სიარულს, ვეტყოდი, – ახლა შენ იარე. ორი ადამიანი ერთად ვერ ივლიდა ოთხსაწოლიან პალატაში. ბუშტები, თუ შემოგვაკლდებოდა, ერთმანეთს ვუზიარებდით. მოკლედ, მთაში რომ მიდიხარ მეგობრებთან ერთად, ისეთი ურთიერთობა ჩამოყალიბდა... სამი კვირა ვიწექი...

ექიმი შემოდის დღეში ერთხელ, ექთანიც იშვიათად, თავისი განრიგი აქვთ, გარკვეული დრო აქვთ... მაგრამ, როდესაც გიჭირს (ან შეიძლება გეჩვენება რომ გიჭირს), გინდა ჩვეულებრივ საავადმყოფოში იყო ან კარი ღია იყოს... შესაძლებელია, მაღალ სიცხეს, თავის ტკივილს, ხველას შეხვდე ნორმალურად იმ იმედით, რომ ცოტა ხანში ეს ყველაფერი გაივლის, მაგრამ **მცირედი დისკომფორტიც კი პანიკას გიქმნის... ვთქვათ, უცებ აგინია სიცხემ, უფრო მეტად გახველებს. გგონია, რომ რაღაც მთავრდება, იმის საფუძველზე, რომ მოწყვეტილი ხარ იმ ადამიანებისგან, ვისგანაც ელი**

**შველას. შენს გვერდით არიან, შეიძლება, შენზე უარესს მდგომარეობაში მყოფი ადამიანები, ისინი ვერ დაგეხმარებიან.** მერე ეძახი ექთანს, ეძახი სანიტარს (ისინი უფრო ხშირად შემოდიან). ექიმი ექიმია, გასაგებია, მაგრამ ექთანი და სანიტარი ამ შემთხვევაში შენი მშველელი და გადამრჩენელია. მოდიან, როცა ეძახი. რასაკვირველია, ურთიერთობა გაკლია ჯანმრთელ ადამიანებთან... შენს გვერდით არიან მარტო შენნაირი ავადმყოფი ადამიანები და ისინი რითი შეიძლება დაგეხმარონ?.. გგონია, რომ ვისაც კოვიდი არ აქვს, მეტი დახმარება შეუძლია. როდესაც გეუბნებიან, – ნუ გეშინია, ეს ბუნებრივია, მალე გაივლის, – ამ პატარა, თითქოს არაფრისმთქმელ სიტყვებს აქვს ჯადოსნური ძალა. ძალიან მიხარია, რომ ახალგაზრდები ჩადგნენ სამსახურში, სამედიცინოს სტუდენტებმა მოინდომეს ექთნებად მუშაობა და სანიტრებადაც. ბევრი დაავადდა მაშინ და მოგეხსენებათ, პერსონალის დეფიციტი შეიქმნა. ამიტომაც მე მესმის, როცა ეშინიათ ჯანდაცვის მესვეურებს, ვაი, თუ ვეღარ გაუძლოს ჩვენმა სამედიცინო სისტემამ. წარმოიდგინე, როცა ავადმყოფებს ექთანი არ ეყოლებათ, სანიტარი არ ეყოლებათ... მე დღემდე მაქვს მათთან ურთიერთობა, რა თქმა უნდა, ფეისბუქის მეშვეობით, ჩემი წიგნები ვაჩუქე, როდესაც გამოვედი კლინიკიდან.

**მე არ ვიცი რამდენად ისწავლება სამედიცინო ეთიკა, თუმცა, ძალიან მნიშვნელოვანი რამ არის მედპერსონალისთვის. კიდევ ვიმეორებ, იმ დროს, როდესაც შენ ძალიან გიჭირს, წამალი წამალია, სიტყვას და დამოკიდებულებას კი აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა.**

* * *

ჩემს შემთხვევაში იყო კიდევ ერთი ფაქტორი, წუხილი იმაზე, რომ ვალი მრჩებოდა შეუსრულებელი. ზოგადად, განცდა გამიჩნდა, რომ ვერ გადავუხადე მადლობა ჩემს თანამშრომლებს სასიამოვნო ურთიერთობებისთვის, ვერ ვუთხარი, რომ **ჩვენ ვართ ამ გარკვეულ მოცემულობაში, ერთად მოვედით ამ სამყაროში, რომ ერთმანეთი უნდა გავახაროთ, ერთმანეთი უნდა გავამხნევოთ.** ამას ემატებოდა კონკრეტული წუხილიც – მე მქონდა აღებული, განათლების სამინისტროს პროექტი და მერიის წინაშე ვიყავი პასუხისმგებელი... გასაკეთებელი იყო სიმონ კლდიაშვილის[33] დიდი ალბომი და წარმოიდგინეთ, დეკემბრის ბოლოს უნდა ჩაგვებარებინა. ძალიან მიხარია, რომ იქიდან ვახერხებდი ინტერნეტითა და ტელეფონით კომუნიკაციას, დაკაბადონების პროცესი მიდიოდა და თათია ებრალიძესთან[34] მქონდა კონტაქტი.

გამოვედი. გადამდები აღარ ვიყავი, ვიცოდი, მაგრამ კიდევ რამდენიმე ხანს ვიყავი იზოლაციაში... ეს ის პერიოდია, როდესაც ფაქტობრივად არაფერი არ მუშაობს, აქედან გამომდინარე, გამოსვლაც აღარ იყო საჭირო.

ისეთი განცდა, რომ ვინმე კეთროვანს უყურებდენენ, არ მქონია. პირიქით! გამიკვირდა, როცა მაღაზიაში შევედი, სადაც მუდმივად ვყიდულობ სურსათს, თურმე მათაც გაეგოთ... ქალაქში ვრცელდება ხმა. ძალიან შეწუხებულებმა, კეთილგანწყობით მომიკითხეს. აქედან გამომდინარე, **ძალიან ვბრაზდები, როდესაც ადამიანები საკუთარ თავს სტიგმად აღიქვამენ და მალავენ ამას. ეს წარმოუდგენელი ამბავია,**

---

33 ქართველი არქიტექტორი (1865 - 1920 წწ.).

34 თსუ-ს გამომცემლობის ხელმძღვანელი.

**როდესაც ავად ხდები კოვიდით და მალავ... რატომ?.. ბოლომდე აუხსნელია.** ურთიერთობა არ უნდა გქონდეს რასაკვირველია, **როგორ შეიძლება დამალო და სხვა დააავადო, აქ განათლების დონესთან მივდივართ.**

მე ვიყავი თანაგრძნობით და თანადგომით შემოსილი. ვინც გაიგო ჩემი ავადმყოფობის ამბავი (ფეისბუქით თუ ტელეფონით), მამხნევებდა და ამანაც ძალიან სერიოზული როლი ითამაშა. ჩვენ იშვიათად ვაწყდებით ისეთ ვითარებას, როდესაც ადამიანების დადებითი ენერგია და კეთილი სურვილები ძალიან დიდ როლს თამაშობს ჩვენს გამოკეთებაში.

* * *

ვირუსის მიმართ არ მქონდა სიბრაზისა და სიძულვილის განცდა. იმ ვიზუალური მასალის მიხედვით, რომელსაც ჩვენი ექსპერტები ავრცელებენ, ვირუსი ძალიან ლამაზია. მე სულ ისეთი განცდა მქონდა, რომ პაწაწუნა არსებები იყვნენ ჩემში. სულ ვფიქრობდი, – კი მაგრამ, ასეთი ლამაზები ხართ და ასე ცუდად რატომ მეპყრობით?.. ასეთი ფიქრი მეხმარებოდა. თითქოს, **კეთილი ძალა მეტი იყო ჩემში, ვიდრე უარყოფითი**. ეს ხომ იმუნიტეტის ამბავია, ვირუსი სწორედ საკუთარი თავის წინააღმდეგ ამხედრებს იმუნიტეტს. ახლაც ასე მგონია, რომ ძალიან ლამაზები არიან. ბოლოს და ბოლოს ესენიც ხომ ამ სამყაროს ნაწილები არიან თუ ეს ხელოვნურად შექმნილი არ არის და ბოროტი ადამიანების ცუდი ენერგიით არ მოდიან. ესენიც ხო არსებობენ, ღმერთმა მისცა მათ არსებობის უფლება, მათაც აქვთ თავიანთი ფუნქცია. სხვა შემთხვევაში, როგორც აგვიხსნა ფრანგიშვილმა, უბრალოდ ისინი გადმოხტნენ თავისი ბუნებრივი გარემოდან, სხვა არაბუნებრივ გარემოში – ანუ

ადამიანებში, იმიტომ რომ მათთვის არსებული გარემო ადამიანებმა შეავიწროვეს და გაანადგურეს. თუ ეს ასეა, მით უფრო ცოდოები არიან... ნეტავ, ესმოდეთ და დაბრუნდნენ თავის გარემოში, სადაც მშვენივრად გრძნობენ თავს.

ვირუსმა წმინდა ბიოლოგიური თვალსაზრისით ჩემზე იმოქმედა, იმიტომ რომ რაღაცები დატოვა, მას მერე მე საავადმყოფოში მოვხვდი გულზე გართულებით.

სოციალური თვალსაზრისით სამყარო ფაქტობრივად შეცვალა, ადამიანთა ურთიერთობა შეცვალა. ის, რაც ყველაზე მომხიბვლელია, ადამიანთა ერთად ყოფნა, ყველაზე დიდი სიმდიდრე რაც არის, ადამანური ურთერთობა – წაგვართვა...

**დღესასწაული და სიხარული გამოაცალა ჩვენს ცხოვრებას.**

მე მინდა, გითხრათ ერთი უცნაური რამ (ნამდვილად არ ვიგონებ), როდესაც სახლში დავბრუნდი, ჩავრთე და ვუყურე „დონ კიხოტს". სიხარული და დღესასწაული მინდოდა და ყველაზე მეტად რაც მომიტანდა, ის გამახსენდა...

ეს მაკლდა, ეს მაკლია დღესაც!..

ჩვენს არსებობას რა დანიშნულება აქვს? რაღაც უნდა შევქმნათ. მეგობრებთან, თანამშრომლებთან, ქუჩაში ჩვენნაირ ადამიანებთან ურთიერთობა უნდა შეგვეძლოს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია და ცხადია, ეს წაგვართვა ამ ვირუსმა!..

**მე სხვანაირი გავხდი. მე მუდმივად მაქვს იმის ფიქრი, რომ ადამანებს უფრო ხშირად და უფრო მკაფიოდ უნდა ვაგრძნობინო, რომ ისინი მიყვარს და, რომ მე ბედნიერი ვარ, რომ მე მათ ვხედავ და მათთან ურთიერთობა მაქვს. თუ შეიძლება ითქვას, ეს კეთილი კვალი დამიტოვა ამ ვირუსმა.**



We all live in a yellow submarine...

18.

სახელი, გვარი: ანონიმი

ასაკი: 50

პროფესია: პროსპექტორი, ფლუსტრაციორი;

საცხოვრებელი ადგილი: აბილი

ინფიცირების ადგილი და დრო: აბილი, 4/12/2020

ჩაწერის ადგილი და დრო: ონლაინ, 09/2021

ინტერვიუერი: მერი ქაჯაია

პირველი დღე იყო 4 დეკემბერი... 2020 წლის, როდესაც ჩემს მეუღლეს დაუფიქსირდა... დაიწყო უბრალო გაციებით. მოვიდა სახლში, მიუხედავად იმისა, რომ პანდემიაა უკვე და ბევრი შემთხვევა, მაინც არ უშვებ, რომ ეს შენ შეგეხება. გარდა ამისა, ჩვენ ძალიან ვიცავდით ყველაფერს. აი, ზედმიწევნითაც კი, ახლა უფრო უარესი სიტუაციაა სტატისტიკურად და იმდენს არ ვიცავთ (ეს ეხება უფრო პროდუქტების დამუშავებას და ა.შ). მაშინ ბევრი რამ არ ვიცოდით კიდეც ამ ვირუსზე... მაინც, ყოველი შემთხვევისვთის გამოვიძახეთ სახლში, ტესტი გაიკეთა და მოვიდა პასუხი

დილით, რომ არის... ოთხნი ვიყავით: მე, ჩემი მეუღლე, შვილები (დიდები – 23 და 26 წლის). შვილებს შევთავაზეთ მაშინვე, რომ გადასულიყვნენ, იმიტომ რომ მე ასე თუ ისე უკვე ვგრძნობდი სიმპტომებს... არ დაგვტოვეს და თქვეს, რომ ჯობია გარემ ჩვენც მოვიხადოთ თქვენთან ერთად და ერთად ვიყოთო. გარდა ამისა, ჩემი უფროსი შვილი ექიმია და გვითხრა, რომ ახლა საავადმყოფოები გადატვირთულია და მე მირჩევნია თქვენთან ვიყო, იმიტომ რომ სანამ სასწრაფო დახმარება მოვა, პირველად დახმარებას აღმოგიჩენთ თუ გართულდა ვირუსი და თუ ცუდად გახდითო. მოიმარაგა დექსამეტაზონი, რაღაცები და მაშინ პირველად დავფიქრდი, რომ ესეც შეიძლება მომხდარიყო... საბოლოოდ უკვე, დღეები რომ გავიდა და ეს ყველაფერი დასრულდა, რა თქმა უნდა, მივხვდით და ყველამ ვაღიარეთ, რომ ერთად ყოფნა კარგი გამოსავალი იყო. მითუმეტეს, რომ ჩვენ მაინც საშუალო სირთულით გადავიტანეთ ეს ვირუსი, იოლად გავედით ფონს. ცოტა რთულად გადაიტანა ჩემმა ქალიშვილმა, მას სიცხეები არ დაურეგულირდა, დაგვჭირდა ანტიბიოტიკით მკურნალობა, გულიც წაუვიდა რამდენჯერმე და ცოტა მძიმე დღეებიც გამოვიარეთ...

იცით, რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი და რას მივხვდი ახლა, როდესაც უკვე დრო გავიდა? **როდის დაიწყო კოვიდი ჩემთვის იცით?.. იმ დღეს კი არა, როდესაც დაფიქსირდა ოფიციალურად, რომ გვქონდა... არა!.. აი, როდესაც ყველას გვითხრეს, – დარჩით სახლში!..** როდესაც დაიწყო მკაცრი რეგულაციები, როდესაც გადაწყდა, რომ შეიცვალა ჩვენი ცხოვრების რიტმი, წესები, ჩვენს ყოველდღიურ სიამოვნებებზე, ჩვენს ყოველდღიურ ჩვევებზე უარი

უნდა გვეთქვა. **„დარჩით სახლში“ იყო პირველი განაჩენი,** რომელიც ჩვენ გამოგვიტანეს. მე ძალიან მიყვარს ხოლმე ზღაპრებთან პარალელის გავლება, ჰოდა, ეს იყო **როგორც დედინაცვალმა კონკიას რომ გამოუტანა განაჩენი:** შენ დარჩი სახლში და გადაარჩიე ეს ფეტვის მარცვალი თუ რაღაც (სხვადასხვა ზღაპარში სხვადასხვაგვარად არის). ეს იყო პირველი ელდა, რომელიც ადამიანებმა მივიღეთ და ჩემი აზრით, კოვიდი არ იწყება მაშინ, როდესაც ფიქსირდება და არც იმ 12 დღის შემდეგ მთავრდება... ის დღემდე გრძელდება... **ის ფაქტი, რომ მე მოვრჩი და ჩემი ოჯახის წევრებიც მორჩნენ, ჩემთვის არ ნიშნავს, რომ დასრულდა ეს ინფექცია.** მითუმეტეს, რომ დრომ გვაჩვენა, რეინფიცირების საფრთხეც არსებობს და უკვე გვაქვს მსოფლიოში მრავალი მაგალითი ამისა.

ის იყო პირველი ჩვენი შეხება, – სახლებში შეკეტვა, სახლებში დაბრუნება. თითქოს მონატრებულ სახლებში, რომლებზეც ვწუწუნებდით, რომ აი, სამსახურის გამო არა გვაქვს მათთვის დრო... ჩვენ უკეთ გავიცანით ჩვენი სახლები, აღმოვაჩინეთ ის შუქ-ჩრდილები, ის მომენტები, როდესაც ისინი მიტოვებულები იყვნენ... პირველი პერიოდი თითქოს ცუდიც არ იყო. ჩავიკეტეთ. თითქოს გარეთ გასვლაც გვაშინებდა... მაგრამ მერე რაღაც ისეთი მომენტებიც იყო, რომ ცოტათი მოგვბეზრდა სახლში ყოფნა და წუწუნიც დავიწყეთ. ზოგადად ადამიანები ვართ როგორი პრეტენზიულები და ეგოცენტრულები, ხო?.. **ჩვენ შეგვიძლია მოგვბეზრდეს ის, რაც კარგია, ის, რაც კომფორტულია.**

მანამდე ფეისბუქი მქონდა გაუქმებული 2 წლით და ძალიან კარგად ვგრძნობდი თავს. მერე, როცა პანდემია

შეეხო მთელ მსოფლიოს, სოციალური ქსელის გარეშე ვერ ვმუშაობდი და ისევ დავუბრუნდი. ვფიქრობ, ეს რომ არ მქონოდა ან ჩვენს მოსწავლეებს არ ჰქონოდათ, რა თქმა უნდა, ჩვენ ვერ გავიდოდით იოლად ფონს. ეს იყო საშველი ამ პანდემიის დროს. მე მყავს ბევრი მოსწავლე, ბევრი სტუდენტი, მათთან მქონდა ონლაინ კონტაქტი და მათ საჩივრებსაც ვისმენდი ხოლმე. ზოგიერთისთვის აღმოჩნდა ძალიან კომფორტული ეს სიტუაცია. მეუბნებოდნენ, რომ ძალიან კარგად ვგრძნობთ თავს (ცოტა ასოციალური ბავშვები, რომლებსაც არ უყვარდათ ურთიერთობები) და ზოგიერთი პირიქით, ამბობდა, რომ ძალიან ცუდად ვარ, მე არა მაქვს ჩემი ოთახი, მე არა მაქვს კომფორტი, მე არ შემიძლია მარტო ყოფნა, კონტაქტის გარეშე, მომენტარა ჩემი მეგობრის ხელის შეხება ან გვერდით ყოფნა. ხო, რაღაც ელემენტარულია?.. ეს იყო ტრაგედია, ამას ვუსმენდით მასწავლებლები, მშობლები, ჩვენი გაკვეთილები გადავაწყვეთ იმ მხრივ, რომ (მე სკოლაში არ ვასწავლი, მაქვს მკითხველთა კლუბები) გაკვეთილის 60%-ს ვუთმობდით ბავშვების გართობას, გართობას იმ მხრივ კი არა, რომ ვთამაშობდით... შემოვიტანეთ უფრო მეტი ფილმი, ვზრუნავდით მათ ფსიქოლოგიურ ჯანმრთელობაზე... **კვლევებმა აჩვენა, რომ ჩვენ რაც არ უნდა ვიწვალოთ, განათლების დონეს ვერ ავწევთ. პანდემიურ მდგომარეობაში მნიშვნელოვანია ვიზრუნოთ მოსწავლეებისა და შვილების ფსიქიკურ მდგომარეობაზე...**

ფსიქიკურ მდგომარეობას რადგან შევეხე, დავუბრუნდები ისევ იმ 4 დეკემბერს...

ჩვენ დავსხედით ოჯახის წევრები და ვთქვით, რომ მოდი, რახან არის კოვიდი, მობრძანდა ჩვენს ოჯახში, მაქსიმალურად ვეცადოთ, რომ ვიყოთ კარგ განწყობაზე... იმ

წუთას ხომ მოდიოდა რჩევები მეგობრებისგან და 80% გვეუბნებოდა, რომ მთავარი არის განწყობა. ჩვენ გვჯეროდა ამ სიტყვების და ვეცადეთ, რომ კარგი განწყობა შეგვენარჩუნებინა...

მივყვებოდით ერთმანეთს, ყოველ მეორე დღეს გვემართებოდა: მეუღლის მერე ჯერ მე დამიფიქსირდა, მერე ქალიშვილს, მერე ჩემს ვაჟს. რა იყო იცით, პირველს ვაკვირდებოდით და ვიმეორებდით მის სიმპტომებს, საინტერესო დაკვირვებები გვქონდა, მაგრამ იყო მომენტები, როდესაც მოდუნდებოდა ოჯახის ერთი წევრი და მაშინვე ვიწყებდით მის გამხნევებას. ძალიან მოგვეხმარა სარბენი ბილიკი, რომელიც შემოვიტანეთ აივნიდან სახლში და ყველაზე მძიმე მომენტში, როდესაც გვინდოდა წამოწოლა, როდესაც გვინდოდა დაძინება, მოდუნება, სწორედ მაშინ, ოჯახის წევრს ვაიძულებდით, რომ შემდგარიყო ამ ბილიკზე. **დღესაც, თუ ვინმე მეკითხება, რამ გადაგარჩინა, ვპასუხობ: ეს იყო სიარული!** ბილიკზე შევდგებოდი, გვერდით დამიდგებოდა ჩემი მეუღლე, ვითომ ვსეირნობდით (იცინის – მ. ქ.), მესაუბრებოდა... ან მეუღლე ძუნძულებდა ხოლმე, მეც გვერდით, ვიდექი... ერთმანეთს ასე ვამხნევებდით. სიარული იყო პირველი, რაც დამეხმარა და შემდგომშიც, (ახლა ვახტები მოვლენებს), კოვიდის მერე მაწუხებდა სახსრები და მერეც უკვე, როცა გავიდა ვადა, გარეთ შეგვეძლო გასვლა, დავიწყე სიარული და დღემდე დავდივარ... პედომეტრი[35] ჩავრთე ტელეფონზე და მოკლედ ძალიან დამოკიდებული გავხდი ამ სიარულზე. ჩემთვის დადებითი ისიც დატოვა კორონამ, რომ მე გადავედი უფრო ჯანსაღი ცხოვრების წესზე.

---

[35] მობილურის აპლიკაცია, რომელიც ნაბიჯებს ითვლის.

ახლა ადამიანები გვეტყვიან, – რა არის, ვირუსი არ შეგხვედრიაო?.. როგორ არა, თუკი რამე ვირუსი არსებობდა სეზონის განმავლობაში, მე ყველა მხვდებოდა, იმიტომ რომ ძალიან სუსტი ჯანმრთელობა მაქვს და ოჯახის წევრებიც ყველაზე მეტად ჩემზე განიცდიდნენ, იმიტომ რომ ფიქრობდნენ, მე ყველაზე რთულად გადავიტანდი (მითუმეტეს, რომ 4 თვით ადრე საკმაოდ რთული ოპერაცია გადავიტანე) და ძალიან მეშინოდა...

რისი თქმა მინდა, – გადატანილი მქონდა ოპერაცია ანუ რაღაც კათარზისი მქონდა გამოვლილი, დავიწყე ახალი ცხოვრება... ოპერაციამდე რომ ჩამოწერ – აი, ამას გააკეთებ, ამას გააკეთებ და მე შევუდეგი ასეთ ცხოვრებას... მერე უცებ კორონა შემხვდა. ანუ კორონას შემდეგ მე ორმაგად ამოვისუნთე, გასაკეთებელი საქმეები რაღაცა უფრო სხვაგვარად დავგეგმე, უფრო ჯანსაღად დავიწყე ცხოვრება, დავდიოდი ბევრს და უფრო მეტად ვამხნევებდი ადამიანებს.

მე როგორი ვარ საერთოდ, ჩემს ოპტიმიზმს არ უნდა ენდო (მაგრამ ეს მე ვიცი მხოლოდ), როდესაც მე ვარ ძალიან ცუდად, მაშინ მაქვს ძალიან დიდი ძალა და შემიძლია გავამხნევო სხვებიც. იმ პერიოდში დავიწყე კოვიდ-დღიურების წერა. ეს ორი მიზეზით იყო განპირობებული, ერთი ის, რომ **არ ვიცოდი გადავრჩებოდი თუ არა (რატომღაც ამ კოვიდთან ასოცირდებოდა გარდაცვალება), ვფიქრობდი, რომ მე-8 ან მე-9 დღეს შეიძლება გართულდეს და მერე... გზაჯვარდენი... აქეთ, მარცხნივ გველეშაპი შეგჭამს, იქეთ, მარჯვნივაც გველეშაპი... დამწყდა გული გაუკეთებელ საქმეებზე, ბევრი რამ იყო დასაწერი, ბევრი რამ დასამთავრებელი და ვფიქრობდი, რა ცუდია, რომ ამას ვერ ვასწრებ და რაღაც ისტერიულად დავიწყე წერა.**

ყოველდღე ვწერდი პატარა ჩანახატს. ისინი დევს ახლა wordpress-ზე MAKAMBEBI-ის სახით და რა ვიცი, ვთავაზობ ხოლმე, ვინც ავად არის... იმ პერიოდში, როდესაც ფბ-ზე ვდებდი, ბევრი იყო ავად, ბევრი ზუსტად დღეების მიხედვით მომსდევდა და ისეთი თბილი წერილები მივიღე, რომ მათ ეხმარებოდათ ჩემი ოპტიმიზმი და ეს კიდევ უფრო მამხნევებდა. თუმცა მივიღე უარყოფითი გამოხმაურებაც, იმიტომ რომ მითხრეს: არ შეიძლება ესე გაიდიალება ყველაფრის!.. თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ ვაიდიალებდი, ადამიანებმა ისიც მითხრეს, რომ შენ ალბათ არც ისე ცუდად ხარ, როგორც სხვები, რადან გაქვს უნარი რომ წეროო. არადა, ვწერდი იმ მომენტებში, როდესაც ყველაზე მძიმედ ვიყავი იმიტომ რომ თითქოს... აი, განსაკუთრებით, მე-5, მე-6, მე-7 დღე, როდესაც სუნთქვა გამიჭირდა... კიპლინგს[36] აქვს ერთი მოთხრობა, როდესაც სოლომონ ბრძენი გამოიძახებს ყველაზე დიდ მხეცს წყლისქვეშეთიდან და აი, ისეთი განცდა მქონდა, თითქოს მართლა ის უზარმაზარი მხეცი მაწვა გულმკერდზე და ძალიან მიჭირდა სუნთქვა. აი, ის დღე იყო, როდესაც მე ექიმსაც დავურეკე (ისე არ შემიწუხებია დიდად ექიმები). შემეშინდა მართლა, გავუძლებდი თუ არა?.. ზუსტად იმ მომენტში დავწერე... „გაჭირვება მაჩვენე და გაქცევას გაჩვენებო," – ისე იყო ჩემი მდგომარეობა.

იყო მაჟორული დღიურებიც, ერთერთი – „ყვითელი წყალქვეშა ნავი" (ბიტლზების ცნობილი სიმღერა), რაღაც პარალელი დავინახე, რომ ჩვენც 4-ნი ვიყავით (ოჯახის წევრები), როგორც ისინი და ვითომ ამ ნავში ვისხედით, გავიხსენე წინა დღეები, როდესაც ჩვენ „მეცხრე ცაზე არა,

[36] გულისხმობს ბრიტანელ მწერალს რადიარდ კიპლინგს (1865-1936).

მაგრამ მეცხრე სართულზე მაინც ვიყავით...“ და თავისუფლად ვსუნთქავდით... და ახლა ვართ შეკეტილები... და იქ ვითომ ექიმი არის – ის, ვინც ზემოდან გვამხნევებს და გვეუბნება, რომ მიხვალთ იმ მიწამდე, სადაც საშველს იპოვით... როგორც იმ სიმღერაშია... „წინ, მისტერ პარკერ!“ – ასე მიმართავენ ეკიპაჟის წევრები... ეს ლექსი, (უფრო სწორად რითმული პროზა) იმ დღეებშივე გადაითარგმნა გერმანულ ენაზე და გამოქვეყნდება კოვიდ პაციენტების ჩანაწერებში (გამოდის ასეთი საინტერესო კრებული გერმანულ ენაზე). მაშინ ბელა ჩეკურიშვილმა[37] მომწერა, რომ ამას თუ შეიძლება მე გადავთარგმნიო და მერე იქიდანაც შემომითვალეს გერმანელებმა, რომ ბევრი იტირეს, მიუხედავად იმისა, რომ ოპტიმიზმით იყო გაჟღენთილი ეს ჩანახატი.

მნიშვნელოვანი იყო, ელემენტარული სიტყვაც, სიმბოლოც, რომელიც იწერებოდა ფბ-ზე, კომენტარებში... რომ ვიხსენებ ახლა, თითქოს რაღაცით გასაზრდოებს იცი ეს ვირტუალური სამყაროდან შემოსული დადებითი ვრცელი ტექსტი თუ პირადში მოწერილი სიტყვები, გულები... რომ აი, მაკა, დღეს მეც ასე ვსუნთქავ და აბა, შენი ხვალინდელი წერილი როგორი იქნება და რას იზამ... და მერე, მეორე დღეს, მახსოვს, 24 საათი ვეღარ დავწერე, იმდენად მძიმედ ვიყავი და როდესაც უკვე ძალიან პატარა ჩანახატი გავაკეთე, ყველამ მომწერა, რომ ამოვისუნთქეთო... აი, რა კარგად ხარ და ადამიანების ეს მოლოდინი, ეს რაღაც... ყველა ის წერილი, რომელიც მოვიდა, ხელით დაწერილი ჩემი მეგობრებისგან, მხვდებოდა კარებთან... იცის ყველამ

[37] ქართველი პოეტი, პროზაიკოსი და ჟურნალისტი. ამჟამად ცხოვრობს და მოღვაწეობს გერმანიაში.

კარგად, რომ ჩემთვის ნებისმიერ ნუგბარზე, მოსაკითხზე ძვირფასი არის ჩანახატი, წერილი, ჩანაწერი, ეს არის ჩემთვის... აი, რა ვიცი საგზალი ცხოვრებისთვის..

ჩემს დღიურებს ჰქვია „ჩინელი ბატონები“, ასე დავარქვი, იმიტომ რომ სახადივით იყო... ბატონების დროს ხომ გარკვეულ რეჟიმში გადადიხარ და იქ რაღაც მთელი რიტუალებია. ჩემთვის უფრო სახადს ჰგავდა, ვიდრე ვირუსს, იმიტომ რომ სახადს აქვს ასე გაწერილი დღეები: ამ დღეს ასე ხდება, მერე ესე, მერე ეს უნდა გაატანო და გააცილო და მეც დავარქვი ბატონები. ცოტა დისკრიმინაციულია სიტყვა „ჩინური,“ რა თქმა უნდა, მაგრამ ეს მხოლოდ სითბოთი, მოფერებით დავარქვი, თან მართლა ჩინეთიდან შემოვიდა...

* * *

მე მყავდა ბებია, რომელიც ზღაპარივით მიყვებოდა თავის ისტორიას: ის იყო 4 წლის, როდესაც მისი ოჯახი ამოწყვიტა მუცლის ტიფმა. 4 წლის გოგონა იდგა ოთახში და უყურა, როგორ შეუკრა დედამ მამას ჩოხის ზედა ღილი, მამამ უთხრა, სუნთქვა მეკვრისო და ეგრევე წამოემხო დედამისს, მის თვალწინ გარდაიცვალა. მომდევნო 4 დღეში კი გარდაეცვალა დედა და ორი და, ერთი ჩვილი და მეორე უფროსი... დარჩა ბებია 4 წლის ობოლი.

ბებიას მთელი ცხოვრება გასდევდა სიკვდილის შიში, რომ ძალიან მალე გარდაიცვლებოდა. სულ ეს მესმოდა ბავშვობაში, – რომ არ ვიცი, ამ ზამთარს თუ გადავურჩები, არ ვიცი, ამ ავადმყოფობას თუ გადავურჩები... მიუხედავად ამისა, იყო ძალიან ყოჩაღი ქალი, ისწავლა, გადაწყვიტა, რომ მედიცინისთვის მიეძღვნა თავისი ცხოვრება და ექთა-

ნი იყო, ბავშვთა საავადმყოფოში მუშაობდა და ძალიან უყვარდა თავისი საქმე. ეს ყველაფერი მე მერე გავაანალიზე, პანდემიის დროს კიდევ უფრო დავფიქრდი, თურმე რამხელა ტრაგედია გადაუტანია! მუცლის ტიფზე რომ მიყვებოდა, ეს იყო რაღაც ლეგენდასავით ამბავი ჩემთვის, მე იმ ისტორიაში უფრო ჩემი დიდი ბაბუის ჩოხის პერანგი და მისი მეუღლის ჩიხტი-კოპი მხიბლავდა. თორემ ის კი არა, რომ ის გარდაიცვალა. და მერე, როდესაც დიდი ქალი იყო, სადღაც 78 წლის, იცით, რა მითხრა? – მე როგორი კარგი ცხოვრება მომცა მაინც ამ სამყარომ, ღმერთმაო, მაგრამ მთელი ცხოვრება შიშში გავატარეო... როდესაც ჩემი ქმარშვილი კარგად იყო, ღამე ავდგებოდი და ვტიროდი, ვაიმე, რამე არ დაემართოთო... ანუ, ყველაზე ბედნიერი დღეები მე ცრემლში მაქვს გატარებული, იმიტომ რომ ვერ შევირგე ამ სიცოცხლის დადებითი მხარე და სიხარულიო... მერე მეორე მსოფლიო ომმა მოუწია, რთული ცხოვრება გამოიარა... მერე 90-იანებსაც მოესწრო და სწორედ 90-იანებში მითხრა ეს სიტყვები: იცოდე, იყავი ბედნიერი, როცა ხარ ბედნიერი, ცუდი არ მიიკარო, არ გაივლო, მე ვიცხოვრე არასწორად, იმიტომ რომ ბავშვობიდან გამომყვა შიშიო.

და აი, ნახეთ როგორ დღეში აღმოვჩნდი შარშან, 4 დეკემბრიდან?.. ჩვენ, ოჯახის 4 წევრი მასავით ვიყავით... შიში შემომეპარა მეც, ვიხსენებდი ჩემი ბებიის გადატანილ დღეებს... რისგან ხარ ადამიანი დაზღვეული? შენ ხომ არ იცი მომავალი როგორია? რა, ის გოგონა, 4 წლის, რომელიც დგას დედის და მამის შემყურე, რას იფიქრებდა, რომ 1 კვირაში მისი ცხოვრება რადიკალურად შეიცვლებოდა. ხოდა ეს რატომ მოვიყვანე იცი? აი, **ამ ვირუსს ახლდა შიში**

**სიკვდილის, ნებისმიერ პანდემიას ახლავს ეს სიკვდილის შიში. ალბათ ეს სიკვდილის შიშიც გვცვლის ადამიანებს, მაინც რაღაც ეგოისტური ხარ და გინდა რომ დიდხანს იყო.**

თუმცა იმ დროს რომ შევადაროთ, ინფორმაციის ვაკუუმში იყვნენ ადამიანები. ჩვენ, მადლობა, რომ გვაქვს წვდომა ინფორმაციასთან და თუ ცოტა უფრო რაციონალური ხარ, ცოტა ანალიზისა და ლოგიკის უნარი გაქვს, რაღაცებს გაიაზრებ.

* * *

დღევანდელი პანდემია, აი, დღევანდელი, ზაფხულის პანდემია, 2021 წლის, ძალიან განსხვავდება 2020 წლის ზამთრის პანდემიისგან. ჩემთვის ასეა, მიუხედავად იმისა, რომ დღეს მეტი შემთხვევაა. იქ მე მქონდა მოლოდინი, რომ იქნებოდა ვაქცინა, ყოველდღე მე და ჩემი მეუღლე ვკითხულობთ სტატიებს, – რომ აი, იმ ლაბორატორიაში რაღაც დადებითი შედეგი აქვს იმ ვაქცინას. ველოდი, როგორც ეს ფილმებში გვაქვს ნანახი, რომ ვიღაც რაღაცას მიხვდებოდა, გამოვიდოდა ეს ვაქცინა, გავიკეთებდით, – რაღაც რომანტიკულად ვუყურებდით იქიდან. დღეს კი ვართ პარადოქსულ სიტუაციაში. ვფიქრობ, რომ ცოტა დაგვიბნელდა თვალი და ცოტა გულდაწყვეტილი ვარ, იმიტომ რომ მეგონა, აცრას უფრო დადებითად შევხვდებოდით (რა თქმა უნდა, მარტო არ ვართ ქართველები ამ სიტუაციაში, მსოფლიოში, სხვადასხვა ქვეყნებშიც არის ეს ანტივაქსერული გამოსვლები).

ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ვაქცინა გვაქვს, ჩემთვის, ბევრი ჩემი ახლობლისთვის და მეგობ-

რისთვის იმედი გაჩნდა, რომ მოევლება პრობლემას. რა მოუვლის პანდემიას?.. მედიცინა ხომ?.. იმ კითხვებზე, რომლებიც ახლა ჩნდება, პასუხები მედიცინას და მეცნიერებას აქვს, ხო სწორია? ისინი ჩვენ ვაქცინას გვთავაზობენ და ჩვენი გადარჩენაც ეს არის. „კეისარს კეისრისა, უფალს უფლისა!“ – აი, ამ სიტყვების შემდეგ მაცხოვარმა აყარა ხომ (ძალიან ნერვული გამოსვლა ჰქონდა) მაგიდები ტაძრის ეზოში, ყველაზე მეტად განრისხებული იყო ამ მომენტში, როდესაც კეისარს კეისრისა და უფალს უფლისა არ მიეგებოდა, ხომ? **ჩემთვის დღეს „კეისარს კეისრისა“ არის სწორედ ის, რომ მედიცინას – მედიცინის. დღეს, როდესაც ვიმყოფებით პანდემიის ეპოქაში, სამყაროს უნდა მართავდნენ მეცნიერები და მედიკოსები.** ჩვენ კი როგორ ადამიანებად ვიქეცით? ჩვენ ყოველდღე ვშლით ჩვენს შავ სარკეს, ჩვენს ციფრულ მოწყობილობებს და რით იწყება ჩვენი დღე? ანამზნეზებს ვკითხულობთ, ავადმყოფობის ისტორიებს ვკითხულობთ, ადამიანებსაც არ ეზარებათ და ყველა ყველაფერს ყვება... **ჩვენ გადავიქეცით ექიმებად, მაგრამ სინამდვილეში ექიმბაშებიც არ ვართ, ხომ?..** აი, რატომ არის ექიმი დაღლილი დღის ბოლოს, რატომ არის რთული ექიმის პროფესია? იმიტომ რომ ის უამრავი ადამიანის ანამნეზს ეცნობა და იმით არის დატვირთული და **ჩვენ, ჩვეულებრივი ადამიანები გავხდით სწორედ ანამნეზის წამკითხველები.** ის კი არ გვინდა, რომ ისეთი წიგნები წავიკითხოთ, რომლებიც პარალელს გაავლებს ჩვენც ყოფასთან... არა!... კიდევ იცით რაზე მეცინება, აი, სპეციალური სამედიცინო ჯგუფებში ვიღაც დასვამს შეკითხვას და ექიმს კი არ აცდიან, რომ უპასუხოს... ყველა თავის გამოცდილებას უზიარებს. არა, ეს ასე უნდა

გაგეკეთებინა, აი, ეს მალამო, ეს სითხე, ასეთი ინჰალაცია, ასეთი ინექცია. ანუ, **ყველა ვიქეცით ექიმებად**. და, რა თქმა უნდა, ეს მასობრივი ფსიქოზი აღარ არის გასაკვირი...

ჩემმა შვილებმა ისე რთულად გადაიტანეს დიფტერიის აცრა, რომ, აი რა გითხრათ, ვაჟს ფეხი გაუშეშდა, ერთი დღე ასე იყო. იმის თქმა მინდა, რომ არსებობს გამონაკლისები, გვერდითი მოვლენები, განსაკუთრებული შემთხვევები მედიცინაში და სწორედ ეს განსაკუთრებული შემთხვევები იდება სოციალურ ქსელში. აბა, მე რომ გავიკეთე ვაქცინა, ძალიან ჩვეულებრივად ვიყავი და ხომ არ დავწერდი, – იცით, მე ძალიან ჩვეულებრივად ვარ დღეს!.. ვინც ჩვეულებრივად და კარგად არის, ის არ წერს... თან როგორი მგრძნობიარეები და სენსიტიურები გავხდით, მეცინება. ან ნემსი არ გაგვიკეთებია ცხოვრებაში, ან ნარკოზის ქვეშ არ ვყოფილვართ, ან რამე... „ვაიმე, ნანემსარი ოდნავ ამტკივდა!,, ვაიმე, მკლავს რომ ვეხები მტკივა!..“ ნუ შეეხები, შე კაი ადამიანო. ან თუ გტკივა ნუ შეაშინებ იმას, ვინც უკან მოგყვება. რიგში დგას და ახლა წინ აქვს გასაკეთებელი, ხომ?..

* * *

რა შეიცვალა?.., მიუხედავად იმისა, რომ ჩემი მეუღლე და მე ვართ უკვე ერთად 30 წელზე მეტია და ვართ ძალიან კარგი მეგობრები, როდესაც აღმოვჩნდით სახლში, 24 საათი ერთად ჩაკეტილები ავადმყოფობის დროს თუ ლოკდაუნების დროს, რთული გახდა ბევრი რამ. მე დამაწვა ბევრი საქმე, თან ჩემმა სამსახურმა გადმოინაცვლა სახლში... მანამდე დრო განაწილებული მქონდა, თან ისე ხდებოდა, რომ ხან გარეთ ვჭამდით, ხან ერთი ოჯახის

წევრი შეჭამდა გარეთ... და უცებ რა მოხდა, მე დავჯექი სამზარეულოში, დავიწყე... ერთი დღე, ორი დღე, რომანტიკა, ის კერძი გავაკეთე, ეს... ნუ მერე კინაღამ გავგიჟდი და ერთ დღეს ვიფვეთქე, იმიტომ რომ ამას ემატებოდა ისიც, რომ მოგვქონდა პროდუქტი და ვამუშავებდი, ვწმენდდი, კი მეხმარებოდნენ ასე თუ ისე, მაგრამ რთული იყო ჩემთვის და ერთ დღეს ვიფვეთქე კიდეც... და გამოვედი სიტყვით, რომ ცუდად ვარ, აღარ შემიძლია აქ ყოფნა და მე წავალ ახლა, მაშინ 10-20 შემთხვევა იყო, და ვთქვი, გადავალ საავადმყოფოში და მოვუვლი კოვიდ პაციენტებს-მეთქი! (იცინის – მ. ქ.) იმდენად ცუდად ვიყავი, ვიყვირე და ვიკივლე, არ ვიყვირე, უფრო მეტად ვიტირე... ხოდა, მერე დავსხედით ყველა და დავილაპარაკეთ და მითხრეს, რომ იცი რა, შეგეძლო გეთქვა და გაგვეანალიზებინა ეს სიტუაციაო და მერე საქმეები გავინაწილეთ...

კიდევ ბევრ რამეზე ვისაუბრეთ მე და ჩემმა მეუღლემ, რომლებსაც გვეგონა, რომ ყველაფერი თითქოს ნათქვამი გვქონდა... ჯერ კლასელები ვიყავით და მერე ცოლ-ქმარი, მთელი ცხოვრება ერთად გვაქვს გავლილი და ასაკიც ისეთი გვაქვს, გარდატეხის. ეს 50 წელი არ არის პატარა რაღაც... ძალიან ბევრ საინტერესო თემაზე ვისაუბრეთ, გარდა ამისა, უფრო მეტი პატივი ვეცით ჩვენს შვილებს. იმ დღეებში ჩვენ ვაღიარეთ, რომ ისინი მართლა გაიზარდნენ და მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკურად ერთად ვიყავით, ჩვენი ფსიქოლოგიური სეპარაცია საბოლოოდ სწორედ იმ დღეებში მოხდა. შესაძლოა ბევრი რამ არ ვთქვით, მაგრამ მოხდა ჩვენში დიდი გარდატეხა... ჩემში და ჩემს მეუღლეში.

* * *

**ჩინელებს აქვთ ასეთი წყევლა: „შენ იცხოვრე ცვლილებების დროშიო!..“** წყევლაშიც როგორი ლოიალურები არიან. ჩემს მოსწავლეებს ხშირად ვეუბნები ხოლმე, ჩვენ როგორი რადიკალური წყევლა გვაქვს: შენი სინსილა გაწყდა, ჯანდაბა..., ცვლილებების ხანაში ცხოვრება იოლი არ არის და ჩვენი თაობა სულ ცვლილებების ხანაში ცხოვრობს... მაგრამ ასე თუ ისე მოვერგეთ. **ჩვენი შვილები უფრო მეცოდებიან, ისეთ პერიოდში, სამყარო რომ უნდა ნახონ, ერთობოდნენ, უცებ პირბადე აიფარეს სახეზე და ჩასხდნენ სოციალურ ქსელებში.** კი, ეს სოციალური ქსელი გამოსავალი არის მათთვის, მაგრამ, **რა საშინელებაა ეპოქა, როდესაც გამოსავალი კარი აღარაა და ფანჯარა. ბუკვალური მნიშვნელობით, როცა სახლიდან ვერ გადიხარ და გამოსავალი არის ეს შავი სარკე, რომელიც არის ჩვენი საშველი...** მე ვფიქრობ, რომ მათ (შვილებს გულისხმობს – მ. ქ.) ბევრი რამ გვასწავლეს, მათ მეტი იციან დღეს ვიდრე ჩვენ, ისინი უფრო იცნობენ სამყაროს, ვიდრე ჩვენ და თუ კარგად მოვუსმენთ, ისეთი საინტერესო ხდება ცხოვრება!

აი, მე მაგალითად, ჩემი ქალიშვილი ისე დამეხმარა... იცით რა, ამ პანდემიამ კიდევ მაჩვენა, რა ზედმეტია ნივთები, რა არაფრის მთქმელია ბევრი რამ, არაფერს ფასი არ ჰქონდა... მარიამი დამეხმარა, თუნდაც გარდერობი კაპსულა შემექმნა. მარი კონდო არის ასეთი ცნობილი ადამიანი, რომელიც გასწავლის როგორ დაალაგო სახლი და ნივთები. მაჩვენა ეს ვიდეო იმ პერიოდში და მოვიშორეთ ეს ზედმეტი ნივთები (დავკავდი ასეთი საქმით)... მომეხმარნენ ჩემი შვილები... ბევრი რამ იცოდნენ აღმოჩნდა და ბევრს

ვსაუბრობდით. ზოგადად ეხლა ისეთი ოჯახიც არ ვიყავით, მანამდე რომ არ გვესაუბრა... ჩვენ, მაგალითად, ისეთი ტრადიცია გვაქვს, რომ ერთად ვუყურებთ ფილმებს, ძალიან გვიყვარს დოკუმენტური ფილმები, ფრანგული, ირანული კინომატოგრაფია, რომელსაც ერთად ვუყურებთ, ვფიქრობთ, ვაანალიზებთ. ძალიან გვიყვარს სამაგიდო თამაშები, ვთამაშობდით და ესეც ძალიან მოგვეხმარა სხვათაშორის პანდემიის დროს.

ახალგაზრდებმა დღეს მეტი იციან. რატომ არის საჭირო ვაქცინაცია, – ესეც ჩვენზე უკეთ იციან. რა ვიცი, ჩემს შემთხვევაში ასე მოხდა, – რომ გვეგონა, ვიყავით ლოიალურები, აღარ ვერეოდით მათ საქმეში და ა.შ. არა, თურმე ჩვენ ჩარევა რაც გვეგონა, ის სულაც არ ყოფილა ჩარევა და აი, ეს იყო ძალიან საინტერესო მომენტები ჩვენთვის და მერე უკვე ჩვენი ცხოვრება სხვაგვარად წარიმართა... გავიზარდეთ. მათთან ერთად ჩვენც გავიზარდეთ. აი, ასე მოხდა. ბევრი რამ მოვუყევით მათ თავიანთი სიხარულების თუ დრამების შესახებ, ჩვენც გავატარეთ პარალელი, ჩვენი მშობლები გავიხსენეთ და ა.შ და ა.შ.

კიდევ არის ძალიან მნიშვნელოვანი მომენტი პანდემიის დროს თუ გყავს უფროსი თაობა. ჩემი მეუღლის დედა, რომელიც გვერდზე სადარბაზოში ცხოვრობს, აღმოჩნდა აბსოლუტურად მარტო. როცა ჩვენ ვირუსი გვქონდა, ჩვენ ჩავიკეტეთ და მას ვუკრძალავდით ელემენტარულად გარეთ გასვლას და აი, ეს ძალიან რთული მომენტი იყო, ძალიან. ასე ვესაუბრებოდით ეკრანიდან, ვამხნევებდით, ვუმალავდით ჩვენს მძიმე დღეებს. აი, ეს იყო... მე არ მყავს მშობლები და ხშირად ვფიქრობდი, როგორები იქნე-

ბოდნენ პანდემიაში, ძალიან თბილი ადამიანები იყვნენ და ძალიან სოციალურები, თან სოლოლაკში დავიბადე, გავიზარდე და... ხომ იცით იქ როგორი სიტუაციაა?

კიდევ იყო ჩემთვის ერთი მტკივნეული მომენტი. მოდი, მოვყვები, რადგან ასეთი გულახდილობის ხასიათზე ვარ... ეკლესიის მომენტი. მე მორწმუნე ადამიანი ვარ. არ ვიცი ეხლა ვინ რას გულისხმობს ამ მორწმუნეობაში, მაგრამ ძალიან მიყვარს ქრისტე და ძალიან დიდ პატივს ვცემ ყველა ღმერთს, ყველას შეხედულებას და ყველას არჩევანს. აგერ, ბუდას ქანდაკება მიმშვენებს ახლა ზურგს... გული დამწყდა. იმიტომ რომ ეკლესიაში დავდიოდი და ახლაც შევდივარ სანთლის დასანთებად... 90-იან წლებში, როდესაც გაიხსნა ეკლესიები და ჩვენ ახალგაზრდები მივედით ეკლესიებში, იყო ამაში დიდი იმედი, რომანტიკა თუ ხიბლი. საერთოდ, მორწმუნე ადამიანი სხვადასხვა ეტაპს გადის: თავიდან ხიბლშია, მერე რაღაც გაუცხოება აქვს, მერე რაღაც აგრესია აქვს, მერე ისევ სიყვარული აქვს, მერე ლოიალურობაში გადადის, მერე ამას ასაკიც ემატება და შენი რაკურსები იცვლება... მაგრამ მთავარი რა არის?.. ჯიბრან ხალილ ჯიბრანის[38] „იესო ძე კაცისაში“ ერთი ჩემი საყვარელი მომენტი არის: კაცმა დაპატიჟა ქრისტე ქორწილში და ქრისტემ ჰკითხა: შენო ღვინო აღარ გაქვს თუ რატომ მეპატიჟებიო?.. იმათ ალბათ ქრისტეც უნდოდათ ქორწილში, მაგრამ შეიძლება ეს ღვინის სასწაულიც რომ მომხდარიყო. მაცხოვარი ეუბნება: სანამ შენი გული არ იქცევა საკურთხევლად, მე შენთან ვერ მოვალო. ჰოდა, ეს არის ჩემთვის ამოსავალი რწმენის, სისუფთავე. აი, ეს არის ჩემთვის მთავარი... და თვი-

[38] ლიბანელი ფილოსოფოსი, მწერალი (1883-1931).

თონ ქრისტე, ტიპაჟი, მისი ეს ჯვალოს კაბა და უბრალოება არის ჩემთვის განსაკუთრებული. და იმ პერიოდში მე ძალიან დამწყდა გული. ჩვენ როგორი ქვეყანა ვართ, ქვეყანა, რომელსაც გვჭირდება ავტორიტეტი. მარტო ჩვენ არ ვართ ასეთი ქვეყანა, ყველას სჭირდება ავტორიტეტი. აი, მაგალითად ინდოეთში, რომელიღაც აცრა იყო გასაკეთებელი, მგონი დიფტერიის, არ მიდიოდა ხალხი და ერთი მსახიობი გამოვიდა ტელევიზიით და თქვა, რომ მე გავიკეთე აცრა და ყველამ უნდა გაიკეთოთ! მეორე დღეს მთელი ინდოეთი აიცრა! საჭირო არის ასეთ დროს ავტორიტეტები. მე გული დამწყდა, რომ არც მაშინ, პანდემია რომ დაიწყო და არც ახლა, ავტორიტეტი არ აღმოგვაჩნდა, ადამიანი, რომელიც თავისი მაგალითით, შეიძლება სიტყვაც არ ეთქვა, დაჯდებოდა, გაიკეთებდა აცრას და მას მიჰყვებოდა ყველა. გვყავს ასეთი ადამიანი, ადამიანებიც, მაგრამ მათ ეს ნაბიჯი არ გადადგეს. ან შეეძლო ერთ ადამიანს ეთქვა, – აი, ვინც აიცრება, აი, ამ თანხას საჩუქრად გადავცემ და დღეს ჩვენ უკეთეს სიტუაციაში ვიქნებოდით.

ჩვენ ერთმანეთს ვეჭიდავებით სოციალურ ქსელებში. ანტივაქსერებს ვუხსნით, რომ ვაქცინა აუცილებელია. ისინი გვიხსნიან, რომ თქვენ ორ წელიწადში გაქრებით ამ სამყაროდან და ყველას სწორი გვგონია ჩვენი თავი და აი, ამ დროს, როდესაც ასეთი არეულობაა, მესამე მსოფლიო ომამდეა სამყარო მისული, ზუსტად ამ პერიოდში, როდესაც აღარ ჭრის ბანერი, აღარ ჭრის არაფერი, აი, ერთი ავტორიტეტის სიტყვა იქნებოდა ძალიან მნიშვნელოვანი!

რელიგიურ საფუძველზეც კი მოხდა ჩვენი გაყოფა... როდესაც შენ უნდა აღიქვა, რომ საქართველოს მოქალაქე

კი არ ხარ, **ამ სამყაროს მოქალაქე ხარ, ამ სამყაროს ნაწილი ხარ,** როდესაც სამყაროში პანდემიაა, როდესაც ამ პატარა, **ერთუჯრედიანმა ვირუსმა არ განასხვავა არც გენი, არც სისხლის ჯგუფი, არც ერი, არც რელიგია, არც შენი პირადი შეხედულება, არც შენი სტატუსი, არც ორიენტაცია, ყველას ერთნაირად შეეხო.** ეს რას გვაჩვენებს ჩვენ?.. იმას, რომ რაღაც ახალ საფეხურზე გადავედით! 21-ე საუკუნე იმ დღეს კი არ დგება, როდესაც ადამიანის შექმნილ კალენდარში დაფიქსირდა ის წელი და რიცხვი და თვე!.. 21-ე საუკუნე ჩემთვის იცით როდის დადგა? როდესაც მე კოვიდის პირველი ვაქცინა გავიკეთე... არ ვიცი, მე რა შედეგს მომიტანს. მეც მაქვს ადამიანური სისუსტე და რაღაც ისეთ სტატიას წავიკითხავ, რომ ვაიმე, – ვიფიქრებ, – იქნებ არასწორად მოვიქეცი?.. განა მე არ მაქვს ეჭვები, მაგრამ იმ დღეს ის იყო გამოსავალი. 21-ე საუკუნე კი აღმოჩნდა არა ის, რომ ჩვენ გავბრწყინდით ან ზომბების შემოსევა მოხდა... არა, 21-ე საუკუნე აღმოჩნდა თურმე დედამიწისთვის პანდემია, ძალიან სამწუხაროა, მაგრამ ასე აღმოჩნდა. **21-ე საუკუნე დაიწყო ახლა, როდესაც ვირუსმა შეუტია მთელ სამყაროს!**

როდესაც აცრის შემდეგ გამოვედი სამედიცინო ინსტიტუტის ეზოში, ჩემს მეუღლეს ვუთხარი, რომ იცი რა კახა, გილოცავ 21-ე საუკუნეს (იცინის – მ. ქ.), ცოტა ისე შემომხედა, ხომ ხარ კარგადო?.. იქ რომ ვიჯექი ნახევარი საათი და ვიცდიდი, აი, სწორედ ამას მივხვდი.

ძალიან გადავახტი თემას...

ანუ, გულდაწყვეტილი ვიყავი იმ მხრივ, რომ არ მოვისმინე მესიჯები, თუნდაც ეკლესიისგან. მერე ვითომ ითქვა, რომ ჩვენო არ ვერევით, ეს მედიცინის და მეცნიერების

სფერეოაო... რატომ?.. თუ ერთი სიტყვა „დაიშალეთ!“ ერთი სიტყვა „წადით არჩევნებზე!“ ეღერს ხანდახან და შველის?... რატომ არ შეიძლებოდა ეთქვათ ის ერთი სიტყვა: „აიცერით!“ და დღეს უკეთეს მდგომარეობაში ვიქნებოდით...

და ხალხნო, რა არის უკეთესი მდგომარეობა?.. ის კი არა, რომ ჩვენ არ ვიცით, როგორი ჯანმრთელობა გვექნება ერთ და ორ წელიწადში. არა!.. დღეს მთავარი ჩვენი შვილების განათლებაა, **ის არის ჩვენი უბედურება, რომ ჩვენი შვილები ახალ სასწავლო წელს ისევ ონლაინ რეჟიმში დაიწყებიან, ჩვენი სტუდენტები ვერ დასხდებიან აუდიტორიებში, ჩვენ განათლების სისტემა ისედაც არ არის სათანადო სიმაღლეზე და მსოფლიო ჩივის უკვე, რომ ჩვენ გაუნათლებელი თაობა გვეყოლება, მსოფლიო ჩივის, ის ქვეყნები, სადაც ისეთ დონეზეა განათლება, რომელსაც ჩვენ დიდხანს ვერ მივაღწევთ... და ჩვენ, რომლებსაც ამის ფუფუნება არ გვაქვს, რა გავუკეთეთ ჩვენს შვილებს დღეს?** და ახლა ვსხედვართ და ვწუწუნებთ, რომ ოხ, არ გვინდა ონლაინ სწავლება, ოხ, დაიტანჯნენ ბავშვები, დღეს პირველ კლასში წავიდა ჩემი შვილი და სკოლაში კი არა სამზარეულოში გავიდა, დაჯდა და ეკრანს უყურებს... როგორი კარგი მასწავლებელიც არ უნდა ჰყავდეს ეკრანის მიღმა, ელემენტარული დისციპლინა არ ექნებათ. დილით ადგომა, მოწესრიგება, წასვლა, ჩაცმა, მისვლა, მოსვლა... აქედან იწყება წესრიგზე მიჩვევა, რატომ არის რომ ჩავალთ ევროპაში და ვამბობთ: ვაიმე, როგორი კარგები არიან!.. როგორ არ აცდება იმის გადაგდებული ნაგავი ურნას!.. როგორი სუფთაა მათი მეტროპოლიტენი!.. როგორი განსხვავებული წესრიგი აქვთ!.. რატომ? იმიტომ რომ ის ბავშობიდან გამოთალეს, სწორ მატრიცაზე აშენდა

ეს ბავშვი და ჩვენმა ბავშვებმა განათლებასთან ერთად დისციპლინაც დაკარგეს, რომლითაც დიდად არც მანამდე დავიკვეხნიდით. ზარი რომ ირეკება და დროზე რომ შეხვალ გაკვეთილზე, აი, ეს წესრიგიც კი დაკარგეს, ხო?

აი, მე, მაგალითად, მიწვევენ ხოლმე სკოლაში და პატარა ბავშვებს ზღაპრებს ვუკითხავ ან ვუყვები და ერთხელ პირველ კლასს ჩავუტარე გაკვეთილი, პირველი გაკვეთილი და გავგიჟდი: ადგნენ დილით, თვალებს ისრისავენ, ზოგს ნახევრად სძინავს, ზოგი მოდის თმაგაჩეჩილი. აი, მოთხრობა დავწერე მაგ დღეს, რომ ვუყურე ისეთი კარგები და საყვარლები იყვნენ, მაგრამ... დისციპლინა?.. გაიქცა საჭირო მომენტი... დედას ეცოდება ბავშვი, – დილით ადრე უნდა ადგეს, ეკრანთან დაჯდეს... ჩვენ დრო გვისხლტება, დრო მუშაობს ცუდად ჩვენზე და მე ვაქცინაციის პროპაგანდისთვის კი არ ვწერ ამ ზეპირ ისტორიას, იმას კი არ ვამბობ, რომ არიქა, მოვუწოდებ (თუმცა, რატომაც არა, მოვუწოდებ კიდეც). ჩემი შვილები აიცრნენ და ყველა ჩვენი ოჯახის წევრი და ვისთანაც მიმიწვდებოდა ხმა და ენერგია ყველას ავუხსენი, რაც შემეძლო. რა თქმა უნდა, ფრთხილად, იმიტომ რომ მეც ბევრი რამ არ ვიცი, მაგრამ ერთი ვიცი, რომ... აი, რაც ვთქვი, „კეისარს კეისრისა!..“

* * *

მთავარი გაკვეთილი მაინც, რაც გამოვიტანე, ამ პანდემიიდან და ავადმყოფობის დღეებიდან, როგორ ტრივიალურად არ უნდა ჟღერდეს და ბანალურად, მაინც ის იყო, რომ სიყვარულმა გადამარჩინა. ძალიან მნიშვნელოვანი იყო ის, რომ ჩემი საყვარელი ადამიანი მყავდა გვერდით...

იყო მომენტები ვბრაზობდი და ისიც ბრაზობდა ჩემზე და ამ რაღაც ხახუნით ახალ ეტაპზე გადავედით, უფრო დავახლოვდით. ძალიან მნიშვნელოვანია დღეს საყვარელი ადამიანის პოვნა, გაჭირდა ურთიერთობებიც... ადრე ვჩიოდით, რომ სოციალურ ქსელებში იყო სულ ჩვენი უმცროსი თაობა, ახალგაზრდები და ახლა მითუმეტეს. თუკი სამყარო იქით მიდის, რომ პანდემიის ტალღა მრავლად გვექნება აწი (ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია ამას რაღაც ხშირად აცხადებს), მაინც მნიშვნელოვანია, რომ დავუთმოთ დრო ჩვენს თავებს, ჩვენს შინაგან ჰიგიენას, როგორც ფიზიკურ ჰიგიენას ვუთმობთ დროს, ისევე შინაგან ჰიგიენას და აი, ჩემს სტუდენტებს და მოსწავლეებს სულ ამას ვეუბნები, რომ გამოყავით დღეში რამდენიმე წუთი ან საათი თქვენთვის, რომ მიაგნო საკუთარ თავს, ჰკითხო: რა გინდა?.. შენს თავთან ხომ გულახდილი ხარ, რა გინდა? დღეს ისეთი დროა, რომ სამყარო თავისთვის მიექანება და რაც მოხდება, მოხდება, და ინდივიდი კი ძალიან მნიშვნელოვანი გახდა. თითოეული სიცოცხლე მნიშვნელოვანი გახდა... ადამიანმა უნდა მიაგნოს თავის თავს, პირველ რიგში და მიხვდეს ვინ ჭირდება და ყველაფერი გააკეთოს იმისთვის, რომ ის საყვარელი ადამიანიც იპოვოს.

როგორი იქნებოდა აბა ჩემი ავადმყოფობა, მარტო რომ ვყოფილიყავი? ხშირად მიფიქრია, ოჯახი რომ არ მყოლოდა და მარტო გადამეტანა, ალბათ უფრო მეტად გამიძნელდებოდა, იმიტომ რომ როდესაც მე მქონდა მე-8 და მე-9 რთული დღეები, იმ დღეებში ძალიან ცუდად იყო ჩემი შვილიც. მოვიდა ანალიზებზე პატარა გოგონა, ლაბორანტი და მარის წაუვიდა გული. აიყვანა ამ პატარა

გოგონამ, დააწვინა ტახტზე, გაუწია პირველადი დახმარება, ძალიან მძიმე მომენტი იყო ჩვენთვის... მერე მარი გონზე მოვიდა და აი, ესე რაღაცას ანიშნებს და ეს გოგო ეუბნება, რას მეუბნები, რასო? ნიღაბი გაიკეთეო! თურმე ამ გოგონას სიჩქარეში ნიღაბი ჩამოუხსნია და ასეთი მომენტი იყო... ასეთ **სიგნალებს ადამიანები ვაგზავნით ხოლმე კოსმოსში და ჩემთვის რწმენაც და ღმერთიც ეს არის, სწორედ მსგავსი მომენტები არის გარანტია იმის, რომ ჩვენი პლანეტა იმ 365 დღიან ორბიტაზე უსაფრთხოდ ივლის.** სხვაგვარად ვერ ივლის, იმიტომ რომ ახლა ძალიან ბევრი ცუდი იგზავნება ზემოთ... უკვდებათ ადამიანებს მშობლები და ბრაზობენ, რა თქმა უნდა, წუხან, ბრაზობენ, ბრაზობენ მთელ სამყაროზე...

ამიტომ ახლა ისეთი მნიშვნელოვანია რაღაც დადებითიც გავგზავნოთ კოსმოსში და კარგიც... აი, მაინც იდიალისტი ვარ, ხომ?.. რა ვქნა, მსაყვედურობენ ძალიან, მაგრამ აუცილებელია. ეს ჩვენი ცხოვრების გარანტიაა, მე ასე ვფიქრობ.

* * *

ფიზიკურად როგორ წარმომიდგენია ანუ ვიზუალური მხარე როგორი აქვს ვირუსს?.. როგორც ამება, აი, ამება ბიოლოგიურად როგორიც არის, ერთუჯრედიანი ამება. გამჭვირვალე... რომ ხატავენ რაღაცნაირ აგრესიულ, ბუსუსებიანს, ეგეთად არ წარმომიდგენია, იმიტომ რომ **ისეთი ჩუმია, ქვეშქვეშა ვირუსია, აგრესიით არ შემოდის, ნელ-ნელა შემოდის და მიდის შენს ორგანიზმში იქ, სადაც სისუსტე გაქვს. იქ გარტყამს, სადაც სისუსტე გაქვს. ძალიან ჭკვიანი და გონიერია...** ძალიან მიზანმიმართულია, იცის თავისი საქმე,

სადაც ქრონიკული დაავადება გაქვს, იქ მიყუჩდება, იქ ჩაჯ-დება, იქ გავერაგდება უფრო მეტად... გამჭვირვალეა ჩემს წარმოდგენაში, უფრო ნაცრისფერი, პატარა საცეცებით...

დამიტოვა უძილობა, რომელსაც დღემდე ვებრძვი. საშინელი უძილობა მაქვს. იმ წამში, როდესაც მინდა ძალი-ან ტკბილად ჩავიძინო, მთელი სამყაროს სატკივარი თავზე მატყდება. მარტო მე არ ვარ ასე, ჩემი მეუღლეც ასეა და რაღაც მარკესის[39] გმირებივით ვართ, როდესაც უძილობა მოდის მათთან... და კიდევ ერთხელ ხვდები, რომ მცოდ-ნემ დაწერა. ეტყობა, მასაც ჰქონდა ეს პერიოდი. ადრე რომ წავიკითხე, ეს რომანტიკული იყო, მაგრამ ახლა რომ წავიკითხე, მივხვდი, რომ ნამდვილად იმ ადამიანის დაწე-რილია, ვისაც ეს უძილობა, ფიზიკურად განცდილი აქვს...

**ეს ვირუსი არ წავა ჩემგან, სანამ მთელი სამყარო არ მოერევა და არ უნდა შევიქმნათ იმის ილუზია, რომ ის ნაწილი, რომელიც ავიცრებით უფრო უსაფრთხოდ ვიგრძნობთ თავს. ეს ვირუსი არ წავა, სანამ სამყარო არ მოერევა მას... ნეტავ როგორი იქნება ის დღე, როდესაც აღარ გვემახსოვრება?..** როდის იქნება, არ ვიცი!.., როდის აღარ ვატარებთ პირბადეს, ლამის ყველა ჯიბეში რომ დევს... ახლა აცივდა, გადმოვიღე ლაბადები და ყველგან პირბადე დამხვდა, ყველა ჯიბეში...

მაშინ ვიტყვი, რომ აღარ არის ვირუსი ჩემში, რო-დესაც გადააგორებს მთელი სამყარო. ყველა თუ ასე ვიფიქ-რებთ, ალბათ უფრო იოლად მოვერევით... რაღაცნაი-რად რომ ვიგრძნოთ თავი ამ სამყაროს და არა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებად.

---

[39] გულისხმობს კოლუმბიელ მწერალს გაბრიელ გარსია მარკესს (1927-2014).



19.

სახელი, გვარი: ნინო ჯაბაური

ასაკი: 54

პროფესია: ექიმი რეანიმაციოლოგი

საცხოვრებელი ადგილი: თბილისი

ინფიცირების ადგილი და დრო: თბილისი, 01/2021

ჩაწერის ადგილი და დრო: თბილისი, 09/2021

ინტერვიუერი: მარიამ ხეხნიაშვილი

პირველი რეაქცია ყველასათვის მძაფრი იყო და ჯერ-ჯერობით გაურკვეველი პოზიცია გვქონდა ყველას, იმიტომ რომ ამ დაავადებამ მთელი მსოფლიო შეძრა. პირველი რამდენიმე შემთხვევა გვქონდა საქართველოში, უშუალოდ თბილისში. ავადმყოფების დინების თავლსაზრისით დახუნ-ძლული ჩვენი კლინიკა არ ყოფილა. სიმძიმის ხასიათის მხრივაც, მაშინ შემოსულ პაციენტებსა და ახლა შემოსულ პაციენტებს შორის სხვაობა დიდია. ახლა უფრო მძიმეები არიან. პირველი ტალღა შეიძლება ჩვენ გვეჩვენებოდა მძი-მედ და სამართავად უფრო რთულიც იყო, მაგრამ რეალუ-

რად ბოლო ეპიზოდებია სიმძიმის თვალსაზრისით გამორჩეული.

პირველი პაციენტებისთვის, რომლებმაც თავიდან ჩვენს კლინიკას მომართეს, ეს დაავადება საკმაოდ უცხო იყო. რა გართულებასთან გვექნებოდა საქმე, ნამდვილად რთული იყო იმის წინასწარ განსაზღვრა და პრევენციის ჩატარება, იმიტომ რომ ეს დაავადება დღემდე თავისი მიმდინარეობით ბევრ რთულ პოზიციაში გვაყენებს მართვის თვალსაზრისით. **ამ ვირუსს აქვს ძალიან ცუდი გართულებები, რომელსაც ხანდახან რომ არ ველოდებით, იმ დროს ვაწყდებით და სავალალო მდგომარეობაშიც ვვარდებით.**

დასაწყისში ყველანი ვიყავით დაძაბულ სიტუაციაში, სანამ პაციენტი მოთავსდებოდა, **ვემზადებოდით მთელი განყოფილება, რომ მაქსიმალურად დაცულები ვყოფილიყავით ჩვენ და მერე ისე გვემართა პაციენტები. ამ ნიღბით და ჩაცმულობით რამდენად შევძლებდით იმ რეანიმაციული ღონისძიებების ჩატარებას და რამდენი ხანი მოგვიწევდა ავადმყოფებთან მათი ჯანმრთელობისთვის ბრძოლა, ვერ წარმოვიდგენდით.** აქედან გამომდინარე, ჩვენი გაწრთვნის და მომზადების პერიოდით დაიწყო ყველაფერი...

იყვენენ სხვადასხვა სიმძიმის პაციენტები. მათ შორის საკმაოდ ასაკიანი ქალბატონი, რომელიც საკმაოდ დიდხანს, ხანგრძლივად ებრძოდა ამ დაავადებას. დასაწყისში ძალიან დუნედ მიმდინარეობდა, მაგრამ საბოლოო ჯამში ის ვირუსული შტორმი, რაც ამ დაავადებისას მე-10, მე-12 დღიდან იწყება და მძაფრდება, ამ ქალბატონთან საკმაოდ აგრესიულად წავიდა. ხანგრძლივად მოუწია მას მკურნალობა და საბოლოო ჯამში ლეტალურად დამთავრდა. ეს

იყო პირველი ასაკიანი პაციენტი, რომელიც საკუთარი დედასავით მიიღო ბატონმა თენგიზმა[40]. მაქსიმალურად ჩართული ვიყავით, ძალიან გვინდოდა ასეთი ხანდაზმული ქალბატონისთვის არაფერი არ მოგვეკლო. მიუხედავად იმისა, რომ რეანიმაციაში მარტო უნდა ყოფილიყო, არ მოვაკელით თავისი შვილის მზრუნველობა. მისი შვილიც[41] ინფიცირებული იყო და ბოლო წუთებამდე მის გვერდით ვამყოფეთ. ეს ფუფუნებაა იმ ავადმყოფებისთვის, ვისაც ახლა ვიღებთ, მათ მუდამ ენატრებათ ოჯახი.

**ყველაზე დიდი ტრავმა, რასაც ეს პაციენტები ღებულობდნენ, იყო იზოლაცია, ფსიქოლოგიურად ჩაკეტილ გარემოში ყოფნა. ოთხ კედელს შორის, უცხო გარემოში, მარტო სკაფანდრით შენიღბულ ექიმებს შორის...** პაციენტები ხმით და თუ ყნოსვა არ ქონდათ დაკარგული, სუნითაც კი გვცნობდნენ... საოცარი იყო!.. არაბი ავადმყოფი გვყავდა, ტურისტი, სუნით და ხმით გვცნობდა თითოეულ ექიმს და არჩევდა მედპერსონალს.

მნიშვნელოვანი იყო მათი ფსიქოლოგიური დახმარება... სხვა განსაკუთრებული ჩარევები იმ პერიოდში ნაკლებად იყო საჭირო. კი ჰქონდათ უკმარისობები, მაგრამ ისეთი სიმძიმე და აგრესიულობა ჩვენს განყოფილებაში არ ყოფილა დასაწყისში. გვიკვირდა კიდეც, რომ ძალიან მალე ემორჩილებოდნენ სუნთქვის არაინვაზიურ რეჟიმებს[42], სწრაფად ხდებოდა მათი რეაბილიტაცია.

---

40 გულისხმობს თენგიზ ცერცვაძეს.

41 იგულისხმება პაციენტი ნინო ღლონტი, რომლის ზეპირი ისტორიასაც ჩვენს კრებულში შეგიძლიათ გაეცნოთ.

42 ბუნებრივი სუნთქვითი რეჟიმი, როცა პაციენტი დამატებით დახმარებას არ საჭიროებს.

შიში, ვფიქრობ, იქამდე გაჩნდა, სანამ ეს დაავადება საქართველოში შემოვიდა, – მასმედიით, ტელევიზიით თუ გაზეთებით. ხალხს მკურნალობის დაწყებამდე დიაგნოზი აფრთხობდა. ჩემი სუბიექტური აზრია, რომ ამ დაავადების ფუძე, როგორც ჩანს, ძირითადად ადამიანის ნერვულ სისტემას მოერგო.

ამ საუკუნეში ყველაზე მეტად ხალხს უჭირს ფსიქოლოგიურად. ყველაზე სუსტი წერტილი ჩვენი ნერვული სისტემაა. ამიტომ იმ პაციენტების მდგომარეობა, რომლებსაც ლაბილური ნერვული სისტემა აქვთ, არის ყოველთვის კრიტიკული და საკმაოდ არაპროგნოზირებადი. ახალგაზრდები, განსაკუთრებით კი, მამაკაცები ემოციური ლაბილობით მეტად გამოირჩევიან, ვიდრე ქალბატონები. ამიტომ **ერთადერთი და უმთავრესი, რაც იყო ჩემი გადმოსახედიდან, მე რაც შეიძლება მეტი დრო უნდა გამეტარებინა მათ გვერდზე და დავკვირვებოდი. მათი ხმა გამეგო, შემეფასებინა მათი სუბიექტური ჩივილი და ობიექტური მონაცემები, ასევე მათი ემოციური ლაბილობა.** რამდენად შესაძლებელი იყო ამ ყველაფრის მართვა?.. როდესაც გამოვდიოდი, მერე მქონდა მათთან კომუნიკაცია ტელეფონით. ეს თავიდან დასაშვები იყო, მითითებაც კი იყო, რაც შეიძლება ნაკლები დრო უნდა ვყოფილიყავით პაციენტთან, რომ არ დაინფიცირებულიყო მედპერსონალი... არ უნდა დაგვერღვია პროტოკოლით გათვალისწინებული რეჟიმი, თუმცა არ მისარგებლია პროტოკოლით, იმიტომ რომ ავადმყოფთან შევდიოდი მაშინაც, როცა არაფერი არ სჭირდებოდა. ყოფილა შემთხვევა, რომ ლაბორატორიული თვალსაზრისით გაუარესებული მდგომარეობა არ ჩანდა,

პაციენტის მართვა, კომუნიკაცია შეიძლებოდა ტელეფონით ან ვიდეო-თვალის საშუალებით, მაგრამ იყვნენ პაციენტები, რომელთაც სჭირდებოდათ უფრო მეტი ურთიერთობა, უჭირდათ ფსიქოლოგიურად, სახეზე იყო ენცეფალოპათიის სურათი და არა სუნთქვის უკმარისობა.

ვირუსის დასაწყისში იყო სუნთქვის უკმარისობის ჩივილებიც, მოგვიანებით უფრო ასაკიან ავადმყოფებს დაერთოთ ვირუსული შტორმი და ამ ფონზე გაუარესდა მათი მდგომარეობა. მიუხედავად მაქსიმალური ყურადღებისა, მაინც ხდებოდა გართულებები.

ვირუსის გამოვლენამდე საქართველოში ჩვენ გვქონდა გარკვეული მითითებები ეპიდემიოლოგიური თვალსაზრისით: როგორ მოვქცეულიყავით პაციენტთან, როგორ უნდა გვემართა თერაპიული თუ რეანიმაციული ავადმყოფები. ამ პროტოკოლიდან გამომდინარე, მაქსიმალურად აღიჭურვა განყოფილება (გარკვეული ნორმატივები იყო). მაგალითად: რამდენი ავადმყოფის მიღება შეგვეძლო, განყოფილებაში ავადმყოფთა შორის მოძრაობის მანძილი უნდა დაგვეცვა, რეალურად შეფასდა ჩვენი მომსახურე მედპერსონალი რამდენი ავადმყოფის მოვლას შეძლებდა. თანდათან მეტი აღჭურვილობა მივიღეთ, სასუნთქი აპარატების თავლსაზრისით, იმიტომ რომ ის მეთოდები, რომელიც დაინერგა კოვიდინფიცირებულის რეანიმაციული მართვის პროცესში, ამისთვის აპარატურა აბსოლუტურად თანამედროვე უნდა ყოფილიყო.

ფსიქოლოგიური მომენტი არ არის ჩადებული პროტოკოლში, მაშინ როდესაც ამ საუკუნის დაავადებაა ფსიქოლოგიური ლაბილობა. გამომდინარე აქედან, აბსოლუ-

ტურად ყველა ადამიანს სჭირდება განსხვავებული განწყობა. **ამ საუკუნემ დაგვაკარგვინა ურთიერთობები, დაგვაკარგვინა ერთგულება, დაგვაკარგვინა სიყვარული, თანადგომა. ხალხი ისედაც მოკლებულია ამას და ავადმყოფი, რომელიც არის კოვიდინფიცირებული და აქვს ინფორმირმაცია, რომ ეს არის საკმაოდ მძიმე, მომაკვდინებელი დაავადება, რა გასაკვირია, რომ იყო საშინელ ისტერიკაში. ყველამ უნდა წარმოვიდგინოთ ეს რამხელა დატვირთვა იქნებოდა, როგორც ავადმყოფისთვის ასევე ჩვენთვის.**

მე ძალიან ბევრჯერ გამაფრთხილეს, რომ ვარღვევდი პროტოკოლით გათვალისწინებულ საათს ავადმყოფთან ყოფნისას. ზოგჯერ არც მაძლევდნენ უფლებას, რომ ხშირად შევსულიყავი პაციენტთან... და მაინც, თვალს რომ მიეფარებოდნენ ვიღაცები, მქონდა კომუნიკაცია ავადმყოფებთან.

თავიდან ფორმაც და აღჭურვილობაც პრობლემა იყო, განსაზღვრული რაოდენობა უნდა გამოგვეყენებინა, არ ვიცოდით რამდენი ავადმყოფი შემოვიდოდა, ყველაფერი იყო ძალიან მინიმალური. მესმის რომ, როდესაც ავადმყოფს არ სჭირდება თავზე დგომა, ზედმეტად არც უნდა შევაწუხოთ, ზოგჯერ სჭირდება იზოლაცია, მაგრამ ეს იზოლაცია ამ დაავადების შემთხვევაში საკმაოდ მძაფრი და დეპრესიულია, პაციენტის შემდგომ მდგომარეობას ამწვავებს და ართულებს.

**ძალიან რთულია ამ ფორმებით სიარული, ზოგი მოუხერხებლი ზომის გხვდებოდა, მერე ძალიან გვიჭირდა მოძრაობაც, უწვრილესი მანიპულაციების ჩატარება დახურული სკაფანდრით, ნიღბით, სათვალით. სანამ შევისწავლიდით**

**როგორ მოგვერგო სათვალე ნიღაბთან ერთად... ძალიან გვიჭირდა, ძნელი იყო ამ ფორმების ჩაცმაც, მათში გადაადგილება, მაგრამ შევეგუეთ. როგორც ხალხი შეეგუა ნიღაბთან ერთად ცხოვრებას, თითქოს ფორმაც დიდი ხანია გვეცვა.**

**თავიდან პაციენტები განიცდიდნენ ჩვენს ჩაცმულობას, აგრესიული განწყობაც ყოფილა, უცებ რომ დაგვინახავდნენ. განსაკუთრებით მოხუცები იყვნენ შეშინებლები ასეთ გარემოში, ზოგს ასაკობრივი დემენციის პრობლემებიც ჰქონდა და ეს ძალიან ამწვავებდა ყველაფერს.**

* * *

კლინიკურ მხარეს შევეხე და გამახსენდა, რომ ჩვენთვის თავიდან ძალიან გაურკვევლი იყო და ძალიან გვაოცებდა, რომ ჟანგბადის სატურაციის მაჩვენებელი (ჟანგბადის განმსაზღვრელი რაოდენობა ორგანიზმში) ძალიან დაბალი იყო. ნორმალურ მდგომარეობაში თუ მისი ნორმა არის 94% ან 100 %, ყველაზე საუკეთესო ვარიანტში პაციენტებს რომ ჰქონდათ 87%, 86% საერთოდ ვერ გრძნობდნენ, რომ მათ სუნთქვა უჭირდათ. ასეთი პაციენტები არც ქოშინებდნენ, არც ხმაურიანი ან გახშირებული სუნთქვა ჰქონდათ, იყვნენ ჩვეულებრივად, ვერ ვიტყოდით, რომ ფერი ეცვლებოდათ. არადა, ასეთი სატურაციით სხვა პათოლოგიების დროს ავადმყოფები უნდა მომზადებულიყვნენ მართვით სუნთქვაზე გადასაყვანად. რომ ვეკითხებოდით როგორ გრძნობდნენ თავს, ჩივილიც არ ჰქონდათ. იმდენად გაოგნებულები ვიყავით, რომ თავიდან არ ვიცოდით ასეთ შემთხვევაში ჩვენ უნდა ჩავრეულიყავით, მექანიკურად გვემართა ისინი, ხელოვნური სუნთქვის აპარატზე გადაგვეყვანა თუ არა. ამის

პრაქტიკა და ამის გამოცდილება თანდათანობით მოვიდა. ჩვენმა მეთოდმა იმ პერიოდში ნამდვილად გაამართალა. ნამდვილად შედეგიანი იყო ავადმყოფისთვისაც და დაავადებაც იმ პერიოდში ნაკლები სიმძაფრით მიდიოდა (მხოლოდ ერთეული შემთხვევები იყო რთული).

მოსულები იყვნენ სამინისტროდან და აინტერესებდათ, რატომ ხდებოდა ჩვენთან ასე, პაციენტები, რომლებიც შემოდიოდნენ სუნთქვის უკმარისობით, გადიოდნენ მკურნალობას ჩვეულებრივი, არაინვაზიური მეთოდით. პირველი თუ მეორე ტალღის დროს ჩვენ ავადმყოფები მართვით სუნთქვაზე არ გვყოლია. ვირუსული ეპიზოდები თანდათან (პირველი, მეორე ტალღების მერე) უფრო დამძიმდა და უფრო გართულდა. რაც დრო გადის სიმძიმეც მეტია.

ახლა მოიმატა ხანდაზმულმა ავადმყოფებმა. ხანდაზმულებში ეს დაავადება ჰიპოქსია (ანუ ჟანგბადის უკმარისობა), იწვევს ტვინის გარკვეული უბნების გაღარიბებას, აღრმავებს დემენციის და სკლეროზულ ჩივილებს. ამ დაავადების დროს ნერვული უჯრედების დაზიანების გარდა თანხმლები სხვა პათოლოგიების გართულებაც ხდება.

სოციალიზაციის პრობლემა მე არ მქონია, მაქსიმალურად ვერგებოდი სიტუაციას. ტესტირების გარეშე ურთიერთობა არ მქონდა ხალხთან, მაგრამ პაციენტებთან ერთად ვცხოვრობთ, ჩვენი ბიოლოგიური საათიც შეიცვალა. გარდა იმისა, რომ ჩვენ, ექიმებს გვაქვს სხვანაირად დატვირთული სამსახური (როგორც ფსიქოლოგიურად ისე მორალურად), **კოვიდინფექციამ დეპრესიულ მდგომარეობამდე მიმიყვანა. გარდა იმისა, რომ მე ვემსახურები პაციენტს, ასევე ვემსახურები ყველა ახლობლის გაჭირვებულ ადამიანს ტელეფონით და ეს**

**არ მთავრდება 24 საათის განმავლობაში. უფლებაც არ მაქვს რომ არ ვუპასუხო ტელეფონს**. ბევრი შეიძლება ვერაფერი გავუკეთო, მაგრამ რომ ვუთხრა, – კარგად იქნებით, დამშვიდდით, ზოგისთვის იმხელა სტიმულია!.. **შეიძლება არაფერი არ გაუკეთო, მაგრამ ის ერთი სიტყვა მნიშვნელოვანი იყოს.**

სახლში რომ შედიხარ ადამიანი, ხომ გინდა რომ გამოერთო?.. არადა ახლა ვართ ჩართული 24 საათი. ერთი არის ის, რომ ყველანაირად ცდილობ დაეხმარო ავადმყოფს; მეორე მომენტია, მუშაობ პაციენტთან და შედეგი არ გაქვს, ისე სასტიკად მიდის ამ დაავადების მართვა. მკურნალობ და ვირუსი მაინც გერევა; მე ძალიან ბევრჯერ მითქვამს და ახლაც ვიტყვი, რომ მე ვერ ვმკურნალობ ავადმყოფს. შეიძლება ხმამაღლა ვთქვა. საკმაოდ გაუთვალისწინებელი გართულებები მოდის, ისეთი გაუთვალისწინებელი რაღაც შეიძლება მოხდეს!..

ინფექციური სამსახური იმიტომ ავირჩიე, რომ რეანიმაცია საკმაოდ მძიმე, მაგრამ ძალიან საინტერესო განყოფილება იყო. ასეც ვიცოდით ბატონი ვახტანგის[43] ლექციებიდან, რომ მწვავე ინფექციური დაავადებისას, როგორც კი დავიწყებდით მწვავე აგენტთან ბრძოლას, იქნებოდა სავავლალო და მძიმე ლეტარული გამოსავალი. ეს **მორალურად მართლა ძალიან მძიმეა... გამოვსულვარ საავადმყოფოდან და მიფიქრია: რა გავაკეთე?.. ადამიანი როცა მუშაობ, რაღაცას აკეთებ, აკეთებ იმიტომ რომ შედეგი გინდა დაინახო.** ეს შედეგი რაღაც პერიოდში გვაქვს, როგორ არა, მაგრამ ბოლო პერიოდში იმდენი ხანდაზმული მოდის, რომ

---

43 ვახტანგ ბოჭორიშვილი, ქართველი ინფექციონისტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

აღარ ვიცი კარგს ვაკეთებ, რომ ამ ავადმყოფებს ვეხმარები რეანიმაციულ ღონისძიებებში?.. თუ კიდევ უფრო ვტკენ, უარესს ვაკეთებ?.. დამდგარა ისეთი მომენტიც, მე თვითონაც რომ მიფიქრია: ეს ნაბიჯი კარგია თუ არ არის მისაღები?!.

* * *

ეს ვირუსი ჩემთვის, პიროვნულად ქალია თავისი გლობალური პრობლემებით, რომელიც ყველაფერს ედება და რასაც შეძლებს, ანადგურებს. თავის თავსაც ანადგურებს რეალურად ეს ვირუსი, მაგრამ პრობლემებს ტოვებს, ტოვებს, ტოვებს და აგერ, კიდევ ახალი ტალღა მოდის... და ეს არის გლობალური. **პიროვნულად ეს ვირუსი სხვაგვარად არ წარმომიდგენია, გარდა იმ ქალისა, რომელსაც სულ რაღაც იდეები აწუხებს და სულ უნდა რომ რაღაცები შექმნას.**


A#
B#
C#
D#
E#
F#
G#

20.

სახელი, გვარი: ნინო ქაჯაია

ასაკი: 46 წლის

პროფესია: აუდიტორი

სამუშაო ადგილი: საქართველოს გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) მრჩეველი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში

საცხოვრებელი ადგილი: თბილისი

ინფორმირების ადგილი და დრო: თბილისი, 02/07/2021

ჩაწერის ადგილი და დრო: თბილისი, 20/07/2021

ინტერვიუერი: მერი ქაჯაია

გამონაკლისი არ ვიქნები იმ ადამიანებში, ვინც ბოლო ორი წლის განმავლობაში პანდემიით ცხოვრობს. ბუნებრივია, ყველაფერი ვიცოდით, რაც ხელმისაწვდომი იყო. ჩემს სამსახურეობრივ მოვალეობაში შედიოდა, რომ სხვებისთვისაც გამეზიარებინა ეს ინფორმაცია: დევნილებისათვის, ლტოლვილებისთვის, თავშესაფრის მაძიებლებლებისა

და მოქალაქეობის არმქონე პირთათვის. ჩვენი მანდატის შესაბამისად, სხვადასხვა ენაზე მიგვეწოდებინა მათთვის ინფორმაცია უსაფრთხოების ზომების შესახებ, იქნებოდა ეს საინფორმაციო ბუკლეტებისა თუ სოციალური მედიის საშუალებით და ა.შ. შესაბამისად, საკმაოდ ინფორმირებული ვიყავი ამ ვირუსის შესახებ. ბუნებრივია, ზედმეტია იმაზე საუბარი, რომ ყველანაირ რეგულაციას ვიცავდი, მაგრამ ჩემი სამსახურიდან გამომდინარე, მაინც აქტიურად ვიყავი ჩართული სოციალურ ცხოვრებაში. დავდიოდი სამსახურში, ვხვდებოდით სხვადასხვა ჯგუფებს, ვეხმარებოდით დევნილებს, ლტოლვილებს და შესაბამისად, იზოლირებული არ ვყოფილვარ. ბუნებრივია, ეს ყველაფერი ხდებოდა რეგულაციების სრული დაცვით. სიმართლე გითხრათ, ჩემს გარშემო იყვნენ ჩემი მეგობრები თუ ნაცნობები, ვისაც საკმაოდ პანიკური დამოკიდებულება ჰქონდათ: სახლში ჩაკეტილები იყვნენ, საერთოდ არ გამოდიოდნენ გარეთ, ყველაფერს ხარშავდნენ, ხეხავდნენ და ა.შ. მე ესეთი დამოკიდებულება არ მქონდა... თავისთავად, ვაცნობიერებდი, რომ პანდემიაა, გავაკეთებდი ყველაფერს, რათა ამეცილებინა ინფიცირება, მაგრამ ისიც გააზრებული მქონდა, რომ თუ დავინფიცირდებოდი, ამას ადეკვატურად შევხვდებოდი.

ძალიან ცუდი იყო, რომ პანდემიაში ვიყავით და სამწუხაროდ ისევ ვართ, მაგრამ არსებული ნორმების და რეგულაციების დაცვით ჩემი აქტიური სოციალური ცხოვრება შემეძლო.

* * *

რაც შეეხება ინფიცირებას, სამწუხაროდ, მუხლზე მიღებული ტრავმის გამო 6 მაისს მომიხდა გადაუდებელი ოპერაციის გაკეთება. ეს ის პერიოდია, როდესაც საქართველოში ჯერ კიდევ არ არის შემოსული ვაქცინა. შესაბამისად, ოპერაციამდე ვაქცინაცია ვერ მოვასწარი და ოპერაციის შემდეგ, ბოლო ინექციაზე რომ მივედი, მითხრეს, რომ სამ დღეში უკვე შემეძლო აცრა. ზუსტად მახსოვს როგორ მიხაროდა, რომ აი, სამ დღეში ავიცრები! მაშინ უკვე „სინოფარმი", „სინოვაკი" იყო ახალი შემოსული. სახლში რომ მოვედი, ძალიან ცუდად ვიგრძენი თავი... აი, ყველაფერი რომ გტკივა, გამტვრევს, არაფრის ძალა რომ არ გაქვს. ჩავთვალე, რომ ეს ინექციის შედეგი იყო, რადგან საკმაოდ მტკივნეული პროცედურა იყო. როდესაც დავრეკე საავადმყოფოში, მითხრეს, რომ პრეპარატს, რომელიც სახსარში შემიყვანეს ახასიათებს რეაქცია: სიცხე და უსიამოვნო შეგრძნება. იცის სიცხე... ნუ, იცის, იცის... მე არასდროს არ მქონია მანამდე სიცხე. დაუჯერებელია, მაგრამ მართლა ასეა!.. და როგორ მივხვდი რომ სიცხე მქონდა? ჩემმა შვილმა მითხრა!.. ხელი დამადო და... ვაიმე, დედა, როგორ ხურხარ, სიცხე გაქვსო!.. არა, დედიკო, როდის იყო, მე სიცხე მქონდა-თქო!.. არა, ხურხარ ნახეო, – ხელი დამადო ბავშვმა (იცინის – მ. ქ.) და თერმომეტრი მომიტანა. რომ გავისინჯე, მართლა 38,5 მქონდა. ცოტა ხანში გამიარა ამ სიცხემ.

მეორე დღეს ისევ რომ ამეწია სიცხე, დავრეკე და მითხრეს: მოდით, მაინც დავხედოთო. არაჩვეულებრივი ექიმი არის ლევან ნაჭყებია[44] და რომ დამხედა, მითხრა:

---

[44] ექიმი ტრავმატოლოგი კლინიკაში „მედიქლაბ ჯორჯია".

ეს მუხლისგან არ არის და აბა აქვე ტესტი გაიკეთეო. იქვე სწრაფი ტესტი გავიკეთე, და... ის გოგონა მახსოვს, როდესაც მიღებდა ანალიზს, ვუთხარი: იმედია, რომ ყველაფერი კარგად იქნება-თქო. მეც დიდი იმედი მაქვსო, – მიპასუხა. ცოტა ხანში გამოვიდა ტესტის პასუხით. ფურცელი რომ გამომიწოდა, შორს გაიწია: სამწუხაროდ, დადებითიაო.

**ეს სიტყვები რომ გავიგე, ისეთი უცნაური შეგრძნება იყო, იმიტომ რომ რაღაც, რაც დადებითია, სინამდვილეში ძალიან უარყოფითი იყო.**

– არ არსებობს-მეთქი!.. სამწუხაროდ კიო, – და თან კარისკენ იწეოდა. მივხვდი, რომ ეს რეალობა იყო და ის წამიც მახსოვს: აუ, კაი რა კორონა, რაა!.. წამოვედი სახლში და გზაში პირველი, რასაც ფიქრობ, რომ მთავარია, ვინმეს არ გადავდო. თან ვერც კი ვხვდები საიდან, როგორ დავინფიცირდი. სახლში მოვედი, დავრეკე ჯანდაცვის სამინისტროს ცხელ ხაზზე, მე, თვითონ დავრეგისტირდი და ვუთხარი, რომ ესე და ესე, კოვიდინფიცირებული ვარ.

მოკლე განმარტების სახით: ვარ ჯანმრთელი ადამიანი, იმ თვალსაზრისით, რომ არასდროს არ მქონია არანაირი ქრონიკული დაავადება. ეს ოპერაციაც, რაც მუხლზე გავიკეთე, ტრავმის შედეგი იყო. ყოველთვის ჯანსაღი ცხოვრების წესს მივსდევ, სულ ვვარჯიშობ, არასდროს მომიწევია სიგარეტი და ა.შ

მეორე დღეს დამაწყებინა ხველა. ოღონდ ერთ საათში, ჩვეულებრივად ვიყავი აბსოლიტურად და კიდევ ერთ საათში ისეთი სპაზმი დამეწყო, რომ ვეღარ ვსაუბრობდი და არ მთავრდებოდა. სასწრაფო დახმარების ექიმმა, რომელიც მოვიდა, მირჩია საავადმყოფოში გადასვლა: ისეთი სპაზმია,

სახლში დარჩენა არ შეიძლებაო... სხვათა შორის, ძაან ჩვეულებრივად მივიღე. 14 წლის შვილი მყავს და სასწრაფო რომ მოვიდა, არ მინდოდა ეს ზედმეტი დრამატიზმი, რომ არ შეშინებოდა. მე ვუთხარი: ალბათ, სჯობს, რომ გადავიდე, მაინც შენგანაც იზოლირებული ვიქნები და თან უფრო მალე გამოვჯანმრთელდები. თვითონაც, სხვათა შორის, ძალიან ადეკვატურად მიიღო: კი, კი, არ არის პრობლემა, მთავარია, რომ შენ კარგად იყო, ჯობია არ ინერვიულოო.

ჩემს შვილს არ გადაედო, მაგრამ ჩემი ძმა ვნახე წინა დღეს. ოღონდ ისე, ღია სივრცეში, სულ თხუთმეტიოდე წუთით. ჩემს ძმას გადავდე, ჩემმა ძმამ გადასდო დედაჩემს, დედაჩემმა გადასდო ბებიაჩემს ანუ მერე უკვე ვინ ვის გადასდო აღარ ჰქონდა აზრი... დედაჩემმა თუ ჩემმა ძმამ ბებიაჩემს და ძალიან მძიმედ იყო ბებია. ოღონდ მე ეს არაფერი არ ვიცოდი. როდესაც საავადმყოფოში მოვხვდი, მიმალავდნენ, არ მეუბნებოდნენ და მე ძაან ბედნიერი ვიყავი, რომ დედა, რა კარგია, არავის არ გადავდე. თურმე, არ გადავდე კი არა, ყველას გადავდე და ბებია ესე ცუდად იყო.

საავადმყოფოში ჩვეულებრივად, შემართებით და ყოჩაღად წავედი. 3 ივლისს მოვხვდი საავადმყოფოში და ამ დროს ძაან გახშირებული იყო შემთხვევები. მაშინ იწყებოდა ნელ-ნელა ეს პიკი, ადგილიც აღარ იყო. ერთი დეტალი მახსოვს საავადმყოფოში, სასწრაფოს როდესაც მიჰყავხარ, მერე იქ საავადმყოფოს დაცვა გხვდება, რომელსაც მერე გადაჰყავხარ. როდესაც სასწრაფოს მანქანიდან გადმოვედი, კოვიდი მოგიყვანეთო, – თქვეს... მე ვუთხარი, კოვიდი არა ვარ, ნინო ვარ და კოვიდი არ მქვია-თქო. მოკლედ, ესე დაიწყო.

საერთოდ ძალიან ოპტიმისტი ადამიანი ვარ. არასდროს, რაც არ უნდა მოხდეს, ვცდილობ რომ ყველაფერში რაღაცა დავინახო ისეთი, არადრამატული და არატრაგიკული (რამდენადაც ამის შესაძლებლობა არსებობს) და არ ვართულებ რაღაცებს იმაზე უფრო, ვიდრე არის. შესაბამისად, მოვხვდი საავადმყოფოში, მოვხვდი. არ მეშინოდა. ზუსტად ვიცოდი, რომ გავუძლებდი, ამას გავივლიდი და... ალტერნატივაც არ მქონდა, არც განვიხილავდი, რომ აქედან ვერ გამოვალ ან რაიმე მსგავსი. თავიდან ჯერ თითქოს რაღაც მოთელვასავითაა: კატე, დაზიანება, სისხლის ანალიზი... მერე ზევით რომ ამიყვანეს, მოვხვდი პალატაში, სადაც ინდუსი სტუდენტი გოგონა იყო, თბილისში სამედიცინო ინსტიტუტში სწავლობდა. მისმა ოჯახმა დელიში 1 თვის წინ საკმაოდ მძიმედ გადაიტანა კორონა, იმდენად მძიმედ, რომ კინაღამ დაიღუპნენ. თუმცა ამ გოგოს კორონა ოჯახისგან არ გადასდებია, ის თბილისში დაინფიცირდა. წარმოიდგინეთ, რა რთულ მდგომარეობაში იყო ეს გოგო, ისედაც ეს სტრესი და კიდევ ამას დამატებული, რომ აღმოჩნდა სახლიდან შორს, უცხო გარემოში, არ იცის ენა, ფიზიკურად ძალიან სუსტადაა, სულ ახველებს, შეშინებულია. მახსოვს, ვუთხარი: ნუ გეშინია!.. ნახე, ყველაფერი რა კარგად იქნებათქო. ძალიან გაუხარდა, რომ ინგლისურად ვსაუბრობდი, გამომხედა და, – ოპტიმიზმის პრინცესა რომ ხარო, იმიტომ გაქვს ეს განწყობა, რომ პირველი დღე არისო. რაზეც ვუპასუხე, რომ მე პირველსა და ბოლო დღესაც ასე ვიქნები და დროა, რომ გადმოხვიდე ჩემს განწყობაზე-თქო.

**იტალიური ეზო საავადმყოფოში**

**საავადმყოფოში რომ შედიხარ, იქ მარტოს აღარა გაქვს კოვიდი. ყველას ერთად გაქვთ და შენი კოვიდიდან ერთვები სხვებზე. საავადმყოფოში ერთმანეთს სრულიად უცნობი და უცხო ადამიანები უმეგობრდებიან. იქ ყველა ერთმანეთის გულშემატკივარი, მხარდამჭერი და კეთილისმსურველი ხდება. უცებ ძალიან ბევრ მეგობარს იძენ, იცი მათი შვილიშვილი როგორ მღერის, შვილი როგორ გემრიელ ლიმნის ორცხობილებს აცხობს. მართალია, ამ ორცხობილების გემოსა და სუნს ვერ გრძნობ, მაგრამ როდესაც გიმასპინძლდებიან, კოლოფზე ხედავ წარწერას „ჩემს ყველაზე საოცარ დედიკოს, მალე დაგვიბრუნდი“ და იცი, რომ ეს მსოფლიოში ყველაზე გემრიელი ორცხობილაა.**

ზეპირად იცი და აკონტროლებ შენი ახალი მეგობრების სატურაციას, მათ ხმებს უკვე ხველით არჩევ და ისე გიხარია როდესაც ხვდები, რომ რომელიღაცა ღამეს სპაზმი ისე არ ახრჩობთ და 39 სიცხეც აღარ აქვთ, რაც ნიშნავს, რომ ფილტვები კიდევ უფრო აღარ დაუზიანდებათ. როდესაც შენს გვერდით მწოლიარე, შეშინებული ინდუსი სტუდენტი გოგონას დედას ამშვიდებ Whatsup-ით დელიში, რომ მისი შვილი აუცილებლად კარგად გახდება, ის კი ტირილისგან ხმაჩახლეჩილი, დამტვრეული ინგლისურით გპატიჟებს ინდოეთში, შვილის ქორწილში და თან დასძენს, რომ შენი თვალებისფერ, ცისფერ, ბრჭყვიალა სარის თავად დაგახვედრებს. ის სიხარული ხომ არაფერს შეედრება, როდესაც დერეფანში დაინახავ ეტლში ჩამჯდარ შენს ახალ მეგობარს, მუხლებზე დადებული ჩანთითა და გასაწერად გამზადებული ფორმით. თან უცნაური ის

არის, რომ ეს **ადამიანები, რომლებიც შეიძლება არასდროს არ გაგეცნო, არასდროს არ გენახა, ისეთი ახლობლები ხდებიან, ერთ წამში... აი, უახლოესები იმ მოცემულობაში!..** ხომ იცი, იტალიური ეზოსავით ცხოვრობ, ყველა ერთად. ხველით ხვდები, ვინ როგორ არის, ღამე არ გძინავს. მე, მაგალითად, 14 თუ 15 დღე საერთოდ არ მეძინა. საერთოდ, ერთი დღეც კი არ მძინებია, იმიტომ რომ მობილიზებული ხარ ვინმეს უცებ არ დასჭირდეს დახმარება, ვეღარ აძლევ თავს უფლებას, რომ წამოწვე და დაიძინო. თან ზოგადად, კოვიდს ისედაც ახასიათებს უძილობა. სულ სპაზმი მქონდა, სულ მახველებდა, მაგრამ არ ვიყავი ჟანგბადამოკიდებული როგორც ბევრი სხვა პაციენტი, რომლებიც იძულებულები იყვნენ მუცელზე დაწოლილები ყოფილიყვნენ, რათა ფილტვებზე ზეწოლა არ ყოფილიყო და სუნთქვა არ გართულებოდათ. თავიდან, სხვათაშორის, სპაზმისა და ხველის მიუხედავად, მაინც ყოჩაღად ვიყავი იმ თვალსაზრისით, რომ აი, რუტინას, ელემენტარულ რაღაცას, საცხის წასმა, თმის ვარცხნილობა, სუნამოს დასხმა იქნებოდა თუ სხვა ყოველთვის ვახერხებდი... ყველაფრის მიუხედავად, რომ არ გინდა ფორმიდან ამოვარდე და შეინარჩუნო საავადმყოფომდე შენი ნორმალური რუტინა.

როგორ მივხვდი, ყნოსვა რომ დავკარგე?.. დილას რომ გავიღვიძე, დავივარცხნე თმა, მოვწესრიგდი და სუნამოც დავისხი, რა თქმა უნდა... მედდა შემოვიდა და, – ვაიმე, როგორი კარგი სუნიაო!.. მაშინ კი მივხვდი, რომ არ მცემს სუნი. ამას მოჰყვა გემოს დაკარგვაც და **სრულიად სხვა ცხოვრება დავიწყე, შეგრძნებების გარეშე.** როგორი შეგრძნება გაქვს იცი, თითქოს გონებას ბინდი ეფინება, სადღაც ბურუსში

ხარ, კონცენტრაციას ვერ ახდენ, მეხსიერებაც უკვე ურევს იმ თვალსაზრისით, რომ რაღაცას რომ გადაწყვეტ, ვაიმე, ახლა იმას უნდა მივწერო ან რაღაც მოვყვე, ვიკითხო და აღარ გახსოვს, გავიწყდება.

* * *

**ექიმებს და მათ შრომას რომ ვუყურებდი, ეს მართლა ცალკე აღნიშვნის ღირსია. წარმოუდგენელ შრომაში არიან, ფიზიკური თვალსაზრისითაც და მორალურადაც.** წარმოიდგინეთ, გადაბმულად 72 საათი მორიგეობენ. ჩვენს სართულზე მახსოვს 3 მედდა იყო და თითოეულ მედდას ჰყავდა 15 პაციენტი. 15 პაციენტს, წარმოიდგინეთ, ყოველ დილას, შუადღეს, საღამოს უნდა გაუკეთო ნემსები, აუღო ანალიზები, გაუსინჯო სატურაცია... მერე ყველას ხომ ერთნაირი ფსიქოლოგიური მდგრადობა არ აქვს. არიან ცოტა პანიკიორებიც, იმათ სხვანაირი მოვლა უნდა. ამას ისიც ემატება, რომ მათ ხელში აკვდებათ ახალგაზრდა გოგოები, ბიჭები, ვიღაცის დედა, ვიღაცის ბებია.. მორალურადაც როგორი გაძლება უნდა...

სინამდვილეში როგორია კოვიდი? პირველი სიტყვები, რაც ენაზე გადგება: ბანძი, ვერაგი, ბოროტი, დაუნდობელი, მახინჯი, უგულო, უჯიშო, უჯიგრო, ამაზრზენი და ძალიან, ძალიან ცუდი! თუმცა ეს საკმარისად არ გამოხატავს იმ ემოციას, რაც გეუფლება, როდესაც საავადმყოფოს დახურულ ფანჯარაშიც კი გესმის განწირული დედის კივილი, რომელსაც მიმღებში უთხრეს, რომ მისი შვილი კოვიდმა შეიწირა. მიმღები პირველ სართულზეა, შენ მეექვსე სართულზე წევხარ, მაგრამ ამ დედის კივილი ყველა სართულზე, ყველა პალატაში აღწევს. მისი შვილიც სულ ახლახანს,

შენს სართულზე იყო, გვერდზე პალატაში – ლამაზი, ხალასი, შეშინებული, მაგრამ გეგმებითა და იმედებით სავსე, ის ხომ რამდენიმე დღის წინ თავად გახდა დედა.

ეს კივილი, ხავილი, ყმუილში გადასული ბღავილი სულ გესმის, დილით და საღამოს. ერთ დედას მეორე ცვლის, რადგან ყოველდღე ძალიან ბევრ ადამიანს, მამას, ქმარს, მეგობარს, შვილს ეუბნებიან, რომ ისინი დაობლდნენ, მათი საყვარელი ადამიანი აღარ არის – ისინი კოვიდმა შეიწირა. ეს ხმები საავადმყოფოდან რომ გამოდიხარ, მაშინაც გახსოვს და არ გავიწყდება. როდესაც „ინტერპრესნიუს“-ზე კოვიდ სტატისტიკას კითხულობ, ეს განწირული და გაუბედურებული ადამიანების არაბუნებრივი ხმები გახსენდება. ხმები მიმღებიდან მე-6 სართულზე, დახურულ ფანჯარაში რომ აღწევს. კიდევ ერთი ხმა, რომელიც საავადმყოფოდან მოგყვება არის ზურგზე ხელების ბრაგაბრუგის ხმა.

ერთ დღეს, ჩემს გვერდით 83 წლის ბებო დააწვინეს. თბილი, ტკბილი, საოცრად თავმდაბალი, ცხინვალიდან დევნილი. ჟანგბადის ნიღბიდან მიყვებოდა თუ როგორ გამოიარა ომი, სრულიად ახალგაზრდამ როგორ დაკარგა ქმარი და მარტომ როგორ გაზარდა დევნილთა ჩასახლების 7 კვადრატულიან ოთახში 2 შვილი, მისცა მათ განათლება და ეხლა როგორ ამაყობს მათი წარმატებით. იმის თქმაც მოასწრო, თუ როგორ ნანობდა, აცრა რომ დააგვიანდა (პირველი აცრიდან მესამე დღეს დაუდასტურდა კოვიდი). არადა კიდევ იმდენი რამ მაქვს, ბებო, მოსასწრები... შვილიშვილები მისახედი, იმ პატარა სახლის ეზოში, რომელიც შვილებმა მიყიდეს, მოსავალი ასაღები და რაც მთავარია,

უფროსი შვილი დავითი – დასაქორწინებელი. რაც ეს გულის დაავადება დამიდგინეს, სულ მე მივლის და თავისათვის დრო აღარ რჩება, – მიყვებოდა ქოშინით. ღამით კი ბებო ცუდად გახდა, მიუხედავად იმისა, რომ ჟანგბადის ნიღაბი მოუხსნელად ეკეთა, ჰაერი არ ყოფნიდა, სუნთქვა არ შეეძლო, მაგრამ მაინც მოახერხა ეთქვა, როგორ გაწუხებ, ნინო, შვილოოო...

დილის 4 საათი იყო, როდესაც დასახმარებლად მედდას დავუძახე, ჩვენს არაჩვეულებრივ, ენერგიულ და მომღიმარ ხათუნა აფციაურს. შემოქანდა და ამ მინიატურულმა გოგომ ბებო 1 წამში მუცელზე დააწვინა, დაუწყო მხრებზე, ზურგზე ხელების დარტყმა. ეს ბრაგაბრუგი აუცილებელი იყო, რომ ბებოს ფილტვები გახსნოდა და ამოესუნთქა.

ჩემი ჟურნალისტური კარიერის მანძილზე არაერთ ცხელ წერტილში მომიხდა ყოფნა და გადაღება: სოხუმსა თუ ცხინვალში ომის შემდეგ, ღაზას სექტორში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს, ირანში, ამერიკის წინააღმდეგ მილიონიანი მანიფესტაციის დროს, იორდანიაში, სირიელ ლტოლვილთა ბანაკში და ა.შ, მაგრამ არცერთი ტყვიისა და რამდენიმე მეტრში აფეთქებული ბომბის ხმა არ გაძრწუნებს ისე, როგორც ამ უტკბილესი, 83 წლის, თეთრთმიანი ბებოს ბეჭებზე ხათუნას ხელებისგან ატეხილი ბრაგაბრუგის ხმა.

გამთენიისას ბებო რეანიმაციაში წაიყვანეს. უფრო სწორედ, ლოგინიანად გაიყვანეს. რომ მიდიოდა, ნიღბის ქვეშ, ქოშინით ისევ მადლობას და ბოდიშს მეუბნებოდა: როგორ მომიარეთ და როგორ შეგაწუხე, შვილო, ღამეო. ვუთხარი, რომ მხოლოდ ცოტა ხნით ვუშვებდი ინტენსიურში, რადგან იქაც გაეცნოთ, როგორი საოცარი ბებო იყო და მალე ისევ აქ, ჩვენს პალატაში ველოდებოდი.

ბებო ჩვენს პალატაში აღარ ამოუყვანიათ. სულ ვეკითხებოდი ხათუნასაც და სხვა მედდებსაც: ხომ არ იცით, როგორ არის?.. იქნებ, მოკითხვა გადასცეთ და ამბავი გამაგებინოთ... თავიდან ამბობდნენ: კარგად იქნება, იმ სართულზე ჟანგბადის უფრო ძლიერი ნაკადიაო. მერე კი, – მე დღეს იმ სართულზე მორიგე არ ვარ, რომ მოვიცლი, აუცილებლად შევივლიო და. ა. შ.

შენც მერე რა გემართება იცი, რაღაცა მომენტში გინდა, რომ მოტყუვდე – ვითომ ხო, იქ არის. არადა, სინამდვილეში აღარ არის... ძაან რთული იყო, რომ ადამიანს ელაპარაკები, იქ თან მეგობრობ, თავის გეგმებს გიზიარებს, გიყვება, თანხმდებით, რომ ერთად რაღაცას გააკეთებთ მომავალში ან იცი რა, ხვალ მე ეს უნდა გამომიგზავნონ და უნდა გაგასინჯო... დილას გახვალ და აღარ არის... თან ერთ წუთში ხდება ყველაფერი.

ძალიან ვერაგი ვირუსია მაგ თვალსაზრისით. ერთია რაც გესმის, რასაც გიყვებიან, რასაც ტელევიზორით ამბობენ, ან კითხულობ, და შეიძლება ბოლომდე არც გჯერა. ხო იცი ადამიანის ბუნება როგორიც არის?.. ყველას სხვადასხვანაირი დამოკიდებულება აქვს... მაგრამ ამას შენი თვალით რომ უყურებ, შენი თვალით რომ ნახულობ, რომ ადამიანს, რომელიც ჩვეულებრივად არის, ელაპარაკები და მეორე წუთში ისე მძიმდება, რომ რეანიმაციამდეც ვეღარ ასწრებენ მის მიყვანას – უკვე დაუჯერებელია!

ყველას ვეუბნები, რომ **კოვიდი საავადმყოფოში კიდევ სხვა არის, კოვიდი სახლში, სადაც შენს გარემოში ხარ, შენი ნივთებია, ხშირ შემთხვევაში ოჯახის წევრებიც არიან, – სულ სხვაა.** კოვიდ-სასტუმროშიც რომ გადადიხარ, იქ მარტო

შენ ხარ, იქ ძირითადად ის არის, რომ მარტოობის დისკომფორტია, მაგრამ შენ და შენი კოვიდი ხართ მარტო. იქ, **საავადმყოფოში, მარტო შენ და შენი კოვიდი არა ხართ, იქ შენ და ბევრი ადამიანის კოვიდი ხართ ერთად და შენ თავზე მარტო არ ნერვიულობ.** ბუნებრივია, ეხლა, ყველა ადამიანი საკუთარ თავზეც ნერვიულობს, მაგრამ ცხოველი უნდა იყო, იქ რომ მოხვდები და ყველაზე არ ინერვიულო, წარმოუდგენელია... ძალიან მძიმეა, როცა უყურებ კოვიდი როგორ გადააქვთ მოხუცებს, იმიტომ რომ ბებიები და ბაბუები უძვირფასესები არიან და აიგივებ შენს ბებია-ბაბუასთან... თან ხვდები, რომ აი, ესე იტანჯებიან, თან მარტო არიან, არც მისი შვილიშვილია, არც მისი შვილია მის გვერდით...

რას დავაკვირდი, ალბათ ეს ჩემი პირადი დაკვირვება არის, თუმცა ძალიან ბევრი დაიწერა და ექიმებიც საუბრობენ ამაზე, რომ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ფსიქოლოგიურ განწყობას. მე იქ რასაც ვუყურე, ის ადამიანები, ვინც ამას უფრო ემოციურად უდგებოდნენ, პანიკაში ვარდებოდნენ, მათში უფრო მძიმედ მიდიოდა ეს დაავადება. ბუნებრივია, ვისაც კიდევ ქრონიკული დაავადება ჰქონდა, მარტო ემოციურზე არ არის, რაღა თქმა უნდა, მაგრამ ემოციურობაც ძალიან განაპირობებდა დაავადების მიმდინარეობას. თან ყველა ადამიანი ხომ ინდივიდუალურია. მე, მაგალითად, რომ შემოდიოდნენ ექიმები და როგორ ხარო, – მეკითხებოდნენ, ვერც ვლაპარაკობდი (15 დღე იქ რომ ვიყავი, ფიზიკურად ვერ ვლაპარაკობდი), იმიტომ რომ, როგორც კი ლაპარაკს ვიწყებდი, იმ წუთას სპაზმი მეწყებოდა და ვიხრჩობოდი და კარგად ძალიან-მეთქი... და გეტყობაო (იცინის – მ. ქ.). გეტყობა, რომ ძაან კარგადო (იცინის – მ. ქ.), ესეთი პა-

ციენტია, რომელიც იხრჩობა, ვერ სუნთქავს და რომ ეკითხები როგორ ხარ, გადასარევადო, – გპასუხობსო... მაგრამ ხომ იცით, ყველაფერი არის შედარებითი. იმასთან შედარებით, რაც იქ ხდებოდა და როგორც იყვნენ, მართლა ითვლებოდა, მე მიმაჩნდა, რომ კარგად ვიყავი იმ თვალსაზრისით, რომ ცოცხალი ვიყავი, მქონდა უნარი კომუნიკაციის და ვაკონტროლებდი ჩემს ქცევას, შემეძლო გადაადგილება, მეტ-ნაკლებად კვება. იმათთან შედარებით, ვინც იქ მიჯაჭვული იყო რეანიმაციაში, გათიშულები, აპარატზე შეერთებულები... თუმცა, რა თქმა უნდა, კარგად არ ვიყავი.

მერე გაქტერიული ინფექცია წავიდა, რასაც მოჰყვა ეს გადასხმა, დექსამეტაზონი, ანტიბიოტიკი და ამდენს ვეღარ გაუძლო ჩემმა ორგანიზმმა, ყველა ვენა დამისკდა და ეს ისეთი ტკივილია, რომ გავიწყებს ყველაფერს. ანუ კოვიდის სიმპტომები ხომ ცალკეა და კიდევ ამას ზემოდან ის ემატება, რომ თითებსაც ვერ ამოძრავებ... სულ გადახვეული მქონდა ხელი... ბოლოს აი აქ, თითებშუა მედგა კათეტერი, ოღონდ, ისეთი სიმწარეა!.. ყველა ვენა სკდებოდა, ფიზიკურად ადგილი აღარ მქონდა სისტემის ჩასაყენებლად... ორგანიზმიც არ არის მიჩვეული ასეთი დოზით გადასხმას, ამდენ მედიკამენტს, ჰორმონს. საერთოდ წამლებს არ ვიღებ, არც ტკივილგამაყუჩებლებს, თავიც რომ მტკივა... თან ვერაფერს ვერ ვჭამდი, 10 კილოზე მეტი დავიკელი... **სარკეში დიდად რომ არ გინდა ჩაიხედო, იმიტომ რომ პალიტრაშიც არ არის ისეთი ფერი, როგორიც შენ გაქვს, რაღაც მოლურჯო, მოიასამნისფრო, მომწვანო, მონაცისფრო. მაგრამ იქ არაფერს მნიშვნელობა არ აქვს...**

საავადმყოფოდან სახლში რომ მოვედი, რაღაცა დანაშაულის უცნაური შეგრძნება მქონდა, რომ მე წავედი და ისინი იქ რჩებიან. სანამ ყველა შენი ნაცნობი, ვისაც იქ იცნობ არ გამოდის, სულ გეფიქრება: ნეტავ, იქ რა ხდება ეხლა, როგორ არიან?.. სახლშიც მერე ძილის პრობლემა რომ იყო, ის ორი საათიც თუ ჩამეძინებოდა, სულ საავადმყოფოში მეგონა თავი.

როგორც გითხარით, გამოუსწორებელი ოპტიმისტი ვარ (იცინის – მ. ქ.) და ალბათ ესეთი რომ არ ვყოფილიყავი ბუნებით, ხასიათით, იქ უმძიმესი დეპრესია დამემართებოდა. ისე ეს თვითონ ამ დაავადებასაც ახასიათებს, რადგან ცნობილია რომ ვირუსი ცენტრალურ ნერვიულ სისტემას ვნებს, სხვადასხვა პროცესებს იწვევს და ამიტომ კოვიდ პაციენტებში ხშირია აპათია, დეპრესია... ჩემს შემთხვევაში, საბედნიეროდ ეს არ ყოფილა.

ემოციურად ძალიან რთული იყო, რომ ვუყურებდი ამდენი ადამიანის ტანჯვას და ამდენი ადამიანის ცუდად ყოფნას. სულ გესმის ეს კვნესა, ხველა, სახლშიც მოგვყება მერე, რაღაც კაკაფონიაა... თითქმის ყველა ოთახიდან ხველა ისმის და გიჯდება ეს... შენი თავი მერე უკანა პლანზე გადაგყავს, იმდენად მოქმედებს და იმდენად დამთრგუნველია 24 საათი ვიღაცის ცუდად ყოფნას რომ უყურებ და აცნობიერებ,

სანამ მე დამემართებოდა, ალბათ ერთი სამი კვირით ადრე, ჩვენთვის ძალიან უახლოესი ადამიანის მამა გარდაიცვალა. ერთი თვის განმავლობაში იწვალა და გარდაიცვალა კოვიდით. ძალიან მძიმე იყო. პირველად კოვიდი მე ასე შემეხო – ბაკური ბაბუს გარდაცვალებით... ხომ ხვდებით?.. ჩემი უახლოესი, ბავშვობის მეგობრის მამა იყო, ჩემი შვილის

ნათლიაა მისი შვილი... და ეს იყო ისეთი დაუჯერებელი, უსამართლო, საშინლად მტკივნეული...მეორე კი მარინა დეიდა იყო, ჩემი მამიდაშვილის დედამთილი, რომელიც ჩემთან ერთად იწვა საავადმყოფოში და ძაან ღელავდა, ძალიან ნერვიულობდა. სულ ვაწყნარებდი: კარგით, მარინა დეიდა, არაფერია და ნუ ნერვიულობ, ეხლა მორჩი ნერვიულობას და მოდი მოვიფიქროთ, რომ გავალთ რას გავაკეთებთ... ერთ დღეს გამოვედი და აღარ არის მარინა დეიდა და სად არის-მეთქი, რომ ვიკითხე, ქვევით ჟანგბადი უკეთ მოეწოდება, ქვევით ჩავიყვანეთო... და ბეჭედი მოიტანეს მისი ქორწინების, ესო თქვენი ახლობელი არისო, როგორც ვიცითო და ხომ არ შეგიძლიათო რომ ოჯახს დაურეკოთო... იქ არ ჭირდება და იქნებ წაიღონო... ძაან იმოქმედა, ისე იმოქმედა, რაღაცა ეს ბეჭედი ხელში რომ ავიღე...

მერე **მე რომ გამოვედი საავადმყოფოდან, ის დარჩა კიდევ საავადმყოფოში და, სამწუხაროდ, გარდაიცვალა და ეს შეგრძნება, რომ ის ადამიანი შენთან ერთად იყო, გეგმებს აწყობდით ერთად და აღარ არის...** ალბათ ერთერთი უმძიმესი იყო მის გასვენებაში მისვლა. **საავადმყოფოდან შენ რომ გამოხვალ და ისინი რომ ვერ გამოვლენ... ეს ძალიან მოქმედებს. ეს რაღაც აფერმკრთალებს შენი გამოსვლის სიხარულს, შენი კარგად ყოფნის, შენი გამოჯანმრთელების სიხარულს.**

მე საერთოდ, ყოველთვის მადლიერი ვიყავი და ყოველთვის ძაან ვაფასებდი და ვაფასებ ცხოვრებას და სულ მახსოვს და სულ ვიცი, რომ ერთი წუთია... **არასდროს არავინ არ ვიცით, ვის რა გველოდება და შეიძლება 1 წამში ყველაფერი დამთავრდეს, ამიტომ ყოველი წუთი უნდა დააფასო და იყო**

**ბედნიერი და ეს სულ მახსოვდა... მაგრამ კოვიდის შემდეგ კიდევ უფრო გამიმძაფრდა. სახლში რომ მოდიხარ და შენს შვილს რომ ეხვევი და ნახულობ და შენს სახლში რომ ხარ, შენს გარემოში, ნელ-ნელა რომ ცდილობ დაუბრუნდე შენს ძველ ცხოვრებას, სულ გახსოვს, არ გტოვებს ეს, რომ რამდენ ადამიანს ესე არ გაუმართლა, რამდენმა ადამიანმა ვერ შეძლო თავისი შვილის ჩახუტება, ვერ შეძლო მის ცხოვრებაში ძალიან ბევრი ლამაზი დღის ნახვა ან აი, რამდენი ადამიანი ვერ აკეთებს იმ ელემენტარულ რაღაცებს, რასაც ჩვენ...** ეს სულ თან გდევს, იცვლები ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. ძალიან უმნიშვნელო ხდება ბევრი რამ, წვრილ-წვრილი რაღაცები, რაზეც შეიძლებოდა თავის დროზე ან გენერვიულა ან მეტი ყურადღება დაგეთმო. ხვდები, რომ საერთოდ უმნიშვნელოა, ფერმკრთალდება ყველა სხვა დანარჩენი პრობლემა კოვიდის ფონზე.

* * *

მე საერთოდ არ გამოვირჩევი სოციალურ ქსელში აქტიურობით. მახსოვს, რომ გამოვედი, დავჯექი და გადავწყვიტე, დამეწერა პოსტი სწორედ ცნობიერების ამაღლებისთვის. ჩემი ისტორიაც მომეყოლა და იმ ადამიანების, რომლებიც ჩემს გარშემო საავადმყოფოში იყვნენ. დავწერე, რომ **ეს არის უგულო, უსულო, საშინელი, საზარელი, საძაგელი... აი, ძალიან ცუდი, უსახური ვირუსი და ის გამოსახულება რომ აქვთ, რაღაცა მწვანე, იქ რაღაც ძალიან ფერადია და სინამდვილეში ძალიან ბოროტია,** არაფერი ისეთი არ არსებობს მისთვის, რასაც გაითვალისწინებს, რასაც ანგარიშს გაუწევს, აი, უსულგულო, აი, ცუდია რა, ძალიან ცუდია!

სადაც მოვხვდები, არ მეზარება, ტაქსის მძღოლიდან დაწყებული... მნიშვნელობა არ აქვს, მაღაზიაში... სადაც არ უნდა მოვხვდე, ვამბობ, რამდენად მნიშვნელოვანია რეგულაციების დაცვა, რამდენად მნიშვნელოვანია, რომ მოვუფრთხილდეთ ადამიანები ერთმანეთს და სერიოზულად აღვიქვათ, მივიღოთ. **ეს არ არის სათამაშო, რომ ვითომ ეს რაღაც არ არსებობს და მოგონილია და გვეჩვენება და სტატისტიკას წერენ და იგონებენ და ა.შ არა, ეს რეალურად არსებობს და ძალიან ცუდი და ვერაგი დაავადებაა, რომლის ერთადერთი დამარცხების გზა არის რეგულაციების დაცვა და ვაქცინაციაა.** არ მეზარება, ვალდებულად ვთვლი თავს ვთქვა იმ ერთი მიზეზის გამო, რომ არავინ არ მინდა ის ჯოჯოხეთი გამოიაროს, რასაც ადამიანები საავადმყოფოში გადიან. კი, ყველასთვის სხვადასხვანაირი სიმძიმით ვითარდება ეს დაავადება, მაგრამ **შენს გვერდზე საავადმყოფოში რომ წევს 96 წლის უსაყვარლესი, თეთრთმიანი ბებო, რომელიც ვერ სუნთქავს და იგუდება, შენ არ შეიძლება, რომ შენ თავს უფლება მისცე და თქვა რომ, არაუშავს, არაფერი ვირუსი არ არის, გრიპი რა არ მოგვიხდია?..** აი, ამის უფლება თავს არავინ არ უნდა მისცეს და როგორც კი გამოვედი სამსახურში, მახსოვს, რომ რაღაც იდეით მივედი, რომ მოდით, ჩვენ ჩვენის მხრივ, მანდატის შესაბამისად, დავიწყოთ ცნობიერების ამაღლების კამპანია და ვაქცინაციის კამპანია ლტოლვილებში, დევნილებში, თავშესაფრის მაძიებლებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებში,.. და მახსოვს, რომ დავიწყეთ ეს კამპანია, UNHCR-ის, საქართველოს წარმომადგენლობამ, რომ **„არავინ არ არის დაცული, სანამ ყველა არ იქნება დაცული!“** — აი, ესეთი სლოგანი გვქონდა. მახსოვს, ისე მიხაროდა!.. მეორე

დოზით რომ ავიცერი, მინდოდა მეჩვენებინა ამ ადამიანებისთვის, მარტყოფის თავშესაფარში მყოფი თავშესაფრის მაძიებლებისთვის, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან საქართველოში იმყოფებიან, რომ აცრილიყვნენ.

ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთად ეს ერთობლივი კამპანია რომ წამოვიწყეთ, მობილური ვაქცინაციის ცენტრის მობილიზება მოხდა და იქ ავიცერი, რომ სტიმული მიმეცა ამ ადამიანებისთვის და ისეთი ბედნიერი ვიყავი, ისე მიხაროდა, რომ ხალხი იცრებოდა.

**აცრა არ ნიშნავს, რომ ვირუსი არ დაგემართება. რა თქმა უნდა, შეიძლება დაგემართოს, ვაქცინაცია ამცირებს ინფიცირების, გართულების, საავადმყოფოში მოხვედრისა და გარდაცვალების რისკს... ძალიან სამწუხარია, რომ ჩვენთან ბოლო დროს ძალიან დაბალია აცრის მაჩვენებელი და შედეგიც სახეზეა. ყოველდღე იზრდება ინფიცირებულთა და ყველაზე სამწუხაროდ კი, გარდაცვლილთა რიცხვი და რაღაცა უნდა შეიცვალოს, ესე არ შეიძლება.**

აი, ადამიანები, რომ არ თვლიან საჭიროდ აიცრან, ვგულისხმობ მათ, ვინც სრულიად შეგნებულად არ დგამს ამ ნაბიჯს (ბუნებრივია, არ ვსაუბრობ იმ ადამიანებზე, რომლებსაც რაღაც ისეთი დაავადება აქვთ ან ალერგია, რომ ვაქცინაცია არ შეიძლება). მათ უნდა გაითავისონ, რომ ისინი საფრთხეს არამხოლოდ საკუთარ თავს ან ოჯახის წევრებს უქმნიან, არამედ მათვის სრულიად უცხო ადამიანებსაც. სიტყვებით ხომ ვერ გადმოსცემ ეს როგორი წამებაა, რას გადიან საავადმყოფოში ან რეანიმაციაში კოვიდით მოხვედრილი ადამიანები, განსაკუთრებით, მოხუცებულები, რომლებსაც ვიღაცამ მოუტანა სახლში ეს კოვიდი ან ვიღაცამ გადასდო ქუჩაში, მაღაზიაში პურის საყიდლად რომ გავიდა.

**როგორ შეიძლება ამდენი მეცნიერის შრომის შედეგი არ გამოიყენო იმისთვის, რომ დაიცვა საკუთარი სიცოცხლე და სხვა ადამიანების სიცოცხლე! ყველას ჩვენი შეხედულება გვაქვს რაღაცა საკითხებთან დაკავშირებით, ყველას რელიგიური მრწამსი, პირადი დამოკიდებულება, სამედიცინო შეხედულება და ა.შ. მაგრამ ადამიანს თავისუფალი არჩევანის ნება და უფლება აქვს მიცემული იმისათვის, რომ გონივრულად მიიღოს გადაწყვეტილებები. ფაქტია, რომ რეანიმაციაში მოხვედრილი ადამიანების 93% (საქართველოზე ვსაუბრობ) იყო აუცრელი და ორჯერ აცრილი ადამიანების გარდაცვალების სტატისტიკა ძალიან დაბალია საქართველოში. ეს ხომ არის იმის საფუძველი, რომ შესაბამისი დასკვნა გამოიტანო...** იმაზე არაა, მოგწონს შენ ეს რომელიღაცა კომპანია, რომელმაც ეს ვაქცინა გამოუშვა თუ სხვა შეხედულება გაქვს. ეს არის მოცემულობა და ამ მოცემულობაზე და ფაქტებზე დაყრდნობით უნდა მიიღონ ადამიანებმა გადაწყვეტილება.

სულ ამაზე ვსაუბრობ, ყველას მოვუწოდებ. იცით რატომ? იმიტომ კი არა რომ სხვა საქმე არ მაქვს? ან საუბარი არ მეზარება? არა!.. იმიტომ რომ რაც მე იქ ვნახე საავადმყოფოში, არავინ არ მემეტება, მტერიც კი არ მემეტება იმისთვის, რომ ეს ნახოს და გამოიაროს.



21.

სახელი, გვარი: გიორგი კორკოცაშვილი

ასაკი: 35

პროფესია: ექიმი

საცხოვრებელი ადგილი: თბილისი

ინფიცირების ადგილი და დრო: რუსთაველზე კოვიდ-19
ოფიციალურად არ დადასტურებია,
მოგვიანებით აღმოაჩინდა ანტისხეულები

ჩაწერის ადგილი და დრო: თბილისი, 09/2021

ინტერვიუერი: მერი ქაჯაია

მოგეხსენებათ, რომ პირველი პაციენტი ჩვენთან იყო... თუ მე არ მეშლება და ასე მგონია, რომ არ მეშლება, – 2020 წლის 26 თებერვალს. ეს იყო დრო, ეს იყო სიტუაცია, როდესაც ჩვენ ჯერ კიდევ ცნობები არ გვქონდა ამ დაავადებასთან დაკავშირებით. ეხლა საერთოდ საუბარი იმაზე ზედმეტი იყო, რომ ჩვენ ინფორმაცია გვქონოდა, რაღაცა გვცოდნოდა გამოჯანმრთელებულ პაციენტს რა შეიძლებოდა დამართნოდა 2 თვის მერე, 3 თვის მერე, 1 წლის მერე, 2 წლის

მერე და საერთოდ, რამდენად მთავრდებოდა ეს დაავადება იქ, სადაც ჩვენ გამოჯანმრთელებას ვარქმევდით... იმიტომ რომ პაციენტები გამოჯანმრთელდებოდნენ კოვიდისგან, სიმპტომები არ ჰქონდათ, მაგრამ მერე ფილტვის დაზიანება გამოჩნდებოდა ხოლმე... რადიოლოგიური შეფასებით ჩვენ არ ვიცოდით ეს ფილტვის დაზიანება დროებითი იყო, მუდმივი იყო, ხანგრძლივად გაგრძელდებოდა, შემდგომში ეს ინვალიდობას გამოიწვევდა თუ ასე შემდეგ. ამასთან დაკავშირებით უბრალოდ წარმოდგენა არ გვქონდა.

წლების წინ, 2003 წელს და 2009-ში თუ 2011-ში (ზუსტად არ მახსოვს), არსებობდა კორონავირუსული ინფექციები „სარსი“[45] და „მერსი“[46] და ეს ინფექციები ძალიან მაღალი ლეტალობით ხასიათდებოდნენ (ანუ გარდაცვალების პროცენტი დაინფიცირებულ ადამიანებში იყო საკმაოდ მაღალი). რაც შეეხება კორონას, ეპიდემიოლოგიურად, ჩვენ ეს დაავადება რომ დაგვემართებოდა, საშიშები ვიყავით გარშემომყოფებისთვის, მაგრამ ჩვენი ასაკის ადამიანებისთვის ეს ვირუსი, მომაკვდინებელი რომ არ იყო, ამის პირველი მონაცემები გამოიკვეთა უკვე ჩინელების ჩატარებული კვლევებიდან. ამით თავს ვიმშვიდებდით და სამსახურმაც გადაწყვიტა, რომ დაავადებულებთან უფრო ახალგაზრდებს ემუშავათ და ასაკოვნები მოგვეცილებინა პაციენტებისგან დროებით, სანამ დამატებითი ინფორმა-

---

45 გულისხმობს კორონავირუსს SARS-CoV-ით გამოწვეულ რესპირატორულ ვირუსულ დაავადებას, რომლის პირველი შემთხვევაც 2002 წელს, სამხრეთ ჩინეთში დაფიქსირდა.

46 გულისხმობს ვირუსით გამოწვეულ სასუნთქი გზების ანთებას, რომელსაც 2012 წელს ოფიციალურად „ახლო აღმოსავლეთის რესპირატორული სინდრომის ვირუსი“ ეწოდა.

ცია გვექნებოდა, სანამ წამალი გვექნებოდა, სანამ რაღაცას გავარკვევდით, სანამ ვაქცინა შეიქმნებოდა. ეს ძალიან შორეული პერსპექტივა იყო, მაგრამ იმ კონკრეტული მომენტისთვის ჩვენ უნდა დაგვეცვა ჩვენი კლინიკის იმ ასაკობრივი კატეგორიის თანამშრომლები, რომლებშიც კოვიდი მეტნაკლებად საფრთხეს ქმნიდა. აღარაფერს ვლაპარაკობ 80 წელს ზემოთ ადამიანებზე, მათთან კოვიდი კატასტროფული სიკვდილიანობით ხასიათდებოდა მაშინაც და ეხლაც. ამიტომ ეს იყო სწორედ ის ფაქტორი, რის გამოც კლინიკის ყველა განყოფილებიდან ახალგაზრდა ადამიანები ამოირჩა და გადავნაწილდით იქ სამუშაოდ.

* * *

მახსოვს, ჩემი პირველი პაციენტი... უფრო სწორედ, როგორ იყო იცით, იქ ხომ ვმორიგეობდით 3-4 დღეში ერთხელ, იმიტომ რომ სიმწირე იყო მედპერსონალის, თან ჩვენი კლინიკა იყო მაშინ პირველი კლინიკა, რომელმაც კოვიდ პაციენტები მიიღო და შემდგომში უკვე ჩვენს კლინიკას დაემატა საუნივერსიტეტო კლინიკა (აი, რატიანის ხელმძღვანელობით). ეს ორი კლინიკა იყო სულ თავიდან. რა თქმა უნდა, პაციენტიც ძალიან ცოტა იყო მაშინ, მაგრამ ჩვენზე მაინც მოდიოდა სერიოზული დაწოლა, იმიტომ რომ წარმოიდგინეთ, მთელი ქვეყნის მასშტაბით 20 პაციენტი რომ ყოფილიყო, 20-ვე იყო ჩვენთან. აქედან გამომდინარე, ჩვენი კლინიკა იმ კონკრეტულ მომენტში უკვე დატვირთული იყო, ეხლაც შეიძლება 5000 პაციენტია დღეში, მაგრამ ჩვენთან ისევ 20 ან 60 პაციენტი შეიძლება იწვეს, ხოდა მაშინ სულ 20 პაციენტი იყო და 20-ვე ჩვენთან იწვა. ნუ, მორიგეობებზე მა-

შინ განსაკუთრებული არაფერი არ ხდებოდა, მძიმე პაციენტები არ იყო, თან **მაშინ ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა იყო სხვანაირი ანუ ყველა პაციენტი ხვდებოდა კლინიკაში, ექნებოდა სიმპტომი, არ ექნებოდა სიმპტომი, თავს ცუდად გრძნობდა, არ გრძნობდა ცუდად. ესე შეთანხმდა ჩვენი სამინისტრო, ესე შეთანხმდნენ ამ კონკრეტული საკითხის სპეციალისტები და ამიტომ ჩვენთან შეიძლება ყოფილიყო ნაკლებად მძიმე დაავადებით, მაგრამ კორონა დადებითი პაციენტიც. იწვა, უკეთდებოდა ანალიზები, უტარდებოდა მონიტორინგი.**

წარმოიდგინეთ, დღეს, როდესაც ამ დაავადებიდან გავიდა უკვე წელიწად-ნახევარი და მეტი, ჯერ კიდევ სწორ ინფორმაციასა და დეზინფორმაციას შორის პაციენტები ვერ აკეთებენ ლავირებას... იმიტომ რომ **უამრავი არასწორი ინფორმაცია მოდის, ზოგადად ამ დაავადებასთან დაკავშირებით, ვაქცინასთან დაკავშირებით. ამან წალეკა ფაქტობრივად მთელი საინფორმაციო სივრცე და განსაკუთრებით საქართველო.** დღეს ექიმებს მაინც გვაქვს ამაზე სრულყოფილი ინფორმაცია, მაშინ კი ექიმებსაც არ გვქონდა სრულყოფილი ინფორმაცია, ფაქტიურად ინფორმაცია არ გვქონდა. იქვე ვერკვეოდით ამ ყველაფერში... ალაგ-ალაგ იტალიის ინფორმაცია შემოგვეშველებოდა, ჩინური ინფორმაცია შემოგვეშველებოდა, მერე უკვე ნიუ იორკის ინფორმაცია შემოგვეშველებოდა... როცა ჩავიცმევდით ამ ეკიპირებას, **მაშინ ცოტა სარისკო იყო სხვანაირად პაციენტთან შესვლა. წყალგაუმტარი ეკიპირება გვეცვა, შევდიოდით პაციენტებთან და მერე ეს უნდა გაგვეხადა, იმიტომ რომ იმ ჩაცმულობაში ყოფნა იყო წარმოუდგენელი. ნუ აი, 1 საათის მერე იყავი სრულიად არაქმედითუნარიანი თუ ამას არ გაიხდიდი და მოიცილებდი ტანიდან. დღეს შემსუბუქებულია**

**წესები, ერთჯერადი ხალათით, N95 ნიღბით, ქუდით, ბახილებით შევდივართ.**

წარმოიდგინეთ ეხლა, შემოვივლიდით, დაველა-პარაკებოდით... **ზოგიერთი სრულიად გაგებაში არ იყო, ფიქრობდა, რომ ეს არის ბიოლოგიური იარაღი, ზოგიერთი ფიქრობდა, რომ ეს ვირუსი ვიღაცამ შექმნა, რომ ადამიანები დაეხოცა და რომ რაღა მე შემხვდა. ზოგი ფიქრობს, რომ ალბათ ვერავინ ვერ გადარჩება და თქვენ ექიმები უბრალოდ მატყუებთ ალბათ და იცით ალბათ... ესეთი ჩაცმული რატომ შემოდიხართ აბა ჩემთან?.. ესე იგი მე რაღაცა განსაკუთრებული მჭირს...** რაღაცა სასწაულად ჩაცმულები ვიყავით, სათვალე, ქუდი... ნუ, არაფერი აღარ გვიჩანდა საერთოდ და თან ქვეყანაში კოვიდისგან გამოჯანმრთელებული ჯერ არავინ იყო.

მაშინ კრიტერიუმი იყო ასეთი, რომ პსრ ტესტზე ორ-ჯერ უნდა ყოფილიყო უარყოფითი პასუხი. სხვანაირად პაციენტი კოვიდისგან გამოჯანმრთელებულად ვერ ჩაით-ვლებოდა. დღეს 10 დღე გავა და ბოლო 2 დღე, 3 დღე პაციენტს სიმპტომები არ აქვს, 12 დღის მერე პაციენტი ით-ვლება გამოჯანმრთელებულად. იმ დღეებში კი, პირველი, მეორე პაციენტი ლამის 25 დღის განმავლობაში იყო პსრ დადებითი. წარმოიდგინეთ, 25 დღე გავიდა, დაგროვდა 20-მდე პაციენტი და ჯერ არავინ არ გამოჯანმრთელებუ-ლა!.. ამ დროს პაციენტი წევს, არანაირი ცნობა, რომ ვინმე, ერთი ადამიანი მაინც გამოჯანმრთელებულა კოვიდისგან საქართველოში!

როდესაც ჩვენ ჩაცმულობას გავიხდიდით ხოლმე და ამოვდიოდით, პაციენტები ისტერიულად, 5 წუთში ერთხელ გვირეკავდნენ. ოღონდ შეკითხვა კი არ ჰქონდათ რამე გან-

საკუთრებული, უბრალოდ იმიტომ გირეკავდა ის პაციენტი, რომ შენ ხმას გაიგონებდა. აი, რაღაცას მოიგონებდა და გაგითიშავდა, მერე კიდევ დაგირეკავდა, კიდე მოიგონებდა რაღაცას, კიდე გკითხავდა, კიდე გაგითიშავდა, ესე გრძელდებოდა დაუსრულებლად. თან **ჩვენ ხომ ვატყობდით მაშინ, რომ პაციენტი დაავადებისგან კი არ იყო მძიმედ, ფსიქოლოგიურად იყო მძიმედ და როგორ გინდა, რომ დააჯერო, შენ ეხლა კოვიდისგან კი არა ხარ ცუდად, შენ გეჩვენება, რომ ცუდად ხარ.** ანუ ცოტა ისეთი მომენტი იყო, პაციენტსაც ეჭვი ჰქონდა, ანუ რა იცი რომ მეჩვენება? ეს დაავადება ხომ ახალია? იქნება და მართლა ცუდად ვარ? იქნება და... ნუ, აი, კატასტროფული მდგომარეობა იყო ამ მხრივ. და ამიტომ **ჩვენ იძულებულები ვიყავით, რომ პაციენტებს, აი, პირდაპირი ამ სიტყვის მნიშვნელობით მოვფერებოდით, აი, რაღაცა მთელი ლექციები ჩაგვეტარებინა, მაგალითები მოგვეყვანა, რომ ნახეთ, იტალიაში როგორ დასტაბილურდა მდგომარეობა, რომ თქვენ ასაკში აი, თითქმის არავინ არ გარდაცვლილა და ასე შემდეგ...** არ იყვნენ მაშინ ასაკოვანი პაციენტები სხვათაშორის. ძირითადად უფრო საშუალო ასაკის კატეგორია იყო და მერე უფრო ახალგაზრდები, საზღვარგარეთიდან ჩამოსულები. ამითი ვამშვიდებდით პაციენტებს, რომ თქვენს ასაკში ეს დაავადება არ არის მომაკვდინებელი და თქვენ ამის ნუ გეშინიათ. ამას ერთხელ, ორჯერ, სამჯერ, ათჯერ, ოცჯერ ვუმეორებდით... ზოგს მარტოობის განცდა აწუხებდა, ოჯახის წევრებისგან დამოუკიდებლად იყვნენ და მუდმივად ემოციური საუბრები იმართებოდა ხოლმე პაციენტებთან.

ვინაიდან პირველი პაციენტი ჩვენთან მოხვდა, შესაბამისად, პირველი გამოჯანმრთელებულიც ჩვენს კლი-

ნიკაში იყო. მახსოვს, მაშინ რაღაცა სიურპრიზად მოვამზადეთ, სატელევიზიო გამოსვლები იყო ხოლმე დილის საათებში და ვამცნობდით მოსახლეობას: დაინფიცირდა ამდენი, კრიტიკულია ამდენი, საშუალო სიმძმისაა ამდენი, მსუბუქია ამდენი და მახსოვს, რომ ჩვენმა სამედიცინო დირექტორმა, სიურპრიზად შემოინახა ეს ინფორმაცია დილის სატელევიზო შეხვედრისთვის და ჟურნალისტებს უთხრა, რომ პირველად გამოჯანმრთელდა (ერთი თუ ორი იყო ერთდროულად, ზუსტად აღარ მახსოვს)... ნუ, ეს იყო მაშინ რაღაც, რო დავხედავდით და – რა-ა, უარყოფითია?.. და ოვაციები! მეორე დღესაც რომ უარყოფითია, ეს იყო გაწერის კრიტერიუმი და გამოჯანმრთელდა!.. თითქოს რაღაცა გამარჯვებასავით იყო ჩვენთვის მაშინ. ეხლა ეგეთ მსუბუქ პაციენტს შეიძლება ისე დაემართოს და ისე გადაიტანოს, რომ ვერც გაიგოს. მაგრამ იმ კონკრეტულ მომენტში ჩვენ იმას აღვიქვამდით პაციენტად და მისი გამოჯანმრთელება მართლა რაღაცა განსაკუთრებულ ემოციებს იწვევდა.

განსაკუთრებულად იცით რა გვახარებდა? **ჩვენ მერე ჩავიდოდით იმ პაციენტთან და ვეუბნებოდით: თქვენ გამოჯანმრთელდით და დღეს საღამოს მიდიხართ კლინიკიდან!.. ნუ, ეს იყო წარმოუდგენელი სიხარული...** ისინი მთელი ამ დროის განმავლობაში წუხდნენ: აი, კიდე დადებითია ტესტი?.. აი, კიდე დადებითია?.. აი, კიდე დადებითია?.. ანუ, აღარ ეგონათ საერთოდ თუ გამოჯანმრთელდებოდნენ.

ეხლა უარყოფითია!.. გარშემომყოფებისთვის გადამდები აღარ ხარ, ესეთი ჩაცმულობა საჭირო აღარ არის, არავისთვის საშიში აღარა ხარ. ხვალ სახლში მიდიხარ. ნუ, ეს იყო რაღაცა სასწაული იქ. მერე, რა თქმა უნდა, ეს ჩვე-

ულებრივი ამბავი გახდა, მაგრამ იმ კონკრეტულ მომენტში ეს იყო რაღაცა საოცრება და მახსოვს, რომ გამოვწერეთ პაციენტი, კლინიკის კარებიდან რომ გამოვიდა, სურათები გადავიღეთ და ფაქტი დავაფიქსირეთ, რომ პაციენტი გაეწერა კლინიკიდან და გამოჯანმრთელდა. ეს იყო სასწაული ამბავი მაშინ.

* * *

იყო ასაკიანი პაციენტი, თუ სწორად მახსოვს, 80 წელს უახლოვდებოდა მისი ასაკი, ქალბატონი და ძალიან მძიმე პაციენტი იყო მანამდე, სანამ კოვიდი დაემართებოდა. ბევრი პრობლემა ჰქონდა ჯანმრთელობის და მახსოვს, ეს რომ მოხვდა კლინიკაში, მალევე დასჭირდა რეანიმაციულ განყოფილებაში გადაყვანა და მერე მალევე, ფაქტობრივად ყოველდღიურად ვხედავდით, ლაბორატორიული ანალიზები როგორ უარესდებოდა. ნუ, არსებული მედიკამენტი პლანქველინი, (რომელზეც თავიდან ძალიან დიდი ბუმი იყო და ლამის აფთიაქებიდან გაქრა და მერე აღმოჩნდა, რომ აბსოლიტურად არაფრის მაქნისი იყო) იყო ერთადერთი, რომელიც მაშინ ჩვენ ამ პაციენტთან გამოვიყენეთ. მაშინ სხვა არანაირი სამკურნალო საშუალება არ არსებობდა. რემდესივირზე[47] ახალი დაწყებული იყო საუბარი, თუმცა საქართველოში არ არსებობდა. იყო კიდევ აივ ინფექციის სამკურნალო წამლები... იყო საუბარი, რომ შეიძლება პოტენციურად სარგებლის მომტანი ყოფილიყო კოვიდიან პაციენტებშიც. ჩვენ ეს მედიკამენტიც გამოვიყენეთ, ოღონდ იმ პაციენტთან არა. მერე, საბოლოოდ კვლევები როდესაც დაიდო, არც პლაქველინს და არც ლოპინავს

[47] ახალი ანტივირუსული პრეპარატი ნუკლეოტიდ ანალოგთა კლასში.

არანაირი სარგებლის მოტანა არ შეეძლო. დავანებეთ მის გამოყენებას თავი, რა თქმა უნდა.

დასჭირდა ნიღბით ჟანგბადის მიწოდება, მივაწოდეთ ნიღბით ჟანგბადი (უბრუნდება ასაკიან პაციენტზე საბარს – მ. ქ.); დასჭირდა მართვით სუნთქვაზე გადაყვანა, გადავიყვანეთ მართვით სუნთქვაზე; მაგრამ... ამას აკეთებდნენ რეანიმატოლოგები, მაგრამ ის, რომ ზოგადი მდგომარეობის მხრივ რამე გაუმჯობესება ყოფილიყო, – არა!.. ყოველი შემდგომი ანალიზი იყო გაუარესებული. მაშინ ეხლა მეტი პრაქტიკა ჩვენ არ გვქონდა. სამწუხაროდ, ეს იყო პირველი ქალბატონი, რომელიც გარდაიცვალა. რეალურად, ამ ჩვენს კლინიკაში მოხვდა პირველი ინფიცირებული, პირველი გამოჯანმრთელებული პაციენტი და სამწუხაროდ, გარდაცვლილიც (პირველი, თუ მეორე ზუსტად არ მახსოვს). აბსოლიტურად უშედეგოდ აღმოჩნდა ყველა ჩვენი ღონისძიება, რომელიც მაშინდელი რეკომენდაციებით ჩავატარეთ.

ის, რომ კოვიდით პაციენტის დამძიმებაში პლაქველინს ხელი შეეწყო, ამის არანაირი მონაცემი არ არსებობს დღესაც, ის კოვიდი მიმდინარეობას ვერც დაამძიმებდა და შესაბამისად, ვერც შეამსუბუქებდა. მაგრამ პლაქველინს, როგორც მედიკამენტს ჰქონდა გარკვეული გვერდითი ეფექტები, მაგრამ ესეთი გვერდითი ეფექტი შეიძლება ციტრამონსაც ჰქონდეს და გახდე ცუდად, დალიო ასპირინი და გახდე ცუდად, დალიო ნუროფენი, მაგალითად იბუფროფენი, სიცხის დამწევი საშუალება და გახდე ცუდად, დალიო პარაცეტამოლი, გახდე ცუდად... ანუ წამალს აქვს თავისი გვერდითი ეფექტები. ესეთი გვერდითი ეფექტები პლაქველინსაც ჰქონდა საკმაოდ მრავლად. ამიტომ, გარ-

კვეულ პაციენტების ჯგუფს შესაძლოა, ეს გვერდითი ეფექ-ტები ეგრძნო წამლის მიღების ფონზე და მას ეს უბრალოდ მიეწერა, რომ დაავადება გაურთულდა და. სინამდვილეში ეს იყო უბრალოდ მედიკამენტის გვერდითი ეფექტები... თუმცა პლაქველინის გვერდითი ეფექტი ვერ იქნებოდა ისეთი, რომ პაციენტის სიცოცხლეზე ემოქმედა... ამაზე კვლევები რომ ჩატარდა, ასევე საუბარი იყო, რომ ის შეიძლებოდა რის-კის შემცველი ყოფილიყო პაციენტების სიცოცხლისთვის და იქ ჩვენ გვქონდა ინტერვალის გახანგრძლივებაზეც საუბარი და ა.შ და ჩვენ მუდმივად ვაკონტროლებდით პაციენტთან ამ გვერდით ეფექტებს, როგორც ლაბორატორიულად, ისე კარდიოლოგიის მეთვალყურეობით. გამოვკითხავდით სხვა რაიმე მედიკამენტებს ხომ არ ღებულობდა და მერე ვუნიშნავდით ამ წამალს. ესე არ ყოფილა, რომ პირდაპირ ავიღეთ და დავნიშნეთ და არასასურველი ეფექტები არ გავითვალისწინეთ. თან პლაქველინი არის იდეაში ხან-გრძლივი გამოყენების წამალი, მისი სამკურნალო ეფექტი ხანგრძლივ გამოყენებას გულისხმობს, ოღონდ კოვიდის მი-მართულებით არა, იმ მიმართულებით, რა მიმართულები-თაც პლაქველინი გამოიყენება ზოგადად მედიცინაში. იმას ხომ ეხლაც სვამენ პაციენტები, ოღონდ სხვა დაავადების სამკურნალოდ და ამიტომ ორ და სამ დღეში პლაქველი-ნის სიცოცხლისთვის საშიში გვერდითი ეფექტი ვერანაი-რად ვერ გამოვლინდებოდა. ჩვენ ხომ ამას 5 დღეზე მეტ-ხანს არ ვუნიშნავდით პაციენტებს და ეხლა, როცა პაციენტი პლაქველინს თვეობით სვამს და ზოგიერთი წლობით, რა თქმა უნდა, ყველა მისი გვერდითი ეფექტის მონიტორინგი ხდება შესაბამისი სპეციალისტის მიერ.

მე მაინც ვთვლი, რომ მეორე მომენტიც იყო აქ. დაავადება კოვიდი შემდგომში იძლეოდა ხოლმე გართულებებს, დღესაც ესეა. მერვე დღიდან ხდება პაციენტების გართულება, იქ ჰაერის უკმარისობა, ძლიერი ზოგადი სისუსტე და ეს, რა თქმა უნდა, შესაძლოა, პაციენტებს დაებრალებინათ პლაქველინისთვის.

* * *

ერთი შემიძლია გითხრათ, რომ პირველად შევდიოდი განყოფილებაში, **თავი მეგონა უცხო პლანეტაზე ანუ ვერ აღვიქვამდი საერთოდ, რომ ვიყავი ჩემს ქვეყანაში, ჩემს კლინიკაში და ვიყავი ჩემი კლინიკის რომელიღაც განყოფილებაში. სადღაც სხვაგან მეგონა თავი.** თითქოს, სრულიად ახალი, აი, ფილმებს რომ ვუყურებთ, აი, უცხოპლანეტელები რომ ჩამოდიან, ესეთი ფილმები ხომ გვინახავს? აი, ეგეთი განცდა მქონდა, რომ უცხოპლანეტელები ჩამოვიდნენ და სამყაროს კიდესთან ვართ მისული და იქ რაღაცებს ვაგვარებთ, დაახლოებით ასეთი განცდა მქონდა, ოღონდ პირველი ათი დღე. იცით რა, უბრალოდ, **როდესაც ეს გამოცხადდა პანდემიად, ავტომატურად ეს სიტყვა „პანდემია“ ნიშნავს იმას, რომ დაავადება დაემართება ყველას. სხვა დანარჩენ შემთხვევაში სიტყვა პანდემია არ გამოიყენება, ხო? იმიტომ რომ კორონავირუსის წინამორბედები, როგორიც იყო „სარსი“ და „მერსი“, პანდემიური პოტენციალი მათ არ ჰქონდათ, ვინაიდან ისინი არ დაემართათ ადამიანების დიდ რაოდენობას. როცა ერთი ადამიანი 5 ადამიანს აინფიცირებს, მერე ის 5 აინფიცირებს 25-ს და გეომეტრიული პროგრესიით ვრცელდება. ეგეთი პოტენციალი იმ წინამორბედებს არ ჰქონდათ გადამდებლობის თვალსაზრისით** და კიდევ სწრაფად

მოხდა კუპირება. ამიტომ სიტყვა „პანდემია“ არც „სარსის“ დროს და არც „მერსის“ დროს არ გაჟღერებულა.

* * *

წარმოიდგინეთ, **დაიწყო პანდემია და ჩვენ ინფექციონისტები ამას მოვესწარით, იმიტომ რომ ბევრი ექიმი შეიძლება პანდემიას ვერ მოესწროს.** 1918 წელს იყო გრიპის პანდემია. იმის შემდეგ ასევე პანდემია იყო ღორის გრიპს რომ ვეძახდით 2009 წელს. ჰოდა, 1918 წლიდან ექიმი, თავისი სამუშაო დროის განმავლობაში შეიძლება პანდემიას საერთოდ ვერ მოესწროს, ისე დაამთავროს თავისი ექიმობა. ჩვენ, ინფექციონისტებმა ეხლა გავაცნობიერეთ, რომ ჩვენ ექიმობაში მოვესწარით პანდემიას, თან როგორ პანდემიას, კატასტროფული ლეტალობით... რამდენი ექიმი გარდაიცვალა საქართველოშიც და საზღვარგარეთ. ყველაზე პირველი ექიმები დაიღუპნენ, იმიტომ რომ ყველა ექიმი დაინფიცირდა. ჩვენ ამას ვაცნობიერებდით, რომ დაავადებასთან ბრძოლაში ჩვენ ყველანი დავინფიცირდებოდით (არავის არ გვქონდა ილუზია, რომ ამ დაავადებასთან ბრძოლაში კოვიდი არ დაგვემართებოდა). როცა ამას აცნობიერებ, რომ აუცილებლად დაინფიცირდები და როცა აცნობიერებ, რომ ყოველი დაინფიცირებული 100 ადამიანიდან 2 ადამიანი იღუპება და თან ჩვენ ამას ვაკეთებდით პირველები. სანამ ვაქცინა იქნებოდა, სანამ წამალი იქნებოდა, თორემ ვიღაცა ჯერ კიდევ არ დაინფიცირებულა და მას მოუსწრო წამალმაც, ნუ მეტ-ნაკლებად კარგმა წამალმა... ჯერ კიდევ შეიძლება შეიქმნას უფრო ეფექტური მედიკამენტი... მაგრამ **რაღაცა ხომ გვაქვს დღეს, გვაქვს ვაქცინა, იდეალური ვაქცინა, წამალი მეტ-ნაკლებად ეფექტური**

**და გვყავს ადამიანი, რომელსაც ჯერ კოვიდი არ დამართნია. ეხლა ის ადამიანი ხომ უფრო მშვიდად არის, ვიდრე ჩვენ, როცა არ იყო ვაქცინა, არ იყო წამალი.**

ვიცით, რომ კოვიდი ყველა ვარიანტში დაგვემართეგა და ზოგად სტატისტიკას თუ მოვიყვანთ, ვიცით, რომ ყოველი 100 კოვიდიანიდან 2 უნდა გარდაიცვალოს. ესეთ გარემოში მოგვიწია მუშაობა. მაშინ ამას მე პერსონალურად აღვიქვამდი როგორც მკვლელ ვირუსს, რომელსაც შეიძლებოდა პირდაპირ, ესე კონკრეტულად ამოერჩია რომელიმე ჩვენგანი და ისევე მოეკლა, როგორც სამწუხაროდ რომელიღაცა პაციენტი შეიწირა. მაშინ თვეში ერთი-ორი ადამიანი გვიკვდებოდა და ეს დიდი ტრაგედია იყო. ეხლა ჩვენ მივეჩვიეთ ამას, რომ დღეში 86 ადამიანი გარდაიცვლება და არანაირი პრობლემა, ციფრებად აღიქვამს ამას ხალხი. ჩვენთვის, ექიმებისთვის ეს, რა თქმა უნდა, პრობლემაა და ჩვენ გვინდა, რომ ადამიანებიც დავაჯეროთ ამაში, რომ ეს სერიოზული პრობლემაა, მაგრამ დღეს ამას ხალხი ციფრებად აღიქვამს, აი, 86?.. 53?.. 64?.. როგორ, კაცო, 64 ადამიანი ეს არის კატასტროფა!.. ყოველ დღე თან!.. მაშინ ეს იყო თვეში 2-3 ადამიანი.

* * *

მე დავინფიცირდი მალევე. მაშინ უკვე შეიძლებოდა სახლში ყოფნა, უბრალოდ, მე ეს არ დამიდასტურდა პსრ ტესტით, თუმცა რაღაცას მაინც ვგრძნობდი. მაშინ იყო ასე, რომ თუ პსრ ტესტით არ გიდასტურდება დაავადება, ეს არ იყო კორონოავირუსული ინფექცია. მაშინ ვიკეთებდით კვირაში ერთხელ ამ პსრ ტესტს და შემდეგში უკვე ანტისხეულების ანალიზმა აჩვენა, რომ ჩემს ორგანიზმში ანტისხეულები

იყო დადებითი, რაც მიუთითებდა, რომ მე, სავარაუდოდ, როცა მე რაღაც შეგრძნებები მქონდა, მაშინ გადავიტანე კოვიდი, თუმცა არ მომიწია რაღაცა პირობების გავლა, იმიტომ რომ ეს არ იყო დადასტურებული შემთხვევა.

ტესტებიც შეიძლება ცდებოდეს. თან მაშინდელი, წელიწად-ნახევრის დროინდელი, თან ჩემ გარშემო არ ყოფილა ადამიანი, ვისაც მე ეს დაავადება გადავდე. ეგეთი არც სამსახურში ყოფილა და არც ოჯახში. ამიტომ მტკიცებით ფორმაში ძნელია იმის თქმა, რომ მე აუცილებლად გადავიტანე ეს დაავადება ან არ გადავიტანე. თუმცა მეც ვიტყვი, რომ რაღაცა გარკვეული ჩივილები და სიმპტომები მქონდა სამი დღე.

* * *

დღეს შეიძლება ითქვას, რომ ჩვეულებრივი ცხოვრების რიტმს დავუბრუნდი, იმიტომ რომ არ მიწევს ამ კონკრეტულ დაავადებასთან შეხება. თუმცა უამრავი ადამიანი მირეკავს, მეკითხება, ანალიზებს მიგზავნის, რჩევებს ვაძლევ. ვთქვათ, სჭირდება კლინიკა, არ სჭირდება კლინიკა; სჭირდება ანტიბიოტიკი თუ არ სჭირდება; სჭირდება ანტიკოაგულანტი თუ არ სჭირდება; გაიკეთოს განმეორებითი ანალიზი თუ არ გაიკეთოს განმეორებითი ანალიზი; რამე ხომ არ მოუვა, თავი როგორ დაიცვას, რამდენი ხნის მერე გავიდეს სამსახურში, – აი, ნუ შეკითხვების კორიანტელი სულ არის და ამას ჩვენ, აბსოლიტურად ყველა ექიმი, ვაკეთებთ სრულიად უსასყიდლოდ. პაციენტს, რომელიც კოვიდით არის დაავადებული, ვერ მოიყვან და კონსულტაციას ვერ გადაახდევინებ, – ლოგიკაა ესეთი. უნდა

ესაუბრო ტელეფონით, ჩვენ ვიცით, რომ ეს რეალობაა, ჩვენ ადამიანებს უნდა ვესაუბროთ ტელეფონით და გავაცნობიერეთ **უკვე ეს ამბავი, რომ ეს ყველაფერი გავაკეთოთ ექიმებმა, სრულიად უსასყიდლოდ. ოფიციალურად ამას ოჯახის ექიმები ემსახურებიან და მათ რაღაცა კონკრეტული ანაზღაურება აქვთ, მაგრამ ამ ოჯახის ექიმების მიღმა არის ერთი იმდენი ექიმი, რომელიც ამ ყველაფერს აკეთებს უანგაროდ და სრულიად თავისი პროფესიული ვალდებულებების ფარგლებში.**

* * *

**ცხოვრება პრაქტიკულად, მთელი ამ 4 თვის განმავლობაში, როცა მე მომიწია ამ დაავადებასთან მუშაობა, იყო სრულიად ამოყირავებული. არ მინახავს ჩემი დედმამიშვილები, არ მინახავს ახლობლები, არ მინახავს მეგობრები, არსად არ წავსულვარ გარდა სახლისა და გარდა კლინიკისა და არ მქონდა შაბათ-კვირა და არ მქონდა საღამო.** იმიტომ რომ სახლში მივდიოდით გვიან ღამე, სამსახურში მოვდიოდი ადრე დილით, 4 თვის განმავლობაში აბსოლიტურად ცხოვრებაში არ ყოფილა არანაირი ივენთი, ასე ვთქვათ, არსად წასვლა, არც ერთი გარშემო ადამიანის ნახვა. მთელი დღე და ღამე თუ მორიგე ვიყავით, ვიყავით კლინიკაში. სახლში მარტო წყალს გადავივლებდი, საჭმელს შევჭამდი, ოჯახის წევრებს დაველაპარაკებოდი, მერე დავიძინებდი, დილით ავდგებოდი... ესეთი იყო ფაქტობრივად ყოველ დღე, საერთოდ მეშლებოდა ხოლმე და ვეღარ ვაცნობიერებდი როდის იყო ორშაბათი და როდის იყო შაბათი, იმიტომ რომ ეს იყო მთლიანად გასწორებული ყველაფერი. მერე სიტუაცია უკვე ძალიან დამშვიდდა და შესაბამისად, ეხლა თავის რიტმში ჩაჯდა ეს ყველაფერი.

22.

სახელი, გვარი: მაია კამუკლაშვილი

ასაკი: 59

პროფესია: ექიმი-ინფექციონისტი

სამუშაო ადგილი: ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური სამეცნიერო კვლევითი ცენტრი

საცხოვრებელი ადგილი: აბილისი

ინფიცირების ადგილი და დრო: აბილისი, 08/2020

ჩაწერის ადგილი და დრო: აბილისი, 10/2021

ინტერვიუერი: მერი ქაჯაია

როდესაც კორონავირუსული ინფექციით დაავადებული პაციენტები საქართველოში დაფიქსირდნენ, პირველად ეს შეეხო ჩვენს კლინიკას და ასეც უნდა ყოფილიყო, იმიტომ რომ ჩვენ ვართ სპეციალიზირებული კლინიკა. მე საკმაოდ დიდი ხნის სტაჟი მაქვს ექიმობის, ინფექციონისტობის და პრაქტიკულად თუ მივყვებით, პათოგენურად ეს ჩვეულებრივი მწვავე რესპირატორული ვირუსული ინფექციაა. ჩვეულებრივი ვირუსია, რომელიც აზიანებს ზედა სასუნთქ გზებს

და აქამდე მისი ნაირსახეობა ჩვენთვის უცხო არ ყოფილა. გარკვეული წლების წინ გახლდათ ღორის გრიპის ბუმი, ეს გრიპი საკმაოდ მძიმედ მიმდინარეობდა ყველა მოკვდავში, მათ შორის ორსულებშიც და იწვევდა გართულებას. ძალიან დიდი შრომა იყო გაწეული პაციენტების გამოჯანმრთელებისთვის, მაგრამ იმ პერიოდში ჩვენ გვქონდა ანტივირუსული პრეპარატი ტამიფლუ, რომელიც საკმაოდ კარგად მოქმედებდა, განსაკუთრებით, ავადობის საწყის პერიოდში.

როდესაც ვირუსულ ინფექციაზეა საუბარი, ვირუსსაწინააღმდეგო მკურნალობა რაც უფრო ადრე იწყება, მით უფრო ეფექტური არის და საკმაოდ კარგი შედეგებიც გვქონდა. რაც შეეხება კორონავირუსულ ინფექციას, ეს დაიწყო ზამთრის პერიოდში და პირველი პაციენტი გახლდათ ირანელი მამაკაცი, რომელიც აზერბაიჯანის გზით მოხვდა საქართველოში. **მანამდე ჩვენი განწყობა, არ დაგიმალავთ და ისეთი იყო, რომ ჩვენ ეს არ შეგვეხებოდა. თუმცა... გათენდა ერთი დღე და ჩვენ დავდექით ფაქტის წინაშე!.. და მე არ დამავიწყდება ეს დღე, როდესაც პაციენტმა გადმოკვეთა საზღვარი, მას დაუდასტურდა ცხვირ-ხახის კვლევით, რომ მას აქვს კორონავირუსული ინფექცია და მოიყვანეს ჩვენს კლინიკაში, სასწრაფო დახმარების მანქანით.**

ჩვენთან ძალიან ბევრი ორსართულიანი შენობა დგას ერთმანეთთან ახლოს და ხალხის რეაქცია გენახათ – როგორ იყურებოდნენ ფანჯრიდან რომ დაენახათ ეს ადამიანი! საბედნიეროდ, ეს შემთხვევა კარგად დამთავრდა, იქიდან გამომდინარე, რომ პაციენტის მდგომარეობა დინამიკაში გაუმჯობესდა და მან გამოჯანმრთელებულმა დატოვა კლინიკა.

შემდეგ სხვა პაციენტებიც შემოვიდნენ კორონავირუსული ინფექციით და მე არ დამავიწყდება ერთერთი პაციენტი, რომელიც ბრიტანეთიდან იყო ჩამოსული... მე **არ დამავიწყდება ის განცდაც, პირველად რომ შევედი კორონავირუსული ინფექციით დაავადებულთან. რა თქმა უნდა, შინაგანად მქონდა ძლიერი შიში, ამას ვერ დაგიმალავთ, მაგრამ ყველანაირად ვცდილობდი, პაციენტს არ ეგრძნო, რომ მე მას ვერიდები და მასთან არ დავყოფდი გარკვეულ წუთებს, თუნდაც საათებს.**

როდესაც შევედი ამ ქალბატონთან (რა თქმა უნდა ეკიპირებული ვიყავი), ძალიან თბილი ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა. ის, რომ არ შევეხო, ფილტვებზე არ მოვუსმინო, ეს ყველაფერი იყო აბსოლუტურად მეასე ხარისხოვანი. დაახლოებით, ერთი საათი ვისაუბრეთ. რა თქმა უნდა, მან იგრძნო, რომ ის არ არის მარტო.

ამის შემდეგ ძალიან ბევრ პაციენტთან გვიხდებოდა ურთიერთობა და გარკვეული თვეების შემდეგ მე დავინფიცირდი (მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკულად ყველა წესს ვიცავდი). ვიყავი მორიგე, პაციენტს დაემართა ბრონქული ასთმის შეტევა, მე და ჩემი ექთანი, იმ პერიოდში ვინც მორიგეობდა, იმდენად სწრაფად შევედით, რომ ეკიპირების გარკვეული რეჟიმი დავარღვიეთ. დაახლოებით, 5 საათი დავყავი იქ, სანამ ის პაციენტი გამოვიდოდა მდგომარეობიდან. ზუსტად 6 დღის შემდეგ, ყოველგვარი მძიმე და მწვავე სიმპტომების გარეშე, ძალიან შემპარავად დამეწყო მშრალი ხველა, სახსრების ტკივილი, კუნთების ტკივილი და ერთერთი ტესტირების შემდეგ აღმომაჩნდა კორონავირუსული ინფექცია. შემდეგ გადავდე დედას,

რომელიც გახლდათ საკმაოდ ასაკოვანი. ნუ, ამ ტრაგიზმს არ მოგახვევთ თავს. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ნორმალურად დამთავრდა. გადიოდა კვირები და თითოთითო მედპერსონალი ინფიცირდებოდა ჩემს განყოფილებაში, დაინფიცრდა ჩემი განყოფილების გამგე, ჩვენი ექთნები, პერიოდულად ექიმები... ყველანაირი გამოვლინებით: ყნოსვის დაკარგვით, სუნის დაკარგვით, ყველანაირი კლინიკით...

* * *

როგორც კი დავბრუნდით სამსახურში, ჩვენი მოტივაცია ისეთი იყო, რომ ეხლა უკვე გვაქვს გადატანილი და ეხლა უკეთესად შევუდგებით მუშაობას, შიშის გარეშე დავამყარებთ კონტაქტს ადამიანებთან. არ დამავიწყდება აღდგომის ღამეც, ძალიან მძიმე, ძალიან მძიმე პაციენტები შემოდიოდნენ. ანუ ყნოსვის და გემოს დაკარგვა გახლავთ ბანალური. **ძირითადი პრობლემაა, როდესაც ადამიანს ემართება ვირუსი, არ განვითარდეს ფილტვთან დაკავშირებული პრობლემები, პაციენტს არ გაუჭირდეს სუნთქვა, არ გამოეხატოს მწვავე სუნთქვის უკმარისობა, ანუ დისტრეს სინდრომი და პაციენტი არ გარდაიცვალოს. როდესაც ვითარდება პნევმონია ანუ ფილტვის ანთება, შეიძლება ფილტვის იმდენ ნაწილს შეეხოს, რომ ადამიანი გარდაიცვალოს. მას არც ჟანგბადის მიწოდება, არც ე. წ. ბიპაპ და ჰაიფლოუ[48], მექანიკური ვენტილაცია არ შველის.** ზუსტად იმ პერიოდში თავი მოიყარა იმდენმა პაციენტმა, რომ პრაქტიკულად პა-

[48] სასუნთქი აპარატები, რომლებიც ჟანგბადის მაღალი წნევით მიწოდებას უზრუნველყოფენ.

ციენტებთან ერთად განვიცდიდით უიმედობას. ყველა იყო ჟანგბადზე, ძალიან ბევრი გადაგვყავდა რეანიმაციაში. ზუსტად ამ პერიოდში მოდიოდა აღდგომის დღესასწაული. ყველა განწყობილი იყო იმისთვის, რომ დგება აღდგომა და გარკვეული იმედი ჰქონდა იმის, რომ მდგომარეობა გაუმჯობესდებოდა. ერთი პაციენტი გვყავდა, ერთერთი ეკლესიის სტიქაროსანი, რომელიც არაჩვეულებრივად მღეროდა, მაგრამ იმ პერიოდში ამ სიმღერის თავი არავის არ ჰქონდა. დაახლოებით 16 პაციენტიდან 7-8 პაციენტი იყო საკმაოდ მძიმე. მე მორიგე ვიყავი და როგორც 12-ს დააკლდა 5-10 წუთი, რას ვხედავ – ყველა აბსოლიტურად გამოსულია სანთლებით, მიუხედავად იმისა, რომ უჭირდათ სუნთქვა, იყვნენ ჟანგბადზე... ძალიან მოულოდნელი იყო ეს ჩვენთვის და როგორც კი 12 საათი გახდა, დიდი ხმით დაიწყეს სიმღერა. ეს იყო რეალურად დაუვიწყარი სანახაობა. საბედნიეროდ ვინც იმ პერიოდში იყო ჩვენს განყოფილებაში და ვისაც უტარდებოდა მკურნალობა, პრაქტიკულად ყველა გამოჯანმრთელდა და ყველა გავისტუმრეთ ყოველგვარი პრობლემის გარეშე.

**ყოველ წუთას იმედით ველოდებოდით, რომ დადგება დრო და ეს ვირუსი აღარ იქნება. მახსოვს ზამთრის პერიოდი იყო, როდესაც დაიწყო და ვფიქრობდი, რომ ზაფხულში აღარაფერი აღარ იქნებოდა. ნუ, რა თქმა უნდა, ეს ასე არ მოხდა. პაციენტები ემატებოდა და ემატებოდა, ისე რომ ადგილებიც აღარ იყო...** და მე იმ პერიოდში შემხვდა კორონავირუსული ინფექცია, როდესაც კლინიკაში მოხვედრა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. მაგრამ, ღმერთის წყალობით, მე მსუბუქად გადავიტანე ეს ყველაფერი.

**შემდგომში, საბედნიეროდ, დადგა ეტაპი, როცა ამ დაავადების პრევენცია ვაქცინით გახდა შესაძლებელი. პირადად მე, რეგულაციებიდან გამომდინარე, 4 თვის შემდეგ შესაძლებლობა მეძლეოდა, რომ ავცრილიყავი და ავიცერი ორჯერ, ანუ სრულად ვაქცინირებული ვარ.** არცერთ ვაქცინას არ ვუწევ რეკომენდაციას იქიდან გამომდინარე, რომ **ყველა ვაქცინა მუშაობს ნორმალურად, ფაიზერი იქნება, ასტრაზენეკა იქნება, თუ სინოფარმი იქნება.** როდესაც პაციენტი რეკავს და მეუბნება, – აი, რომელ ვაქცინას უწევთ რეკომენდაციას? მე ვეუბნები, რომ **ვაქცინა არის თქვენი დაცვა, პრევენცია. რა თქმა უნდა, არის შემთხვევები, როდესაც სრული ვაქცინაციის შემდეგ პაციენტი ინფიცირდება, მაგრამ ეს არ არის ასოცირებული გართულებასთან და სიკვდილთან**. მათ საკმაოდ მსუბუქად გადააქვთ დაავადება. საკმაოდ შემცირდა პაციენტების მომართვიანობა ყველგან და მათ შორის ჩვენს კლინიკაში. იმედი გვაქვს, რომ **იმუნური ფენა რომ შეიქმნება, სიტუაცია გამოსწორდება, თვითონ შემთხვევებიც შემცირდება. კლინიკური ცდები მიმდინარეობს გარკვეულ მედიკამენტებზე და იმედია, რომ ის მედიკამენტებიც იქნება, რომელიც ამ ვირუსს მოსპობს.**

რაც ჩვენ რეალურად დავინახეთ, თითქმის ყველა ოჯახს შეეხო. პლიუს ამას, ძალიან ბევრ ოჯახში, სამწუხაროდ, დამთავრდა ძალიან ცუდად, იმიტომ რომ მათ დაკარგეს საყვარელი ოჯახის წევრები: დედა, ბებია, შვილი.... პრაქტიკულად, ეს გახლავთ ძალიან არაპროგნოზირებადი ვირუსი, ანუ შეიძლება მოხუც ადამიანთან ძალიან კარგად წავიდეს ყველაფერი, გამოჯანმრთელდეს და ახალგაზრდა ადამიანთან გართულდეს... ეს ორი წელი ჩვენთვის იყო

გამოცდის პერიოდი და პრაქტიკულად ყველა სფეროში ყველაფერი გართულდა... მაგრამ გამოსავალი ვიპოვეთ. აქედან გამომდინარე მე ვიმოდოვნებ, რომ რამოდენიმე თვეში შესაძლოა, ეს ყველაფერი აღმოიფხვრას და მხოლოდ ერთეული შემთხვევების სახით დარჩეს ეს კორონა ვირუსი.

* * *

თავიდან ბევრი რამე ჩვენ არც ვიცოდით და იყო აბსოლიტურად სხვანაირი რეგულაციები: სანამ ვირუსის რეპლიკაცია არ მოხდებოდა, სანამ უარყოფითი არ გახდებოდა, პაციენტი არ ტოვებდა კლინიკას. ეხლა ვირუსის დადგენიდან მე-14 დღის შემდეგ პაციენტი გადამდებად აღარ ითვლება და თუ მას გართულება არ აქვს, შეუძლია დატოვოს კლინიკა.

მე არ დამავიწყდება პირველი პაციენტები, რომლებმაც დაყვეს თითქმის ორი თვე კლინიკაში. მაშინ სამ დღეში ერთხელ ვამოწმებდით და ყოველი ტესტი დადებითი რომ მოდიოდა, ეს იყო თავზარდამცემი. ეს ძალიან დიდ ფსიქოლოგიურ ფაქტორთან იყო დაკავშირებული. მაგალითად, ჩემი სტუდენტი, რომელიც არაჩვეულებრივი გოგონაა და რომლის მთელი ოჯახი დაავადდა, მისი დედა, მამა და ძმა მალე გაეწერა და ეს გოგონა დარჩა (იქიდან გამომდინარე, რომ გვიან მოხდა ვირუსის ელიმინაცია, გაქრობა) და მან პროტესტის ნიშნად თავი გადაიპარსა, იმდენად სტრესი იყო, ფსიქოლოგიური მომენტი იყო მისთვის. აი, ეს არის – **გარდა ინფექციონისტისა, ხარ ფსიქოლოგიც!**

მე რომ დამემართა კორონავირუსული ინფექცია, მაშინ ვიგრძენი (ეხლა ძალიან ცუდი შედარება მომყავს მაგრამ), **როგორც კეთროვან პაციენტებს ასახლებდნენ კუნძულზე**

**და რაღაც ცალკე უნდა ყოფილიყვნენ და ა.შ. ზუსტად ასეთი იყო... კორონა დაგემართა? ესე იგი სახლიდან არ უნდა გამოხვიდე, კომუნიკაცია არავისთან არ უნდა გქონდეს, უნდა მოგიტანონ საკვები, დაგიდონ კიბესთან ან კარებთან და ა.შ.... ეს მე ჩემს თავზე მაქვს გამოცდილი და გადატანილი.**

ჩვენ ყველანაირად ვცდილობთ, რომ ვანუგეშოთ პაციენტი. დღის განმავლობაში 2-ჯერ, 3-ჯერ ვნახულობთ, მაგრამ ამის გარდა, როდესაც სახლში მოვდივართ, სახლშიც კი გრძელდება კომუნიკაცია: როგორ ხარ, რანაირად და ა.შ.

სამწუხაროდ, ძალიან ბევრ შემთხვევაში ძალიან ცუდად დასრულდა მიმდინარეობა... ანუ პრაქტიკულად, როდესაც არ ელოდები და პაციენტი უცბად მძიმდება. ეს იყო 70 წლის მამაკაცი, რომელიც არაჩვეულებრივად გამოიყურებოდა, ძალიან ახალგაზრდად, კაცი, რომელსაც უყვარდა სიცოცხლე. თვალსა და ხელს შუა მძიმდებოდა. ამ ვირუსისთვის ასევე დამახასიათებელია პნევმონიის გარდა, სისხლ-ძარღვებზე მოქმედება. D-დიმერი[49] ძალიან დიდი პრობლემაა, 500-მდე თუ არის ნორმა, მას ჰქონდა 2000-ზე მეტი. ძალიან სწრაფად გადავიყვანეთ რეანიმაციაში და შემდეგ ის გარდაიცვალა.

შეიძლება ცუდი შედარება მომყავს, მაგრამ არის ასეთი დაავადება დიფტერია... მე ვიყავი ძალიან ახალგაზრდა, როდესაც მომიწია ძალიან ბევრ პაციენტთან კონტაქტი, სრულიად ახალგაზრდა ვიყავი, დამწყები ექიმი. დიფტერია არის ტოქსინით გამოწვეული ეგზოტოციური დაავადება და ერთერთი გართულება აქვს მწვავე მიოკარდიტი. ანუ... პაციენტი რომ გგონია გამოჯანმრთელებული და ძალიან

[49] ტესტი, რომელიც ორგანიზმში თრომბის არსებობაზე მიუთითებს.

კარგად, ხო? შეიძლება უცებ დაეცეს და გარდაიცვალოს. განვითარდეს მწვავე მიოკარდიტი ანუ გულის უკმარისობა. აი, ასევეა კორონავირუსული ინფექციაც, ესე სწრაფი გაუარესება არ აქვს, მაგრამ არის შემთხვევები, რომ გასაწერად გყავს გამზადებული პაციენტი და...

ერთ ქალბატონსაც გავიხსენებ, რომლის მეუღლე გარდაიცვალა ერთერთ კლინიკაში და პარალელურად ქალბატონი იწვა ჩვენთან. უკვე გასაწერად ვამზადებდი, რომ წამოვიდა ე.წ. მეორე ტალღა და ქალბატონის მდგომარეობა დამძიმდა. ნუ რამდენი რაღაც გავიხსენო...ერთმა პაციენტმა დაწერა, რომ მე ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ჰაერი და წყალი მომენატრებოდა ოდესმეო და ის გარდაიცვალა 2 დღეში... ადამიანი, რომელიც ოცნებობდა ჰაერზე და წყალზე და მეორე დღეს გარდაიცვალა, ეს იყო 52 წლის ახალგაზრდა ქალბატონი... ძაან მძიმეა...

მოგეხსენებათ, რომ რელიგიიდან გამომდინარე იყო ესეთი მითიც, რომ კორონა მითიური ქალბატონი იყო და ის არ ერჩოდა ქალბატონებს და ბავშვებს. მე ძალიან დავინტერესდი ამით და ძალიან ბევრი წავიკითხე თვითონ ამ მითიურ ქალბატონზე. ის ძალიან ტრაგიკულად გარდაიცვალა: მისი ერთი ფეხი ერთ ხეს მიაბეს, მეორე მეორეს, ნუ ესე გაიხლიჩა ეს მითიური ადამიანი.

თავად ეს ვირუსი კი ჩემი აღქმით არის ნაზი, რატომღაც ნაზი, ალერსიანი და თან ძალიან ცბიერი. თავიდან ასე მეგონა და ასე აღვიქვამდი, რომ მე მას არასოდეს ცუდად არ მოვიხსენიებდი, რომ პატივი მეცა, იმიტომ რომ პაციენტების სიცოცხლე გადარჩენილიყო. აქედან გამომდინარე, ცუდად არ მესაუბრა. ამ გადმოსახედიდან კი მე **მას**

**დავახასიათებდი როგორც ჩუმ მკვლელს, რომელიც არ იცი, როდის მოვა, როდის დაგატყდება თავს და როგორ მოვა შენთან, იმიტომ რომ შეიძლება გაშლილი ხელებით შეეგებო და არ მიგიღოს და არ მოვიდეს და შეიძლება, ძალიან დაემალო და უჩინმაჩინის ქუდიც დაიხურო და მან გიპოვოს.** ეს არის აბსოლუტურად ყველაფრის მომცველი არსება. მე უკვე **დავადგინე, რომ არანაირ კანონზომიერებას არ ემორჩილება**. როგორ ავხსენი, არ ვიცი მაგრამ ასეა.

* * *

ჩემი ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა. ყოველთვის დაკავებული ვარ, რა თქმა უნდა, მაგრამ ჩემი მეორე მხარე არის ჩემი ახალგაზრდა სტუდენტები, რომელთანაც მე მაქვს ფანტასტიკური კომუნიკაცია. ბოლო 10 წელია მე ძირითადად მყავს უცხოელები, ძირითადად ინდოელები (95 %). იქიდან გამომდინარე, რომ ძალიან დაკავებული ვარ, ცხოვრება გახდა ძალიან უინტერესო და რატომ? იმიტომ რომ, როგორც კი მთავრდება ჩემი სამსახური, მერე 6 საათი მინიმუმ ვარ ზუმში. მე მათ არ ვხედავ, იმიტომ რომ მათთვის ეს არის დასაშვები, რომ გამორთული ჰქონდეთ მიკროფონი და ველაპარაკები კედელს. ვეხვეწები, ვემუდარები, რომ ჩართონ კამერა, რომ მე ისინი დავინახო.

ადრე მე ვცხოვრობდი იმით, რომ კლინიკაში მთელი დღის განმავლობაში მოდიოდნენ, მათ ვაძლევდი რაც შემეძლო ყველაფერს – გულს, სულს. ჩემთვის იყო დღესასწაული მათი მოსვლა, იგივე რაღაც პატარა სიურპრიზები და ა.შ. ნუ, **ცხოვრება გახდა 4 კედელში ჩაკეტილი, ყველა ვართ იზოლირებული, იმიტომ რომ ყველას გვეშინია**

**ურთიერთობის.** ცოცხალი, დინამიური ცხოვრებიდან დამრჩა ჩემი პაწია ოთახი, სახლშიც ზოგჯერ ვერ ვასწრებ მისვლას, გამოვემშვიდობები ამ კორონავირუსით დაავადებულ პაციენტებს გარკვეული საათებით, მერე კი დილამდე ვიწყებ კედელთან ურთიერთობას.

23.

სახელი, გვარი: მარინე ზერიძე

ასაკი: 62 წლის

პროფესია: ფილოლოგი

სამუშაო ადგილი: ასუ. ორნ. ჩი-ქობავას სახელობის უნივერსიტეტის ინსტიტუტის მაკარი მეცხიერ-ანთროპოლოგი

საცხოვრებელი ადგილი: აბილისი

ინფიცირების ადგილი და დრო: აბილისი, 11–12/2020

ჩაწერის ადგილი და დრო: სოციალურ ქსელში (facebook) ეპიდ-კეკუნებული კოვიდ დღიურები, სტილი და სტრუქტურა შენარჩუნებულია ორიგინალებიდან კოპეიდ

ინტერვიუერი: მასალები შერჩეულია და ძალიან წარმოდგენილია ციხა ოდესძეგლის მიერ

**14 ნოემბერი, 2020**

კარგად ვართ. ჯერჯერობით მხოლოდ გიძინას[50] დადასტურებული დადებითი პასუხი გვაქვს. სხვებს სიმპტომები ჯერ არ გამოგვჩენია. ტესტების პასუხს ხვალ მივიღებთ. ვართ იზოლაციაში. გმადლობთ ყურადღებისა და გულშემატკივრობისთვის.

---

50 გიძინა გუჯაბიძე, ალპინისტი, რესპონდენტის მეუღლე.

**14 ნოემბერი, 2020**

ახლა ცოტას გაგახალისებთ დედაჩემის[51] კოვიდ-ეპოქალური ისტორიებით.

...

დილით შეფიქრიანებული ზის საწოლზე და მთელი სერიოზულობით ამბობს: მე ისე მოვაწყობ, თუ დამემართა ეს ოხრობა, რო შენ არ დაგბრალდეს ჩემი სიკვდილი!

**15 ნოემბერი, 2020**

მეგობრებო, არ მინდა ჩვენზე იდარდოთ. სხვა განზომილებაში გადავედით. ყველას ცალკე ვერ გპასუხობთ. დიახ, დაგვიდასტურდა კორონავირუსი მე, დედაჩემს და ბიძინას. ალე[52] „სუფთაა“ და იზოლირებულია ჩვენგან. კარგად ვართ. მინიმალური სიმპტომებით. მივყვებით რეკომენდაციებს. ოპტიმიზმი, იუმორი და ბევრი სითხე! ჯერჯერობით კარგი შედეგი გვაქვს. დედაჩემი საავადმყოფოში იმკურნალებს, ჩვენ – სახლში. ახლა ლოცვასაც თუ შეგვაწევთ, მთლად შეიარაღებულები ვიქნებით. თავს გაუფრთხილდით. კორონას კომპრომისები არ ნაყვარება.

**15 ნოემბერი, 2020**

ეტყობა, დედაჩემისგან ესეც უნდა მესწავლა...

მაშ ასე, „კორონა“ – გაკვეთილი პირველი:

...

მისი ოთახის ფანჯრიდან მუხათგვერდის სასაფლაო ჩანს.

---

51 თამარა ყიფიანი, რესპონდენტის დედა, 92 წლის, 50 წელი იმუშავა ექთნად ასპინძის საავდმყოფოში. ცხოვრობს ასპინძაში, ზამთარს ხშირად ატარებს შვილთან თბილისში.

52 ალექსანდრე გუჯაბიძე, რესპონდენტის უმცროსი შვილი.

– თუ არადა, – უცებ ამბობს, – ეგერ ამიყვნეთ მოკლეზე!

– კაი რა, დე, ნუ ხუმრობ მაგ თემაზე.

– რას ამბობ, თუ არ იხუმრე, ხო დაგაგდო ბეჭებზე. ახლა მაგას უნდა გოუკეთო „პადრუჩკი“ და ისე მიაცილო საიდანაც მევიდა...

ხო გაიგეთ, „პადრუჩკი“ გამოდეთ და „დავაი, უქენით.“

**15 ნოემბერი, 2020**

გუშინ, ტესტირების ოთახში: ჩიტივით აჟღურტულდა ნემსის და შპრიცის დანახვაზე, კედლებს ლამის მოფერება დაუწყო – საავადმყოფო ენატრება.

– ახლა ცოტა ჩხვლეტას იგრძნობთ, – ეუბნება სათნო ლაბორანტი. – მიდი, დედა, მაგ ზეპირად ვიცი მე! – ხშირად გჭირდებათ? – ეკითხება და თან ვენას ეძებს. – 50 წელი მაგ ვაკეთე, თვალდახუჭული ვხვდები ვენაში!...

ვხვდებიო, ვხვდებოდიო – კი არა!

...

„კორონა“ – გაკვეთილი მეორე:

ყოფილი პროფესიონალები არ არსებობენ!

**15 ნოემბერი, 2020**

„კორონა“ – გაკვეთილი მესამე:

ურეკავენ დღეს შვილიშვილები, ეტიკეტიკებიან, ბოლოს ემშვიდობებიან: კაი, ბე! აბა, ჭკვიანად იყავი!

– ჰა, ჰა! – ხითხითებს, ესენი არიან ჭკვიანები და მე სულელი... და ჭკვიანად უნდა ვიყო!

**16 ნოემბერი, 2020**

მიდის საავადმყოფოში დასაწოლად. ტანსაცმელი და ბლოკნოტი, რომელშიც თავის შესანიშნავ მოგონებებს წერს, დიდი ხანია, ჩაალაგა.

– დე, წიგნი წაიღე რამე, გაგიჭირდება უწიგნოდ, – ვიწყებ თაროზე წიგნის ძებნას. გადმოვუწყე რამდენიმე. დაფიქრდა, დაფიქრდა და:

– იცი რა მინდა, მარინ?! ბოვშობაში ვერ ვისწავლე ვაჟა ფშაველა კარგად. ეტყობა, იმერლისთვის ძნელი გასაგები იყო ეს მთის კილო თუ რატო, არ ვიცი... მერე, თქვენ რო სწავლობდით, მაშინ მივხვდი, დიდი რო იყო და... ნუ მამკლავ ისე, მაგ რო კარგად არ წევიკითხო. ამაზე კაი დროს როის ვნახავ...

...

ახალ სახლში გადავდივართ. წიგნების ნაწილი გადავიტანეთ. ვაჟას პოემები ვერ ვიპოვე და მოთხრობები და პიესები – კი, შავი წიგნი...

– იყოს მაგ. მაგ მინდა ზუსტად. საავადმყოფოში მაგ ჯობია!

...

ასეთია, ყველანაირ რეალობას საუკეთესო ვარიანტად განიხილავს!

**17 ნოემბერი, 2020**

მთავარი რეკომენდაცია, რომელიც შეიძლება ამ პერიოდის (11.2020) კოვიდინფიცირებულმა მისცეს ჯერ კიდევ ჯანმრთელ ადამიანებს: დისტანცია და რეგულაციები ოჯახში დააწესეთ. იცხოვრეთ ისე, თითქოს უკვე გჭირთ კო-

რონა და ახლობელ ადამიანებს უფრთხილდებით. რაკი გადადება თითქმის გარდაუვალია, ეცადეთ, ეს არ იყოს უშუალო გადადება – დაცემინებით, ხველით, საუბრის დროს... ეცადეთ, გადანაწილდეთ სივრცეში, არ დასხდეთ ერთმანეთის პირისპირ, განსაკუთრებით, ოჯახის სხვადასხვა თაობა. ეს შესაძლებელია – თან ერთად, თან უსაფრთხოდ.

...

ეს ჩემი დაკვირვებაა. შეიძლება ვცდები. ცელოფანის პარკიდან, მაგიდის ზედაპირიდან და ა. შ. გადადებასა და კონტაქტურ გადადებას შორის „არჩევანი“ შეგვიძლია ვმართოთ. ჩვენ სტაბილურად ვართ. ყურს ვუგდებთ ახლობელი ექიმების რჩევებს. ვერ მოგატყუებთ, რომ ოფიციალური ხაზის იმედზე ვბედავთ ყოფნას... თუმცა, რაც შეუძლიათ, ისინიც გეჯითობენ. იმუშავეთ იმუნიტეტზე, სვით გევრი სითხე და ვიმეორებ, სცადეთ იცხოვროთ ისე, თითქოს უკვე შეგეყარათ ეს ოხრობა... ასეთი წარმოდგენა სრულებით შეცვლის თქვენს პასუხისმგებლობას და პრიორიტეტებს. არ დამძრახოთ ამ შეგონებებისთვის. მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენი და ჩვენი ახლობლების გედი ჩვენს ხელშია.

**17 ნოემბერი, 2020**

და კიდევ: ამას თუ გადავრჩით (და გადავრჩებით აუცილებლად), ისინი, ვისაც კი ოდესმე ჩემთვის გითქვამთ, რომ არ გჯერათ კორონას არსებობის, ეს ყველაფერი „ბლეფია“ და „ჩვეულებრივი ვირუსი,“ ნუ გამომეცნაურებით... სამაგისო კეთილშობილება შემრჩება თუ არა გვირაბის ბოლომდე, არ ვარ დარწმუნებული!

...

ხო, კიდე იმათ, ცხვირზე ჩამოწეული ნიღბით რო დაბრძანდებით ჩემი უბნის მაღაზიებში, ყველას სათითაოდ გკითხავთ, დაიჯერეთ თუ არა, ბოლოს და ბოლოს?

**18 ნოემბერი, 2020**

ახლა დავრეკეთ მეზობელთან, რომელიც თურმე რა-ხანია, საავადმყოფოში წევს. ისტორია ნაცნობი და ახლობე-ლია: მშვიდი მიმდინარეობა, ოჯახის ექიმის დაჟინებული: დარჩით სახლში, ივარჯიშეთ, სვით სითხე, უმჯობესია წყალი!

...

მეათე დღეს 18 სატურაციით შეიყვანეს საავადმყო-ფოში. ახლა დაბეჯითებით ვერ ამბობს, რომ გადარჩა...

...

არ იცის, რას მოელოდეს!

ჩვენ კარგად ვართ. ჯერჯერობით. სისუსტეს, ხველას, ყელის ტკივილს თუ არ ჩავთვლით (ამ სიმპტომებს ვინაწი-ლებთ).

...

ამას იმიტომ ვწერ, რომ მომზადებული იყოთ. პანიკა არ არის საჭირო, მაგრამ არც იმასთან პირისპირ შეხლაა ადვილი, როცა ტელეფონის ყურმილში გეუბნებიან, რომ არაფერს აზრი არა აქვს, სანამ სტაციონარში არ გადაგიყ-ვანენ: არც სისხლის საერთო ანალიზს, არც „დედიმერს“, არც ხველის საწინააღმდეგოს მიღებას და ა. შ

აქვს აზრი!

ამაზე გვწერენ და გვემუდარებიან ახლობლები, რომ-ლებიც უეცარი გართულებით მე-7, მე-8, მე-10 დღეს მოხ-ვდნენ რეანიმაციაში. ხო... ვისაც შეუძლია, გვაფრთხილებს.

ახლა სწორედ ანალიზებისთვის ველოდებით კერძო ლაბორატორიის თანამშრომლებს. იქაც რიგია, იქაც გადატვირთულია. იმედი გვაქვს, მოვლენ.

...

ყოჩაღად ვართ.

ვვარჯიშობთ.

ბუშტებსაც ვბერავთ.

**18 ნოემბერი, 2020**

ყველას, ვინც აგაფორიაქეთ და სიმშვიდე დაგიკარგეთ!

ხან კი ვნანობ, რომ დავწერე ჩვენი ავადმყოფობის შესახებ, მაგრამ თან ისევ და ისევ მინდა, შეგახსენოთ, რომ ყველანაირად ეცადოთ, თავიდან აიცილოთ ეს ოხრობა და დოზანა.

ვფიქრობ, რა უნდა მექნა, რომ ეს თავიდან ამეცილებინა? აგვეცილებინა?... ჭირს იმ რგოლის მონახვა მცდელობისა და ჭიდილის ჯაჭვში, რომელიც ჩაგვივარდა, ჩაწყდა... ვერიდებით იმის ძიებას, ვინ შეიძლება ყოფილიყო ვირუსის ოჯახში „შემომტანი“... მთავარი, რასაც ადრე უნდა მივმხვდარიყავი: ამასთან ერთად მხოლოდ მაშინ იცხოვრებ, თუ უკვე დაავადებულად ჩათვლი თავს... ხო, აი, ეს შემიძლია გირჩიოთ: ჩათვალეთ, რომ სახლში დადიხართ, ჯვარი გწერიათ და ამ საძაგელი სენით ხართ დაავადებული და თქვენს სიფრთხილეზეა თქვენი ახლობლების გადარჩენა დამოკიდებული. ეს განცდა ერთი წამითაც არ უნდა დაივიწყოთ.

თქვენ ავად ხართ, ოჯახში კი ახალშობილია! ან ხანძარია, სახლში კი ბავშვებია გადასარჩენი... მიწისძვრაა და სასწრაფო რეაგირებაა საჭირო. აი, ასეთი მობილიზება სჭირდება ამ ტალღას, რომელიც, როგორც ამბობენ, ამ ზაფხულს აღიძრა და არ აპირებს გაჩერებას.

ყველა ტალღის გაჩერება შეიძლება.

მინდა, ამისი იმედი მქონდეს.

ახლა როგორ ვართ:

1. ალეც სიცხიანია დღეს (მას თითქოს არ დაუდასტურდა ტესტით და იზოლაციაში გავუშვით);

2. მე და ბიძინას 37-37 გვქონდა დღეს, სუსტად ვიყავით. ამ საღამოს კარგად ვართ. ვვარჯიშობთ. სისხლის ანალიზისთვის გამოვიძახეთ კერძო ლაბორატორია (საერთო, დედიმერი, ცე რეაქტიული ცილა). იმედია, მალე გვექნება პასუხები.

3. სატურაცია ნორმალური გვაქვს: 99; 95-96.

4. კვირის ბოლოს ოჯახის სხვა წევრებიც გაიკეთებენ ტესტს, ისინი კონტაქტში იყვნენ ყველაზე შეუფერებელ მომენტში. ჯერ არავითარი სიმპტომი არა აქვთ.

5. დედაჩემი ყველაზე მაგრადაა ჯერჯერობით. ყურადღების ქვეშ, აქტიურია. სიცხე არა აქვს. ტელეფონზეც მიყვება კაი-კაი ამბებს, მაგრამ როგორც კი რაღაცას დავწერ, ეგრევე ურეკავენ და ძალიან მეჩხუბება. ☺ ამიტომ, არ „ვუბაზრებ“ (ჯერჯერობით). მაგისთვის საავადმყოფოში ყოფნა ახლა დიდი სიხარულიცაა. 45 წელი იმუშავა სამედიცინო სფეროში. ბაისოსთვის[53] უთქვამს, სამი ქალი მაბარია პალატაშიო. ძირითადად, როგორც ვხვდები, ფსიქოთერაპიას და

[53] ბაისო გუჯაბიძე, რესპონდენტის ქალიშვილი.

დაწყებით სამედიცინო განათლებას „აწვება.“ ბაისო იცინის, მაგან სამუშაოც არ იშოვოს, ფრთხილად იყავითო. ☺ დღეს სევდიანად გამომიტყდა: გამოგვიცხადებენ, შედით პალატებშიო და შემოგვრეკავენ... სულელი კი არ ვარ, ვიცი, რომ ამ დროს ვიღაცა გაყავთ... მერე უცებ „მოწვა,“ რომ რაღაც მთლად ოპტიმისტური ვერ მითხრა და: ისე განკურნებულებიც მიდიან და მიდიან!

უნდა გენახათ, ხმის, ტონის, ინტონაციის რა რანჟირებაა იყო. აი, ბავშვობაში კინოს რომ ვუყურებდით და მამშვიდებდა, მართლა კი არ მოკვდა, მსახიობიაო.

...

მოკლედ, ქაღალდი და კალამი მოითხოვა თურმე და იმედია, თავად დაწერს ყიფვიანურ ჩანაწერებს.

...

მე კი ღმერთი არ გამწირავს ისე, რომ მას ახლა, ამ კორონობაზე თმის ბეწვი ჩამოუვარდეს..

**19 ნოემბერი, 2020**

გიორგი ლობჟანიძე[54], აჰა, ესეც დილის საარი:

დღეს მეც და ბიძინაც უკეთ ვართ. სუნთქვა უკეთესი, ხველა ცოტა უფრო სუსტი, ძილი კარგი. საერთოდ, კი ამბობენ, იმოძრავეთ და იაქტიურეთო, მაგრამ ძილიც ძალიან შველის. ყველა აჯანყებული კუნთი მიწყნარდება, როცა კარგად მძინავს. ყელის წვაზე მშველის ძმრიანი წყლის გამოვლება. ორივეს გვქონდა უცნაური გემო პირში. აი, ჟანგიანი რკინის გემო დავარქვი. გუშინ საღამოს ნახევარი ლ. ტყე-

[54] გიორგი ლობჟანიძე, პოეტი, მთარგმნელი, აღმოსავლეთმცოდნე, ფილოლოგი.

მალი დავლიეთ. რაღაც უცნაური წყურვილი იყო სიმუავის. მოკლედ, დღეს აღარ ვნანობთ, რომ ჩვენც საავადმყოფოში არ გადავედით. ვნახოთ, საღამო რას მოგვიტანს.

ახლა თამრო: დღეს თვითონ დამირეკა. ნეტავ ჩამეწერა მისი ხმა. ძალიან კარგად ვარო, ყველას ვურეკავ და ვაწყნარებო. ე, ნახე, ხმაზე არ მეტყობაო? გუშინ ხო არ ვიყავი ასეო. არფერი მტკიოდა, მაგრამ მიგდებული ვიყავიო. მოკლედ კარგადაა.

ბოლოს: მარინ, ნეტავ იცოდე, ფილტვები როგორ ნახეს, სარეცხის მანქანასავით რაცხაში ჩამსვეს... „კატე“ მოეწონა ძალიან. ჩემს დროს არ იყოო. მაგ რო გვქონოდაო... ყველაფერს მაინც პროფესიული აღფრთოვანება უსწრებს წინ.

**19 ნოემბერი, 2020**

ბურანში ყოფნის მთელი კვირა.

...

საინტერესოა, საკუთარი აზროვნების შენელებული ხაზის თვალის დევნება. აი, ხომ არის გამოთქმა „თვალს ვერ ვახელ“... ეგრე ვარ: ფიქრს ვერ ვახელ ☺ და ბიძინას რომ ვუყურებ, ეგეც ეგრეა.

თითქოს ცუდად არა ვართ, მაგრამ თან ჩრდილებივით დავბორიალებთ. მთვარეულებივით

**19 ნოემბერი, 2020**

კარგად ვართო, რომ გითხრათ, მთლად ზუსტი ვერ იქნება, მაგრამ ჩვენი მდგომარეობის ადამიანებისთვის, მართლა კარგად ვართ. დღეს სიცხე არცერთს აღარ გვაქვს. ვებრძვით სისუსტეს და ხველას. გვითხრეს, რომ ეს დიდხანს გაგრძელდება.

ხანდახან ტელეფონს ვერ ვპასუხობთ. ძალა მიდის და მოდის. ყოველთვის ერთნაირად არ გვაქვს ენერგია. ჩვეულებრივ სუნთქვასაც შრომა სჭირდება. ყველაფერს ვაკეთებთ, რომ უკეთ ვიყოთ. თქვენი ლოცვები, თანადგომა ძალიან გვეხმარება.

სისხლის ანალიზი საგანგაშო არ არის. არც სხვა მონაცემები. ჩვენი ახლობელი ექიმები აკონტროლებენ ჩვენს მდგომარეობას. ამბობენ, რომ გაუარესებას არ ელოდებიან.

დედაჩემი კარგადაა. მასაც მომდევნო დღეები აქვს „საკონტროლო."

...

ყველას ჯანმრთელობას გისურვებთ.

თუ მაინც მოგიახლოვდათ ეს ჯოჯო, მზად იყავით.

**20 ნოემბერი, 2020**

ავად ვარ...
ჩემს თავს
კიდევ ერთხელ
ვუსმენ და ვთარგმნი

**20 ნოემბერი, 2020**

ვსუნთქამთ...
ანუ, როცა სიტყვები დემეტაფორიზაციას განიცდიან. ☺

**20 ნოემბერი, 2020**

დედაჩემიც სტაბილურად ყოჩაღადაა. ექიმიც ადასტურებს მის სიტყვებს. დღევანდელი დილის საუბრის დროს ხმას დაუწია და: „სანამ სხვის ამბავს არ გაიგებ, დედა, საკუთარ ბედნიერებას არ აფასებ"...

წარმომიდგენია, რა ფატალური ისტორიები, განცდები და სამუდამო დარდია ამ სიტყვების მიღმა.

...

მიდი, დე!

როგორც არ უნდა დამამშვიდო, ზუსტად ვიცი, რა რკინის სალტეებიც ბოჭავს შენს ძვირფას სუნთქვას.

მიდი და ჩვენც შენს კვალში ვართ!

**20 ნოემბერი, 2020**

კარგად ვართ. ვმართავთ სიტუაციას. უბრალოდ, სისუსტეა ისეთი, ყველას ვერ გეხმიანებით. სუნთქვა ასე თუ ისე, ნორმალურია. ვეხმარებით ვარჯიშით და სუფთა ჰაერით. შიში არა გვაქვს. არის ცოტ-ცოტა უპირატესობის შეგრძნება. ვლოცულობთ თქვენთან ერთად. გაფრთხილდით. ამის არიდება ჯერ კიდევ შეგიძლიათ. ატარეთ ახალი ნიღბები. სცადეთ, წარმოიდგინოთ, რომ ტალახიან სივრცეში ხართ. გულმოდგინეთ ჩამოიცილეთ ყველა შეხების კვალი.

**20 ნოემბერი, 2020**

ტემპერატურა მაღლა მიდის. ეს დამახასიათებელია ამ ეტაპისთვის.

დედაჩემსაც სიცხე ჰქონია დღეს. ჯერ ვაკონტროლებთ სიტუაციას. არ შეშინდეთ. უბრალოდ, არ არის ეს უსიმპტომო ფორმა, როგორც გულუბრყვილოდ გვეგონა. 38.3

**21 ნოემბერი, 2020**

დილა მშვიდობისა!

ყველაზე მძიმე ღამე დავდე ბეჭებზე. ასე მგონია.

ამ დილით უკეთ ვარ და სიცხეც არ მაქვს. მეძინება. მოგწერთ აუცილებლად

**21 ნოემბერი, 2020**

როგორც ტყუპები
დედის მუცელში,
ერთმანეთს, როგორც
საკუთარ თავს,
დათმენით ვსწავლობთ.
/კორონას გვირგვინი/

**21 ნოემბერი, 2020**

ბიძინა თავის ალპინისტ მეგობარს ელაპარაკება და ასე აღუწერს მდგომარეობას: 4500-მდე... 😁 ანუ, როგორც ამ სიმაღლეზე იგრძნობდა თავს...

ხოდა, ვფიქრობ, ფილოლოგმა როგორ შეიძლება ასე ზუსტად გადმოსცეს პროფესიული ანალოგიით ეს მდგომარეობა?

... ვერ მოვიფიქრე

**21 ნოემბერი, 2020**

დედაჩემზე ვდარდობ და კახამ[55] ექიმის მიმოწერა გადმომიგზავნა: 36 ტემპერატურა, 96 სატურაცია. საჭმელი ჭამა.... უმაგრესი დედა გყავს, კოვიდპაციენტებს ძალიან შეაყვარა თავი.

...

ნეტავ, რატომ არ მიკვირს.

---

[55] კახა ბერიძე, რესპონდენტის ძმა, ექიმი.

**21 ნოემბერი, 2020**

ლაპარაკი განა არ შემიძლია, სუნთქვას ვზოგავ. ამიტომ ტელეფონზე ვერ გპასუხობთ.

...

ივარჯიშეთ სუნთქვაში. გუშინ მივხვდი, რას გულისხმობდნენ, როცა ამბობდნენ, რომ პანიკა იწყება სუნთქვის შეზღუდვის გამო. ეს განცდა ძალიან ჰგავს წყალში დახრჩობის შიშს. საბედნიეროდ, ეს მე გადავიტანე 2014 წ. მაშინაც ის გავაკეთე, რაც გუშინ: კუნთებით, თითქმის მექანიკურად ვამუშავე ფილტვები. ამოსუნთქვა მაქსიმალური ძალისხმევით, ჩასუნთქვა უფრო ადვილად გამოდის ამის შემდეგ. კარგი იქნება, მუცლით სუნთქვას თუ ისწავლით. ეს დიდხანს არ გრძელდება. მალე მოიხსნა. ალბათ 2-3 საათში. გაძლება შესაძლებელია. ისუნთქეთ კუნთებით და არა ტვინით. როგორც ზღვაში ცურვისას არ უნდა მოსინჯოთ ფსკერი, ისე ნუ მოსინჯავთ, როგორ სუნთქავთ ბუნებრივად. ეს შიშისგან გაგათავისუფლებთ.

მოკლედ, ასე ვიყავი წუხელ საღამოს. ვფიქრობდი, დამჯდარს გამეთენებინა, თუმცა მომეხსნა და ტკბილადაც მეძინა.

...

არ შეიხვედროთ, მაგრამ თუ შეგხვდათ, იცოდეთ, რომ თქვენი სუნთქვა თქვენს ხელშია. ივარჯიშეთ წინასწარ

**22 ნოემბერი, 2020**

ყველაფერი რიგზეა. სიცხე მაქვს. არის პნევმონიაც. სახლში ვარ, მაგრამ კარგი კონტროლის ქვეშ. სატურაცია კარგი, სისხლი კარგი, ამიტომ გართულებას არ ველოდე-

ბით, თუმცა საჭიროების შემთხვევაში გადამიყვანენ კლინიკაში. საქართველოში არის სამედიცინო დახმარების დიდი რესურსი, ესაა პირადი კონტაქტები. განსაკუთრებით გაიხსენეთ ნამოწაფვარი ექიმები ❤ დღეს ერთმა ასეთმა გამომიცხადა, შენს თავს ვერავის ვანდობ, მათ შორის, ვერც შენს ძმასო. ოჯახის ექიმმაც, სხვათა შორის, ძალიან არგუმენტირებულად დამამშვიდა. ორგანმზმი იბრძვის. მთელი დღეა მძინავს. ორ დღეში უკეთ ვიქნები. ახლა 37.7. სიცხის დამწევის გარეშე. ესეც კარგის ნიშანია. არ ინერვიულოთ.

**22 ნოემბერი, 2020**

თერმომეტრის ბერტყვაში ივარჯიშეთ, აი, რა მავიწყდებოდა 😁 ეგეც სერიოზული ამბავია.

**22 ნოემბერი, 2020**

დედაჩემმა დამირეკა. ყოჩაღადაა. სიცხე აღარ აქვს. პატიოსანი სიტყვა გვაქვს ერთმანეთისთვის მიცემული, რომ არ მოვიტყუებით. ასე უფრო მშვიდადაა. ჩემზე ორ დღით წინაა, როგორც ვხვდები. ჩემთან ზენიტშია გათახსირებული კორონა.

**23 ნოემბერი, 2020**

36.3. სუსტად ვარ ისევ. ალერგია დამემართა, რომელიღაც ვიტამინზე სავარაუდოდ. ახლა უკეთ ვარ, მაგრამ ძალაგამოცლილი. როგორ განერვიულეთ. ცალ-ცალკე პასუხი არ შემიძლია.

**23 ნოემბერი, 2020**

სუიციდური ფსიქოზი ან ჯიუტი გონებაჩლუნგობა ქვია იმას, რომ ნახევარი საქართველო ისევ „არმჯერას“ გაიძახის. აი, სიამოვნებით დავასმენდი ასეთებს, რომ იჭერდნენ.

ამ ხალხს რაღას ვერჩით.

...

ბოჭორიშვილის კლინიკის დირექტორი დავით გადელია:

მეგობრებო!

ჩვენს ერს ბევრად უფრო მძიმე განსაცდელისთვის გაუძლია; თუმცა, ჩემი ცხოვრების 60 წლის მანძილზე, არ მოვიტყუები, ასეთი რამ ჯერ არ ყოფილა. ამ პანდემიას არც 90-იანების ომი და გასაჭირი შეედრება და არც უფრო ადრე გავრცელებული ქოლერის ეპიდემია. ჩემი უახლოესი ადამიანები, ოჯახის წევრებია ავად და ვცდილობ ოჯახის ან კოვიდ სასტუმროს პირობებში ვმართო. კლინიკაში ვინმეს მოთავსების არანაირი რესურსი არ მაქვს და სანამ დაავადებულს შესაძლებლობა აქვს, კიდევაც ჯობს სახლის ან სასტუმროს პირობებში იმკურნალოს, ვიდრე კლინიკაში 3-4 კაცთან იყოს პალატაში. ეს რაოდენობა, რა თქმა უნდა, არანორმალურია პალატისთვის, მაგრამ სახელმწიფომ კანონით დართო ნება კლინიკებს, პანდემიის დროს არ მიაქციონ ყურადღება სალიცენზიო პირობებს. ამას ერთი ახსნა აქვს – სხვა შესაძლებლობა არაა და შემდეგი აუცილებელი ნაბიჯი იქნება სპორტულ დარბაზებში საწოლების და ჟანგბადის ბალონების ჩადგმა ისევე, როგორც მოხდა ევროპის ბევრ ქვეყანაში. ამ დროს კი საერთოდ რა პირობებზე იქნება საუბარი... გაფრთხილებთ, ჩემო საყვარელო

მოქალაქეებო, უკანასკნელად! უკანასკნელად არა იმიტომ რომ ამაყი ვარ და ეს არ მომცემს უფლებას შემდეგაც გაგაფრთხილოთ. არა, რა თქმა უნდა! კიდევ ასჯერ გაგაფრთხილებდით და შეგევედრებოდით, მაგრამ ცოტა ხანში ამ გაფრთხილებას რაიმე აზრი და მნიშვნელობა არ ექნება!

1. გადადეთ დაგეგმილი ყოველგვარი ხალხმრავალი თავყრილობა! არცერთი პარტიის აქტიური მიმდევარი არ გახლავარ, მაგრამ ეს კი ვიცი, რომ ვერანაირი პოლიტიკური ამბიცია ვერ მივა ერის ფიზიკური გადარჩენის საკითხთან. ყოველგვარი ისტერიის და პანიკის გარეშე ვიმოქმედოთ მშვიდად, რაციონალურად და ნუ გავახარებთ გარეშე მტერს. ერთმანეთში მერეც გავარკვევთ ურთიერთობებს. არ მინდა გავამწვავო ისედაც დაძაბულობა და დაპირისპირება, ამიტომ ძალიან რბილად ვიტყვი: ყოველგვარი თავყრილობა აჩენს დაავადების გეომეტრიული პროგრესიით გაზრდის რისკს;

2. მოერიდეთ ყოველგვარ „ფართეებს“, სუფრებს, ქეიფებს მაშინაც კი, როცა წინა დღეს გაიტესტეთ და უარყოფითი[56] ამოგივიდათ! ეს არ ნიშნავს, რომ მეორე დღეს არ დაავადდებით! შეიკავეთ თავი მეგობრებთან, ნათესავებთან სიარულისგან!

3. ძალიან რთული, უცნაური თხოვნა მაქვს ყველასთან: ოჯახის წევრებთანაც კი დაიცავით თავი და დაიცავით ისინი თქვენგან! მასიური გადადებები სწორედ ოჯახის წევრებისგან და ერთად სუფრაზე ყოფნისას ხდება! ამიტომ გაფრთხილებთ ყველას:

მუდმივად ატარეთ პირბადე!!!

---

[56] გულისხმობს ტესტის პასუხს.

მესმის ყველას უსასოობა. ვინც მიცნობს იცის, რომ მუდმივად მორალურ სტრესში ვარ იმის გამო, რომ ვერ გეხმარებით ყველას, რადგან არანაირი თავისუფალი საწოლი დიდი ხანია კლინიკაში არ გვაქვს და პირველივე განთავისუფლებულში ვათავსებთ მას, ვისაც იმ წუთას სჭირდება, ყოველგვარი „ჩაწყობის“ გარეშე.

დავიცვათ ერთად რეგულაციები, გავწყვიტოთ ერთად ვირუსული გადაცემების ეს ჯაჭვი, რომ ისეთივე მშვიდ გარემოში შევძლოთ ვადმყოფთა მართვა, როგორიც გაზაფხულზე გვქონდა.

**23 ნოემბერი, 2020**

ეს დღეც გადავაგორე. უსიცხოდ, მაგრამ მტკივნეულად. ამ კოვიდისაგან კიდევ რას უნდა მოველოდე, არ ვიცი. არ მჯერა, რომ ოდესმე წავა ჩემი ცხოვრებიდან ეს შხამი.

**24 ნოემბერი, 2020**

36,6. ჩემი მშობლიური ტემპერატურა.

**25 ნოემბერი, 2020**

ხო... ისა...
განა ავადა ვარ,
ჩახუტების უფლებას ველი.
ამ გველს ავყევი
ვვაჭრობ ჩარჩივით,
ვაძლევ და ვართმევ,
ხელიდან ხელში ვუთვლი
ჩემს კუთვნილ
წამსა და წამწამს,

ვდარაჯობ, რაწამს
დაიღლება ფილტვების რყევით,
მაგას გონია, ეგ მახველებს – ვახველებ თვითონ!
კი არ მაცხელებს,
თავად ვცხელდები.
მაგის ჯინაზე არ გავხელდები...
ჩახუტების უფლებას ველი.
...
თქვენთან

**25 ნოემბერი, 2020**

Baiso Gujabidze ჩემო პირველო სიხარულო, ძალიან მძიმე განსაცდელიდან გილოცავ ამ დღეს. ბედნიერი ვარ, რომ ახლა ზუსტად იცი, რა სიხარული მოგვანიჭე ნოემბრის თოვლიან დღეს! ამ სიხარულის მადლი შემეწევა დღესაც. მიყვარხარ. მენატრები.

**25 ნოემბერი, 2020**

მეგობრებო, კლინიკაში ვარ. როგორც ჩანს, კრიტიკული დღეები გვაქვს მე და დედაჩემს. ყველაფერი გვიკეთდება, რაც საჭიროა. თქვენი ლოცვა გვეხმარება

**26 ნოემბერი, 2020**

უკეთესად ვარ. ნამდვილად.

**27 ნოემბერი, 2020**

შავი ხუთშაბათი გავათენე ჟანგბადზე მიერთებულმა. შავი პარასკევის სანქცია ვინც გასცა, იმის გვარი ჩამაწერინეთ მოსახსენებლებში.

**27 ნოემბერი, 2020**

როგორ დაგტანჯეთ. ვუძლეგ თქვენი ლოცვით. ყურადღეგა არ მაკლია. ლოცვა შემაწიეთ. დამშვიდდით და თავს გაუფრთხილდით. ღმერთმა არ გამაგონოს თქვენი ავადობა.

**27 ნოემბერი, 2020**

იუმორი შემომაკლდა... და ნიღაგს ვუღიმი: მეიფიქრე რამე, შე კაი იმანო...

...

და: სა მცალია სამასხროდო და უგერავს მაღალი სინჯის ჟანგგადს.

**27 ნოემბერი, 2020**

შემოვიდა გუთქუჩა[57]. მე იცი, რა მაგარი ექთანი ვიყავიო. ჩამიტარა რაღაც კარატე-მასაჟი... მიმგერტყა, მომგერტყა თერმომეტრივით. ორ დღეში კარგად იქნეგიო. იუმორი რომ მაკლდა, ეტყოგა, ვიღაცამ დამასმინა, ❤ გაძლეგაზეა ეს ვირუსი. ყოველი ახალი წუთი ახალი მდგომარეობაა. თავს გაუფრთხილდით. გაძლიერდით, ილოცეთ და სისულელეეგზე ნუ იდარდეგთ. კარგი ამგეგი მომაშველეთ.

**27 ნოემბერი, 2020**

ჩემს ექთანს, რომელიც საკუთარი შვილივით მივლის, დედაც კოვიდით უწევს. პატარა გავშვი ძმასთან და რძალთან ჰყავს მიგარეგული. ორი კვირა აქ უნდა იცხოვროს. სკაფანდრით დადის. ხალისს და სიხარულს აფრქვევს.

---

[57] ლევან რატიანი, ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგი, თსსუ-ის პირველი საუნივესისტეტო კლინიკის გენერალური დირექტორი.

მოდუნების საშუალებას არ გვაძლევს. ამათ არ სჭირდებათ იათი ტანსაცმელი. ძვირად აფასებენ სხვის სიცოცხლეს. ესეც იცოდეთ. მედპერსონალში რაღაც ცხოველი მებრძოლი სულია გაღვიძებული. ომში არიან. უპირატესობისთვის იბრძვიან. არაა ჩვენი საქმე მთლად ცუდად. მგონი

**28 ნოემბერი, 2020**

სამყაროს შტატივს
ცრემლისფერი წვეთით ვკიდივარ...

**28 ნოემბერი, 2020**

ბუთქუჩამ შემაჭანჭყარა, ხვალ კარგად იქნებიო... ვეღარ შევევაჭრე. ხვალ კარგად ვიქნები.

**28 ნოემბერი, 2020**

თითოეულ თქვენგანს გულში გესაუბრებით. ასე ვიწყებ: გახსოვს?.. ყველაზე კაშკაშა მოგონება მახსენდება... გახსოვთ?!

**29 ნოემბერი, 2020**

დილა მშვიდობისა, საქართველო. სიცხე ამ დილით არ მაქვს. სატურაციას ვმართავ. ყველას ლოცვას ვისმენდი წუხელ. კარგად ვიქნები.

**29 ნოემბერი, 2020**

სულ მზაფრავდა ლადო ასათიანის ეს თავგანწირული ამოძახილი: „ო, როგორ მინდა, ძლიერო სენო, ჩემს შემდეგ არვინ არ მოგიხსენოს!“

...

თქვენი დარდი ჩემზე ოდნავადაც ვერ შეედრება ჩემს თქვენზე დარდს. თქვენ არ იცით, ეს რა არის და ვლოცულობ, რაც შეიძლება ნაკლებმა ადამიანმა ნახოს ეს ჯოჯოხეთი.

ნუ დაუჯერებთ უსიმპტომოებს. ამ ვერაგ ვირუსს უამრავი მიხვეულ-მოხვეული აქვს ყურადღების მოსადუნებლად. ის ჟონგლიორობს პარამეტრებით, ეტაპებით, სიმპტომების თანმიმდევრობით... ის ჯერ გვიყენებს და მერე გვანგრევს. ძალა არა მაქვს ბევრი წერის. სისტემაზე ვკიდივარ... გაფრთხილდით, გაფრთხილდით, გაფრთხილდით!

**30 ნოემბერი, 2020**

ეს ერთი ღამეც...
ისევ მუხლზე გადავითენე.
ნელი თენებით.
სვენებ-სვენებით.
აქედან როგორ
მოჩანს თურმე
რამდენი რამე...
...
უხერხულია.
მიხურეთ კარი.

**30 ნოემბერი, 2020**

წყვილი ფილტვი,
ჩემი სხეულის 20 %...
შენსავით, ჩემო,
ტყვედპყრობილია.

მოდი, გავბედოთ.
ჩავიმსხვრიოთ მყიფე ბრონქები...
შევუტიოთ და...
ამოვახველოთ!

**30 ნოემბერი, 2020**

ახალი სკნელი – ინტენსიური განყოფილება. ამომიყვანეს. მხოლოდ ჩუსტი და ტელეფონი მაქვს. საქმეები, პროექტები, გეგმები, თანამდებობები.... არ შემომატანინეს...

**1 დეკემბერი, 2020**

მარტო იმიტომ უნდა გადავრჩე, ამ საოცრებაზე რომ გიამბოთ. პატარა გოგო-ბიჭის, სტუდენტების საქციელზე... მგონი, მართლა ზეციურ საქართველოში მოვხვდი. კახიც[58] აქ არის.

**1 დეკემბერი, 2020**

გათენდა. თქვენთან ერთად.

**1 დეკემბერი, 2020**

უკეთ ვარ. არის დადებითი დინამიკა. ვერ ვწერ. ვერ გპასუხობთ. ვკითხულობ. გმადლობთ. ძალას მაძლევთ.

**1 დეკემბერი, 2020**

ახლა ჩემს თვალწინ გათამაშდა ყველაზე დიდი სპექტაკლი, რაც მინახავს... დაღლილი, კოვიდიანი, მეხსიერების

---

58 კახი კავსაძე, ქართული კინოსა და თეატრის მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი.

ლაბრინთში გზაარეული დიდი დონ კიხოტი[59] და ახლადგა-მომცხვარი, ბუთქუჩა სანჩო პანსა[60]!

კახი, ვინა ვარ! ვინა ხარ ! ვინა ვარ! ვინა ხარ!...

სანჩო ვარ, სანჩო! უნდა გაჭამო! რო მოკვდე, უნდა შეჭამო!...

და ამ მართლა პანსამ, სულ თითებით ატენა პირში საჭმელი.

ერთიც, ერთიც!

...

მეხსიერებამ წესებში ამოხეთქა:

ბიჭო, სიტყვა პირობაა... ხომ თქვი, ერთიო...

აქ ახლა ჰომეროსი[61] უნდა იწვეს, ყველა წამს აღნუს-ხავდეს!

**1 დეკემბერი, 2020**

სიბერე!

სი-ბე-რე!

სი-ბე-რეეეე!

...

ნეტა რა ამბის გარჩევას აპირებს სიბერესთან კახი?!.

**2 დეკემბერი, 2020**

ირენ! ირენ!...

დამიტოვე ჩართული შუქი!

---

59 ესპანელი მწერლის, მიგელ დე სერვანტესის რომანის „დონ კიხოტის“ გმირი, რომელიც კახი კავსაძემ განასახიერა.

60 რომან „დონ კიხოტის“ ერთერთი მთავარი პერსონაჟი.

61 ჩვ. წ. აღ.-მდე VIII საუკუნის ბერძენი პოეტი.

ჩემს დაღლილ აჩრდილს დაუტოვე
სულში ღიობი...
...
საწოლზე ვწევართ ორნი...
ვწვალობ,
რომ გავარჩიო,
სად კაცია
და სად მსახიობი...
...
ირენ, ირენ..
შენი სახელი
გადამიქცია
ღმერთმა რეფრენად...
მადლობის სიტყვებს
ადვილად ითვლი...
...
თუ შეიძლება, გამიგე, ირენ,
ეს სასტუმრო არ იკეტება?...
... ჰე, ჰე, ჰეეე!
არ იკეტებით?!
/კახი, კორონა, 2020/

**2 დეკემბერი, 2020**

აქაური ანგელოზები 4 საათიანი ცვლით მუშაობენ. ახლა შეიცვალა ცვლა. წინა ცვლისები მოვიდნენ. გაგიუდნენ, ისევ მუცელზე წევხარო?!.

...

ომში ვარ. „პა პლასტუნსკი.“ ამის ახსნა მეზარება. დაგუგლეთ...

**2 დეკემბერი, 2020**

მთელი ღამე
ჩემი, ორი
კალოშივით
გამძვრალი, ფილტვი
ჭადივით ვაცხვე
თავჩაღმეთის
მკსინავ თონეში...
...
მეჩვენება თუ რაღაცამ უკვე
დაიძახა თონიდან:
ჰოპლა!
მეჩვენება თუ...
ბრძოლას მოვეშვი?!
(კარგად გახდომის პოსტია)...

**2 დეკემბერი, 2020**

ნიჭიერებით, ტაქტით, მორალური ღირსებით, სიზუსტით, ესთეტიკით... შეჯერებული თხრობა თუ ვინმემ, ოდესმე შეძლო გალაქტიკის ამ უცნაურ „ტამბურზე...“

...
იქნებ, ოდესმე... ვინმემ. მსოფლიოში
ამ ბუდის თავზე გუგულები არ დაფრინავენ.
...
ეს არის კორონული რეანიმაციის კორდებალეტი!!!
უცნობი და უხელფასო გმირების შესრულებით.
...
ღმერთმა არა ქნას, ამ რიტმში რაიმე გაწყდეს.

...

დაიხსომეთ სათაური:

რეანიმაციის კორდეგბალეტი!

**3 დეკემბერი, 2020**

Maka Veltauri[62] თქვენთან რომ დავიწყე მუშაობა, მაშინ გითხარით, რომ მინდოდა გმირეგბად გამეზარდეთ. ეს არის დედის და მასწავლეგლის დიდი ამბიცია. ისიც გითხარით, რომ ახალი დროის გმირობა პროფესიონალიზმი და შრომაა...

ბევრი რამე გამოვიარეთ. მიხარია, რომ ეს ყველაფერი იყო...

ქვეყანას მხოლოდ რიგითეგის ცოდნა, ჩვევეგი, პასუხისმგეგლობა გადაარჩენს.

**3 დეკემბერი, 2020**

Baiso Gujabidze Irakli Gujabidze Alexandre Gujabidze[63] ჩემს ყველა ჩასუნთქვა-ამოსუნთქვას თქვენი სახელი ერქვა წუხელ. უკეთ ვარ. მიყვარხართ. ალე, შენხელა ბიჭი მივლის. მიშო ქვია.

**3 დეკემბერი, 2020**

იმ ცისფერი ფანჯრიდან გვადევნებს თვალს ნუნუ[64] ექიმი...

---

62 მაკა ველთაური, ექიმი, რესპონდენტის ყოფილი მოსწავლე.

63 ბაისო გუჯაბიძე, ირაკლი გუჯაბიძე, ალექსანდრე გუჯაბიძე - რესპონდენტის შვილები.

64 ნუნუ ლაბაძე, თსსუ პირველი საუნივერსისტეტო კლინიკის ექიმი.

ღმერთო, მეჩვენება თუ ესეც ის დიდი ინტერტექსტია...

მისი გვესმის. ის გვხედავს და მონიტორების მიხედვით გვმართავს ექთან-პაციენტს.

მაინც გავძახებ ხოლმე: ნუნუ[65] ექიმო, ლუმინალი!

...

ასეთია (ცოტა გამაკიაჟებული) გალაქტიკის ეს პატარა გასასვლელი... „გეითი."

**3 დეკემბერი, 2020**

ამათ[66] აქვთ დიდი პრობლემა გადაადგილების. უმეტესობა სოფლიდან დადის. ავტობუსი მიამაგრეს, მაგრამ ძალიან დიდი დრო მიაქვს. დაძინება ვეღარ მოასწრო ერთმა გოგომ. ისევ წამოსასვლელი იყო ახალ ცვლაში. ფეხზე ვეღარ დგანან. ორგანიზება უნდა მძღოლების ჯგუფს, ვინც მოიხადა უკვე. ერთს, ალბათ, შეუძლია, რამდენიმეც დააბინაოს. პირადი გრაფიკის აწყობა შეიძლება.

**5 დეკემბერი, 2020**

დღე მატულობს...

ქათმის ნაბიჯისხელა ხდება მანძილი...

**6 დეკემბერი, 2020**

თოვს ალბათ,

ხეებს

ჩრდილები მუქი

---

65 გულისხმობს ნოდარ დუმბაძის რომანის „თეთრი ბაირაღები" პერსონაჟს.

66 იგულისხმება მედპერსონალი.

ჩამოეღვენთათ
უქსოვ დარდეგად...
აქ, ამ ოთახში
თოვლივით მძიმე
სხეულებს
სული პირზე ადნებათ.
ალბათ თოვს,
რადგან
თოვისას ჰგავს
ჩემს თვალებში
ჩამდგარი შუქი...
რომელიც დგას
და თოვასავით
ბარდნის ამ იებს...
...
ალბათ თოვს.
ალბათ...
ფიფქებმა დილა
გრილი იმედით
დამიამინეს...
(აკრძალული ლექსები)

**6 დეკემბერი, 2020**

ჩამომიყვანეს პალატაში. ვაგრძელებ ბრძოლას. ჩემი ექიმები და ექთნები ჩემ გვერდით არიან. ერთი გუნდი ვართ. გულუბრყვილოდ მეგონა, რომ ამას აღვწერდი და რაღაცით დაგეხმარებოდით. ახლა ვფიქრობ, როგორ შევძლო ამის დავიწყება. კოვიდფსიქოლოგი მჭირდება.

**6 დეკემბერი, 2020**

აი, რა. ამ დაავადებასთან საღი გონით უნდა იყო. მანქანასავით უნდა ასრულებდე მითითებებს ჟანგბადდამოკიდებულების ადრეულ საფეხურებზე. ისტერიკის გამო მძიმდებიან ჩემ თვალწინ. და არა მარტო მძიმდებიან. მოკალით ემოცია, თორემ მოგკლავთ ეს უჯიშო ვირუსი.

**7 დეკემბერი, 2020**

ნუთუ ესეც
უნდა მენახა...
საკუთარი ნაჯიჯგნი ხორცი
ფეხით მელახა...
...
სხვისი სუნთქვა
მჭეროდა ხელში,
და სიცოცხლის
მარადი რიტმით
ამ უცნობი გზის
ეს ნაპირიც გადაგველახა
ერთად... უცხოებს.
მე ვითვლი. რიტმად
ვანაწევრებ დარჩენილ წამებს...
მომენდო. სუნთქავს.
შეუცნობელი სიკვდილის შიში აღარ აწამებს.
...
მიდი! არ დათმო!
არ დაივიწყო,
რომ მე დაგპირდი,

აქ ვარ. აქ არის
ახლა შენი გაღმა ნაპირი!
მარტო ვიბრძოდი,
ახლა ვართ ორნი.
არ მიღალატო, ბერიკაცო...
/მე მაპატიეთ/

**7 დეკემბერი, 2020**

ეს დღეც გათენდა!

**7 დეკემბერი, 2020**

შემოიქროლა ბუთქუჩა ქარიშხალამ, მიმაჯანჯღარა. სატურაცია და სხვა მონაცემები ნახა და სიცოცხლე მომისაჯა.

...

გადავდივარ ჩვეულებრივ პალატაში, როგორც აქტიური გამომჯობინებადი...

...

ჩამომაპალატეს.

...

ჩემი რიგითიც, წუხანდელი მებრძოლი, გადარჩა!!!

**7 დეკემბერი, 2020**

მთელი დღეა ამ სიტყვის მოგონებას ვცდილობ: რეკონვალესცენტი[67].

...

გავიხსენე, საექთნოს ლექციებიდან...
ჩემი დღევანდელი სტატუსი ეგაა.

---

[67] გამოჯანსაღების პროცესში მყოფი პაციენტი.

**8 დეკემბერი, 2020**

მთელი სამი კვირა თუ მეტი გვატრიალა ჩვენ-ჩვენმა საკუთარმა ქარბორბალამ ჯოჯოხეთის მკსინავ სპირალზე... ორივემ ვიცით ერთმანეთის ყველა ჩასუნთქვის და ამოსუნთქვის რა ხანძარი გამოვიარეთ...

თითქოს მხოლოდ იმიტომ დამხვდა პალატაში გაწერილი, ჯანმრთელი ქალი, რომ აი, ახლა, ამ საათსა და ამ წუთზე თვალი უეცრად აეხილა ღრმა ძილისაგან და ჩემთვის ეთქვა: ღმერთმა იმიტომ არ წამიყვანა დღეს აქედან, იმიტომ დავრჩი, რომ შენ მენახე, გამეცანი... და შენთვის მეთქვა, რასაც არავინ დამიჯერებს: ორჯერ მოვიდა ამ ამბავზე ჩემთან ერთი ლამაზი ქალი და მითხრა, ნუ გეშინია, არ მოკვდებიო...

...

რა კარგია, რომ მითხარი, ჩემო წალენჯიხელო დაია..

რა კარგია, რომ ეგ კაშკაშიც გამახსენე და ამომათქმევინე... რა კარგია, რომ ეს მწარე მოგზაურობა, ამ ოთახში, როგორც ახალი დედის მუცელში, ერთად მოვიმწყვდიეთ.

...

მე და შენ სამუდამო ცეცხლისთვის ხელახლა დავიბადეთ.

მე და შენ მათთვის უნდა ვიტიროთ აწი, ვინც აქედან ვერ გამოაღწია.

...

მაპატიეთ.

**8 დეკემბერი, 2020**

**Misha Gongadze[68] 6 დეკემბერი, 2020**

თუ ომია, იყოს ომი. არავის ვათქმევინებთ, ექიმებმა უკან დაიხიესო. დიდი დანაკარგების მიუხედავად, მაინც წინ. ყოველი გაწერილი პაციენტი მოგებული ბრძოლაა. თავიდან ვერ აცნობიერებდნენ პაციენტები, ზოგი ზეითუნის ზეთზე დამზადებულ საჭმელს ითხოვდა, ზოგი სათითაოდ ტელევიზორის დამონტაჟებას, ეხლა შეიცვალა ეს მიდგომა, საწოლის ჩადგმა და ჟანგბადის განაწილება მათი თანხმობით, კიდევ თუ ჩაიდგა ჩავამატოთ საწოლები შევვიწროვდებითო. ეს მახარებს, ყველა გადასულია ერთმანეთის დახმარებაზე. კარგი იქნება გლობალური სახე მიეცეს ამ ყველაფერს და ეს უაზრო ზეწოლა დამთავრდეს ექიმებზე. არ არის ეხლა ამის დრო, ყოველდღე ჩვენი კოლეგებიც მძიმდებიან, ზოგი აპარატზეც გადავიდა, ასე რომ იარაღით შეუვარდები მტერს თუ უხილავს კომბინიზონით, შედეგი მაინც ჩვენს ჯანმრთელობაზე გადის იმის გამო, რომ პაციენტი იყოს კარგად. ექიმებზე მოღლიცინე, სახლში მჯდომი, კლავიატურის ლომების გასაგონად განსაკუთრებით!!!

**9 დეკემბერი, 2020**

სიკვდილს დავეხსენი...
სიცოცხლეს ვსწავლობ.

**9 დეკემბერი, 2020**

სიცოცხლე.გე.

---

68 მიხეილ ღონღაძე, ექიმი-ქირურგი, ნეფროლოგი, ტრანსპლანტოლოგი მედიცინის დოქტორი. იმავე დღეს მარინე ბერიძის მიერ გაზიარებული თავი ფეისბუქ გვერდზე.

ერთი მთავარი ამოსუნთქვა და
ამოიქოქა:
პირველი სურვილი...
პირველი მიზანი,
პირველი წყენა...
და შურისა და
გოროტების
პირველი
გრჭყალიც...
სიცოცხლე.გე.
...
ამოსუნთქვის ეს
ნატანჯი გათვართოება!

**9 დეკემბერი, 2020**

ყველა კორონული ნეკროლოგი მკლავს... არა იმიტომ რომ ადამიანი აღარ არის...

არამედ იმის ცოდნის გამო, როგორ წავიდა... ვზივარ (ესეც ერთი საოცრება) საავადმყოფოს მყიფე საწოლზე... ორი შავი ჩუსტით ვეხები ცხროებაში ჩავარდნილ სამყაროს... გრძოლის ველიდან დაჭრილი და ძალადაცლილი გამომათრიეს... ოთხი დღე-ღამე, შეიძლება მეტიც, სამყაროს „მთავარ გეითში“ ვიყავი და ახლა ნაჩუქარი სიცოცხლის გალევას იმ ოთხი დღის დავიწყებაში ვხედავ.....

ყველაზე მეტად იმას ვდარდობ, რომ ვხედავ, როგორი უგუნური სიჯიუტით მოექანებით აქეთ... და რა ამაოა ახლა ჩემგან თქვენთვის ხმის მოწოდების მცდელობა...

...

შეიყვარეთ თქვენი თავი. იქნება მერე სხვისი შეყვა-
რებაც შეძლოთ.

მაპატიეთ.

...

ხო, ისა, ვეზიარე.

კიდე მინდა ვეზიარო.

იმ ერთი კოვზით.

და იმ ცეცხლის ძალით

ვიკრეფ ახლა თქვენთან შეხვედრის ძალას...

...

იცით, რამ შემძრა?..

...

იქნებ ამაზეც ოდესმე შევძლო რამის დაწერა. ახლა არა.

**9 დეკემბერი, 2020**

კი არ დავბრუნდი,

სულ ახალი გზებით მოვედი.

და დედამიწის

მხარეებს ვსწავლობ...

თითქოს დასავლეთს

შეეზარდა აღმოსავლეთი,

და ჩრდილოეთი

დასამხრეგას დაღმართში ლამობს.

...

კი არ დავბრუნდი,

წავედი და

სხვა გზით მოვედი.

...
ისევ გარეთ ვარ.
კარი ისევ
არ არის ღია.
...
მე აქ ვარ, მაგრამ
ჯერაც ისევ არა ვარ
თქვენთან.
...
ჩემი „აქ“ ყოფნა
თქვენს „მანდ“ ყოფნას
ჯერ არ გაყრია...

**მარათონი**

ჯვრისა არ იყოს, მარათონიც ყველას თავისი აქვს. ჩემი პირველი მარათონები ასპინძაში, საბავშვო ბაღის ეზოში იმართებოდა... დიდი ეზო იყო. ერთი მხრიდან სკოლისკენ მიმავალი გზა ესაზღვრებოდა, მეორე მხარეს სკოლის ეზოს ნაწილი და „საერთო ბინები“ – ასე ერქვა იქ ჩამწკრივებულ კომუნალურ კორპუსებს. ხოდა, იყო ეზო ასე... ნუ, 42 კმ-ზე ნაკლები, რა თქმა უნდა, მაგრამ 42 ნაბიჯზე ბევრად მეტი. იქნებოდა 150-200 მ თუ ასაკის გამო არ მეჩვენებოდა ამხელა... მოკლედ, ერთი ღობიდან მეორემდე კარგა გრძელი გზა იყო და იქ ვეჯიბრებოდით ერთმანეთს სირბილში... ახლაც მიდგას ქარის ხმა ყურებში. მახსოვს მარცხენა ფერდის ქვეშ ყრუ ტკივილი, გასწრებული ამხანაგების აფრიალებული პერანგის ბოლო და წინ თითქოს ჩემკენ მთელი სისწრაფით გამოქცეული ხის მე-

სერი... არ ვიცი, მთლად ბოლო არ ვიყავი მგონი, მაგრამ ჩემ წინ სამ-ოთხ ოფლიან ზურგს ყოველთვის ვხედავდი...

კარგი იყო! გაშლილი ეზო. 180 გრადუსიანი ხილვადობა – თითქმის გამჭვირვალობას რო უტოლდება რაღაცით... ნუ, რა რაღაცით და... მაგალითად, მისანდობლობით!

ცხადზე-ცხადია, ადრე თუ გვიან, შენც სიხარულით შემოგასკდება ის მესერი, შენივე სისწრაფით რომ მორბის შენკენ. მერე რა, რომ ორი-სამი ზურგი უკვე აჰკვრია მის ახლადშეღებილ ფიცრებს, ამდენივე პირისახე შენ შემოგყურებს, მიზნამდე დარჩენილ შენს ბოლო ნაბიჯებს.

მაგარი იყო! მესერთან ყიჟინით შეხლა და ცოტა ხანს შუბლით მიყრდნობა, მერე ზურგით.

ერთხელაც, როგორ მოხდა ასე, არ მახსოვს, ყველას წინ აღმოვჩნდი... მთელი სივრცე გაერთნაირდა. სულ რამდენიმე წამი გაგრძელდა ჩემი და მესრის პირისპირ სრბოლა... ახლაც მახსოვს, როგორ კინაღამ მომახრჩო საკუთარმა გაკვირვებამ... და ვიდრე პირველად ყოფნის ამ გაკვირვებას გავიაზრებდი, სხვა გაკვირვება წამომეწია... და დღემდე მიკვირს:

უკნიდან, დღესაც არ ვიცი, რამდენი წყვილი ხელი ჩამეჭიდა პერანგზე, არ წავქცეულვარ, მაგრამ გაქცევაც ვეღარ მოვახერხე. იმ რამდენიმე წყვილმა ხელმა ის ჩემი წამიერი გადასწრება დააწერტილა. ახლაც ვხედავ, როგორ გადადგა გაოცებულმა მესერმა უკან რამდენიმე ნაბიჯი... და სამუდამოდ გაჩერდა იქ. ბავშვობაში.

**12 დეკემბერი, 2020**

ღამე ძნელია.
ბნელი კი არა,
როგორიც მისი
წესია, იყოს,
ის არის ძნელი...
სულში ფათურობს უნათურო ცის
უსხივო ხელი.
ნეტავ, რას ეძებს.
რა დავმალე
ასე სათუთი,
რა დრო, რა წუთი
მერგო საქმედ
განჩინებისა.
ძნელი ღამე
უბოდიშოდ
მიგრიხავს ხელებს,
ხსოვნას ახელებს,
ითხოვს გვარებს, წუთებს, სახელებს...
მთავარ მოწმედ
მე მასახელებს.
...
ნეტავ, რატომ,
რომელი დღის
რომელი წუთი
მექცა ამ წყევლად.
...
ღამე ძნელია.

...

და ცხოვრებაც...

ქცეული ღამედ.

**12 დეკემბერი, 2020**

რძისფერი ნისლით სავსე თავში კიდევ ერთი მოგონება სკდება ბატიბუტივით.

უკვე რომ მკვდარი გგონია თავი და გირეკავენ, ცოცხალი ხარო... იცოცხლებო...

ცხელი ტვინის ეს ბატიბუტური გატკაცუნება შემოწმებადია... მეტი რა საქმე მაქვს. აი, გრძელი სია დანარეკების.

ვნახოთ ზარები შორებელი ახლობლებისგან....

თუ თვით...

...

მართლაც უამრავ ვინმეს დაურეკავს. იმ ყველაზე მძიმე წუთებში კი, როცა უკვე მკვდარი მეგონა თავი, 29.11. ღამის 2.55-ზე. აი, ნაპასუხევი, უმზეო ცაზე ელვასავით გასმული ზარიც.

...

სიტყვებიც მახსოვს:

ახლა გავიგე, კარგად იქნები, არ ვიცი, რა გინდა, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებ!

...გაკვირვებისგან გავცოცხლდი, ხალხო!

გიორგი კეკელიძე • Giorgi Kekelidze[69]

...

ახლაც იმ გაკვირვებით ვაკვირდები ახალაღიარებულ სიცოცხლეს.

გიორგი, ეს ყველაფერი, ხომ მართლა იყო?

---

[69] გიორგი კეკელიძე, პოეტი, პროზაიკოსი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი 2012 წლიდან.

**13 დეკემბერი, 2020**

თუკი ოდესმე ღმერთი მომცემს ძალას, რომ რაც მანახა აღვწერო კიდეც... ალბათ ეს ღამე იქნება თხრობის დასაწყისი და არა დასასრული...

...

ოდესმე, თუ ეს მოხდა.

თუ დავიწყება ვერ შევძელი.

**14 დეკემბერი, 2020**

მოვდივარ დღეს.

ასე მითხრა ჩემმა ბუთქუჩამ გუშინ. იმედია, არ სწყინს, ეს სახელი რომ შევარქვი. მოვდივარ. ეს მათი გამარჯვებაა. ექიმების, პერსონალის საოცარი გუნდის. როცა ექთნები ექიმის პასუხისმგებლობას იღებენ ხანდახან, როცა რეანიმაციის ბლოკში შემოსული ექიმი სკაფანდრებში შეფუთულ ექთნებს და სანიტრებს ეხმარება და მათ პროტესტს პასუხობს, კარგით, რა აქ რა დროს ექიმ-ექთნის გარჩევაა... ამ დაავადების თითქმის ყველა სკნელი გავიარე. ბოლომდე გონებით. ჩემი სტატუსი – კონტაქტური პაციენტი რეანიმაციაში – იმედია, არ გახდება ჩემი მთელი ცხოვრების მოუშორებელი ტვირთი... ის, რომ ვიყავი კონტაქტური და ის, რომ, შემძლებია კონცენტრირება რამდენიმე პარალელური მიმართულებით, გახდა ჩემი გადარჩენის ხელშემწყობი..

ექიმებმა გაიმარჯვეს. მე – ჯერ ვერა.

ვიცი, როგორ დაგღალეთ. როგორ გაგახარებთ ცნობა, რომ დღეს სახლში ვიქნები. აუცილებლად წავიკითხავ ყველა მოლოცვას.

მიულოცეთ გამარჯვება გმირ ექიმებს, ვაჟკაც ექთნებს.

ლევან რატიანს, ნუნუ ლაგაძეს... პირველ საუნივერსიტეტო კლინიკას მიულოცეთ.

ერთი თხოვნა მაქვს, ნუ დამიწერთ, რომ კორონა დავამარცხე, გეჯეგზე დავდე... ეს არის ჩემი თხოვნა. მე გეჯეგზე დაგდებული, თავზარდაცემული მოვდივარ თქვენკენ პასუხისმგებლობით: რატომ ვნახე ეს ყველაფერი, რა უნდა იცოდეთ თქვენ ამ ყველაფრიდან...

მე ახლა ვიწყებ კორონასთან მთავარ გარჩევას. ალბათ ასეთი აქტიური აღარ ვიქნები.

თქვენ ყველანი იყავით ჩემთან.

**14 დეკემბერი, 2020**

დედაჩემს ყოველდღე ველაპარაკები. ერთმანეთს ვაძლიერებთ. დამპირდა, ყველაფერს დეტალურად გავიხსენებ და აღვწერო. ასე რომ, კლავიატურა უნდა გადავდო და გზა თამროს დავუთმო. მედიცინის მუშაკის თვალი სულ სხვაა.

...

**Baiso Gujabidze**

**14 დეკემბერი, 2020**

თამარ-ჩიტი მოყოჩაღდა! უკვე ლოგინზე წამოჯდა და ასეთი თან სევდიანი, თან იმედიანი, თან სიყვარულიანი და თან გედნიერი ღიმილით ელოდება შვილის სავადმყოფოდან გამოწერას.

**23 დეკემბერი, 2020**

Levani Ratiani ამ ემოციის ნაწილი ვარ 25 ნოემბრიდან... ისევ აქ ვარ, სიცოცხლისა და სიყვარულისთვის ომში, წინა ხაზზე.

ლევანის ეს პოსტი ფრონტიდან გამოგზავნილ იმ თავგანეწრული მებრძოლის წერილს ჰგავს, რომელიც გრძნობს, რომ მის ფრონტს არა აქვს „ზურგის ხაზი...“

არადა, არ არსებობს ფრონტი ზურგის გარეშე, ვერ მოიგება ასე ეს ომი...

...

ომია ქვეყანაში

**24 დეკემბერი, 2020**

ჩემი თმის
გრძელი განაყოფი
ჩემი ცხოვრების
ტრაექტორია.
...
თუ არ წავშალე,
ამ გზით შორია,
ამ გზით შორია...
...
დაბრუნების ბილიკი
ქარგავს სულ სხვა
ხაზებს და
სულ სხვა იმედებს...
რაღაცა უნდა შევცვალოთ, მარინ,
თავი ჩვენ უნდა გამოვიმეტოთ...
შენ იცი,
აწი არ იქნება
ცხოვრება ლაღი,
სხვა ცეცხლი შეძრავს

ჩვენი ზეცის
უცხო ნაპირებს...
...
ჩემი თმის გრძელი
განაყოფი.
ჩემი შუბლის
მარადი თაღი...
მემშვიდობება და განტევებას
ჩემსას აპირებს

**25 დეკემბერი, 2020**

ეს შტრიხი აკლდა მის პორტრეტს...

დღეს, შემოვლაზე საბოლოოდ დამიდასტურა: გაწერილი ხარო. ბოლო მითითებები მომცა და დამემშვიდობა, გასვლისას ჩაილაპარაკა: მაია დგებუაძის[70] დაკრძალვაზე მივდივარო...

...

ეს შტრიხი, მასწავლებლისა და მოწაფის მემკვიდრეობითი ერთობის ვექტორი, პროფესიონალის პორტრეტის უმნიშვნელოვანესი დეტალია ჩემთვის.

პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის დირექტორი სოციალურ ქსელში წერს, რომ პროფესორი მაია დგებუაძე გარდაიცვალა. ლევან რატიანი მას ემოციურ პოსტს უძღვნის:

„ასე და ასე იქნება, სიკვდილმა გაიმარჯვა სიცოცხლეზე, ეს ბუნების კანონია თითქოს, მაგრამ შეუგუებელი, მოიხედავ და ოცი წელი გასულა, რაც ერთმანეთი გაგვიცვნია და

---

70 მაია დგებუაძე, ექიმი მორფოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

დღეს კი ვემშვიდობები, ვემშვიდობები დიდი ტკივილით, ჩემს საყვარელ პროფესორს მაია დგეგუაძეს, პროფესორს, რომელმაც სიცოცხლეში ბრძოლა და თავმდაბლობის სიმბიოზი მასწავლა, მასწავლა, როგორი უნდა მიაღწიო ცოდნით წარმატებას.

ბევრი გვქონდა საკეთებელი, მაგრამ წუთისოფელმა ამ მიწიერ ცხოვრებაში დაგვაცილა, დაგვაცილა დროებით, იმის რწმენით, რომ კვლავ შევხდებით ერთმანეთს... მშვიდობით, პროფესორო...მე კი პირობას გაძლევთ, ყველა თქვენს დაწყებულ საქმეს ბოლომდე მივიყვან!

სხვისთვის უჩინარი იყო, ჩემს ცხოვრებაში ადამიანი, რომელიც მიქმნიდა წარმატების გარემოს. ღირებული სიტყვა ყოველდღიური დილით იყო „შვილო მომისმინე"...და ვუსმენდი გაჩუმებული და გულისყურით.... ესე იყო, ესე....

შენი წარმატება მახარებს და მაცოცხლებს, – ასე მეუბნებოდა... მადლობა, ჩემო პროფესორო, ყველა იმ ქმედებისთვის, რაც ჩემთვის გააკეთეთ. მე კი შეუძლებელს გავაკეთებ ღირსეულად, რომ დავასრულო ცხოვრება, როგორც ექიმმა. მშვიდობით," – წერს ლევან რატიანი.

**25 დეკემბერი, 2020**

ჩემო ძვირფასებო, სახლში ვარ, ცოცხალი ვარ და ნელ-ნელა ვაგროვებ ამ სტატუსის შესაბამის სასიცოცხლო უნარებს. დაგღალეთ. ძალიან დიდი გზებით ვიარე და ისევ აქ ვარ. სუსტად, მაგრამ მხნედ ვგრძნობ თავს. ბევრი არც წერა შემიძლია, არც ლაპარაკი, ამიტომ, ხშირად ვერ შეგეხმიანებით, თუმცა ვეცდები...

მიყვარხართ.

თქვენმა სიყვარულმა გადამარჩინა!

**21 ივლისი, 2021**

ჯერ მეგონა, რომ იმისთვის გადავრჩი, რომ ყველაფერი, ყველაფერი, რაც ვნახე და განვიცადე მომეთხრო სხვებისთვის და თუნდაც ერთი ადამიანი გადამერჩინა...

იმდენად გრძელი აღმოჩნდა გზა რეანიმაციის „ზედა სართულიდან“ ფეისბუკურ ოხშივრამდე, რომ ეს სურვილი შეგნებულად ჩავახშე ჩემში. არ იყო ადვილი მაშინ, მაგრამ ჯერ ალღომ, მერე გარემოზე დაკვირვებამ მიკარნახა. ბოლოს გადაწყვეტილებად ჩამოყალიბდა. ამ გადაწყვეტილების მიზეზებზეც ოდესმე, იქნებ მოიტანოს სიტყვამ და ვთქვა.

ახლა ამ ახალი ტალღისა და ანტივაქსერთა უგუნურების ახალი შემოტევების გამო გავბედავ, რაღაცებს გავიხსენებ იმ ბურუსიანი კოშმარიდან და ერთს შემოგძახებთ: რას სჩადით, ადამიანებო? რატომ დაემსგავსეთ საკუთარი ლეკვების მჭამელ იშვიათ ცხოველებს? ვისი სახელით? ვინც გითხრათ, რომ ადამიანი კი არ შეიქმნა შაბათისთვის, შაბათი შეიქმნა ადამიანისთვის?!

სინამდვილეში, თქვენ ის ხალხი ხართ, ვისთვისაც „ორშაბათიც შაბათია“ ამ ქვეყანაზე!

მოკლედ, ვიწყებ აქა-იქა გახსენებას. თანმიმდევრული აღწერის არც დრო მაქვს, არც ძალა.

**ვაგიფა**

როცა ახალგაზრდა მოწყალების „ძმამ“ ურიკით თეთრად გაკაშკაშებულ „დარბაზში“ შემასრიალა, უკვე ისე ვიყავი უუანგბადობით დაოსებული, კარგად ვერ ვარჩევდი რეალობას და შეგრძნებებს. ერთი პირობა, კინაღამ აფორიაქებულ ანგელოზთა ფარფატად მომეჩვენა ეს უცნაური,

ზუზუნა და მოძრავი მდუმარება. პირველი შთაბეჭდილება არ მქონია, რადგან ერთდროულად რამდენიმე ათეული იყო ასეთი: კახი კავსაძე – თეთრ ლოგინს მიჯაჭვული, ამ სიტყვის ყველა ირიბი და პირდაპირი გაგებით, თავადაც მიტკალივით თეთრი; სახეზე შიშშეყინული ინტუბირებული პაციენტები, უსიცოცხლო სხეულები (დიდხანს ვიფიქრე, ეს ევფემიზმი რომ გამომეყენებინა იმის ნაცვლად, რაც იქ ვიგრძენი), უფანჯრო ოთახის იისფერი შუქი, რომელიც კი არ ანათებს, მარად სიფხიზლედ ხმაურობს და სიკვდილ-სიცოცხლის საზღვარზე ბეწვის ბილიკს ოდნავ ხილვადობას აძლევს. სულ ოდნავს – არც ბნელა, არც ნათელია; რეანიმაციის მუსიკა – ჩაწერილი მაქვს მრავალი წუთი. ამ მუსიკას პაციენტების თავთით დაკიდებული აპარატურა გამოსცემს: წნევა, ტემპერატურა, სატურაცია, გული, თირკმელი.... სხვადასხვა ხმაზე ეხმიანება დიდი მინის ხუფის გადაღმა ჩასაფრებულ ექიმებს. ყური ეჩვევა გვიან და მერე გრძნობს, რომ ახლა ჩამოგიდგამენ მწვანე შირმას მარცხნიდან ან მარჯვნიდან, გააჩნია, ვისი მელოდია ჩაქრა სამუდამოდ აქეთა სამყაროში, ხმამაღლა იტყვიან შენს (ერთადერთი კონტაქტური ავადმყოფის) გასაგონად: წაიყვანეთ რენტგენზე... და გაუყენებენ აჭრიალებული ურიკით გზას. მისი „შემცვლელი“ კი უკვე მოგორებულია კარებთან... რიგია რეანიმაციაშიც.

მოკლედ, გამიგრძელდა.

ვაგიფა 20-22 წლის აზერბაიჯანელი გოგონაა. ჩემ მარჯვნივ, კახის შემდეგ წევს, ფანჯარასთან. სიცოცხლის ნიშანწყალი ეტყობა, ამიტომაც ვაქცევ ყურადღებას. ჯერ არც ვიცი რომ ვაგიფაა... კვნესის. მაფხიზლებს და უცნაურ ძალას მაძლევს მისი კვნესა. მავიწყდება წუთით ჩემი გასაჭირი და

მისკენაა მთელი ჩემი ყურადღება მობილიზებული. ფრაგ-მენტებად ვაგროვებ „მიხვედრებს:“ ახალნამშობიარებია, კო-ვიდიანი. ფილტვების მძიმე დაზიანებით. გინეკოლოგიური გართულებით. ბავშვი გადარჩა. ეს ძალიან მძიმე მდგო-მარეობაშია... იგუდება. ვერ სუნთქავს. ტირის. ქართული არ იცის. სულ ცოტა რუსული. ექთნებმა რუსული არ იციან. ვიღას ახსოვს საკუთარი ფილტვების 23 თუ 24 ქულიანი დაზიანება (ვინ გეტყვის მართალს): ვაგიფა! უნდა ჭამო! რაღაც მაინც უნდა შეჭამო, ასე თქვა ექიმმა! გავძახი რუსულად. – არ შე-მიძლია! – მპასუხობს, თან ხველა ახრჩობს! – ცოტა, სულ ცოტა... აი, ეს... ექთანს ვატან რაღაცას, არც მახსოვს რას. ალბათ ხილს? ხაჭაპურს? – ვერ ვიხსენებ. ერთ-ორ ლუკმას ჭამს. არ შეუძლია, ტირის. ისე ტრიალებენ, ისე შფოთავენ, ისე დასტრიალებენ, მგონი... ღმერთო! არა! – ვაგიფა! – ვყვირი მთელი ხმით – ისუნთქე, ღრმად, ღრმად ისუნთქე, არ გაჩერდე!.. – არა, ვაგიფა! ბავშვს რა ჰქვია, რა დაარქვი გოგონას? – გავყვირი ისევ (მაინც ვერავის გავაღვიძებ). – არ ვიცი, ვერ მოვასწარი სახელის დარქმევა, – მპასუხობს ძალაგამოლეული, თითქოს ახლა გაახსენდა, რომ სახელი არ აქვს მის შვილს. ვხვდები, რომ გამოცოცხლდა. ლოყებზე ფერი დაეტყო. – ვაგიფა, საყვარელო, ახლა ის მარტოა, შეშინებულია, მისთვის უნდა გადავრჩეთ, მეც და შენც. არ მიატოვო, არ მიატოვო, ვაგიფა! – ყველა დაძახებაზე კრთება და თვალს ძალისძალად ახელს. – ვაგიფა, ელაპარაკე, ელაპარაკე შენს შვილს. უთხარი, რომ გიყვარს, უთხარი, რომ გადარჩები, დამპირდი, რომ არ მოკვდები! ვაგიფა!

...

სამი, ოთხი, ხუთი... არ ვიცი, რამდენი დღის შემდეგ, ჩემს გვერდით კიდევ ერთხელ რომ ჩამოათვარეს შირმა და მერე ადგილი გათავისუფლდა, ვაგიფა ჩუმად, ხვეწნით ეუბნება ექთანს: ა მოჟნო მნე კ ეტოი ტიოტე?..

აუხსნეს, რომ ამ ფანჯარასთან თურმე იმიტომ წევს, რომ გინეკოლოგმა, რომელიც ბლოკში ვერ შემოდის, ფანჯრიდან ნახოს და შეაფასოს მისი ჭრილობები. დანანაებით გადმომხედავს. სუსტი, იისფერი ღიმილით მიღიმის.

...

მალე გადაჰყავთ სხვა პალატაში.

მადლიერების მზერით მემშვიდობება. რა იცის, მე რა მადლიერი ვარ. რამხელა როლი აქვს ჩემს გადარჩენაში.

მაშინ არ მიტირია. ახლა ვწერ და ვტირი. მაქვს უფლება.



24.

სახელი, გვარი: ალმა ალაპარაშვილი

ასაკი: 36 წლის

პროფესია: ეკონომისტ მკვლევარი

საცხოვრებელი ადგილი: რუსეთი

ინფიცირების ადგილი და დრო: რუსეთი, 08/2021

ჩაწერის ადგილი და დრო: თბილისი, 1/10/2021

ინტერვიუერი: ლისა ეოდელიშვილი

ჩემი ბავშობიდან ეგრე იყო, მამაჩემი ტრადიციულად ქალაქიდან არ გადიოდა, რჩებოდა მარტო სახლში და ჩვენ მივდიოდით დასასვენებლად. მამაჩემს პროდუქტები ჩამოჰ-ქონდა კვირაში ერთხელ მანქანით და უკან მიდიოდა... და ეგ მახსოვს, რომ სულ ველოდებოდი, სახლში რომ დავბრუნდე-ბოდით, რაღაც დაგვხვდებოდა ახალი, ხისგან გაკეთებული. მაგალითად, სახლში გვაქვს ნარდი, რომელიც მამაჩემის გაკეთებულია, კარადა, წიგნების თარო, რომელიც ბოლოს ჩემთვის ააწყო. ეტყობა, ქარხანაში მიქონდა, იქ ჩარხები ქონდათ, დეტალებს ამუშავებდა და მერე სახლში აწყობდა.

ბოლო წლები კი ძალიან გაპასიურდნენ ჩემები, განსაკუთრებით – მამაჩემი. მიასთენიის დიაგნოზი ჰქონდა, თავიდან ქუთუთოს კუნთები მოუდუნდა და თვალებს ვერ ახელდა, აესე იყურებოდა ხოლმე (თავს უკან წევს და თვალებს ნახევრად ახელს – ც. გ.). 2014-ში დაუმძიმდა მდგომარეობა. მანამდე დედაჩემს ქონდა თირკმელებზე პრობლემა, მე და ჰამლეტი[71] ხელს რომ ვაწერდით 2013-ში, დედაჩემი აი, ესეთი გახდა (საჩვენებელ თითს წევს მაღლა – ც. გ.), მსუქანი არასოდეს ყოფილა, მაგრამ თეთრი ფუმფულა ქალი იყო ყოველთვის. დედაჩემის სხეულის სირბილე და სიფუმფულე სულ მახსოვს. მაშინ კი ისე გახდა, რომ ესეთი გამხდარი ჩემს მეხსიერებაში არ ყოფილა.

2015-ში, ალექსა[72] პატარა მყავდა, რომ უცებ დამირეკეს, მამას ოპერაციას ვუკეთებთო... ჯერ თიაქარის ოპერაცია იყო. ამის შედეგად სისხლძარღვებში გართულდა თრომბი და ისე მალე მოუწია მეორე ოპერაცია, რომ მე მეორესთვის ჩამოვედი. მახსოვს, პალატაში რომ შევედი, მამაჩემი ვერ ვიცანი. პირველად იყო, როცა ვნახე, რა ემართება ადამიანს საავადმყოფოში – აბსოლუტურად შეცვლილი, დასუსტებული, მამაჩემი ის მამაჩემი აღარ იყო. რომ გამოვიდა, მე უმეტესად არ ვიყავი სახლში და ეს იყო ჩემი დიდი დანაკლისის განცდა ჩემს დასთან, რომ მე ვერ ვეხმარებოდი. სულ იყო ოჯახში, რომ მამაჩემს სულ რაღაც გეტრები უნდა სცმოდა, რაღაცა რეჟიმი უნდა დაეცვა, რომელსაც არ იცავდა. დედაჩემი ამბობდა, რომ უნდა იწვეს და ფეხები ზემოთ ელაგოს და არ მისმენს, არ მიჯერებსო...

---

71 რესპონდენტის მეუღლე.

72 რესპონდენტის ქალიშვილი.

მამა კი სულ იჯდა და ტელევიზორს უყურებდა. თანდათან შეწყვიტა მოძრაობა, თავიდან იყო, რომ ჩადიოდა მარტო ეზოში, დომინოს თამაშობდა მეზობლებთან. ბოლო ორი წელი მაგასაც აღარ აკეთებდა, ოთახიდან არ გადიოდა. წელს როცა ჩამოვდიოდი, ვამბობდი, მამაჩემმა ხელი ჩაიქნია-მეთქი და ამაზე სულ მეჩხუბებოდნენ, თვითონაც წამოენთებოდა ხოლმე, რას ამბობ, რა ხელი ჩავიქნიეო. აბა, რა ქვია, მამა ამ შენს საქციელს?! – ვეკითხებოდი. ერთი, რითაც მის გაპასიურებას ვამართლებდი, ის იყო, რომ მეჩვენებოდა, ძალებს უფრთხილდებოდა, რაც შეიძლება გვიან რომ გამხდარიყო ჩვენი მოსავლელი, რაც შეიძლება დიდხანს შეძლებოდა საკუთარი თავის მომსახურება.

2019-ში ჩემთან (ერევანში – ც. გ.) წავიყვანე, იქ ლიფტი არ გვაქვს და მახსოვს, კიბეებზე რომ ამოდიოდა, ფეხებს ხელით წევდა, ძლივს ამოვიდა. ჩვენი საძინებელი დავუთმეთ და ვცდილობდით, ყველანაირი კომფორტი შეგვექმნა, ისე, რომ ტუალეტში სიარულიც არ მორიდებოდა. ნაირ-ნაირს ვუმზადები, როცა ალექსა ბაღში მიდიოდა და მარტო ვრჩებოდით, ბევრს ვსაუბრობდით ძალიან თბილად. ვიცოდი, სერიალები უყვარდა პოლიციელებზე და მოდი, ეხლა მაგარ სერიალს ჩაგირათავ-მეთქი და ასეთებს ვუძებნიდი და ვურთავდი, მაგრამ ერთ კვირაზე მეტხანს ვერ გაჩერდა მაინც. ის ერთი კვირაც ისე გაატარა მე-5 სართულზე, სახლიდან არ გამოსულა. სინამდვილეში, მე კარგი ურთიერთობა მქონდა მამაჩემთან, დედაჩემზე უფრო კარგი. მაგალითად, მამაჩემს კრიტიკის მიღება ყოველთვის შეეძლო, დედაჩემს – ცოტა ნაკლებად. ამის გამო მამაჩემთან უფრო ვახერხებდი ორმხრივ საუბარს.

ამ ზათხულს კი, ჩემი მუდმივი სინდისის ქენჯნის გამო, რომ აქ არ ვარ და ჩემს დას ვერ ვეხმარები, დედაჩემი წავიყვანე სოფელში[73] ამჯერად. სოფელი თბილისსა და ერევანს შორისაა, უფრო მალე მიხვალ, 3 საათის გზაა. დედაჩემი არ იყო მამაჩემივით, კი მალე იღლებოდა, მაგრამ პროდუქტების მოტანაც შეეძლო და საკუთარ თავს თვითონ უვლიდა. ეს ორი კვირა რომ მყავდა, არ ვიცი, ცხოვრებაში ასე არ მომფერებია. სულ მქონდა განცდა, რომ დედაჩემმა ახლიდან აღმომაჩინა. ჩვენი საუბრების შემდეგ ამბობდა, ეხლა მარტო შენ გესმის ჩემიო. სოფელში ყოფნის დროს ესე უცებ მოვიდოდა და მკოცნიდა და მეფერებოდა.

ამ სოფელში მე და ჰამლეტი შარშან წავედით აპრილის მეორე ნახევარში. მახსოვს, მადლობას ვამბობდი ჩემთვის, რომ ჩვენს ოჯახს ჰქონდა მაგის შესაძლებლობა, რომ ქალაქის ბინას გავცდით. ჰამლეტი სულ ამბობდა, ალბათ, რა დრეში ხარ, რომ ამ ძველ სახლში ცხოვრობო და ვერაფრით ვერ დავაჯერე, რომ არა, ბედის მადლობელი ვარ და შენი, რომ მაგის საშუალება გვაქვს, სუფთა ჰაერზე ვიყო და ბავშვი ეზოში დარბოდეს.

2020-ში ვამჩნევდი, რომ ზოგადად ესე მოხდა, გავარდა ყველა ქალაქიდან, სოციალურ ქსელებში დაიწყო მერე ფოტოების ფრიალი, ვინ როგორი პამიდორი მოიყვანა და როგორი მებაღეები გახდნენ უცებ. მაგაზეც ბევრს ვფიქრობდით მე და ჰამლეტი, როგორ იცვლებოდა ცხოვრების წესი მთელ მსოფლიოში. 2020 რომ მთავრდებოდა, საახალწლოდ ხალხი წუწუნებდა, რომ ვერ გადიოდნენ, ვერ

[73] გულისხმობს ქალაქ ბერდს, რომელიც ტავუშის ოლქში, ერევნიდან 211 კილომეტრში მდებარეობს.

მიდოდნენ მეგობრებთან ერთად და აღნიშნავდნენ დღესასწაულებს. მაშინ **სოციალურ ქსელში ხუმრობაც გაჩნდა, უცებ რომ აღმოაჩენ, შენი ცხოვრების წესს კარანტინი რქმევიაო** (იცინის – ც. გ.). მე, რომელიც არ ვარ დიდად გარეთ მოსიარულე ადამიანი და სრულიად საკმარისია, კვირაში ერთხელ მეგობართან კაფეში დავჯდე სალაპარაკოთ, ეს ღამის ჩაკეტვები აბსოლუტურად არ მაწუხებდა. **ანუ, ჩემი ცხოვრების წესი იყო კარანტინი ისედაც.**

ჰამლეტის ბავშობის ეს სოფელი, პრინციპში, ქალაქია, რაიონის ცენტრია. არის ეგეთი რეგიონი ტავუში, და ესაზღვრება ერთი მხრივ საქართველოს, მეორე მხრივ აზერბაიჯანს, რაღაცნაირად არის შეჭრილი ამ ორ ქვეყანას შორის. ყარაბაღხისგან კი შორს არის, აზერბაიჯანი პრეტენზიას არ აცხადებს ამ ტერიტორიაზე, მაგრამ მუდმივად არის ეს „გადაწიე-გადმოწიე“. ყარაბაღში[74] როგორც კი დაიძაბებოდა სიტუაცია, აქ იკეტებოდა გზები, სოფელშიც სულ ისმოდა სროლის ხმა. თავიდან რომ ვკითხულობდი, რატო ისმისმეთქი და – ვარჯიშობენ, სამხედრო ბაზაა ახლოსო... შეეჩვია ყური ამას, რომ პერიოდულად „დ-დ-დ-დ“ ისმის საღღაც შორს ყრუდ. მერე, თურმე დაიწყო ეს კონფლიქტი, მე ვერ ვაქცევდი ამ სიახლეებს ყურადღებას. ერთ დღეს ჰამლეტმა თქვა, რაღაც ხდებაო. მერე მეც დავუგდე ყური და მივხვდი, რომ ჩვეულებრივი წვრთნების ხმა არ იყო, სროლის ხმა გახშირდა, ხან მიწყნარდებოდა, მაგრამ ისევ იწყებოდა და ამას ათეთქებების ხმაც დაერთო. ხმები თან ახლოვდებოდა და ერთ საღამოს ჰამლეტმა, – მოდი, ჩავლაგდეთო.

---

74 ისტორიული რეგიონი ამიერკავკასიაში. 1923 წლიდან ავტონომიური ოლქი აზერბაიჯანის შემადგენლობაში.

ერთი პერიოდი ლტოლვილებთან ვმუშაობდით და ერთი რესპონდენტისგან მახსოვს, ბოლო წუთამდე რომ არ გადიან სახლიდან, არ ჯერათ, რომ მათ თავს მოხდება ეს ამბავიო, – ეს მომენტი იყო ალბათ. ძაან არხეინად ვიყავი მეც. იმ საღამოს მაინც ჩავლაგდით. მეორე დილას ჰამლეტი დაკავებული იყო კომპიუტერთან და ამ ყოყმანში, რომ დავრჩენილიყავით და გაეგრძელებინა მუშაობა თუ წავსულიყავით და ერევანიდან ჩართულიყო, უცებ, – არა, არა წავიდეთო!.. თან, როგორც ჩანს, სიახლეებსაც უყურებდა. ჩალაგებული გვქონდა ყველაფერი, უბრალოდ ჩავაბარგეთ მანქანაში და რომ ჩამოვედით მანქანასთან, ჰამლეტმა რაღაც დამრჩა სახლშიო და მეც კიბეებზე ავედი, ეს რაღაც ავიღე და... ჩვენი სახლი მდინარის ერთ მხარეს ფერდობზეა, ჩვენს წინ ფერდობზე კი დგას ძველი ფაბრიკა, „პრომხოზს“ ეძახიან. ეხლა იქ, როგორც ჰამლეტი ამბობს, ხელთათმანებს კერავენ. არ ვიცი, რა ეგონათ მტრის ბანაკში, ალბათ, რამე სამხედრო დანიშნულების შენობა და ჩემი მოსაზრებით სამიზნე იყო და უცებ „წზზზზზზ“ და „ბუჰ“. და სანამ ეს „წზზზზზზ“ გესმის, არ იცი, „ბუჰ“ სად იქნება, ანუ სად დავარდება ბომბი. შეიძლება შენს თავზეც დავარდეს. ჰოდა, ეს „ბუჰ“ იყო ამ ფაბრიკაში, დაიწყო ზრიალი შუშებმა, ჩვენი სახლი შუშაბანდია სულ, მეთქი რას შვრებიან ეს (ყვირის – ც. გ.)... და ჩამოვირბინე. ჰამლეტმა: არა, არ წამოხვიდე მანქანისკენო და შეგვყარა სარდაფში, პირველ სართულზე. მე დღემდე ჩემს შეცდომად მიმაჩნია, რომ ემოციებს მივეცი გზა, ცრემლები მომაწვა, შიშმა შემიპყრო და ეს დაინახა ბავშვმა. ამაზე უფრო შეშინდა, თორემ ცოტა რომ შემეკავებინა თავი, მისთვისაც უფრო მსუბუქად ჩაივლიდა ეს ამბავი. ეს გამეორდა კიდევ

ორჯერ, კიბიდან დავინახე გადასწვრივ ფერდობზე რომ ავარდა კვამლი. მეორე ბომბი უფრო ახლოს დაცემულა ფაბრიკასთან, მაგრამ მსხვერპლი არ მოყოლია. მერე იყო ცოტა სიწყნარე და ჰამლეტმა მოდი, მოდი ჩქარა გავიდეთო, მანქანისკენ წადით და თუ რამე იყოს, დაწექითო და ეს შიში მახსოვს. წავიყვანე ბავშვი და მანქანისკენ გზაზე კიდევ მესმის ეს წუილი. გავჩერდი, მანქანა რას გვიშველიდა, თუნდაც შეგვესწრო. ბავშვი ისევ უკან გავქაჩე სარდაფისკენ და აღარ ვიცი, რა ვქნა. ისევ სადღაც შორს დავარდა. ჩავსხედით მანქანაში და სხვა გზით წავედით ერევნისკენ, რომელიც ძველია, მიგდებული და ძაან მაღლა ადის ზაფხულის საძოვრებისკენ. მთებში ადიხარ და სევანთან[75] ჩამოდიხარ. იქ შევამჩნიე, რო მთელი კოლონა წავიდა სოფლიდან, ვისაც შეეძლო ყველა წავიდა, მაგრამ ძაან ბევრიც დარჩა.

წავედით ერევანში და მაგ დროს დავიწყე ფიქრი, რომ უნდა წამოვიდეთ საქართველოში. უკვე ვიცოდით, რომ მარტივი აღარ არი საზღვარზე გადასვლა, უნდა დაგეწერა რაღაც მიმართვა ჯანდაცვის სამინისტროს მეილზე, რომ მინდა თვითიზოლაცია. კი შევავსე, მაგრამ თურმე, კიდევ რაღაც წინასწარი ზომები უნდა მიმეღო. ჩემი წინასწარი ზომები იყო, რომ დავრეკე ჩემს დასთან და მეგობართან და ვთხოვე, დაერეკათ სასაზღვრო პოლიციის ცხელ ხაზზე და გაერკვიათ, – რაკი ბავშვით მოვდივარ საზღვარზე, რას უნდა ველოდო, რამდენ ხანს გამაჩერებენ, საჭმელი წამოვიღო თუ არა, წყალი რამდენი წამოვიღო... ორივეს ცალ-ცალკე უთხრეს, რომ შეიძლება მოუწიოს მაქსიმუმ ორი საათით გაჩერება, რაღაც პერიოდულობით მანქანა მოდის და გა-

[75] ტბა სომხეთში.

დაყავს ხალხი საზღვრიდან კარანტინშიო. კაი, წამოვედით. ჰამლეტმა გადაწყვიტა, რომ ჩვენი ლამაზი და კარგი გზა ერევნიდან, რომელიც მოდის დილიჯანზე[76] და სევანზე უკვე საფრთხის შემცველი იყო და მეორე გზით წამოვიდა, რომელიც ალაგ-ალაგ დანგრეულია. ჰამლეტი სწრაფად მოდიოდა, მოსრიალდა მანქანა, ამან საჭე ვერ დაიმორჩილა და ცხვირით ჩაიჩეხა, ლოდს დაეხეთქა. გადავრჩით, მაგრამ მანქანა გაფუჭდა, „დინამო“ დაიმტვრა. ეს ყოველთვის მაკვირვებს ყველგან, ეგრევე კაცები რომ ჩნდებიან მაგ დროს. იქაც რამდენიმემ გააჩერა, მოვიდნენ და დაიწყო მანქანის ამოყვანის და პროფილაქტიკამდე მიყვანის მთელი ოპერაცია. მაგ ამბავში ვაფასებ ამ კაცებს (იცინის – ც. გ.), ეგრევე გაჩნდებიან ხოლმე იქვე, უცხოები, თავისთვის რო მიდიოდნენ. მოკლედ, პროფილაქტიკაში ვერ შეაკეთეს და ჰამლეტის ერთერთმა თანასოფლელმა, რომელიც ახლა იქვე ცხოვრობდა, მიგვიყვანა საზღვრამდე. იქედან იოლად გადმოგვიშვეს, მდინარე დებედაზე[77] ფეხით უნდა გადმოხვიდე ხიდზე, საკმაო მანძილია ქართულ პუნქტამდე. ივლისის ბოლოა, სიცხეა, ბორბლებზე იყო ჩემი ჩემოდანი, მაგრამ ორი მქონდა ეგეთი, კიდევ მძიმე რუგზაკი და კიდევ ბავშვი... ძლივს მოვდივარ და კიდევ ტრაილერები, დგანან ეს ათუხთუხებული ტრაილერები და მათ გვერდით მოდიხარ. ბუღია, ქართულ პუნქტზე თანამშრომელმა დაგვინახა და ვიღაცას გადასცა, – მოდიან ქალი და ბავშვიო. მივედი, ვნახე, რომ კარი არ იღება, სენსორებზე რომ არი კარი, ისეთი. ვდგავართ ესე, კაციშვილმა არ გამოიხედა, საშინლად ცხე-

---

76 ქალაქი სომხეთში, ტავუშის ოლქში.

77 მდინარე სომხეთსა და საქართველოში.

ლა, შიგნით დავიწყე ყურება. ვხედავ, ხალხია. ვიღაც ბიჭ-მა მოტვინა და შიგნიდან მოადგა კარს. გაიღო. აგაშენა ღმერთმა-მეთქი!.. კიდევ კაი, თორემ არავინ იყო ჩვენი პატრონი და ვიდგებოდით ეგრე სიცხეში. შევედით თუ არა, მესაზღვრემ საიდანღაც, ალბათ შვიდი-რვა მეტრის იქიდან, ისე, რომ მარტო ხელი დავინახე კაცის, მანდ გაჩერდიო, მანიშნა. გავჩერდით, გავიდა დრო და როდემდე უნდა ვყო-ფილიყავით, არ ვიცი. არავინ არაფერს მიხსნიდა, ეს ხალხიც იჯდა. ძირითადად სომხები იყვნენ. ვიდექი, ვიდექი, ვიდექი და მივედი: რა ხდება მეთქი?.. და უნდა მოვიდეს ექიმი, მერე 6 საათზე მოვა მანქანა და წაგიყვანთო. არადა 12 საათია. არ ვიცი, გენაცვალე, – მესაზღვრე მეუბნება, – მე რო აქ ვზი-ვარ, 6 საათზე ადრე მოსული მანქანა მე არ მინახავს, აბა რა ვიცი, არ მოვა მანქანა 6-მდე!.

იქ რა აღმოვაჩინე იცი? ჩვენი სისტემა როგორ მუშა-ობს – ზემოდან ქვემოთ მარტო. აქ, ქვემოთ რა ხდება, ზე-მოთ არ აინტერესებს არავის. ეგება კითხო რა, შე მამაცხო-ნებულო, მანდ, ქვემოთ რამე ხო არ არი შესაცვლელი, რამე ხო არ გაწუხებთ?.

ეტყობა, ამ ავარიამ, სიცხემ, რასაც ძალიან ცუდად ვიტან, ისეთი გამხადა, რომ დავიწყე ისტერიული ტირილი, სულ მაკანკალებს. ესენი გაშტერდნენ. დავიწყე იმ ცხელ ხაზზე რეკვა, სადაც ჩემი და და მეგობარი რეკავდნენ მანამ-დე. იცოდეთ, რომ 6 საათზე ადრე არანაირი მანქანა არ მოდის და ხუთი დაგროვდება თუ ორმოცდაათი ყველას იმ ერთ მანქანაში ტენიან-მეთქი. მართლაც, ოცდახუთი კაცი შეგვტენეს მარშუტკაში და კაცები, ქალები, ბავშვები და ჩან-თები, ყველა ერთამნეთს ვასხედით თავზე. რა კარანტინზე

და რა დისტანციაზე იყო საერთოდ იქ საუბარი?!. სანამ ის მანქანა მოვიდოდა, ამასობაში აქ ხალხი გროვდება, თვეების ბავშვი, რომელსაც ვერ აწყნარებდნენ... მე ვეღარ ვწყნარდებოდი და კიდევ ხალხსაც ვაბუნტებდი. გასაოცარი ის იყო, რომ სასაზღვრო პოლიცია მეუბნება, რომ საკარანტინე მანქანა ეკუთვნოდა ჯანდაცვის სამინისტროს და სასტუმრო კიდევ ეკუთვნოდა ტურიზმის დეპარტამენტს. ანუ ეს სამი, თუ კიდევ იყო იქ სხვა სტრუქტურაც, ერთმანეთთან კავშირში არ იყო. სასაზღვრომ არ იცის, მანქანა როდის მოვა. მანქანამ არ იცის, რომელ სასტუმროში უნდა წაგიყვანოს და აესე... ასე მუშაობენ და ზარზე ყველასთან, ყველა სტრუქტურაში კუთხეში რო მიაყენებ, ეს პატარა გოგოები გპასუხობენ საწყლად, – რა ვიცი, აბა, რა ვიცი... და მერე შენც გეცოდება, – აბა, ამას რა ვუთხრა, რა შუაშია?! ერთი ჩემნაირი გოგო ზის იქ, ტელეფონზე საპასუხოდ. მერე გამოვიდა ამ პუნქტის ხელმძღვანელი და წავიდა ამ ჩვენი მმართველი პარტიის დიდაქტიკა, რომ ჩვენ უნდა მადლობა გადავუხადოთ ჩვენს ხელისუფლებას, რომ ამის საშუალება არი და რომ სასტუმროში გადახვალთ და სამჯერადი კვება გექნებათ და თუ შეიძლება, დავიცვათ წესები და, და, და...

მოკლედ, ექსვზეც არა, შვიდის ნახევარზე მოვიდა მარშუტკა, შევეტენეთ ყველა და წავედით სასტუმროში. რუსთავის შესასვლელთან ავტობაზრობაა დიდი, იქვეა სასტუმრო. ლიფტიც არ იყო, ხელით ავათრიე ბარგი, სასტუმროს პერსონალი ხელს ხო არ მოკიდებდა, კარანტინში ვიყავით! მანქანაში ერთმანეთში რომ ავირ-დავირიეთ, ეგ არავის არ აინტერესებდა. იქნებ, რა გადავდეთ ერთმანეთს?! შევედით ნომერში, ძალიან, ძალიან პატარა ოთახი იყო და

ყველაფერი ჭუჭყიანი, მტვრიანი. აბაზანაში, კაფელზე და ყველაფერზე – ჟანგი და ჭუჭყი, საწოლის გადასაფარებელი – ამხელა ლაქით (გაშლილი ხელებით ჰაერში ხაზავს დიდ წრეს – ც. გ.), თან ალექსა აძვრა ზედ და ხტუნვა დაიწყო, რომ წარმოვიდგინე რამხელა ბუღი დადგა მტვრის, რომელიც ჩაგვდიოდა ფილტვებში. უნიტაზის ბაკი იყო გაფუჭებული და ყველა ჩარეცხვაზე უნდა ახადო, ტივტივა ჩააგდო, რომ ბაკი გაივსოს. საჭმელზე აღარ მაქვს ლაპარაკი, იაფასიანი სოსისი და რაღაცა ეგეთები. ხო, კიდევ რა იყო: რაღაც მომენტში დამლაგებელმა მომიკაკუნა, გაბრაზებულმა, ფურცელი გამომატანეს შესავსებადო და თავი რომ გამოვყავი, ხალხს სავარძლები ჰქონდათ დერეფანში გამოტანილი და მიდიმოვდივარ, საჭმელი გაიტანე-გამოიტანე, აზრები გაცვალე და აესე ცხოვრობდნენ, რა კარანტინი, რის კარანტინი!

ის ხომ მქონდა ჩახსომებული, მეც კახელი ვარ (იცინის – ც. გ.), რომ ხელისუფლებას მადლობა უნდა გადავუხადოთო და მეორე დღეს გადავუღე სურათები ყველაფერს და დავდე ფეისბუქზე. სხვათაშორის არ მიხსენებია სასტუმროს სახელი, არც ადგილმდებარეობა, უბრალოდ დავწერე, მე რომ მარტო ვიყო და 5 წლის ბავშვი არ მახლდეს, ჯანდაბას, გავძლებდი, როგორც მანქანის საყიდლად ჩამოსული მძღოლი-მეთქი. უცნაური ის იყო, რომ ამ პოსტის დადების მერე დაიწყო ზარები ჩემს ტელეფონზე. ჯერ სასტუმროს ადმინისტრატორი მირეკავს: ტურიზმის დეპარტამენტიდან დაგვიკავშირდნენ, რომ თქვენ ჩვენს სასტუმროზე იჩივლეთო, (მხრებს იჩეჩავს და ხელების მოძრაობით მიანიშნებს გაუგებარ სიტუაციაზე – ც. გ.) არ მიხსენებია სასტუმრო, პერსონალთან არ მაქვს პრეტენზია, ჯიგრები

ხართ, კარგები ხართ-მეთქი, – დავაწყნარე. ცოტა ხანში მირეკავს მენეჯერი ბოდიშებით, რომ დეზინფექცია ჩატარდაო. რას მეუბნებით, დამლაგებელი შემოვიდა, აბლაბუდები არ ჩამოწმინდა და დეზინფექცია ჩაატარა? მერე დამირეკეს ტურიზმის დეპარტამენტიდან. ყოველი ზარის შემდეგ წარბები თანდათან შუბლზე ამდიოდა: რა ხდება, **ერთი პოსტი დავწერე და ყველა ეს სტრუქტურა, რომლებმაც ერთმანეთის არ იციან, ვინ რას აკეთებს, ყველა ერთბაშად დაკავშირდნენ?**

მთელი მეორე დღე ამ რეკვებში ვიყავი და თან პარალელურად ალექსასთან თამაშში, შუალედებში ცივ-ცივ სოსისებს ვჭამდით და მეორე დღე ისე გავიდა, ვერც გავიგე. ამასობაში ანა არღანაშვილმა[78] მომწერა, რომ ჯანდაცვის სამინისტროსთან დაქვემდებარებული საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი განაგებს ამ კარანტინს. არა სასტუმროების კეთილმოწყობას, ეს ტურიზმის დეპარტამენტის ყოფილა, არამედ გადასვლა-გადმოსვლას და თვითიზოლაცია-კარანტინს. ბოლოს, საღამოს მირეკავს ამ საგანგებო სიტუაციების დეპარტემენტიდან ქალი და მეუბნება, რომ გადამიყვანენ სხვა სასტუმროში, თბილისში და რამე ხო არ მინდა კიდე! და ამ „რამე ხო არ მინდა კიდე“-ზე ვპასუხობ, რომ „თქვენი ჭირიმე, ისეთ სასტუმროში გადამიყვანეთ, რომ აივანი ქონდეს.“ არ იყო ჯერ დაღამებული, მოგვაკითხა დიდმა მინივენმა და მე და ალექსა დიდი პატივით გადაგვიყვანეს სადღაც ავლაბარში, სასტუმროში, რომელსაც ყველა წესი ჰქონდა დაცული: შესასვლელში იყო დეზობარიერი, ბარიერი ჩემსა და თანამშრომელს შო-

[78] უფლებადამცველი, ორგანიზაცია „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის“ წარმომადგენელი.

რის, სადენზიფექციო ხსნარი, ნიღბები ეკეთათ თანამშრომ-ლებს და ყველაფერი, რაც არ იყო წინა სასტუმროში. კარგი სასტუმრო იყო, ნომერიც მოზრდილი, კომფორტული და სუფთაც. ფილმებში რომ ხდება ხოლმე, კაი კომფორტულ ადგილას რომ შედის პერსონაჟი, ისე. დაიწყო ალექსამ ხტუნაობა საწოლზე: აუუ, დეეე, რა მაგარიაააა! კვებაც იყო ძაან მაგარი, გეგონება, მართლა ბებიამ გააკეთა ოჯახშიო, ეგეთი საჭმელი მოქონდათ. ალექსას დაამახსოვრდა ეს, როგორც საუკეთესო არდადეგები, აღარ უნდოდა წასვლა. აივანი გვქონდა ოღონდ ძაან სასაცილო. მეორე დღეს მოგვაკით-ხა რადიო თავისუფლებიდან ფოტორეპორტიორმა, რომ ჩვენთვის სურათები გადაეღი, ეგონა, აივანი გვქონდა და სინამდვილეში, აგურებით ისე იყო ამოშენებული, შუაში თითო აგური რომ არი გამოტოვებული. რომ მირეკავდა, სად ხართ, ხელი დამიქნიეო, ხელის გაყოფა მინდოდა და ცერა თითი აღარ გამეტია, ასეთი სურათი დაადეს სიუჟეტს (იცინის – ც. გ.) ინტერნეტში, აგურებს შორის გამოყოფილი თითები რომ ჩანს რომელიღაც სართულზე. იმ ჩინოვნიკ ქალს უკან დავურეკე, მადლობა რომ მეთქვა. ამ ქალთან საკმაოდ გულახდილი ლაპარაკი გამოგვივდა. თვითონაც გამიზიარა, როგორ უჭირთ ამ სიტუაციაში მუშაობა, გაგიგეთ მეთქი, მაგრამ მაინც არ იყო სასიამოვნო ის ყველაფერი, თუნდაც ის ჩვილი ბავშვი, რომელიც იმ სასტუმროში დარჩა, ჩვენ რომ გადმოვედით. ის ოჯახი ჯერ კიდევ სასაზღვრო პუნქტზე დამამახსოვრდა, ბავშვს რომ ვერ აწყნარებდნენ, პლედი ამოიღეს ჩემოდნიდან, ჩააწვინეს ბავშვი და დედ-მამა ასე აქნავებდა, რომ დაეძინებინათ. სინდისი მქეჯნიდა, ჩვენ რომ მოვდიოდით და ისინი რჩებოდნენ. მერე ვცადე

მათი ბედის გარკვევა, უკან ვრეკავდი სასტუმროში, რა ქნეს-მეთქი, მაგრამ არავინ აღარ მიპასუხა.

რამდენიმე დღე გავატარეთ სასტუმროში და მერე გადავედით სახლში, ოღონდ იმ პრობით, რომ მამაჩემი, მიუხედავად იმისა, რომ მეტი წილი იწვა, სანამ მე და ალექსას კარანტინი დაგვიმთავრდებოდა, გადავიყვანდით ბიძაჩემთან და იქ იცხოვრებდა. იმ ბიძასთან, რომელიც წელს, მაისის ბოლოს მოხვდა კოვიდ კლინიკაში, კლინიკის მერე ძაან დამძიმდა და გარდაიცვალა სახლში. ბიძაჩემის მერე სულ ვფიქრობ, რომ ეს კოვიდსტატისტიკა კიდე სრული არ არის. ამ გარდაცვლილების რიცხვს გვეუბნებიან, ვინც საავადმყოფოშია, ბიძაჩემი კოვიდის მერე გარდაიცვალა, მაგრამ არსად არ აღრიცხულა სტატისტიკაში. რა ვიცით, კიდევ ეგეთი რამდენია, გაწერიდან 3-4 დღეში რო კვდება. ეს ამბავი გავიგეთ მე და დედამ სოფელში, როცა ჩემთან მყავდა წაყვანილი სომხეთში. ბიძაჩემი ზუსტად თანატოლი იყო დედაჩემის, ორივე – ერთი წლით პატარები მამაჩემზე. მერე მითხრა დედაჩემმა, ძაან მიყვარდა, ყველაზე მეტად მაზლებშიო. ჩემმა დამ დარეკა, რომ გარდაიცვალა მირიანიო და მაშინვე დამარტყა, რომ მამაჩემი რას იგრძნობს, იმიტომ რომ გიუდებოდა ამ თავის ძმებზე. ბევრი ვიტირეთ მე და დედამ. წავიდეთ-მეთქი, დედა, და გადავწყვიტეთ წამოვსულიყავით და დავმშვიდობებოდით. ეხლა ხო აღარ არის ესე მარტივი საზღვარზე გადმოსვლა. ვაქცინირებული ვარ მეც და ჰამლეტიც, მაგრამ საქართველო სახმელეთო საზღვრის გადმომკვეთ ადამიანებს, მათ შორის ქვეყნის მოქალაქეებს არ იღებს ტესტის გარეშე. მე რომ სომხეთში გადავიდე, რაკი ვაქცინაციის ფურცელი მაქვს, მიშვებენ ჩვე-

ულებრივ, აღარ მეკუთვნის აღარც კარანტინი და აღარა-ფერი, მაგრამ იქიდან აქეთ რაკი სახმელეთო საზღვარს ვკვეთ, ამიტომ მთხოვენ ტესტს, რომელიც ღირს ასი ლარი და ზემოთ. რომ შემოდიხარ, ორი ვარიანტია: ან 3 დღის მერე იკეთებ გამეორებით ტესტს და ხარ თავისუფალი ან ზიხარ 8 დღე იზოლაციაში. დარღვევისთვის არის 2000 ლარი ჯარიმა, რომელიც, რასაკვირველია, არავის არ უნ-და რომ გადაიხადოს. მოკლედ, სოფელში მოვახერხეთ და გავიკეთეთ ტესტები მე და დედაჩემმა, წამოვედით და გავა-ცილეთ ბიძაჩემი. უფრო მეტად კი მამაჩემი მედარდებოდა, კაცებმა ხო არ იციან ემოციების ჩვენება. თან მამაჩემმა არ იცოდა არასდროს ლაპარაკი, უნდა ამოგექაჩა და თუ ამო-ქაჩავდი, იწყებოდა ტირილი. კაცები ვერ უმკლავდებიან ემო-ციებს, ტირიან და მერე რცხვენიათ. დავუჯექი და გამოვკით-ხე, გავახსენებინე ბავშობა და თავისი მომდევნო ძმა. მაგაზეც მოყვა მამაჩემი, პაპაჩემი[79] გმირი ექიმი იყო, ნაომარი, და-ჯილდოებული. ომიდან რო დაბრუნდა, მალარია აღმოფ-ხვრა კახეთში. სატრაბახო პაპა მყავს. გურჯაანში პუნქტი იყო სამედიცინო და ესენი, ექიმის ოჯახი იქ ცხოვრობდნენ. იქვე გზა მიდიოდა ნატა ვაჩნაძის[80] სახლთანო. ერთხელ ნატო ჩამოვიდა. იმ გზაზე, ნატას სახლისკენ, ეტყობა, მაშინდელი მანქანა ვერ აივლიდა და გადმოვიდა მანქანიდან ნატა და ფეხით მიდიოდაო. მე, სადღაც ხუთის ვიქნებოდი და მირიანი ოთხისო, მესამე ძმაზე დედაჩემი, ალბათ, ფეხმძიმედ იყოო.

---

79 დავით იოსების ძე თათარაშვილი – მესამე რანგის მთავარი ექიმი, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე; დაიჭრა სტალინგრადთან ბრძო-ლაში, როდესაც დაჭრილები ბრძოლის ველიდან გამოჰყავდა.

80 ქართველი კინო-მსახიობი, საბჭოთა ეკრანის ვარსკვლავი.

აი, ნატომ უნდა გამოიაროს, ნატომო და მე და მირიანი შე-ვასკდით ფანჯარასო. მირიანმა უცებ დაიწყოო „ნატაა, ნატაა, ნატულიიი“ და ამაზე ატირდა, მერე ხმის კანკალით ყვებოდა, ამოიხედა ნატამ და ხელი დაგვიქნიაო. მერე კიდევ რაღაცები მომიყვა მირიანზე. ჩემი სამუშაო გამოცდილებიდან ვიცი, რომ გლოვას ჭირდება დროის დათმობა და ამოთქმა. არადა, ჩვენი ოჯახის კულტურა იყო ეგეთი, არ უნდა ანახო სხვებს შენი ტკივილი, სულ ეგეთი წარმოდგენა გვქონდა. როცა შე-მეცვალა ეს წარმოდგენა და ვხედავდი, რომ მამაჩემი არ წავიდა დაკრძალვაზე – იქ რა უნდა ვქნა, მანქანიდანაც ვერ გადმოვალო და თან ტიროდა, რომ ვერ დაემშვიდობა თავის ძმას, ამიტომ მიხაროდა, რომ მაგის საშუალება მაინც მივეცი, ვალაპარაკე თავის ძმაზე და ერთად ვიტირეთ.

მოკლედ, მე და დედა რომ წამოვედით პანაშვიდზე მისასვლელად, ალექსა დავტოვე მარტო ჰამლეტთან. როცა ალექსას სოფელში მარტო ვტოვებ ჰამლეტთან, რომელიც იქ სულ საქმეშია, მეშინია. ამიტომ ბიძაჩემი რომ დავკრძა-ლეთ, უკან წავედი იმ პირობით, რომ მალევე დავბრუნდებო-დი და ჩემი და ცოტა ხანს გავიდოდა ქალაქიდან და დაისვე-ნებდა. დედაჩემი ვეღარ წავიყვანე, იმიტომ რომ იზოლაციას ვერ დაარღვევდა, საზღვარზე დააჯარიმებდნენ. წავედი სო-ფელში და რამდენიმე ხანში ჩამოვიდნენ დედამთილ-მამამ-თილი. ისე რომ, აგვისტოს დასაწყისში ალექსა დავტოვე უკვე ბებიასთან და ჩემ ქმართან და ვუთხარი, რომ ასე ორ კვირაში დავბრუნდებოდი, ასე მეგონა. ჰოდა, წამოვედი.

ამ ზაფხულს რუსთავის მერიამ გადაწყვიტა ძველ ქუ-ჩებზე შენობების რესტავრაცია და ჩვენ სახლს გარშემო ხა-რაჩოები შემოავლეს, რაც დღემდე ისევ ესე დგას. ამიტომ

ჩამოგვიხსნეს კონდიციონერი, რომელიც ძაან გვშველოდა, ძაან ცხელი ბინაა ჩვენი, აგურის სახლია და ზაფხულში ბუღი დგას შიგნით. მამაჩემის ჯანმრთელობის მდგომარეობაც გაუარესებული იყო. ადრე თუ ახერხებდა თავის მოვლას, საჭმელს გამოიღებდა მაცივრიდან, თვითონ გაირეცხავდა კიტრსა და პომიდორს, ახლა ყველაფერი შენ უნდა გაგეკეთებინა. თვითონ იმდენს თუღა მოახერხებდა, რომ მოვიდოდა და სკამზე დაჯდებოდა. ამ თავისი ავადმყოფობის გამო, სულ ამბობდა, რომ მცივაო, ამ ჩახუთულობაში სციოდა. დედაჩემი ამ დროს სულ წუწუნებდა, სასუნთქი ჰაერი არ მაქვსო... მოკლედ, ჩემი და გავიდა ქალაქიდან 4 თუ 5 აგვისტოს და ვიყავით მე, დედაჩემი და მამაჩემი. მამა რომ ავად გახდა, ადამიანი, რომელიც საერთოდ არ გასულა გარეთ, ვეძებდით წყაროს, საიდან შეეყარა კორონა. ჩემი დის წასვლამდე სახლში დავაყენეთ ცენტრალური გათბობა, 5 აგვისტოს გვყავდა ორი მუშა, ახალგაზრდა ყოჩაღი ბიჭები, რომლებიც ამ ჩახუთულ სახლში მუშაობდნენ და ენა არ მომიბრუნდა, რომ ნიღბები გაიკეთეთ-მეთქი. ერთი კი არის, ძაან ცოტა ხანს იყვნენ იმ ოთახში, სადაც მამაჩემი იწვა. არ ვიცი, ამათზე მივიტანე ეჭვი და ჩემ თავზეც. მე ზოგჯერ თბილისში მივდიოდი-მოვდიოდი და ყოველთვის ჩემს დას ვერ დავყავდი მანქანით, ამიტომ მარშუტკებით დავდიოდი და ვიფიქრე, ალბათ, მე მოვიტანე სახლში ვირუსი-მეთქი. მაგარამ ჩემი და მეუბნებოდა, – თუ შენ მოიტანე, რატო შენ არ დაინფიცირდი პირველიო. თვითონ მაიკომ აპრილში გადაიტანა კოვიდი, მე მაშინ არ ვიყავი აქ, მაგრამ ისე მოახერხა, რომ მშობლებს არ გადასდო. როცა ჩამოვედი, ყველგან სტიკერები დამხვდა, ფერადი ქაღალდები, რითაც

რაღაცეებს ატყობინებდა ჩემებს. ან ტელეფონით მესენჯერში წერდა, რომ მაგალითად: „დაცალეთ ტერიტორია, გამოვდივარ ტუალეტში“ ან „გადით დიდ ოთახში, უნდა ვჭამო“ და ესე ცხოვრობდნენ. მაიკო ჩაკეტილი იყო თავის საწოლ ოთახში და არ გამოდიოდა იქიდან. დედაჩემს და მამაჩემს ორივეს თავისი ინდივიდუალური სადეზინფაქციო ხსნარი ჰქონდათ და ყველაფერს, რასაც ხელს მოკიდებდნენ, დეზინფექციას უკეთებდნენ. როცა ვრეკავდი, სულ ნიღბებით იყვნენ სახლში. რაღაც მომენტში მაიკო დამძიმდა და საავადმყოფოში გადაიყვანეს და როგორც კი გადასხმა დაუდგეს, აზრზე მოვიდა და მშვიდობიანად დაბრუნდა სახლში. ჩემს დას ყოველთვის ჰქონდა წარმოდგენა, რომ ძალიან ძლიერი ფილტვები აქვს, ვოკალისტია. ამ დროს დაზიანება ჰქონდა 18 ქულა, საკმაოდ მაღალი და უკვირდა, – რატომ?

მოკლედ, ჩემი ლოგიკა ასეთი იყო, რომ გზად ვირუსი მე მოვიტანე, განვითარება ჰპოვა მამაჩემში და და მერე კარგად გაფუფუნებული დაგვერია ჩვენ. ჩემი დაც გავიდა ქალაქიდან და მამაჩემს უკვე დაჭირდა ჩემი დახმარება, რომ ამდგარიყო ხოლმე საწოლიდან. კუნთები იმდენად მოუდუნდა, რომ საწოლზე რომ წამოჯდებოდა, ზურგის კუნთები ვეღარ იჭერდა და აესე იყო მოკუზული (თავს ქვემოთ წევს და მაქსიმალურად იხრება – ც. გ.), თანდათან უვარდებოდა თავი ქვემოთ. ჩემი და არ გასულა დიდხანს ქალაქიდან, 10-ში უკვე ჩამოვიდა, მამა კი 9-ში უკვე ამბობდა, რომ თავი მტკივაო. ის ღამე ვათიე. ჩემი და რომ ჩამოვიდა, ის მიხვდა, რომ სიცხეც ჰქონდა. მე რომ ვაყენებდი ხოლმე და ხელებზე ვკიდებდი ხელს, სიმხურვალეს კი ვგრძნობდი, მაგრამ ვერ მივხვდი, რომ სიცხე ჰქონდა. მაშინ როცა, ჩემ

შვილზე ვხვდები ხოლმე. როგორ ვერ მივხვდი, რომ სიცხე აქვს ადამიანს და იმიტომ დასუსტდა! 38-ზე მეტი ჰქონდა. პირველი, რაც მოვიფიქრეთ, სწრაფი ტესტი უნდა გაგვეკეთებინა, მაგრამ რუსთავი შემოვიარეთ და არ იყო. სწრაფი ტესტი მარტო თბილისში იყიდებოდა. წამოვედით მე და მაიკო ღამე თბილისში და ვიყიდეთ სამი ცალი, თითო 40 ლარი ღირდა და სამი ცალი უკვე ფულია. ამიტომ მაიკოსთვის არ ვიყიდეთ. ჯერ მამაჩემს გავუკეთე, მერე დედაჩემს და მე. მამაჩემს დაუდასტურდა. ერთი წუთიც არ დაჭირვებია, მაშინვე გაწითლდა ეს T, არადა 15 წუთი აქვს დრო. როგორ დავყურებდით მე და ჩემი და... იქნებ, ამ 15 წუთში რამე შეიცვალოსო... ძალიან მეშინოდა. მაშინაც, ჩემი და რო დაწვა საავადმყოფოში, ვამბობდი, ჩემებს რო აღმოაჩნდეთ, ვერ გადაიტანენ-მეთქი.

**ძაან ვერაგია ეს დაავადება, ისე იწყება, გეგონება, ამან რა უნდა მიყოს, ორ დღეში მოვუგრეხავ კისერსო, მაგრამ მერე უცებ მძიმდება.**

როცა დავრწმუნდი, რომ ნამდვილად დადებითია, ვუყურებდი მამაჩემს – ისევ ისეთია, წევს მშვიდად და თითქოს პანიკამ გადამიარა. უბრალოდ მეორე შიში იყო, დედაჩემისთვის რომ უნდა გამეკეთებინა, თორემ ჩემზე არ მეშინოდა, ვაქცინირებული ვიყავი. დედაჩემზეც რომ არ დადასტურდა, ჩემს დას ვუთხარი, – არიქა, თქვენ თბილისში უნდა წახვიდეთ-მეთქი. დილით მაიკომ მართლაც წაიყვანა ჩემს ნაქირავებ ბინაში.

მამაჩემი თანდათან გართულდა, ძალიან დიდი მოუსვენრობა დაემართა. თუ მანამდე შეეძლო საათობით წოლილიყო, ახლა ყოველ 10 წუთში მთხოვდა: ეხლა გად-

მომაბრუნე, ეხლა გადამაბრუნე, ეხლა წამომაჯინე, ეხლა დამაწვინე, ეხლა ტუალეტში გამიყვანეთ. ამ ფიზიკურ ტვირთს დღისითაც და ღამითაც მივხვდით, რომ მარტო ვერ გავქაჩავდით. ლევანს დაურეკეთო, – გვითხრა. მოვიდა ლევანი, ერთი ღამე იმორიგევა. ლევანის მამა, მირიანი, უკვე გარდაცვლილი იყო.

სოციალურ ქსელში დავწერე, რომ არავინ არ მოდის პისიარ ტესტზე. თავიდან მეგონა, რომ სახელმწიფო უფასოდ აკეთებდა, თუკი ეჭვი გაქვს. სინამდვილეში კეთდება სწრაფი, იმაზეც უნდა წახვიდე, სახლში არ მოდიან და არ გიკეთებენ. კარგი, გამოვიძახეთ ეს ლაბორატორია, სახლში მისვლის შემთხვევაში უფრო ძვირი ღირს, – 120 ლარი. აუღეს მამაჩემს ნაცხი და დადასტურდა. ამის მერე რეკავ 112-ში. დავიწყეთ რკვევა, რომ იქნებ მოსულიყო ვინმე და სახლში გაეკეთებინათ ანალიზები, კატე არ გვინდა, მაგრამ სისხლის ანალიზი ხომ შეიძლებოდა. მაინც უარი გვითხრეს. თან ხომ ვერ რეკავ ამ 112-ში, რაღაც მომენტში გვეუბნებოდა, რომ „გადატვირთულია ხაზები და სცადეთ მოგვიანებით.“ თუ ამას არ გეუბნება, ზიხარ და ელოდები როდის მოვა შენი რიგი, რომ გიპასუხონ. ამასობაში კი უამრავ ინფორმაციას გაწვდიან, ხოდა ასეთი ლოდინის დროს აღმოვაჩინეთ, რომ er.moh.gov.ge-ზე შეგყავს შენი პირადი მონაცემები და გეუბნება რომელ პოლიკლინიკაში ხარ დარეგისტრირებული, ამ პოლიკლინიკაში რომელი ექიმები არიან და ვის შეგიძლია მიმართო. აღმოჩნდა, რომ ეს პოლიკლინიკა, სადაც დარეგისტრირებული ვიყავით, ის პოლიკლინიკა იყო, რომლის პირველი მთავარი ექიმი პაპაჩემი იყო. მამას ძაან უყვარდა ეს პოლიკლინიკა და მანდ

იცნობდა თავის ოჯახის ექიმს, ქეთინო ტყეშელაშვილს. ისე რომ, როგორც კი დავარეგისტრირეთ ზარით, მაშინვე დარეკა ოჯახის ექიმმა. ეტყობა, იცნო მამაჩემის სახელი და გვარი. ახლა ვიცი სოციალური ქსელებიდან – ან ურეკავენ გვიან ან საერთოდ არ ურეკავენ ეს ოჯახის ექიმები. დავასკვენით, რომ **ოჯახის ექიმზეა ბევრი დამოკიდებული, ზოგი კეთილსინდისიერად მუშაობს, ხშირად გირეკავს, დანიშნულებას სწორს გაძლევს.** ერთი მეგობრისგან ისიც გავიგეთ, რომ ერთერთმა ოჯახის ექიმმა რაჭიდან ქუთაისში სასწრაფოს ჩამოაყვანინა პაციენტი ანალიზებისთვისო. ზოგი ამას ახერხებდა, ზოგი საერთოდ არ ურეკავდა პაციენტებს. ამ დროს უკვე ცუდი სიტუაციაა ქვეყანაში, მერე შევამოწმე, რომ დღეში 50-60 კაცი იღუპება და 4000-ს აარტყა თურმე დღიურმა ინფიცირებამ. ამიტომ ეს ლაბორატორიებიც ახლა შაბათ-კვირასაც მუშაობენ და იმ კვირა დღესაც მხოლოდ ერთი საათი ჰქონდათ, რომ მოსულიყვნენ და მამაჩემისთვის სისხლი აეღოთ. კერძო ლაბორატორებიც პრობლემა იყო უკვე. რა უნდა მექნა, ვერ მიმყავდა ეს კაცი ვერსად და გამოვიძახეთ შედარებით იაფი ლაბორატორია.

12 აგვისტო იყო და ექიმმა გვირჩაია, რომ არ გადაიყვანოთ საავადმყოფოშიო. რა არგუმენტით აღარ მახსოვს, მაგრამ მაიკოს პასუხისმგებლობის მომენტი იყო, რომ დამძიმდეს, რა ვქნათო. მერე მივხვდი, რა ამოძრავებდა ამ ექიმს – აღარ ყოფნიდათ რესურსი ამ კლინიკებში, რომ ის მოვლა ჰქონოდათ, რაც საჭირო. ბიძაჩემის გარდაცვალების შემდეგ დედაჩემს სულ ვეუბნებოდი: დედა, გაიკეთე აცრა, დედა, გაიკეთე აცრა, ხო ხედავ, კაცი გარდაიცვალა, აცრა რომ ჰქონოდა, ესე არ გაურთულდებოდა, ერთ ღამეს უბრალოდ

ჰაერი აღარ ეყო... მაგალითი გაქვს თვალწინ, ვიღაცას და სადღაც კი არ დაემართა!. ის დღე იყო, რომ ჩამოვედით მე და დედაჩემი სომხეთიდან და გაიხსნა რეგისტრაცია ფაიზერზე. ეგეთი ტექნიკური ამბავია, რომ საზღვრებს გარეთ თუ ხარ, ვერ შედიხარ საიტზე booking.moh.gov.ge. როგორც კი საზღვარი გადმოვკვეთეთ, გაიხსნა. შევედი, მაგრამ ფა-ფუ! აღარ არის, გაქრა ფაიზერი. დედაჩემს ჩარჩენილი ჰქონდა აეგ შიში, ასტრაზენეკას პირველი ტალღა რომ დაიწყო და ექთანი გარდაიცვალა ალერგიული შეტევით. პირველ ფაიზერზე რომ ვერ დავარეგისტრირე, ორი თვე უარზე იყო: არ მინდა აცრა, ჩემი ქრონიკული დაავადებების გამო, რომ ვერ გადავიტანო ეს აცრაო?!. ბოლოს რაც მოვახერხე ეს იყო – ვუთხარი, ეხლა ვირუსი ბავშვებშიც ვრცელდება, ალექსა სკოლაში უნდა წავიყვანო, არ ვიცი იქიდან რას მოიტანს და რადგან არ ხართ ვაქცინირებული, აღარ მოვალთ აქ-მეთქი. ალექსაზე მზე და მთვარე ამოსდიოდათ, ჰოდა, ერთ-ორი საათი გაიარ-გამოიარა და კაი ჯანდაბას, დამარეგისტრირეო. დავარეგისტრირე. 6 სექტემბერს უნდა აცრილიყო.

ოჯახის ექიმი პერიოდულად რეკავდა. იმ დროს სოციალურ ქსელშიც იწერებოდა, ხშირად ოჯახის ექიმები დაფარული ნომრიდან რეკავენ, რომ უკან ვერ დაგერეკა და მხოლოდ მას ქონოდა შენთან წვდომა. ოჯახის ექიმი თუ შეამჩნევს, რომ დამძიმდა სიტუაცია ან ანალიზებმა უჩვენა ისეთი რამ, რომ გადაყვანა იყო საჭირო, მაშინ ის თვითონ უკავშირდება სასწრაფოს. მოდის ის, ამოწმებს თავიდან სიტუაციას და მერე სასწრაფოს ბრიგადა ეძებს ადგილს კლინიკებში. ამ დროს უკვე ადგილების დეფიციტი იყო.

მამა იმ დღეს ძაან დამძიმდა, 13 აგვისტო იყო, დღისით მე რამდენიმე საათი გავითიშე, მეძინა. ჩემი და უფრო მხნედ იყო და როცა გავიღვიძე, მაიკომ მითხრა, მამა ტუალეტში შევიდა და შიგნიდან კარი ვეღარ გააღო, ვეღარ ადგაო. მოვიდა სასწრაფო. სასწრაფოს ბრიგადის ექთნის სახე მახსოვს, ახალგაზრდა ქალი იყო და რო მიყურებდა, ვერ მხედავდა, სადღაც ჩემს მიღმა იყურებოდა. მერე მივხვდი, რომ უბრალოდ გადაღლილი იყო ეს ადამიანი. ექიმი ახალგაზრდა ბიჭი იყო, ის ჯერ კიდევ გავდა ადამიანს, ლაპარაკობდა. ექთანმა ლაპარაკი სცადა, მაგრამ ენას ძლივს ატრიალებდა, თავი აღარ ქონდა. ძალიან ცხელოდა, ფანჯრები კი გავაღეთ, მაგრამ მაინც ძალიან ცხელოდა. თან ამ ბრიგადას ხომ სპეციალური ფორმა ეცვა ზემოდან და აქ ვეღარ ვძლებთ, ჩავალთო და ეგ მომენტი მახსოვს, მესმის-მეთქი, – ვუთხარი და სახეები შეეცვალათ, ტონი შეცვალეს ლაპარაკის, იქამდე უფრო თავდაცვის პოზიციიდან, ცოტა აგრესიულად ლაპარაკობდნენ, თითქოს ელოდებოდნენ, რომ ვიჩხუბებდით. ჰო, აქ ვერ ვსუნთქავთ და ჩავალთ ეზოში, დავსხდებით და იქ დავიწყებთ საავადმყოფოში ადგილის ძებნას, თქვენ ამასობაში მოამზადეთო. თან დაგვარიგეს, რა უნდა წაგვეღო. მეორე პრობლემა იყო, რომ ჩვენ მამას ვერ ჩავიყვანდით, ჩვენი სახლი სამსართულიანია და ლიფტი არ აქვს, ძველი საბჭოთა შენობაა. მეორე სართულზე ვცხოვრობთ, მაგრამ უკვე ვეღარ დადიოდა. სასწრაფომ გამოიძახა მაშველთა ბრიგადა. ოც წუთში ამობრუნდა ექიმი და ორი ადგილია, ერთი რუსთავის საავადმყოფოში და ერთიც მარნეულშიო. რუსთავში ვერ დავაწვენთ, ინტენსიური სჭირდებაო და ინტენსიური მარნეულ-

შიაო. ოღონდ მარნეული უარს ამბობს ისეთი ავადმყოფის მიღებაზე, რომლის სატურაცია 90-ზე დაბალიაო. მამაჩემს ხან 89 ჰქონდა, ხან 91. ეხლა მე ცოტა ცუდად უნდა მოვექცე ჩემს კოლეგებსო, გზაში ხელოვნურად ავუწევ, ვასუნთქებ ჟანგბადს, ერთი ნიშნულის გამო გარეთ რატო უნდა დავტოვოთ ეს ადამიანიო, თქვენ არ თქვათო. მოკლედ, მიგვყავს მარნეულში. მერე მაიკო იხსენებდა, რო ვუთხარი, მამა უნდა დაგაწვინოთო, ესე ხელი ჩაიქნიაო (ხელის ჩაქნევით გამოხატავს უიმედობას – ც. გ.). მე არ შემიმჩნევია, მაგრამ ძალიან განვიცადე მე თვითონაც, რო უნდა დაგვეწვინა და ჩვენს გარეშე უნდა ყოფილიყო იქ. წამომჯადარი იყო საწოლში, ხომ იხრებოდა ნელ-ნელა მხრებში, მე წინ ვედექი და თავი მუცელზე მომადო. ავტირდი (ტირის – ც. გ.), რომ წარმოვიდგინე რო უნდა წაიყვანონ და დაეცა ჩემი ცრემლები, ზემოთ თავი შემელოტებული ქონდა და რასა შვრები, გოგო, თავზე დამტირიო?! ჩავიკუზე მერე მამას წინ და რუსულად მეუბნება „ნე დაუდიოწეს“ (იღიმება, ცრემლიანი აქვს თვალები – ც. გ.). ჩავეგლაუჭე მაგ სიტყვებს, რომ იქნებ მთლად არა აქვს ხელი ჩაქნეული, იქნებ იბრძოლოს ცოტა-მეთქი.

**ვინც გამოიარა კოვიდი, ბევრი წერდა, რომ ძაან მნიშვნელოვანია შენი პირადი განწყობა ავადმყოფობასთან ბრძოლაში, როგორც კი დანებდები, მოგერევა.** მალე სამაშველო ბრიგადაც მოვიდა, შემოლაგდნენ ცისფერი დათვებივით. ზედმიწევნით აღჭურვილები იყვნენ, პირბადეც, ფარიც, ტანსაცმელიც, ექიმებზე უკეთესად. დააწვინეს საკაცეზე და ჩაიყვანეს. უკვე ბნელოდა და ერთი საათი რომ იდგა ეზოში შუქებიანი სასწრაფოს მანქანა, რასაკვირველია,

მთელმა მეზობლობამ გაიგო. მამაჩემი მეზობლებს ძაან უყვარდათ, ყველაზე ნდობით აღჭურვილი ადამიანი იყო. ქვემოთ რომ ჩამოვედით და უნდა შეაგორონ მანქანაში, უცებ ჩვენი მეზობლები მოაწყდნენ ერთერთის აივანის გისოსებს. პირველ სართულზე მოშენებული აივანია, სადაც იკრიბებიან ხოლმე და ისმის შეძახილები: აბა, სოსო ბიძია, შენ იცი, ყოჩაღად იყავი, დაგვიბრუნდი!.. და უცებ ამივარდა ტირილი იქაც (ტირის – ც. გ.), ესენი რომ დავინახე ამ გისოსებზე. შეაგორეს მანქანაში და ვუყურებდი, ძაან დავიბენი, ვუყვირი: გამოგყვები-მეთქი, გეხვეწები! იქამდე, მასთან პირველადი შეთანხმებით, მე მაიკოს მანქანაში უნდა ჩავმჯდარიყავი, არ უნდოდა, რომ მაიკო მარტო მჯდარიყო საჭესთან. მაგრამ ძაან მეცოდებოდა რომ ვუყურებდი, თან საკაცეზე რომ დააწვინეს, ქამრებით დააბეს, მერე მანქანაში მოხსნეს და მივხვდი, რომ შეიძლება ჩამოვარდეს სასწრაფოს საწოლიდან. თუ გინდა, გამოყევიო, – ექიმმა. რაღაც მომენტში მომეჩვენა, რომ იმ გადაღლილ ექთანს გულზე მოეშვა, რომ თვითონ არ მოუწევდა პაციენტთან ჯდომა. გავყევი. პირველად მოვხვდი სასაწრაფოს მანქანაში და თავიდან ისიც ვერ მოვისაზრე, რომ ფანჯარა გამეღო, უცებ ძაან ჩაიხუთა კაბინაში, ორივეს გვეკეთა პირბადე, მაგრამ შეგრძნება მქონდა, რომ ერთმანეთის ამონასუნთქს ვსუნთქავდით უკვე. ზოგადად ჯანმრთელი ადამიანი ვარ, საავადმყოფოში მარტო მშობიარობის დროს ვიწექი, მაგრამ სასაწრფაოს მანქანაში გავიაზრე, რომ ბლომად ვირუსი ვისუნთქე და შეიძლება მეც ავად გავხდე. ეგეც წაკითხული მაქვს, რომ რამდენს შეისუნთქავ, მაგასაც მნიშვნელობა აქვს. გზაში მანქანა გააჩერეს, მეგონა რუსთავის საავადმყოფოსთან მივედით,

მაგრამ არა – წყალს დავლევთ, დღეს სულ კოვიდზე გვქონდა გამოძახებები და წყლის დალევასაც ვერ ვახერხებთო.

კლინიკაზე გაგვაფრთხილეს, რომ ძველია, მაგრამ მესამე სართული კარგად გარემონტებულია და ექიმები თბილისიდანაც დადიან და რუსთავიდანაცო. ეს ყოფილა ყოფილი პედიატრიული კლინიკა, რომელიც კოვიდ კლინიკად გადაკეთდა შარშან. ლიფტი არ იყო და კაი ხანს ვიდექით ეზოში. ისე რომ, მამაჩემმა უკვე წუწუნი დაიწყო. რეანიმატოლოგს ელოდებოდნენ. მოვიდა ახალგაზრდა, კაფანდარა აგებულების ბიჭი, ისიც ასევე გათიშული გამომეტყველებით. ეს ადამიანი თანდათან გავიცანი მერე. მაშინ ცელოფანი ეჭირა ხელში, რაღაც ბოთლები ელაგა და მემგონი საჭმელიც. როგორც ჩანს გავიდა, რომ რაღაც ეჭამა. უაზროდ იყურებოდა, ნახევრად ჰქონდა თვალები გახელილი, მერე შევხედე, რაღაც ტატუებიც შევამჩნიე მკლავზე. როგორც იქნა შეამოწმა მამაჩემი, სატურაცია ნახა და ეს რა არი, ასუნთქეთ ჟანგბადიო?! იქეთ ვიღაც ახალგაზრდა კაცი დგას და ეწევა სიგარეტს. ძაან ვიგრძენი ამ ღამის გრილ ჰაერში და აქ ნუ აბოლებ-მეთქი რა! მორჩილად გატრიალდა. რა ვიცოდი, რომ ეგ ბიჭი ჩვენი სული და გული იქნებოდა მერე. თავიდან სანიტარი გვეგონა, მერე მაიკომ მითხრა ზავხოზი ყოფილაო. მას ებარა მთელი აპარატურა, აღჭურვილობა, წამლები. ლევანი ჰქვია იმასაც, ჩემი ბიძაშვილივით. ვინ არის-მეთქი ეს ტატუებიანი? – ამას ვკითხე, ამ სიგარეტიანს. მთავარი ექიმიაო...

ჩამოვიდნენ სანიტარი ბიჭები, ლევანი და მძღოლიც დაეხმარნენ და აიყვანეს მამაჩემი. მაიკო შეყვა. ჩემ დას აქვს სადეზინფექციო ხსნარი მანქანაში, თვითონ აკეთებს

სპირტით, გლიცერინით და წყალბადის ზეჟანგით და რამდენიც მანქანაში ჩაჯდება, ისხურებს. საბარგულში ლიტრიანებით უდევს და ვისაც სჭირდება, გულუხვად უნაწილებს. ხოდა, რომ ვიფიქრე რომ ბევრი ვისუნთქე ვირუსი, ავიღე ეს შესასხურებელი და სახეზე ვისხამ, ისე რომ, ჩემი და კაი ხანს არ ჩამოვიდა და მთელი ამდენი ხანი მე მანქანაში ვეგდე მითიშული სპირტისგან (იცინის – ც. გ.). იმ ღამეს უკვე მამცივნებდა. მაიკო რომ ჩამოვიდა, ამ რეზიზე, ტატუირებულ ექიმზე მომიყვა, – ბოდიში მომიხადა, შეიძლება ცუდად გამოვიყურები, მაგრამ უძინარი ვარ და იმიტომ ვარ ეგრეო. ლევანიც კაი ბიჭიაო, ნომერი გამოვართვი რომ დავურეკოთო.

იმ ღამეს, ამ გაბუღულ სახლში სინთეტიკის პლედიც დავიფარე ზემოდან, რომელიც ჰაერს არ ატარებს. მაინც ვერ ვთბებოდი, მაკანკალებდა. უკვე მივხვდი, რომ კოვიდი მაქვს. მეორე დილას მაიკომ დედასაც გაუკეთა ტესტი თბილისში და თვითონაც. ორივეს უარყოფითი ჰქონდათ, მე – დადებითი.

გვგონია, რომ მამა დავაწვინეთ და კაი ხელშია, სანამ ადამიანი თვითონ არ ნახავს, ვერ წარმოიდგენს, იქ, შიგნით რა ხდება. ყოველ ღამე 3-4 ჯერ რეკავდა მამაჩემი მაიკოსთან, დაურეკე ლევანს, რომ მოვიდეს, თორემ ვიძახი და არავინ არ მოდის, გვერდით პაციენტები უკვე შევაწუხე, ჩემი ყვირილითო. ყვირილი სად შეეძლო, რაღაც სუსტი ხმით იძახდა. მაიკო ურეკავდა ლევანს და ეხვეწებოდა, – შენი ჭირიმე, მიხედეო. ხანდახან ლევანი ეუბნებოდა, – დღეს მე იქ არ ვარ მორიგეო. მერე გავიცანით ვინმე რამო. რამოს თვითონ ქონდა კოვიდი, მაგრამ მუშაობდა იქ, სანიტარი იყო. ხან რამო შედიოდა. მაიკოზე გადაირა მთელმა სიმძიმემ მამაჩემის.

არ ეძინა მთელი ღამე. რეკავდა, ელაპარაკებოდა. მამაჩემი აღმოჩნდა ძალიან ჯიუტი პაციენტი, ხშირად ამბობდა უარს ჭამაზე, არ მოსწონდა იქაური საჭმელი. ხშირად ბრაზობდა, რომ ვეძახი, რატომ არ მოდიანო?.. და როგორც ექიმებმა გვითხრეს, იხსნიდა ჟანგბადს ცხვირიდან.

აქ იყო ორი განყოფილება, თერაპიული და ინტენსიური ანუ რეანიმაცია. თუმცა ამ რეანიმაციაში რომ შეგვყავდა მამაჩემი, რეზიმ თავიდანვე გვითხრა, რომ არ გვაქვს ბიპაპიო[81]. ეს ყოფილა ყველაზე ძლიერი ჟანგბადის აპარატი, რომლითაც თუ დამძიმდა, მერე ასუნთქებენ. ამიტომ დავაწესეთ ეს კრიტერიუმი და 90-ის ქვემოთ ვისაც აქვს სატურაცია, ვერ ვიღებთო. ჩვენ გვეუბნებოდნენ, რომ მამა არ არის მძიმე, თავისი ქრონიკული დაავადების ფონზეც კი კოვიდის მაჩვენებლები არ აქვს მძიმეო. თუმცა, კატე არ გადაუღიათ. აღმოჩნდა, რომ ამ კლინიკაში არ აქვთ ამის შესაძლებლობა. თუ გადაუღებდნენ, ისიც რენტგენს. კატესთვის კი უნდა გამოეყვანათ და სხვა შენობაში წაეყვანათ. იქვე, მაგრამ ლიფტი არ იყო და ეს კიდევ ვერ მოძრაობდა... მოკლედ, რთული ამბავია.

პირველად დიდ გულზე ვიყავი, კისერს მოვუგრეხ ამ კოვიდს-მეთქი, მარა, ჩემს შემთხვევაში რაც გამირთულდა, ეს იყო ემოციური ფონი. ერთი-ორი ღამე ისტერიკა მქონდა, არ ვიცი, ამას სხვანაირად რა ქვია პროფესიულ ენაზე. ვტიროდი და საჭმელს ვერ ვჭამდი, იმიტომ რომ ყველაფერს ქონდა საზიზღარი გემო. საზიზღარი გემო ქონდა წყალსაც, რომლითაც წამლები უნდა დამელია. ყნოსვა კი არ დამიკარგავს.

---

[81] გულისხმობს პორტატულ სასუნთქ აპარატს BiPAP.

ორშაბათ დილას დედამ დარეკა თბილისიდან. მემგონი სიცხე მაქვსო... ტიროდა, – აღარ შემიძლია, წამიყვანეთ, მანდ მინდა, თქვენთანო. თან ჩემზე ნერვიულობდა, კოვიდი რომ მქონდა.. ვცდილობ, ტელეფონით დავამშვიდო და გადვაფიქრებინო წამოსვლა. ამ დროს მგონია, რომ მაიკო სამზარეულოშია და საუზმობს და უცებ შეტყობინება მომდის მისგან, თბილისში საცობში ვარ გაჭედილი და დედას უთხარი, ცოტა მაგვიანდებაო. თურმე ჩაუცვამს, წასულა და მოყავს უკვე. მისთვისაც გამოვიძახეთ ლაბორატორია PSR ტესტისთვის და ამჯერად უკვე დედასაც დაუდასტურდა.

16-ში მაიკომ წამიყვანა პოლიკლინიკაში. მე ძაან სუსტად ვიყავი, ფეხზე ვერ ვდგებოდი, მაქანავებდა და სულ მასხავდა ოფლი. შეგრძნება მქონდა, რომ სიხცხემ ამიწია, ვიზომავდი და არ მქონდა. მერე დამეწყო ზურგში ტკივილი, ჯერ ერთ, მერე ორივე მხარეს. მივედით პაპაჩემის კლინიკაში და იქ აღმოვაჩინე, რომ მიკეთებდნენ სწრაფ ტესტს და არა პისიარს, სწრაფი გაკეთებული მაქვს-მეთქი და დადასტურებული. თქვენ ორგანოების თანამშრომელი ხართო? ამასობაში უშველებელი რიგი დადგა. პირველები იდგნენ კაცები პოლიციის ფორმაში. ე.ი. ამათ პერიოდულად ამოწმებენ და მარტო მაგათ ეკუთვნით ეს უფასო პისიარი. რას ქვია პოლიციელი, ჩვეულებრივი მოქალაქე ვარ-მეთქი, – ავყვირდი, ნერვებმა მიმტყუნა. ესეთი ფრაზა მესროლეს (იმათაც აღარ ქონდათ ნერვები), – ჩვენს ზემდგომებს მოკითხეთ, ასეთი პროტოკოლი გვაქვსო. აი, მანდ მოხდა პირველი გააზრება, რა ხდება სისტემაში. მე უნდა მოვკითხო შენს ზემდგომებს, როცა შენ მუშაობ სისტემაში?! დააყენე რა საკითხი!.. მე ისიც არ ვიცი, შენს ზემოთ ვინ არის და ვის უნდა

მოვკითხო, შენ ხომ იცი! მაგრამ არა, სისტემა ქვემოდან ზემოთ არ მუშაობს.

მოკლედ, დამიდასტურა ამ სწრაფმაც. დავრეკე ჯანდაცვის ცხელ ხაზზე. სადაც ჩაიწერეს ჩემი მონაცემები და გადავცემთ ოჯახის ექიმსო. მეგონა, არანაირი ოჯახის ექიმი არ დამიკავშირდებოდა. კერძო დაზღვევა მე არ მაქვს და სახელწიფო დაზღვევაში აღარ ვირიცხები. მიუხედავად ამისა, იმავე საღამოს, სადღაც 10 საათი იქნებოდა, დამირეკა ექიმმა. არც ნომერი იყო დაფარული, სახელიც მითხრა და ძალიან დაწვრილებით და თბილი, გულისხმიერი ხმით გამომკითხა მდგომარეობა და ზოგადი დანიშნულებაც მომცა. ღამე იმიტომ გირეკავ, რომ დღისით ჩეულბერივ პაციენტებთან ვმუშაობთ და სამუშაო დღის შემდეგ კოვიდ პაციენტებთან ვრეკავთო.

მაიკო მკარნახობდა ანალიზებზე გაგიშვას, მიმართვა გჭირდება, რომ ანალიზებზე წახვიდეო. **უნდა წახვიდე, შენთან არავინ არ მოვა. ეს იყო კიდევ ერთი ჩემი აღშფოთების საგანი, რომ თურმე ეს კოვიდიანი ხალხი ესე დასეირნობს.** მე, კარგი, მანქანით დავდივარ, მაგრამ ყველას ხომ არ შეუძლია და რომ ზიხარ საჯარო ტრანსპორტში, არ იცი ვინ გიზის გვერდით. მეგობარი მეუბნებოდა, ერთერთ სატელევიზიო გადაცემაში პაატა იმნაძე აღშფოთებული ლაპარაკობდა, კოვიდიანები დადიან გარეთო. რუსთავში სულ ორ საავადმყოფოში იღებდნენ ანალიზებს: ერთში, ავერსის კლინიკაში რომ წავსულიყავი ფეხით, ერთი საათი მაინც მინდოდა, მეორე, საერთოდ, ქალაქგარეთ არის. აბა, რა ქნას ხალხმა, ვისაც მანქანა არ ყავს, გადაფრინდეს?.. მერე წავიკითხე, **მაგალითად, დიდ ბრიტანეთში, როგორც კი მოქალაქე ეჭვს მიიტანს**

**და ატყობინებს თავის მდგომარეობას, სპეციალური ბრიგადები ყველას საფოსტო ყუთებში უყრიან სწრაფი ტესტის პაკეტს, გამოხვალ, აიღებ და სახლში გაიკეთებ. ჩვენთან ავადმყოფებს არჩევნებისთვის ხომ კარგად აკითხავენ ყუთით!**

ის დღეები რა ხდებოდა, არ მახსოვს, გარდა იმისა, რომ იყო ძილ-ღვიძილი, გულისრევის შეგრძნებით ჭამა, წამლების სმა და მეშვიდე, მერვე დღის ლოდინი, რადგან ექიმმა მითხრა, რომ ყველაზე კრიზისულია, სიმპტომები მერე უფრო შეიძლება გაჩნდეს და ანალიზებზეც მერე გაგიშვებო. არც ის მესმოდა ღამღამობით როგორ რეკავდა მამაჩემი, მაიკოს როგორ არ ეძინა, როგორ დადიოდა დედაჩემი ლანდივით. დედაჩემისთვის ისევ პისიარი გამოვიძახეთ სახლში და დაუდასტურდა. რამდენიმე დღეში ექიმმა ანალიზებზე გამიშვა, – სისხლის ანალიზი და კატეო. მაიკომ წამიყვანა, იქაც უშველებელი რიგი იდგა. გარეთ ხალხი თვითონ ადგენდა სიას, ორი-სამი საათი ყველას გვიწევდა ლოდინი, კედელზე ვიყავი მიყუდებული, ფეხზე დგომა მიჭირდა. მერე ექიმმა მითხრა ანალიზების პასუხები – 10 ქულა გაქვს დაზიანებაო. 12-ზე კლინიკაში ვაგზავნითო. შენ მარტო ანტიობიოტიკებს დაგინიშნავო. მოკლედ, ძილბურანში გაიარა იმ დღეებმა, ერთი ეგ მახსოვს კიდე, რომ ვტიროდი. დედაჩემი უკვე თითონაც სუსტად იყო და მთვრალივით მეუბნებოდა, – შენ რატო უნდა ტიროდე, მე თუ აქა ვარო! ვერ ვმშვიდდებოდი. რახმანინოვის[82] მეორე საფორტეპიანო კონცერტის შუა ნაწილს ვუსმენდი და აესე ღაპაღუპით ვტიროდი. რახმანინოვს ქონია ოთხწლიანი დეპრესია. პირველი სიმფონია ცუდად მიიღო მსმენელმა, მომდევნო ოთხ წელიწადში ნოტი არ დაუწერია. იმ დროს

---

[82] სერგეი რახმანინოვი – რუსი კომპოზიტორი, პიანისტი და დირიჟორი.

პოპულრულმა ფსიქოლოგმა ჰიპნოზის მეთოდით გამოიყვანა ამ მდგომარეობიდან და ეს მეორე საფორტეპიანო კონცერტი იყო პირველი ნაწარმოები, დაწერილი დეპრესიის მერე, რომელიც მიუძღვნა ამ თავის ექიმს, განმკურნებელს. კონცერტის მეორე ნაწილი ჩემთვის დაუკავშირდა ამ განკურნების ასოციაციას. ხოდა, ვუსმენდი და ვტიროდი.

ამასობაში მაიკომ დედაჩემიც წაიყვანა ანალიზებზე, ამჯერად აზოტის საავადმყოფოში, იმიტომ რომ რაც ავერსში ნახა არ მოეწონა, თუმცა აზოტის საავადმყოფო კიდევ უფრო უარესი იყო რეგულაციების დაცვის თვალსაზრისით. დედას დაზიანება 13 იყო. დედიმერიც მაღალი იყო და თქვეს, რომ უნდა გადავიყვანოთო. სასწრაფო რომ მოვიდა, ეგეც ბუნდოვნად მახსოვს. მარტო ექიმი ამოვიდა, ახალგაზრდა კაცი იყო და უფრო ყოჩაღად გამოიყურებოდა, ვიდრე ის პირველი ბრიგადა. თქვა, რომ რაკი მეუღლეც იქ ყავს, მოდი, წავიყვანოთ მარნეულშიო. დავეთანხმეთ, ვიფიქრეთ, აქეთ-იქით სიარული არ მოგვიწევდა. მაიკომ თქვა, რომ ამ დროს დედაჩემმაც ხელი ჩაიქნია მამაჩემივით. წაიყვანეს 22-ში, მამაჩემისგან განსხვავებით, მაშველთა ბრიგადა არ დაჭირვებია, თავის ფეხით ჩავიდა სახლიდან. ბოლომდე მჯეროდა, რომ უკანაც კარგად დაბრუნდებოდა. 23-ში ქონდა დაბადების დღე დედაჩემს, ამ დღეს მამაჩემი გადაიყვანეს მართვით სუნთქვაზე, თუმცა იქამდე იყო პროგნოზი, რომ არ არის ცუდი მაჩვენებლები და იქნებ მალე გამოვწეროთო. 23-ში კი მაიკოს დაურეკეს და უთხრეს რომ გული გააჩერა, მაგრამ ავამუშავეთ ისევო. 24-ში მაიკო გარეთ გავიდა. მერე მითხრა, რომ ეკლესიის ეზოში იჯდა. მაიკო ეგეთი ტიპია, არ ლაპარაკობს ბევრს და ძაან იშვიათად ტირის, მაგრამ ისე ტი-

რის რომ ძაან შეგეცოდება. უკან დაბრუნდა ტირილით, მე ცოტა მომჯობინებული ვიყავი, მაგრამ ვიწექი, იქ, სადაც მამაჩემი იწვა ხოლმე. რატომღაც მეგონა, რომ კაი იყო აქ წოლა მამაჩემის ადგილზე. მოვიდა მაიკო და აღარ არი მამაო, – ძაან გულამოსკვნილი ტიროდა (ხმა უკანკალებს – ც. გ.). მერე ამეკვიატა ეს ფრაზა „გული გააჩერა“, თურმე ეგეთი ტერმინი ქონიათ რეანიმატოლოგებს. რა უცნაურია, თითქოს თვითონ გააჩერა ეს გული. საავადმყოფოდან გვითხრეს, რომ დიდხანს ვერ ვაჩერებთ და უნდა წაიყვანოთო. მაშინვე თქვა მაიკომ, უნდა წავიდეთ და გამოვასვენოთო. წავიდა, იქ რაღაც კატაფალკა მიიყვანეს, მე სახლის დალაგება დამევალა.

მამა რომ მოასვენეს, მამაჩემის სასახლესთან მოვიდა ეგ იდეა, რომ უნდა წავიდე და დავწვე დედაჩემთან. მივხვდი, რომ ეს დაკრძალვის ორომტრიალი ძაან ბევრი წვრილმანია – სასახლე, მიწა, ამოთხრა, მესაფლავე... ყველაფერს ხომ თავისი სპეციფიკა აქვს და სანამ არ მოგიწევს ამის კეთება, წინასწარ არ იცი ეს პრობლემები. აქ დღეები წყვეტდა ყველაფერს, ვერ იტყოდი, რომ ახლა ამით ვიქნები დაკავებული და ერთი კვირის მერე მივხედავ დედაჩემსო. ამიტომ მაიკოს ვუთხარი, მე ვერ ვიქნები დაკრძალვაზე, ჩვენს ყველას მაგივრად შენ დაკრძალე და იქნება, მე როგორმე შევიდე დედასთან-მეთქი. ესეც მოულოდნელი იყო, რომ ერთი სიტყვა ვთქვი და მაიკომ მიპასუხა: მაშინ წავიდეთ დილასო. არც მტკიცება დამჭირვებია, არც განხილვა. თუმცა, ვერც წარმოვიდგენდი, მე იქ ვინმე თუ შემიშვებდა. სიუჟეტები მქონდა ნანახი, ჟურნალისტები მთელი აღჭურვილობით ძლივს რომ შედიან კოვიდ-კლინიკებში. ამ აზრს, რომ იქნებ ვიყო დედასთან, ჩემი ძმაც ჩააფრინდა, იქედან (საქართვე-

ლოში არ ცხოვრობს): ხოო, შენი ჭირიმეო. ჩემი ძმა არის ერთადერთი, ვინც დედაჩემზე დღემდე ემოციურად ამდენად მიჯაჭვული დარჩა, დედაჩემი კი თავის ვაჟიშვილზე.

მეორე დილასვე წავედით მარნეულში. რამო იყო იქა, შესასვლელში აკონტროლებდა მომსვლელების ნაკადს და ეკითხებოდა ვის რა უნდოდა. ჩვენ რომ მივედით, მაიკოს იცნობდნენ უკვე სახეზე. რამომ დაუძახა რეანემატოლოგს, ახალგაზრდა ბიჭი იყო მიშო, რომელიც ცდილობდა სწრაფ-სწრაფი და ნერვიული ხმით აეხსნა დედაჩემის მდგომარეობა: მე ეხლა მოვედი და დედათქვენი ახალი შემოყვანილია რეანიმაციაშიო... ეხლა შევალ კიდევ კარგად გავეცნობი სიტუაციას და მერე კიდევ გეტყვითო... აქამდე ვუყურებ-ხოლმე ამ მესიჯს – დედას მივწერე, აქ ვარ და აქ უნდა ვიყო-მეთქი და რამე თუ დაგჭირდეს, მე დამირეკე-მეთქი. მაგრამ რას წარმოვიდგენდი, რომ დედაჩემს ტელეფონზე წერის და რეკვის თავი აღარ ქონდა უკვე. მე და მაიკო მა-გისთვისაც მოვემზადეთ, რომ ვაითუ შიგნით ვერ შევედი, დერეფანში უნდა ვიჯდე იმ ღამეს, სკამზე. ცოტა გულში კი შემეშინდა, როგორ უნდა გავძლო მთელი ღამე სკამზე-მეთქი. ახლა კი ვიყავი კარგად, მაგრამ წინა დღეებში... თუ არადა, ამასაც ვარწმუნებდი მაიკოს, რომ ვიპოვი ღამის გა-სათევს, ეგ არაფერი. მოკლედ, ვემზადებოდი იმისთვის, რომ მე იქ არავინ არ შემიშვებდა. დედას ჩემი მესიჯი არც უნახავს, მერე გაირკვა, რომ ტელეფონი დასატენი აქვს. მე-რე ლევანმა, ზავხოზმა, რომელსაც მაიკო ურეკავდა ხოლ-მე მამაჩემისთვის, გვითხრა, რომ დაუჯდა ტელეფონი და რამოს ვეტყვი, იქნებ მივიდეს და დატენოსო. თვითონ გარ-ბოდა, ჟანგბადის ბალონებს მიათრევდა სისტემაში შესაყვა-

ნად. ჩვენ მივსდევდით და ისე ველაპარაკებოდით. აი, სულ ამ საქმეებში იყო ეს ხალხი.

ერთი საათი ვიდექით ეზოში, ჩემი და სულ ტელეფონზე ლაპარაკობდა. ვიღაცები რეკავდნენ სამძიმარზე, ვიღაცებს უხსნიდა, რა ხდება ეხლა. მე ვიჯექი და ვფიქრობდი, როგორ შეიძლებოდა, რომ დედა გადაგვეყვანა აქედან. თანაც, მამამ რომ გული გააჩერა, დედა შეიყვანეს რეანიმაციაში იქვე, თერაპიულიდან და წარმოვიდგინე, რომ რაღაც ციკლი იყო ამ კლინიკაში, რასაც ყველა გადიოდა: ასე თუ ისე კარგ მდგომარეობაში შედიოდა და ბოლოს იქედან ცელოფნით გამოყავდათ. არ მინდოდა, დედაჩემსაც ეგ გაევლო და ვთქვი, რომ ეგრე არ უნდა მოხდეს, რაღაცას არ აკეთებენ სწორად და მე უნდა შევიდე, თორემ იმასაც ესე გამოვასვენებთ-მეთქი.

უცებ დავინახე, რომ რეზი მოდის. ის, ტატუებიანი, რომელზეც მამა რომ შეგვყავდა, მითხრეს, მთავარი ექიმიაო. მაგრამ მემგონი, რეანიმაციის მთავარი ექიმია. მიშო სამ დღეში ერთხელ მოდიოდა, ეს კი სულ იქ იყო. ხოდა, რეზიმ გვითხრა მთავარი არგუმენტი, რატომ გადაყავდათ დედა რეანიმაციაში: ნიღაბს იხსნის, ჟანგბადს იძრობს სახიდან და არავინ არის თერაპიულ განყოფილებაში, ვინც 24 საათი მასთან იქნება, რომ ნიღაბი უკან დაუბრუნოს, არადა, ჟანგბადდამოკიდებულია, ამიტომ შეგვყავს რეანიმაციაში, იქ სულ ზის ექთანიო. მერე თქვა ფრაზა, რომ სულ ჩხუბობს, აპარატის ხმები აწუხებს და გამორთეთ ეს ხმები, ყვირისო. ვკითხე: უკან რომ გამოიყვანოთ და მე დავუჭირო ეგ ჟანგბადი-მეთქი? (სახის მიმიკით გამოხატავს მორიდებასა და ამავე დროს ხვეწნას – ც. გ.) წამო, უფროსობას ვკითხოთო.

(ხელის მოძრაობითა და სახის მიმიკით გამოხატავს მოულოდნელობას, გაკვირვებას – ც. გ.) ანუ უბრალოდ უნდა მეთხოვა რა!..

დერეფნის დასაწყისში იყო შუშის კარები, მერე ექიმების კაბინეტი, მერე იწყებოდა პალატები. შუშის კარის იქით ვხედავდი დერეფანში როგორ დადიოდნენ, ბუშტებს ბერავდნენ პაციენტები. ამის იქით შესვლა აღარ შეიძლებოდა. მე შემიშვეს. ექიმების კაბინეტში ორი ქალი იყო, რაღაც ქაღალდის სამუშაოებს ასრულებდნენ. ერთი შედის-გადის, მეორე მაგიდასთან ზის, რაღაცას ჯაჯღანებს, ხან ყვირის მჭახე ხმით: – დახურეთ, თქვენ გიჟები ხო არა ხართ, რატოა ეს კარი ღია?! წარამარა იღებოდა ეს კარი, პაციენტების პატრონები შიგნით შემოსვლას ცდილობდნენ. მე რომ შემომხედავდა ეს ქალი, ხმას არბილებდა: შენი ჭირიმე, ცოტა ხანი მოიცადეო. ალბათ იცოდა, ის ვარ, ვისი მამაც გუშინ გაასვენეს და ახლა დედა უწევს. მერე ისევ ვიღაცებს ეჩხუბება. ბოლოს რაღაც ქაღალდს მოაწერა ხელი და ისევ მომიბრუნდა, – რა გინდაო? დავწვები რა აქ, დედასთან-მეთქი. შენ სიკვდილი ხო არ გინდაო?! – ამ მჭახე ხმიანმა. რა ვიცი, არ ვაპირებ-მეთქი (ჩაიცინა – ც. გ.). მინდოდა მეთქვა, რომ კოვიდი ახლა გადავიტანე და ყველაფერი ჩავლილია. სინამდვილეში იზოლაციის პერიოდი არ იყო გავლილი. წამლების კურსსაც მეორე დღეს ვამთავრებდი. მოკლედ, დამიწყეს იმის მტკიცება, რომ ძალიან დაბალი გაქვს იმუნიტეტი და მალე მოგერევაო. მერე უცებ, მოიცა, მოიცა, როდის დაგიდასტურდაო? – დირექტორი მეკითხება. ვუთხარი. გადათვალა და ააა, შენ ჯერ არ დაგისრულებია მკურნალობაო? მაშინ პაციენტად გაგაფორმებ მიზეზი მექ-

ნება რატო შემოგიშვი, ხოდა, წადი რეგისტრატურაში და გა-ფორმდიო. გამოვვარდი, უკვე ზეიმი მქონდა, – მაიკო, მტო-ვებენ-მეთქი!

დერეფნის ბოლოში ცარიელი იყო პალატა, სანიტ-რები, აზერბაიჯანელი ქალები იყენებდნენ დასასვენებლად. იმან ატეხა ჩხუბი, აზერბაიჯანულად ყვიროდა, არ უნდოდა პალატის დატოვება, ერთადერთი დასასვენებელი ადგილი ეგ ქონდათ. ექიმმა: – შენ რაც გითხარი, ის გააკეთე, გა-მოდიო. მოკლედ, იჩხუბეს და მაინც გააშლევინეს სანიტარს ორი ლოგინი ჩემთვის და დედასთვის. მაგრამ ის თეთ-რეული რაა... ისეთი იყო, თავს რო დავდებდი, სულ შარ-დის სუნი მცემდა. მერე ეს ეკიპირება! სატელევიზიო სი-უჟეტებში რომ ვხედავდით, იქ ესეთები არ დადიოდნენ. მერე სურათებს რომ ავრცელებდნენ სოციალურ ქსელებში, სხვადასხვანაირი პირბადეების და ფარების ტარებისგან სა-ხეზე ნაკვალევი რომ ემჩნევათ პერსონალს, არაფერი ამის მსგავსი იმ კლინიკაში არ ყოფილა. ერთადერთი ეკეთათ პირბადე და მეტი არაფერი, არც რეანიმაციაში, რეზიც ეგრე დადიოდა, მარტო პირბადით.

ჩემი იქ ყოფნა დაიწყო დედაჩემის მდგომარეობის თავიდან გაცნობით. არადა, თავიდან მეგონა, რომ იქ დავ-ჯდებოდი მარტო და დედას დავუჭერდი ჟანგბადის ნი-ღაბს, რომელსაც იხსნიდა და იმის ძალა ჰქონდა, რომ ჩემთან ეჭიდავა, როცა უკან ვაბრუნებდი. მაგლეჯდა, ხან ხელს მკაწრავდა, გაწიეო. 2006-ში თავის ტვინზე ოპერაცია ქონდა გადატანილი და კოვიდმაც პირდაპირ ეს პრობლემა გაუმძაფრა, როგორც ერთი იქაური ექიმი გვიხსნიდა, ენცე-ფალოპათია განვითარდა. ეს პერიოდი დასამახსოვრებელი

იმით იყო, რომ გამუდმებულ აქტიურობაში ვიყავი, არ იყო იმის დრო, რომ დაისვენებ, ან დაიძინებ. არადა მე გამუდმებული აქტიურობა არ შემიძლია, მე მუშაობის დროსაც უნდა გავიდე და მოვწყდე სამუშაოს, რომ გადავერთო და მერე თავიდან დავიწყო. ჩემთვის გამუდმებულ აქტიურობას დიდი ფასი აქვს, ვიცი, რომ შემდეგ ორგანიზმი მომთხოვს საპასუხოს. მიუხედავად ამისა, თავიდან ერთ-ორი დღე შემართებით ვიყავი, დედაზე ვამბობდი, – ეს კი აქ წუწუნებს, მაგრამ უნდა გამოვიყვანო მდგომარეობიდან-მეთქი.

დაბნელებული ქონდა გონება, ხანდახან არ ახსოვდა, სად არის, ერთხელ გამოფხიზლდა და ნაყინი მომიტანეო, საყინულეში ხომ გვაქვსო. დედა, სახლში არა ვართ-მეთქი. აააო! – და გააგრძელა ძილი. სანამ იქ არ ვიყავი, წაქცეულა კიდეც. ერთი კაფანდარა გოგო იყო, ექთანი ზაირა, ისიც აზერბაიჯანელი, მარა ლაპარაკობდა რუსულად. დანარჩენს უჭირდათ, მაგრამ რაღაცნაირად ვაგებინებდი. ხოდა, ზაირამ მომიყვა, ესე დგებოდა და მიდიოდა დერეფანშიო. ერთ ღამეს დერეფნის ბოლოში დავიჭირეო. ალბათ ფიქრობდა, რომ სახლშია და სხვა ოთახში მიდიოდა. სხვა პალატაში შევიდა და ტუალეტში წაიქცა, მე ავაყენეო. ამ გოგოს რომ ვუყურებდი, ჩემი ნახევარი იყო, ტანითაც პატარა და გამხდარი. ვიფიქრე, ამან როგორ ააყენა, მე ვერ ვძრავდი დედაჩემს. როცა წაიქცა, რენდგენი გადაუღიათ, მოტეხილობა არ ჰქონდა, გარეგნულადაც არც დალურჯება ქონდა, მაგრამ მენჯი მტკივაო და ყველა განძრევაზე კიოდა. ხანდახან მეგონა, რომ ეშინოდა განძრევის, ამიტომ ესეც ჩავარდა მამაჩემის მდგომარეობაში, ვეღარ მოძრაობდა. დგებოდა მომენტები, რომ მეგონა, მორჩა, მივაღწიე ლიმიტს და აღარ შემიძლია,

მეტი რაღა უნდა ვქნა-მეთქი. მერე ვაცნობიერებდი და ჩემ თავს ვეუბნებოდი, – თამთა, ეხლა ერთი საათი რო წაუძინო ახალი ძალებით აივსები, ეს უბრალოდ სასოწარკვეთაა, მიხვდები, რო კიდე შეგიძლია. მახსოვს, მარინამ[83] მომწერა, ადამიანის შესაძლებლობებს საზღვარი არა აქვსო და ეს ძალიან ეხმიანა ჩემს მდგომარეობას. მახსოვს, რამდენჯერ მივედი ამ საზღვართან და რამდენჯერ გადავწიე (ტირის – ც. გ.): არა, თამთა, თურმე კიდე შეგიძლია!.. ახლა კიდე შეგიძლია, ახლა კიდე უფრო მეტი შეგიძლია... ჩემ თავს ვეუბნებოდი, ცოტაც გაუძელი-მეთქი.

მეორე დღეს მამას კრძალავდნენ და პირველი ამოცანა იყო, ჩემ დას მშვიდად შეძლებოდა მამაჩემის დაკრძალვა. არადა, მერე გავაცნობიერე, რასაც შემოსვლამდე ვერ მივხვდი, რომ პასუხისმგებლობა ავიღე დედაჩემის სიცოცხლეზე და შემეშინდა. იმ ღამეს ერთი საათი მეძინა, ღამე გავატარე ამ ჟანგბადის ჭერაში, დედას დამშვიდებაში და ფიქრში, რომ წავიყვანოთ თუ დავტოვოთ აქ. ერთ მომენტში გამოჩნდა შესაძლებლობა, რომ რუსთავის საავადმყოფოში გადაგვეყვანა. ღამე ამაზეც ვფიქრობდი, ეჭვი შემეპარა, რომ რითი იქნება იქ უკეთესი, ჩემი და იწვა იქ, ბიძაჩემიც, რომელიც მერე გარდაიცვალა, დიდი მოვლა-პატრონობა არც იქ იყო. მივხვდი, რომ ამ **ქვეყანაში ისეთი ამბავი ტრიალებს, რომ არცერთ კლინიკაში არ იქნება უკეთესი სიტუაცია, რომ ვინმე თავზე ხელს გადაგისვამს ან შენთვის მეტი დრო ექნება. ვხედავდი, პერსონალიც ზღვარზეა მისული და მაგათი შესაძლებლობებიც ჩემსავით ნელ-ნელა ილეოდა.** მოკ-

[83] მარინა თაბუკაშვილი, იმ დროისათვის „ფონდი ტასო“-ს გენერალური დირექტორი.

ლედ, მოვიფიქრე, ხომ არ ჯობია დავრჩეთ, იმიტომ რომ მე აქა ვარ, სხვაგან კიდევ შეიძლება აღარ შემიშვან. მაგრამ მინდოდა ექიმი, ვისაც ვენდობოდი და დავურეკავდი მაინც ხოლმე, თუკი კითხვები გამიჩნდებოდა. მოკლედ, იმ ღამეს ასეთი გეგმა შევადგინე და ის დღეები სულ ახალ-ახალი გეგ-მების შედგენაში ვიყავი და მერე კიდევ ათასი წვრილმანი, საორგანიზაციო. მაგალითად ის, რომ დედა ვერ ჭამდა საავადმყოფოს საჭმელს, მარტო ჩაის სვამდა. საჭმელს ვეღარ ღეჭავდა, რადგან ზემოთა კბილები ჩასმული ჰქონდა და ჩემს მოსვლამდე დაკარგა რეანიმაციაში, პირიდიან გადმოუვარდა ისე, რომ თვითონაც ვერ გაიგო და ვეღარ ვიპოვეთ. ჩემს დასთან უნდა გამერკვია, როგორ ავაწყოთ კვების სისტემა, რა და როგორი ულუფებით უნდა მოეტანა, რომ იქ შენახვაც არ დამჭირვებოდა. წვენების მაცივარი მეორე დღეს აღმოვაჩინე დერეფანში. ვნახე, რომ სხვა პაციენტებიც ინახავდნენ იქ საჭმელს. მერე მეც მივწი-მოვწიე და ჩვენი მაწონიც დავდე. ისიც აღმოვაჩინე, რომ ფილეპ-სინს, რასაც დღეში ორჯერ სვამდა დედა, რეანიმაციაში კაი ხანი იყო, რაც აღარ მიუღია, ესეც თავიდან დავაწყებინე.

სატურაციას რომ ზომავს, ოქსიმეტრი[84] სახლიდან წა-ვიღე, შუა თითზე რომ ეკეთა, 95-ს მაჩვენებდა, საჩვენებელზე – 76-ს. ბევრი ასეთი დეტალი იყო, კითხვის ნიშანს რომ მი-ჩენდა. მე რაკი მედიცინა არ ვიცი, სულ ვეძებდი ვინმე, სანდო წყაროს, რომელიც მეტყოდა, რომ კი, სწორად აკეთებენ, რასაც აკეთებენ, იმიტომ რომ მაგალითად, რომ მითხრეს, მძიმე პაციენტებს წამლებს ვუკეთებთ მხოლოდ დილას და

[84] გულისხმობს პულსის ოქსიმეტრს, თანამედროვე სამედიცინო-დიაგ-ნოსტიკურ ხელსაწყოს, რომელიც სისხლში ჟანგბადის მოცულობას ზომავს.

მსუბუქებს დილას და საღამოსო, კითხვა მიჩნდებოდა, – რა-ტო?.. ვატყობდი, რომ წვეთოვანი ძალიან კარგად მოქმე-დებდა დედაზე, ანტიბიოტიკსაც ამ ფიზიოლოგიურ ხსნარში უშვებდნენ და დედა მშვიდდებოდა, აღარ ბორგავდა, აღარ იგლეჯდა არაფერს. თუმცა ეს დღისით, საღამოს უკვე ძალი-ან ღელავდა, ბორგავდა, ჟანგბადს იხსნიდა და წამალსაც არ გვაძლევდნენ. მერე რაღაც მომენტში ექიმებზეც გავბრაზდი, რას გადმომაბარეს მძიმე ავადმყოფი და კაციშვილი ცხვირს აღარ ყოფს პალატაში?.. მე რა, მომზადებული სპეციალის-ტი ვიყავი, რომ ჩემს იმედზე დატოვეს ეს ქალი, თან ნატ-კენი ფეხით?! მერე აღმოჩნდა, რომ ეს შარდის დიდი პარ-კიც ივსება, ვერ ვხვდებოდი, რანაირად უნდა გამომეცვალა. ესეც არავის უთქვამს, არავის არ ეცალა ჩვენთვის. დავდევ-დი ამ სანიტრებს დერეფანაში, რომლებიც ორ განყოფილე-ბაში მუშაობდნენ და ყოველთვის არ იყვნენ ადგილზე.

უკანა ეზოში გადიოდა ჩვენი ფანჯარა, სანიტრები, საჭმელი რაც დარჩებოდა, პლასტმასის თეფშები, ჭიქები, პირდაპირ გადაუძახებდნენ ხოლმე ფანჯრიდან. შარდსაც, რომელსაც კონტეინერიდან ჩაცლიდნენ ძველ პლასტმასის ბოთლებში, ეგრევე აგდებდნენ ფანჯრიდან. სხვა დროს შე-იძლება საპროტესტო აქცია მომეწყო ამის დანახვაზე, მაგ-რამ იმჯერად ხელი ჩავიქნიე, ერთი-ორჯერ საჭმელი რომ მიფუჭდებოდა, მეც გადავყარე, იმიტომ რომ ვხედავდი, დაბ-ლა ძაღლები დადიოდნენ და ჭამდნენ გადაყრილ საჭმელს. ასეთი სიტუაცია იყო კლინიკის გარეთ, რომელიც უფრო სხვა პრობლემაა და სხვა პრობლემებს წარმოშობს კიდევ.

მეორე დღეს, დილას შემოიტანეს წამლები, ნემსი გა-უკეთეს მუცელში და რომ წამოჯდა, ჩაეძინა. ესე იგი, როცა

იწვა, ვერ ისვენებდა. მომეყრდნო მთლიანად, ძაან დამძიმ-და, რომ დაეძინა. რამდენსაც გავუძლებ, ვიჯდები, რომ და-ისვენოს-მეთქი. სურათიც გავუგზავნე ჩემს ძმას და იქიდან ძაან ემოციურად მომწერა, – ნახე, შენ რომ მოგენდო, როგორ დამშვიდდაო. გიჟდებოდა დედაზე, ძაან ემოციურ კავშირში იყვნენ და ეტყობა, რომ დღემდე არიან.

საშინელი სიცხე იყო. დედაჩემი ფანჯარასთან თავით იწვა, დილის წვეთოვანის შემდეგ ცოტა დამშვიდდა. ჩემი სა-წოლი პერპენდიკულარულად იდგა კედელთან, იქ ვიჯექი და ამ ფანჯრის ფოტოებს (ფოტოებს მაჩვენებს ტელეფონში – ც. გ.) იქიდან ვიღებდი. თან საათს ვუყურებ, რომ რა ხდება ნეტა რუსთავში, ჩავთვალე რომ ეს არის პერიოდი, როცა გაასვენეს მამა სასაფლაოსკენ და... ეგეთი პეპელა მე არ მინახავს, პეპელა შემოფრინდა პალატაში იმ გაუსაძლის სიცხეში. პეპელა?.. აგვისტოში?.. არ მინახავს მე!.. პეპელა იყო თეთრ და მწვანე ფერებში, წრე დაარტყა ოთახს და დედაჩემის თავთან დაჯდა ფარდაზე. ტელეფონი მოვძებნე, სურათი უნდა გადამეღო, გავიხედე და აღარ არი... ეტყობა, ისევ გაფრინდა ფანჯრიდან და რაღაცა ეგრე ვიგრძენი, მეთქი, მამა იყო რა! (საუბრის გაგრძელება უჭირს, ტირილს იკავებს – ც. გ.).

სანამ დედაჩემს ეძინა ფეისბუკზე შევედი, სამი დღე არ ვიყავი შესული და ჩემი ერთი ნაცნობი მკვლევარის სტატუსი მომხვდა, – 2 ოქტომბერი ანუ არჩევნების დღე, გლოვის დღე იქნება ჩემთვისო. მაშინ გავიგე, რომ დღეში 80-ს მიაღწია კოვიდით დაღუპულთა რიცხვმა!.. და ესენი, ხელისუფლება სად არიან?.. დადიან ამ წინასაარჩევნო შეხვედრებზე და ამ დროს ხალხი იხოცებაო. ძაან მომხვდა გულზე და მიუხედავად

იმისა, რომ არ მინდოდა, არ ვაზიარებდი ამ ჩემს სიტუაციას სოციალურ ქსელში, თან მეგონა, რომ რაღაც არაკანონიერი მოხდა, მე რომ შემომიშვეს და არ მინდოდა გათქმა. მაინც ველარ მოვითმინე და სტატუსი დავწერე. „როგორ მოვხვდი კოვიდ სტატისტიკაში“. სტატუსში ვამბობდი, რომ გუშინწინ, მამას სასახლე რო მოვასვენეთ სახლში, მაშინ გვითხრეს, რომ დედა გადაასვენეს იმ რეანიმაციულ განყოფილებაში, საიდანაც მამა გამოასვენეს. ჩემთვისაც 2 ოქტომბრამდე ვერ დადგება გლოვის დღე, არ მაქ მაგის დრო და მამას მივმართავდი, რომ მერე ვიტირებ შენთვის, ეხლა მაქედან მოგვეხმარე-მეთქი. თან ეს პეპელას ამბავი იყო მომხდარი და... სტატუსის პათოსი ის იყო, რომ ხელისუფლებას ფეხზე ვკიდივართ და ყველა ინდივიდუალურად იბრძვის გადარჩენისთვის. მე ეს მოვახერხე, რომ აქ ვარ-მეთქი. ამ სტატუსმაც შეაშფოთა ნაცნობ-მეგობრები, მწერდნენ, – რითი შეგვიძლია დაგეხმაროთო. ერთერთ მეგობარს ვუპასუხე და პეპელას ამბავს ვუყვებოდი, რომ შორიდან გაისმა მოლას ხმა, ისე ტკბილად მღეროდა... ძაან მესიამოვნა. იმ საღამოს დედაჩემი მეუბნება, – ის კაცი სად არიო? პირველად იკითხა. ვინ კაცი-მეთქი? – ვითომ ვერ მივხვდი. მამაშენი, აქ არ იყოო?! (ამბობს ცოტა მკაცრი ტონით, თუმცა იღიმება – ც. გ.) არა, დედა, მამა რეანიმაციაში წევს-მეთქი. სტატუსზე თანაგრძნობის წერილები რომ წამოვიდა, ვტირობდი და დედამ ამ დროსაც გაახილა თვალი, დამაკვირდა და, – ტირიხარო? ცრემლები მოვიწმინდე და მეგობარს ისევ მივწერე, აღარ შემოვალ და სტატუსსაც არ ვნახავ, რო არ ვიტირო და კიდე არ დამინახოს-მეთქი. ვიცოდი, მერე უნდა მეტირა, მამაჩემის გლოვა დროში გადავდე.

26-ის და 27-ის ღამე ისევ ექიმებთან დისკუსიაში გავატარე. მინდოდა, დედას, რომელიც ამდენს ბორგავდა და თან სტკიოდა ფეხი, ცოტა დაესვენა. 26-ში იყო სხვა მორიგე ექიმი, რომელმაც მოგვცა დამამშვიდებელი წამალი ატარაქსი. ქედმაღალი ექიმის რეკომენდაცია იყო, რომ არ მისცეთ ბევრი ატარაქსი და არ მისცეთ დღისით, რადგან სუნთქვის ფუნქციებში ერევა და სხვა სიმპტომებს ვეღარ შევამჩნევთო. თუმცა მეორე დილას მაინც მომცა და რომ დავალევინე, დედას 4 საათი გათიშულს ეძინა. ახლა ამაზე დამეწყო შიშები, რატომაა ამდენი ხანი გათიშული-მეთქი?. ქედმაღალმა: ხომ გეუბნებოდიო?!. არადა, ისეთ ბორგვაშია, სულ იძრობს ყველაფერს და აი, ისევ ეს პასუხისმგებლობის არაღების ამბავი: მაშინ მოიყვანეთ ნევროლოგი და იმან გადაწყვიტოს, რა დაალევინოთ და რამდენიო. ჩვენ თუ გამოვიძახებთ, ეს ფული ღირსო. ეს ვუთხარი მაიკოს. ჩვენ ჩვენი ნევროპათოლოგი გვყავს, დედაჩემის კოლეგა, რომელმაც მეორე დღეს დარეკა და არა გენაცვალე, თქვენ არაფერი არ გაქვთ გადასახდელი, რა პროფილის ექიმიც არ უნდა დაგჭირდეთ, აპარატურის მოტანაც კი, ამას ყველაფერს სახელმწიფო ფარავსო. ექიმებთან კამათის დაწყება აღარ მინდოდა და ვთხოვე: თქვენი ჭირიმე, იქნებ მაინც თქვენ მოხვიდეთ-მეთქი.

დედაჩემი რაკი ბორგავდა და ფეხს ისე წევდა საწოლიდან, რომ მეშინოდა არ ჩამოვარდნილიყო, იმ ღამეს ჩემი საწოლი მის საწოლთან დიდი ტანჯვით მივახრიგინე. ვერც მოვიფიქრე, რომ ჩამკეტები ქონდა ბორბლებზე, რომელსაც გავხსნიდი და თავისუფლად მივაგორებდი. მოკლედ, მივაჩოჩე ეს საწოლი, გვერდზე დავუწვები და თუ

გადმოდო ფეხი, ჩემ საწოლზე იქნება და აღარ ჩამოვარ-
დება-მეთქი. ვცდილობ, რომ დავიძინო. ღამეში უფრო
კარგად ისმოდა ჟანგბადის ბუყბუყი, ზედ ერთვოდა დედა-
ჩემის ბორგვა. დედაჩემსაც აფხიზლებდა ეს ხმა და იხსნი-
და ცხვირიდან, პატარა გაფაჩუნებაზეც რომ იღვიძებს ჩვი-
ლი, ეგრე იყო. სრული სიმშვიდე უნდა ყოფილიყო, რომ
ჩასძინებოდა დედაჩემს. თან ეს კანულაც[85] აწუხებდა, რო-
მელზეც ამბობდა, გამიღიზიანა ცხვირის ლორწოვანა, აღარ
შემიძლიაო. ვიფიქრე, მოვაშორებ ამასაც, ხმასაც და იქნებ
დამშვიდდეს და მეც თვალი მოვხუჭო-მეთქი, რომ არ ვიყო
უმართავი. ვერ მოვახერხე. საწოლი ისევ ცოტა დავაშორე და
წარამარა ვდგებოდი მაინც, რომ გამესწორებინა ცხვირიდან
გამოღებული კანულა. გამთენიისას ჩამეძინა. ერთი საათის
დაძინებული თვალებს ვახელ სრულ სიჩუმეში, ვერ ვხვდები,
რამ გამაღვიძა, მერე ჩავთვალე, რომ ზებუნებრივმა ძალამ.
დედაჩემი ამდგარა ფეხზე. ამ პატარა ღრიჭოში საწოლებს
შორის დგას, ერთი ხელით ჩემს საწოლს ეყრდნობა, მე-
ორეთი – თავისას და წკიპზეა, რომ ჩაიჩეხოს ცხვირ-პირით,
იმიტომ რომ დასუსტებულია და თავს ძლივს იმაგრებს.. ეს
რომ წარმოვიდგინე, რა ბეწვზე გადავრჩი, ამივარდა ისტე-
რიული ტირილი: რას შვრები, დედა-მეთქი!. უკან დავაწვინე
როგორღაც.

საღამოსკენ მაიკომ ნაცნობი ნევროპათოლოგი მო-
იყვანა. ამ დროს მოიტანა ტანსაცმელიც, ესე იგი დაკრძალა
მამა და მოგვიბრუნდა ჩვენ. მაიკო არ შემოდიოდა განყოფი-
ლებაში, შუშის კარის მიღმა ჩერდებოდა და მე გულში ვფიქ-

---

85 კაუჩუკის გამჭვირვალე მილი სეკრეციის მოსაგროვებლად (ამ შემ-
თხვევაში ნაზალური მოხმარებისთვის).

რობდი, ეხლა რას თამაშობს ამ წესიერებას-მეთქი. ქედმაღალს ბოდიში მოვუხადე, – გავცხარდი-მეთქი... მესმის, რა დღეშიც ხარო, – ამაზეც გულზე მომეშვა, რომ ამ ქალთან კონფლიქტში არ დავრჩი. მეორე დღეს დილას დავინახე, როგორ დგებოდა დერეფანში დივანიდან, რომელიც ხელოვნური ტყავის იყო. იმ დივანზე მეც ჩამეძინა ერთი საათი და სულ სველმა გავიღვიძე იმ სიცხეში. მას კი მთელი ღამე ეძინა, მერე მივხვდი, რომ რას ვერჩი ამ საწყალ ქალს, ესენიც ზღვარზე არიან.

ნევროპათოლოგი რომ მოვიდა, დედაჩემი უცებ სხვანაირად ალაპარაკდა. მანამდე წინადადებებს თუ აღარ ამთავრდება და შორისდებულებით მეკონტაქტებოდა, უცებ სრული ფრაზებით ელაპარაკა დოდოს[86]. შეიძლება ძალები მოიკრიბა და თავისი პრესტიჟი დაიცვა კოლეგასთან. ვფიქრობდი, რაღა ამასთან ლაპარაკობს ასე, რომ კარგი შთაბეჭდილება დარჩეს, სინამდვილეში ხომ არ არის ეგრე კარგად-მეთქი. ფეხიც შეუმოწმა ექიმმა, მახსოვს, ასე თქვა, შეიძლება ჩაჭედილი მოტეხილობაა და რენტგენში არ გამოჩნდა, მაგრამ ამ წუთში ეს არ არის მნიშვნელოვანი, ეს მერეო... ისე კარგად ხარ, ციური, გამოსულხარ მდგომარეობიდანო... დღემდე არ ვიცი, გული გაგვიკეთა, თუ მართლა ეგრე ფიქრობდა. დასკვნის დასაწერად გავიდნენ ექიმის კაბინეტში და ამასობაში გამოვედი მისაღებში, ჩამოვჯექი მაიკოსთან და მთელი გულით ვიტირე: აღარ შემიძლია, აქამდე ვფილტრავდი ინფორმაციას, რომ შენ იქ მშვიდად დაგემთავრებინა საქმე, მაგრამ ეხლა ყველაფერი

---

86 დოდო ჯიქია, შ.პ.ს. კლინიკა „რუსთავის“ (ხალხში „აზოტის საავადმყოფოდ“ ცნობილი) ნევროპათოლოგი.

უნდა მოგიყვე-მეთქი. მალე დოდოც გამოვიდა, მაიკოს უნდა წაეყვანა უკან და დოდომ მკითხა, შენც ხომ არ გინდა ფილეპსინი დალიოო, მაგის თვალწინაც ვიტირე. არა, რა ფილეპსინი, აქ თუ გავითიშე, აბა, რისთვისღა ვარ აქ-მეთქი.

დედაჩემი თავის ტვინზე ოპერაციის შემდეგ ვეღარ იტანდა მზეს, აღარ მოგვყვებოდა ზღვაზე, ზაფხულში სულ შლაპით დადიოდა, სარეცხსაც თუ ჰფენდა, აუცილებლად დაიფარებდა და ეგეთი გამოთქმა ჰქონდა: „მზე ჩამივიდა თავშიო...“ საავადმყოფოშიც დერეფნისკენ იწევდა: ნახე, იქ რა კარგი ჩრდილიაო! ავიწყდებოდა კათეტერი რომ ედგა, რომ ფეხი სტკიოდა. უარს ვეუბნებოდი, მეშინოდა რომ ვერ დავძრავდი და შეიძლება დავარდნილიყო. ამ დროს გავაცნობიერე, რომ მზეზე იწვა და წუხდა. 27-ში რომ ადგა და კინაღამ ჩაიჩეხა, ეტყობა მზემ შემოანათა დილას და მაგიტომ წამოდგა საწოლიდან. დავუძახე ექთანს: მომეხმარე, საწოლი უნდა გადავაადგილო-მეთქი. უკვე ათვისებული მქონდა, ფულს ვარიგებ 20 ლარიანებს, 50 ლარიანებს, რომ სანიტრები დამეხმარონ. ჩემმა დამ რომ გაიგო, გაგიჟდიო?!. რა 50 ლარიანებიო!.. ერთი კარგი ქალი იყო, მთავარი ექთანი, ასაკოვანი, აზერბაიჯანელი, უცნაურსახელიანი. სულ მეფერებოდა. წამომყვა, აბა რა გინდაო? საწოლებს ადგილი უნდა შევუცვალო, თორემ ეტყობა დედას მზე აწუხებს და იმიტომ ვერ ისვენებს-მეთქი. და ვაააა, შენ რა კარგი გოგო ხარ, რა ჭკვიანიო. მანდ დავინახე პირველად, რომ თურმე ბორბლებს ჩამკეტი უნდა მოუხსნა და მიგორავს მშვენივრად, აღარ უნდა ჭიდაობა, ხვნეშა და კვნესა. **სტრესისა და გადაღლის ფონზე უბრალო ამოცანის გააზრებას და მიხვედრასაც დიდხანს ვანდომებდი, ვეღარ ვაზროვნებ-**

**დი ჩვეულებრივ.** გააგორა დედაჩემი და გამოაგორა ჩემი საწოლი მზეზე. გადავიდა თუ არა სიგრილეში, დედამ მშვიდად დაიძინა, აღარც კანულასთვის მოუკიდია ხელი. ამასობაში დარეკა თამუნამ (ექიმმა თბილისიდან), მთავარი რაც მკითხა, რითი მიეწოდება ჟანგბადი მილაკებით თუ ნიღბითო? ჟანგბადდამოკიდებული თუა, კანულა კი არა, ნიღაბი უნდა ეკეთოს, როგორმე შეცვალეთო... ისევ დამეწყო შფოთვა: ნიღაბი, ნიღაბი, სად ვიპოვო ნიღაბი? თურმე, უბრალოდ, ლევანისთვის უნდა მეთქვა და მომცემდა. არადა ვნერვიულობ, ისევ უნდა ვსდიო ექიმებს, სადღაცა რომ გამოვიჭირო. დარბის ეს ექიმი დერეფანში წინ და უკან, რაღაცას უყვირის რეგისტრატურაში კოდი 7... 0... 6... ადმინისტრაციულ, ქაღალდის სამუშაოსაც ექიმები აკეთებენ, სულ ამ დღეშია ეს ხალხი, ეტყვი რამეს და „მაცალე!“ და ისევ ყვირის იქით, არ ცალია შენთვის...

27-ში ისევ მოვიდა მაიკო და იქ გაჩნდა ლევანი, იქ გაჩნდა მორიგე ექიმი, ყველა მობილიზდა. მისაღებთან ვზივართ და ვუთხარი მაიკოს, რომ კანულა უნდა შეგვეცვალა ნიღბით. იქვე ყოფილა საწყობიც. მოიცა, კაცოო – ლევანმა, შევიდა და გამოიტანა პაკეტი, ჩვენს თვალწინ გახსნა და წამოდი, დავაყენოთო. კანულა მოხსნა და სისტემაში დაუყენა ნიღაბი. ვთქვი, რომ კარგია, პირიდანაც და ცხვირიდანაც ერთნაირად შედის ჰაერი. მაიკოს მოსვლა იმდენად მომეშვა გულზე, ვუმღერე: „შენს აქ მოსვლას მზის ამოსვლა, მზე მოჰყვაა“ (სიცილით ღიღინებს – ც. გ.). დაუჯდა მაიკო დედას ნიღბით. მოსაღამოვდა, ბნელა უკვე და შემოიხედა მორიგე ექიმმა მაიამ, შემოიხედა რეზიმაც, ჩემი სიმღერის მოტივაცია ესეც იყო ალბათ, რომ იქამდე თუ იქით ვიჭერდი ყველას,

ახლა მარტო აღარ ვიყავი და დამხმარეებიც გამოგვიჩნდნენ. მაია ექიმმა თვითონ გადაწყვიტა, რომ ნიღაბი დაეშალა. ნიღაბს ზუსტად იგივე პრინციპი ჰქონდა, როგორიც სახლში რომ ბავშვებისთვის ინჰალატორები გვაქვს. დანა მოითხოვა (დანაც ჩვენი მიტანილი იყო) და ნიღაბში რა მილითაც ჰაერი შედიოდა, იმას თავი მოაჭრა ამ ჩვენი სამზარეულოს პატარა დანით, გავაფართოვებო. მერე ისევ დაუყენა სახურავი და ჩართო სისტემაში.

მაიკომ თავისი განწყობა და ფილოსოფია შემოიტანა ამ ჩვენს ყოფაში – მოდი, ვიმღეროთო. ამ სიმღერასაც თავისი ეფექტი ჰქონდა, სულ იავნანებს ვმღეროდით: „სულიკოს“, „სანთელივით დავდნები“ და ეს მბორგავი დედაჩემი მშვიდდებოდა და იძინებდა. მაიკო ღამის პირველ საათზე წავიდა, იქამდე სულ ვმღეროდით, პაპუნაც (თამთას ძმა – ც. გ.) სულ ჩართული გვყავდა, ტელეფონი დედას ბალიშზე გვედო. თან ბავშობას ვიხსენებდით. მოდი, ეხლა ხალხური სიმღერები ვიმღეროთო. ეს ხალხური სიმღერები მაიკომ მასწავლა, როცა კონსერვატორიაში სწავლობდა. ვმღეროდით ხმებში, მერე იმერულებიც მივაყოლეთ. მაიკო უყვებოდა პაპუნას, იმიტომ ვასწავლიდი პირველ და მეორე ხმას, რომ გამოცდისთვის ვემზადებოდიო... შე ქალო, აქამდე ვერ მითხარი, მე კიდე მეგონა, ჩემთვის გინდოდა, რო გესწავლებინა და ჩემთვის ხარჯავდი დროს-მეთქი (იცინის – ც. გ.). მერე მე გამახსენდა, ესე ორ ხმაში რომ ვმღეროდით, მოვიდოდა პაპუნა და ეხლა ბანი უნდა მოგცეთო, უნდა „მოვბანოო“. მაგისი „მობანვა“ იყო ის, რომ ურევდა ხმებს და ვიცინეთ. ამ დროს დედა, როგორც ჩვილი ბავშვი, დიდად კონტაქტში რომ არ არის შენთან და ცდილობ, დაამშვიდო, დააძინო, ასე იყო.

ეს ხომ ყველამ ვიცით, რომ კოვიდ პაციენტი მუცელზე უნდა იწვეს, სულ ზურგზე იწვა დედაჩემი. ეს წოლაც, პოზის გასწორება, სულ პრობლემა იყო. სინთეტიკის მატრასზე გადათვარებული კი იყო ბამბის ზეწარი, მაგრამ სრიალებდა და სულ მის გასწორებაში, თავის აწევა-დაწევაში ვიყავი. მაია, ექიმმა, რომელიც თავიდან უხეში მეჩვენა, ყველაზე მაგრად მოიქცა იმ ღამეს: უნდა გადავაბრუნოთო. როგორღაც წვალებით დავაწვინეთ მუცელზე. თვითონაც მოგვეხმარა, „ბავხოზი“ ლევანიც, თავიც მოვუბრუნეთ და ნიღაბიც მოვარგეთ. თუმცა, იმდენი იბორგა დედაჩემმა, რომ გადაბრუნდა გვერდზე. სხვანაირად ვეღარაფერი მოვახერხე და... საწოლი ხო იდგა კედელთან, ცოტა გამოვწიე, მე საწოლზე დავჯექი, უკან დედაჩემი მიწევს გვერდულად, წინ კედელია, ფეხებით კედელს ვაწვები, ზურგით დედაჩემს, ვუყურებ ამ ჩემს დაგლეჯილ ფეხებს და ვეყუდები დედაჩემის ზურგს, რომ კიდევ არ გადმოტრიალდეს და ისევ ზურგზე არ დაწვეს... და გამწარებული ვმღერი ამ იავნანას, უკვე ავტომატზე ვარ. სადამდეც გავძელი, ვიყავი ასე. მოკლედ, გვქონდა ეს ზურგებით ჭიდილი. მას უნდა, რომ გადმობრუნდეს და მე არ ვაცლი. ბოლოს დავნებდი. საწოლი ისევ მივაცურე და დავწექი გვერდით. ისევ ვუსწორებ წარა-მარა ამ ნიღაბს, სულ იხსნის.

ამ სწორებაში ვხვდები, რომ ადამიანი ძაან იტანჯება, რაღაცა ჭირს ამ ნიღაბს. ამ დროს უკვე მართლა ზღვარზე ვიყავი, როცა შეიძლებოდა ზეზეურად დამძინებოდა. ეს მახსოვს, რომ ბოლო ძალები მოვიკრიბე და თავი გამოვიფხიზლე. უკვე ის აზრი შემომეპარა, იქნებ არ უნდა სიცოცხლე, იმიტომ რომ დავტანჯე, დავგლიჯე, ხოდა მოვხსენი ეს ნიღაბი, გავიკეთე და არაფერი არ იგრძნობა, ძაან სუსტად ჟანგბა-

დის სუნი, სხვა სუნი აქვს ჟანგბადს. მიკეთია და არავითარ ნაკადს არ ვგრძნობ. კიდევ კარგი, რომ ამ ნიღბებს გვერდზე გაჭრილი აქვს, ალბათ ნახშირორჟანგის გამოსასვლელად... რომ მოვაძრე, დაისვენა ადამიანმა, დამშვიდდა და დაიძინა. შუაღამეა, უკვე ვეღარ ვძლებ, თვალები მეხუჭება, მაინც, დავშალე ნიღაბი, ვხედავ მილიდან, რომელიც ექიმმა გადაჭრა, გამოდის ჟანგბადი, დავაფარებ ზედა ნაწილს და ნიღაბში არ გამოდის. დღემდე ვერ ვხვდები სად იკარგებოდა ჟანგბადი. მეტს ვეღარ დავშლიდი, შიგნით რა ხდებოდა, არ ვიცი. გამოვედი, არავინ არ იყო ექიმების ოთახში. ვიფიქრე, ისევ კანულა ჯობდა, რაკი მასში ჟანგბადის ნაკადი მაინც გამოდიოდა. ძველი კანულა იყო ფანჯრის რაფაზე დატოვებული. კიდევ კარგი, ნახევრადმძინარემ გამოვცვალე და გავუკეთე, ცხვირიდან მაინც ისუნთქებს ჟანგბადის ნაკადსმეთქი. ჩემს ძმასაც მივწერე, გაგიჟდა, გინდა მითხრა, რომ ნახევარი დღე კინაღამ დავახჩვეთ ადამიანიო?!.

მერე გამახსენდა, ერხელ დერეფნში ვიდექი, ექთანს ვეძებდი. შევიხედე პალატაში. იწვა პაციენტი და ეკეთა ნიღაბი... ჟანგბადის წყაროსთან „ბუჰ“ – დაიძახებს და გამოაგდებს მილს, მივა ექთანი და მიამაგრებს, ისევ დაიძახებს „ბუჰ“, ისევ მიამაგრებს ექთანი – აი, იმ ერთ წუთში, სანამ დერეფანში ვიდექი და ვუყურებდი ორჯერ თუ სამჯერ გამოვარდა მილი ჟანგბადის წყაროდან. მერე მოვტვინე: წყაროდან იმდენი ჟანგბადი გამოდის, რომ ნიღაბი ვერ ატარებს და იქ შუაში სკდება. მივხვდი, რომ ყველა ნიღაბი ეგეთია, მაგრამ ყველა თუ ეგეთია, ის პაციენტები რას სუნთქავენ?! თუმცა ისინი სხედან, გონზე არიან, არ ვიცი, შეიძლება ის სუნი თუ მისდით ჰგონიათ, რომ ჟანგბადს სუნთქავენ, თორე დანარჩენი სუნთქავს ჩვეულებრივ ჰაერს.

იმ ღამეს ოქსიმეტრის ელემენტიც დაგვიჯდა. მაია ექიმმა თავისი არ დაგვიტოვა, – რას ამბობ, ჩემი ინსტრუმენტია და სულ თან დამაქვსო. ამიტომ ის ღამე კიდევ იმით იყო მძიმე, რომ ვეღარ ვარკვევდი, დედა რა მდგომარეობაში იყო.

28 აგვისტო გათენდა, მარიამობა. დილით ჩამეძინა ასე ორი საათით, 7-დან 9-მდე. რომ გამომეღვიძა, დედა-ჩემთან მივედი, შევატყე, რომ ენა ძალიან მშრალი ჰქონდა, მიწა რომ გამოშრება და დასკდება, ესე ჰქონდა დამსკდარი. საწრუპ ჯოხს ვუდებდი ხოლმე ბოთლში, ასე ვასმევდი წყალს და ყოველთვის რომ წრუპავდა, ეხლა ვეღარ მოწრუპა. მიდი, დედა, შენი ჭირიმე-მეთქი, მაგრამ ვერ ახერხებს. მესამედაც რომ ვერ მოახერხა, დავაგდე ბოთლი და გამოვარდი დერეფანში ყვირილით, მიშველეთ-მეთქი. მაია (ექიმი) იყო იქ, აღარ ჰქონდა პრეტენზია – ახლოს არ მოხვიდეო (მანამდე ასე გვიშორებდა პაციენტებს, უხეშად). აღარ ვგავარ ადამიანს, ისე ვყვირივარ... შემოიხედეს, – მშვენივრად არიო, სად არი ნიღაბიო? არ არის ეს ნიღაბი, არ მუშაობს, ჰაერი არ გამოდის, შენ რო გადაჭერი, იქ გამოდიოდა ჰაერი და ნიღაბში არ გამოდის, ამ კანულაში კი იგრძნობა, რომ გამოდის-მეთქი. ლევანიც შემოვიდა, ინგაც, რომელიც მუდმივად იმეორებდა, რომ ეს არის ენცეფალიტი, ჟანგბადის უკმარისობის გამო ტვინში მიდის რაღაც პროცესები და იმიტომ არის დედაშენი ამ მდგომარეობაშიო. ლევანი წავიდა, მოიტანა ახალი ნიღბის პაკეტი. ჩემს თვალწინ ხსნიდნენ ამ პაკეტებს, მაგრამ არ ვიცი, ვფიქრობ, რომ რაღაცა უბედური პროდუქცია მოაქვთ, ალბათ... ჩინური, იაფფასიანი... სისტემაზე გავდივარ ისევ. იქნებ, რამდენი ადამიანი დაიღუპა ამ სისულელის გამო. აბა, ლევან, ეხლა შენზე

გასინჯე, მოდისო? – ჰკითხეს... გასინჯა ლევანმაც, არაო, არ მოდის, ისევ კანულა დავამაგროთო!.. მე ისევ ისტერიკა მაქვს. იქ ერთი გოგო იყო, ზაიკას ეძახდნენ, პატარა, კაფანდარა, რომელმაც მითხრა, დედა რომ წაიქცა, მე ავაყენეო. ის ჩამეხუტა გულში და მითხრა: ეხლა შენ უნდა იყო მაგრად, არ დაგინახოს, რა დღეში ხარო (ხმა უკანკალებს, თვალები უწყლიანდება – ც. გ.)... არ ვიცი, რას დასტრიალებდნენ დედას თავზე, მე აქეთ ვგიჟდებოდი. ვურეკავ მაიკოს: შენი ჭირიმე, მოდი!.. წინა დღით შევთანხმდით, მე და პაპუნამ ვთხოვეთ, აღარ დამჯდარიყო საჭესთან. ღამით 2 საათზე წასული, თან ამ მდგომარეობაში ნუღა ივლი მანქანით, გამოიძახე ტაქსი და მარნეულამდე გზაზე ცოტას დაისვენებ მაინცო. მაგრამ ახლა ტაქსს აღარ დაელოდა და გამოვარ-და. ამასაობაში ლევანმა რეზის დაუძახა, ჰაიფლოუ[87] მოი-ტანეო. სანამ ჰაიფლოუს შემოიტანდნენ, ჩემს ძმას ვიდეოთი დავურეკე, დედაჩემი ხო იყო გათიშული, მაგრამ იმან: დედა, მოვდივარ, ბილეთი ავიღე და ჩამოვფრინდები, ყოჩაღად იყავიო!.. და დედას გაფანტული მზერა უცებ ფოკუსირდა ჩემ ძმაზე და გაიღიმა. ვაიმე, პაპუნა-მეთქი და იმანაც დაინახა, რო გაიღიმა. ამ დროს შემოვიდა რეზი ჰაიფლოუს აპარა-ტით და ჩვენ გვქონდა ზეიმი, რომ დედამ გაიღიმა! ჰაიფ-ლოუ ჩემოდანივით იყო, მონიტორიანი, რომელსაც მოყ-ვება მილები. მილის ბოლოს არის დიდი ნიღაბი, რომელიც ფხრიწებით მაგრდება თავზე ორგან და იმდენად ძლიერი ნაკადით უშვებს ჟანგბადს, რომ პირს ვერ დახურავ და პაციენტმა უნდა მოახერხოს და სუნთქვა აუწყოს ჟანგბადის ამ ნაკადს. დედა ყოველთვის ვერ ახერხებდა, ისე ჰქონდა

[87] გულისხმობს თანამედროვე სასუნთქ აპარატს HighFlow.

გონება დაბინდული. რეზიმ „ჰაიფლოუ“ პირდაპირ იატაკზე დადგა. უნდა წამოვაჯინოთ დედა და დავამაგროთ ნიღაბიო. გადავძვერი საწოლზე, მივიყუდე დედა, რეზიმ დაუმაგრა ნიღაბი და მისი არაადეკვატური ფრაზა მახსოვს: აი, რითი დავდივარ, ფლოსტებითო. ვის ახსოვდა მისი ფლოსტები? მე სულ დაკაწრული, დასისხლიანებული ფეხებით დავდიოდი, მაგრამ სანამ მე არ ვთხოვე ექთნებს ბამბა და იოდი, არავის შეუმჩნევია. მე პირველი დღეების სიფრთხილე დაკარგული მქონდა, უფრო გაბედულად ვამოძრავებდი დედას, ლევანი და რეზი მაჩერებდნენ, ფრთხილად, ფრთხილადო. თან ერთ ხელში მიჭირავს ტელეფონი და ყველაფერს ვაყურებინებ ჩემ ძმას, რომელიც იქ ძაან ცუდად იყო ამ ყველაფრის ფონზე. ამასობაში მაიკოც მოვიდა და ასეთი კამათი მახსოვს დერეფნიდან, დირექტორი ეჩხუბება რეზის, რომ „მე შენ მოგკლავო. გინდა ეხლა ეს მეორე ჰაიფლოუც გამიფუჭო? იატაკზე რატო დადგიო?!“. თურმე თავისი წესი აქვს, ამ აპარატს როგორ დადგამ. სანიტრებს სკამი გამოართვეს, იმაზე დადგეს ეს აპარატი.

საღამოსკენ ექიმებმა პალატიდან გაგვისტუმრეს მე და მაიკო და დედაჩემის საწოლთან მოითათბირეს, რომ მართვით სუნთქვაზე გადაიყვანენ. „დააძინეს“ და აპარატთან მიაერთეს. მონიტორიც შემოიტანეს, რომელიც რამდენიმე წამში ერთხელ სიგნალს გამოსცემდა და რის ხმასაც დედაჩემი გამოვარიდე თავდაპირველად. მონიტორი ყველაფერს ასახავდა, ცალ-ცალკე რომ არ გეზომა წნევა, სატურაცია, პულსი და ტემპერატურა. მოკლედ, რეანიმაცია პალატაში მოგვიტანეს. იმ ღამეს შემოპარული ფიქრი, რომ ვტანჯავდით დედაჩემს, ძალიან მეშინოდა, მაგრამ მაიკოს

უკვე ხმამაღლა ვუთხარი. ძალიან დიდი რესურსია საჭირო, რომ დედის სხეულს ამ მდგომარეობაში უყურო, ვეღარ შევძელი და პალატიდან გამოვედი. დერეფანში ვიჯექი სავარძელში და ჭერს ვუყურებდი, დირექტორი მოვიდა, აღმოჩნდა, რომ მაგის კაბინეტის წინ ვიჯექი. გულახდილი საუბარი გვქონდა, მაგასაც ვუთხარი: გავუშვათ დედაჩემი-მეთქი. სად უნდა გავუშავთო (გაკვირვებით – ც. გ.)? რა ვიცი, მოვხსნათ აპარატიდან-მეთქი. არა, ეგრე არ კეთდება, ჩვენ ეგეთი რამე არ შეგვიძლიაო (ხმას დაბლა წევს, თითქმის ჩურჩულით ამბობს – ც. გ.). იბრძოლოს თითონ, რა იცი, იქნებ გამოძვრესო... დაჯდა და დედამისის გარდაცვალების ამბავი მომიყვა, ძაან ინტიმური. საუბრისას ესეც მითხრა: **წინა წელს კიდე ვიცოდით, რას ვაკეთებდითო, ერთი წელი ხო ვიმუშავეთ კოვიდზე და რაღაც გამოცდილება დავაგროვეთო. ეხლა ისე ვართ, თითქოს არაფერი არ ვიცით, რაღაცა სხვა ხდება ამ ახალ შტამზეო. ყველა ახალ პაციენტზე ახალ ექ-სპერიმენტს ვატარებთ, ისე აღარ ვითარდება ეს დაავადება, როგორც ერთი წლის წინ... მეოთხე თაობის ანტიბიოტიკებს ვიყენებთ (შარშან პირველი და მეორე თაობისას ვიყენებდით) და ეგეც ვერა გვშველისო...**

მაგ საღამოს მე წამოვედი სახლში. უკვე აღარ მა-დარდება, რომ კოვიდ კლინიკიდან გამოვედი და ვიღაც საწ-ყალ ტაქსისტს ჩავუჯექი. არ ვიცი... ორი ნიღაბი მეკეთა და ფანჯარა გავაღე, არაფერი არ მოუვა ამ კაცს-მეთქი. სახლში დავიძინე, დილას დავიბანე, მაიკომ დამავალა რაღაცები, სარეცხი მოხსენიო, ეგენი გავაკეთე... დავრეკე: რა ხდება-მეთქი? აღმოჩნდა, რომ მთელი ღამე უყურებდა მონიტორს და შეიცვლებოდა თუ არა რამე, ეძახდა რეზის (ისევ რეზი,

რეანემატოლოგი გახდა ჩვენი ექიმი). ერთერთ დაძახებაზე რეზიმ მითხრა, მოვალო და ნახევარი საათი გავიდაო, თურმე დასძინებია იმ საწყალს სადღაც საავარძელში. როგორც იქნა, ლევანმა მოიყვანა გონზეო და ეცინებოდა: რა მოუვიდა იცი? რომ შემოდიოდა პალატაში, ჯერ ერთ კარს მიეჯახა, მერე მეორე კარს, დადგა და რო შევხედე, ეძინაო (ფეხზე მდგომს ეძინა). ხელი მოვკიდე და დავსვი საწოლზეო... ვეუბნები: სიცხემ აუწიაო... რეზიმ გაახილა თვალები და: თქვენა გაქვთ სიცხეო? არა, აი, მონიტორიო, და რა ჭირს მონიტორსო?

სვეტლანა ალექსიევიჩის[88] წიგნში „ომს არა აქვს ქალის სახე“ მქონდა წაკითხული, ექიმებს ზეზეურად რომ ეძინათ მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, როცა დაჭრილების ოპერაციებს ვერ აუდიოდნენ. ამ ჩვენს რეანიმატოლოგსაც ეს დაემართა – გადაღლილობისგან ფეხზე მდგომს ჩამოეძინა... მივხვდი, **მართლა ომში ვართ**.

თურმე არსებობს თხევადი საჭმელი პაციენტებისთვის და აფთიაქში იყიდება... რა ვიცოდი, რამდენს ვწვალობდი... თურმე პირდაპირ წვეთოვანში შეგიძლია მიაერთო ეს საკვებიც. მაიკოს მაგიტო შეაგვიანდა, სანამ „ჰაიფლოუს“ მოიტანდნენ, მაგის საყიდლად ყოფილა. მეც მითხრა, კიდევ მოიტანეო, მიუხედავად ჩემი სასოწარკვეთისა, რომ გავედი სახლში, ახალი ძალები მოვიკრიბე და ვთქვი: მოდი, ეხლა ასე ვიბრძოლოთ-მეთქი. თან ვნერვიულობდი, მაიკოს ავადმყოფობიდან 4 თვე იყო გასული და კიდევ არ შეუბრუნდეს, უნდა გამოვუშვა-მეთქი. ფეხები უკან მრჩებოდა, მაგრამ უკვე მოვალეობაღა იყო ჩემი დის მიმართ. რომ

---

88 თანამედროვე ბელორუსიელი მწერალი, ჟურნალისტი, დოკუმენტური ფილმების სცენარისტი.

მივედი, მიშო დამხვდა მორიგე, მაიკო უკვე სახლში წასავლელად გადიოდა, მაგრამ დედას მაჩვენებლები უცებ ისე დამძიმდა, მაიკო უკან მოვაბრუნე, მიშოსაც დავუძახე. მონიტორზე ვხედავ ტემპერატურა ავარდა 41-ზე, პულსი 251-ზე, ჩემი ძმა ისევ ჩართული იყო, მოსაზრება ჰქონდა, რომ სითხე აკლიაო. მიშოს რომ გადავეცით, გვკითხა: ვინ გკარნახობთ მაგეებსო? ჩვენი ძმაა, ექიმია ყოფილი-მეთქი. რას ქვია ყოფილიო? პრაქტიკა აღარ აქვს-მეთქი. კარგი უქნიაო. მერვე წელია, ბავშვთა რეანემატოლოგი ვარ და აღარ შემიძლია, წავალ აქედანო!... მე თან სველი ტილოთი ვაგრილებდი დედაჩემს, ტემპერატურა 39.9-ზე ჩამოვიყვანეთ, ამ სიტუაციაში თან რაღაცებზე ვლაპარაკობდით, აბსოლუტურად დაუკავშირებელ ამბებს, უკვე არაადექვატურები გავხდით. მიშომ თქვა: გუშინ მაქ გაკეთებული ფაიზერის მეორე დოზა და ცუდად ვარ, სიცხე მაქვსო.

მალევე გაირკვა, რომ მაიკოს არსად წასვლას აზრი აღარ აქვს. სიტუაცია დამძიმდა ძალიან. რაღაც მომენტში სატურაციის მაჩვენებელი გაქრა მონიტორიდან (მობილურ ტელეფონში მაჩვენებს მონიტორის სურათს, ბოლო მაჩვენებლებით – ც. გ.), აი, წნევა ბოლოს 96/62 და ამ დროს სიცხე 39.5, პულსი 74. ტემპერატურა 39-ის ქვემოთ ვეღარ ჩამოვიყვანეთ... ხან ესე დავასველეთ, ხან ისე, გადავუსხით რაღაცები. მერე მიშომ თქვა, რომ სითხე აქვს ზედმეტი და ამოტუმბვა დაიწყო... ჩემი ძმაც დაარწმუნა ტელეფონით, აღიარა, კი, კარგი ბიჭია, მცოდნეაო. გაღიარეთ-მეთქი, მიშო!.. გაეცინა.

აღარ მახსოვს, რომელი საათი იყო, გული გააჩერა. მაგ დროს მივხვდი, რას ნიშნავდა ეგ გამოთქმა. მიშო მთავარ ექთანს ეძახდა განწირული ხმით, ატსოსი მოიტანეო.

სხვა პაციენტები ანერვიულდნენ დერეფანში, – რა ხდებაო? – თავი მოიყარეს პალატასთან. მე და მაიკო გარეთ ვსხედვართ. მე წყალს ვსვამ, აღარ შემიძლია უკვე. მაიკო გაშეშებულია აბსოლუტურად. ვიღაც პაციენტი პალატაში შედის, ექიმი ყვირის: გადი, ბიჭო, აქ რა გინდაო?!. რა ვიცი, იქნებ რამეში მოგეხმაროთო. აუმუშავეს გული, მაგრამ 5 წუთი არ იყო გასული, რომ მიშო უკან მოვაბრუნეთ. ამბობდა, შვიდი ამისთანა მიწევს კიდევ რეანიმაციაში, ხელიდან რომ გვეცლებიანო. მეორე ჯერზე ვეღარ აუმუშავეს. ერთი მომენტი იყო, თვალი მოვკარი კარებიდან, რომ მიშო ხელით ცდილობდა გულის ამუშავებას (მეთქი, ჩაენგრა გულმკერდი, მთელი ტანით აზანზარებდა დედაჩემს). აღარ მახსოვს, რატომ ვიჯექი დერეფანში და ჩემი დის ტირილი გავიგონე. იშვიათი ტირილი რო იცის... არ ვიცი, მონიტორზე ისევ მიერთებული იყო და ესე აპარატთან ჩართული დავტოვეთ, რომ გამოვედი. ჩვენი ნივთები მოვაგროვეთ, ჩანთებში ჩავალაგეთ და წამოვედით. ცხედარი უნდა გაემზადებინათ გადასასვენებლად, ჩვენ ეზოში უნდა დავლოდებოდით.

თითქოს უკვე ვიცოდით, რომ აქამდე მივდიოდით, მაგრამ მაინც არ იყო ადეკვატური მდგომარეობა, ადამიანებიც სამძიმარის მაგივრად რომ მეუბნებოდნენ, სიტყვები არა მაქვს, არ ვიცი, რა გითხრაო. ვპასუხობდი, რომ მეც არ ვიცი, ეხლა ადეკვატურად ვიქცევი? ამ სიტუაციას შეეფერება ჩემი ქცევა?.. არ ვიცი... რომ გამოვედი და კიბეებზე ჩამოვედი ეს გადავიღე, ესეთი ლამაზი ვიტრაჟი ჰქონია ამ კლინიკას შესასვლელში (ტელეფონში მაჩვენებს სურათს – ც. გ.). მზე ჩადიოდა და შემოანათა გარედან.

მარნეულის პედიატრიული კლინიკის შესასვლელი

ფოტო: თამთა თათარაშვილი